1134
2002

# არილი

№5 (185) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 9 ნოემბერი

ფასი 80 თეთრი

#5
2002



# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - ნანა ჩხვიმიანი
*კომერციული დირექტორი* - გიორგი სუბარი

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ: 93-37-43; 99-83-00
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ "კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე




**№5, 9 ნოემბერი, 2002**

## ლიტერატურა

ბესიკ ხარანაული
წიგნი ამბა ბესარიონისა ........ 1
ნოდარ ებრალიძე
თბილისური შეძახილები ........ 17
გივი ალხაზიშვილი
ლექსები ........ 19
ემზარ კვიტაიშვილი
სიცარიელე ........ 24
ვალენტინ რასპუტინი
რუდოლფიო ........ 27
ალექსანდრ ანაშევიჩი
ლექსები ........ 32

## ესეისტიკა

ტედ ფრენდი
უდაბნოში ჩავლილი წლები ........ 20
თემურ კობახიძე
მოდერნისტული კარნავალი ტომას ელიოტის ვენეციაში ........ 34

## პერსონა

ემილ მიშელ ჩორანი
მირჩა ელიადე ........ 43
მირჩა ელიადე
მამაცობის აპოლოგია ........ 47
კლოდ-ანრი როკე
გამოცდა ლაბირინთით ........ 54

## პუბლიცისტიკა

მანანა კვაჭანტირაძე
ბოლოს და ბოლოს, ვინ აკაკუნებს? ........ 61

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

# წიგნი ამბა ბესარიონისა



## დასასრული

დასაწყისი იხილეთ "არილი",N3,4, 2002

ფიქრი ადამიანის განუყრელი თვისებაა, არაფერი ჰყავს მას უფრო ერთგული, თანმდევი და მოუშორებელი, მტერი და მოყვარე, ჩრდილი და ორეული, უცებ გადამჩეხავი და ხანგრძლივ მჭამელი, მაღალი და მდაბალი და ა.შ... ანუ ყოველივე ის, რაც ადამიანია და მოიცავს მის თავგადასავალს.

მაგრამ ფიქრიც არის და ფიქრიც: კაცთაგან გამოცდილია, რომ ფიქრმა ადამიანს შესაძლოა დააჭარბოს კიდევაც, წამიერად „წარიღოს", ან მოხდეს უარესი: შესაძლებელია, ადამიანის მთელი ცხოვრება "ფუჭმა ფიქრებმა გალიოს".

ამიტომაც, ითვლება, რომ კარგია, როცა ადამიანის ფიქრი "საქმიანია", შემოქმედებითი, ბოლოსდაბოლოს, საგნობრივი მაინც. მაგრამ ამათ გარეშეც ფიქრობს ადამიანი და მისთვის ის წამები უფრო შემაშფოთებელია, როცა "არ ფიქრობს", როცა შეამჩნევს, რომ "არ ფიქრობდა", რადგანაც არ იცის, იმ წამებში სად იყო, ვის ეკუთვნოდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. მას სულგრძელად ურჩევნია თავს მოუბოდიშოს "სისულელეს ვფიქრობდიო", ვიდრე აღმოაჩინოს, რომ "არ ფიქრობდა".

ამიტომაც ხშირად "უაზროდაც" ფიქრობს, ფიქრობს რათა "გაერთოს" - ესენი, ასე ვთქვათ, "ურუბრიკო ფიქრებია", როცა ადამიანის ფიქრს წარმმართველი არა ჰყავს, როცა უბატონოა, უსაგნოა და დაუკონკრეტებელი.

ზღვარი "უაზრო" და "აზრიან" ფიქრებს შორის მოუხელთებელია, ისევე როგორც ქარს არა აქვს საზღვარი და ვერც ვერავინ შეძლებს მის ერთ ადგილზე კალთით დაბმას.

ადამიანი იღვიძებს ან ფიქრთან ერთად, ან ფიქრისთვის და თუ არ აგრძელებს წინა დღის ან წინა ღამის "რუბრიკას", თუ მისი თავმოყვარე "მე" არ ისურვებს გატკეპნილი გზით ფიქრს, მაშინ იგი ქარს ემსგავსება და იწყებს თხზვას, რადგანაც მნიშვნელოვანია, რომ გაიღვიძა ჩვენმა წინაპარმა კი არა, არამედ დღევანდელმა "ჰომო იმაგინანს"-მა. ( იმაგინანს - მთხზველი, წარმომსახველი).

რადგანაც ადამიანი განუწყვეტლივ თხზავს, და ღმერთისგან ბოძებული უნარით ამ თხზვაშივე რეალიზდება, ამ თხზვით განქარდება, გაუჩნებელდება, აშენდება და გამშვენიერდება და ისიც ღვთისგანაა, რომ ჯერ ვერვინ შესძლო ამ ქვეყნის ისე აშენება და დანგრევა, როგორც ფიქრსა და თხზვაში. მაშ, გაუმარჯოს ფუჭ და უაზრო ფიქრებს?.. ჯერ ოდითგან რამდენჯერ გადაურჩენიათ კაცთა მოდგმა და მით უფრო დღეს, მეორადი გადამუშავებისა და მეორადი მოხმარების ეპოქაში, როცა მეტი შანსი აქვთ, ლიტერატურული ტექსტებისა და მხატვრული თავშექცევის საბადოდ იქცნენ...

გაუმარჯოს თხზვას!.. იმიტომ, რომ ადამიანი განუწყვეტლივ თხზავს, იმიტომ, რომ ყველა თხზავს - დიდი, პატარა, გლეხი, მწერალი, ყველა, ვისაც ეკითხება - თუ არ ეკითხება - ადამიანი არის მექანიზმი თხზვისა და მხოლოდ რაიმე ასკეზაში ყოფნის ჟამს შეუძლია სძლიოს ფიქრს.

განუწყვეტელი ლოცვა, განუწყვეტელი შემოქმედებითი ასკეზა ხომ ფიქრთან ბრძოლაა, "ფუჭ ფიქრებთან" ბრძოლა. ლოცვა არწივივით ერეკება "ფუჭ ფიქრებს", ასკეზა არ აკარებს ყვავ-ყორნებს ხევში ჩაგორებულ მებრძოლის სხეულს.

ზღვარდაუდებელ ფიქრსა და თხზვას ადამიანი "აწესრიგებს", ან "აღემატება" რელიგიური და შემოქმედებითი ასკეზით, ფსიქო-ნერვიული მდგომარეობით. ასეთ დროს ადამიანი ჩაერთვება საკუთარ ფიქრს და წარმართავს, კალაპოტში აქცევს მას.

იგი თხზავს აბსურდს, აბამს ქსელებს და ასე იქნებოდა უსასრულოდ, სადღაც გზაში ღმერთი რომ არ წამოეწეოდეს... და ის აჰყვება მის ხელს, წამოდგება, განბილებული თავის უაზრო შრომით, გამოერკვევა, კვლავ "ადამიანად" იქცევა, იწყებს ფიქრს ღმერთზე, სინდისზე, სიყვარულზე - უძნელეს სამებაზე... და ნელი-ნელ, შეუმჩნევლად ქვემოთ ცურდება: ლექსზე, ქალზე, ცხოვრებაზე, ყოფაზე, საგნებზე, ინტრიგებზე... და, თვითონაც რომ არ იცის, ხელში ისევ უპყრია ძაფი...

ძაფი, ფიქრისა და თხზვის უსასრულო ძაფი, ძაფი, რომელსაც ადამიანი კვლავ ლაბირინთისკენ მიჰყავს. და ისიც ისევ თავმიცემული აბამს ქსელებს, იკლავს ჟინს და იხარჯება, აშენებს და ანგრევს...

მას არ უყვარს, როდესაც მის ფიქრში შეაღწევენ და თუკი ნაფიქრს უზიარებს სხვებს, მხოლოდ ფურცელს თხზულებიდან, მხოლოდ გასაგებს, მხოლოდ კონკრეტულს - როგორც დიდი მინდვრიდან ერთი ყვავილი ანდა თუნდაც თაიგული აიღო.

და, მართლაც, არც საიდუმლო რომ არ ერიოს და არც სამარცხვინო, ადამიანს არ უყვარს, როდესაც მის ფიქრში შეღწევას ცდილობენ. და შესაძლოა, ეს ერთი საიდუმლოღა დარჩა ადამიანს და მისი დაკარგვა კატასტროფის ტოლფასი იქნება, რადგანაც ფიქრი, იმის გარდა, რომ რეალობას სძენს ადამიანს, ისაა მისი თხზვისა და თამაშის უსასრულო გზა, მისი სამოღვაწეო სცენა და უაზრო წიგნი, "წიგნი თავისთვის და არავისთვის".

მას შემდეგ, რაც ადამიანს საკუთარი ფიქრები ღმერთის კარნახში აღარ ერევა, როცა გადააწყდა ცხოვრებას, სადაც ყველაფერი სიძლიერეს მიელტვის და ყველა ფორმა სისრულეს და სრულყოფილებას ლამობს, ადამიანმა აღარ იკმარა ფიქრის თავშესაფარი და როგორც ანტიენერგია სიძლიერის უაღრესი გამოხატვისა, თხზვა იწყო საკუთარი განდგომილი წიგნისა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე წერს, ხოლო ყოველ მეორე ნაბიჯზე შლის და ამგვარად, ისეთი, როგორიც თვითონ სურს, მიაბიჯებს ცხოვრების სცენა-გზაზე, ობოლი "ჰომო იმაგინანსი" და იცის, რომ როგორც კი რაიმე შეაღწევს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ფიქრში, უმალ არარაობად იქცევა. და რა არის ამ ქვეყნად ისეთი, რასაც ეს არ სწადდეს?

თხზვა და ფიქრი რომ აირევა, ზღვარი რომ წაიშლება მათ შორის, მაშინაა, თავის ფიქრებს ადამიანი აბდაუბდას და სისულელეს რომ ეძახის. მაგრამ რა დაემართება ადამიანს, მხოლოდ საქმეზე ფიქრი რომ მიუსაჯო?.. - რაზე ფიქრობ, ბიჭოო, მეტყოდნენ მე, ბავშვობაში, და ასკვნიდნენ თვითონვე: არა ფიქრობ შენ იმაზე, რაზეც უნდა ფიქრობდეო.

და მინდა თავი დავიმშვიდო, რომ საქმიანი ფიქრი საქმესთან ერთად მთავრდება, თავისუფალი კი მარად ჰგიეს, რომ არეული, უსაგნო,აბდაუბდა, სულელური ფიქრები ისეთივე ადამიანურია და, მათ გარეშე, შესაძლოა, ადამიანი ერთ რომელიმე "ჭეშმარიტ" აზრზე აფეთქებულიყო.

იმდენი საქმე არ არის ამ ცის ქვეშ და იმდენი შემოქმედებითი მიღწევაც შეუძლებელია, რომ "სულელური" ფიქრები სანაგვეზე გადაიყაროს. ისინი ადამიანისთვის "აუცილებელია", სხვანაირად "თხზვა" არასრულყოფილი ნაერთი იქნებოდა.

ჩიტია კიდევ ერთი - წანწკატა! სულ დახტის, დახტის, ხიდან ბუჩქზე, ბუჩქიდან სახურავზე, არაფერს გაუშვებს... და რაკი ასე გამორჩეულად მოძრავია, შესაძლოა ფიქრიც გეგონოს შესადარებლად, თითქოს ფიქრსაც მსგავსი ქორეოგრაფიული ნახაზი გააჩნდეს, მაგრამ ეს შეცდომა იმის ბრალი არის, რომ ფიქრის საზომი - ცდომილებაა, ცდომილება, რომლითაც მიითვლება ვარაუდები. და დღევანდელი აზროვნების თავისებურებაც ხომ ისაა, რომ იგი არასოდეს გეუბნება "ეს ასე არის". იგი იწყება და თავდება ვარაუდით.

ვარაუდი შემოქმედებაა, კატეგორიული აზრი კი შემოქმედებითი პერსპექტივის დასასრულის (ფ)აქტი. მსგავსი იმისა, როგორც ადამიანებს აქვთ სურვილი, ზეპირად იცოდნენ თავიანთი მომავალი ცხოვრება (ჯერ ერთი კვირა, მერე ერთი თვე, ბოლოს მთელი ცხოვრება) და ფინალსღა ირჩევენ.

ვარაუდი კეთილშობილური ფორმაა ცნობიერებისა და მეც მას ვამჯობინებ, მაგრამ აკვიატება, ახირება, აჩემება, ისეთი შემოქმედებითი თვისებებია, რომელთაც ეს ვარაუდი სცენაზე გამოჰყავთ. ბავშვს დაუკვირდით: თუმცა იგი განუწყვეტელ ვარაუდებშია, მაგრამ სასტიკი ახირებები იცის. ახირება რომ არ ყოფილიყო, დონ-კიხოტის ვარაუდები დარჩებოდა მისსავე ფიქრებში და კაცობრიობა ამით მრავალ გემოს დაჰკარგავდა. თუ ადამიანს არ შეუძლია აიჩემოს რაიმე, ის თავისი ვარაუდებით ვერ ისარგებლებს, სახეს ვერ მისცემს აზრს და საქმედაც ვერ აქცევს.

თვალისგახელიდან - დაძინებამდე, რასაც დასაწყისი არა აქვს, რასაც არა აქვს დასასრული, რაც არ იამბება, რასაც არ გააჩნია ხორცშესხმისა და შესრულების სურვილი... მდინარე მიდის, ადამიანი ფიქრობს. მდინარეს ჩაუხერგავენ გზას, აიძულებენ, რაღაც აკეთოს, გადაუხვიოს, რაღაც ხიდქვეშ გაძვრეს, რაღაც კალაპოტში მოექცეს, ვიღაცას და რაღაცას შეუერთდეს... ადამიანი ფიქრობს, ადამიანი თხზავს, ქსოვს აბსურდს, აგებს ლაბირინთებს... ადამიანი აშენებს პირამიდებს, ცათამბჯენებს, ზღვის და ცის ხომალდებს, მაგრამ არავის და არაფერს ემსგავსება, არც ქვად იქცა, არც ფრინველად, იგი რჩება ადამიანად, ფიქრობს და თხზავს, თამაშობს და წერს (კარგმა წიგნებმა დაე დაისვენონ!), წერს საკუთარ უაზრო, უსასრულო წიგნს, რომელიც ყოველ გვერდზე მთავრდება და ისევ იწყება.

198.
და თქვა ბესიკ - ბესარიონმა
ოჰ, მე ამისი!..
და რაღაცაზე წამოვარდა
თუ ფიქრს აუხტა,
ეს აღარ იცის.

კაცი სადაც დაიბადება
იქ უნდა მოკვდეს.

ესაა სამშობლო და არა მიწა,
ესაა სახლი და არა ადგილი,
ესაა სურვილი და არა ჩვევა...

დიდებისთვის გარეთ გასული
შინისაკენ გზას ვერ იპოვნის,

და გაბედული ნაბიჯის გადადგმას რომ
ეპირებოდა,
კვლავ წრეზე აღმოჩნდა.

და დადგა და ფიქრი დაიწყო,
აქტიორივით,
სპექტაკლის ბოლოს რომ მისცემია
დრო დუმილისა და ფიქრისათვის,
სარკის წინ რომ სახეს იბრუნებს
და იმის მიხედვით, რა გრძნობები ჩამდგარა მასში -
პარიკს იშორებს, გრიმს იცილებს,
წვერ-ულვაშს იცლის...
ესეც მიადგა ტანსაცმელის საკიდებელს
და ძველი პალტო,
ლამის კოჭებს რომ უფარავდა
ზედ ჩამოკიდა,
ძველი შლაპა, ფართოდ თავზე რომ ეხურა,
საკიდებლის შიგნით შემალა
და, მასუკან, განიბანა, გაიპარსა, ტანთ შეიმოსა,
დაიბრუნა ძველი პროფილი,
ხან არწივისას რომ ჰგავს ხოლმე
და ხან კუბოს სახურავისას,
მოიხარა, მოიკაკვა, გაუჭკოვდა, გაუნიათდა
და რა ემსგავსა თავის ხალხს და თავის ქვეყანას,
პირს გაირჭო ასტრა-ომეგა,
გრძელი რამე სიგარეტი,
ძაღლებსაც რომ მოუგერიებდა,
ხელები ჯიბეს შეაფარა,
ამოიცვა ფეხთ ისევ გზა -
ხამლი, კვლავაც გაუცვეთელი
და მიდის და საბრალისად მილაპარაკობს.

დაჯილდოებული მუდამ ლმობიერებასა და
სისასტიკეს შორის დაიარება.

- რად ეგრე, ბიჭო ბესარიონ! - დაუძახა დედამ
ზეციდან -
მხრებში გასწორდი, გაიშალე, გაიმართეო!
- რასღა გავსწორდე - აუღრინა ამანაც ცას -
სამოცი წლისა რაღას უნდა გავეშალოო.

ამ სიტყვებზე ჩამოქუხა უფრო ზეცამა:
- სამოცის კი არა,
სამი წლისაც არა ხარ შენ,

არა თუ სამი დღის
და
ჯერაც არ გამიჩენიხარ!

და აღიბეჭდა ეს სიტყვები გულში ბესიკ-ბესარიონმა.
როგორც სასჯელი, უღელივით თავს რომ მოგიდრეკს
და თავსსიცილმა თუმცკი მწარედ გაუსვა ბრჭყალი,
მაინც იფიქრა:
მიწას მკვდარი ვერ ასცდება, დიდებას პოეტი.
ჯერ კიდევ დროა, დავიწყო ანბანით.

ჯერ კიდევ დროა დავიწყო იმით, რაც გამოვტოვე,
რასაც სწავლობენ ბავშვობაში -
სამისანი, ათისანი და ოცისანი...
და არ აოცებთ ეს ცხოვრება
და გვერდის ავლაც კარგად იციან...

ჯერ კიდევ დროა, დავიწყო ანბანით
და სკამზე ჯდომაც, დროა, ვისწავლო,
რომ არაფერი შემარხევდეს
არ დამძრავდეს - გამახარებდეს,
ყურს არ მომჭრიდეს
ფანჯრებს იქით ქვეყანაც და სულის ქვეყანაც,
ნდომათა ქვეყანა,
წყალობათა, ღიმილთა და წარმავლობათა...
დავმკვიდრდე, დავმაგრდე, დავქვავდე, დავშავდე
და დრომ ზედ მათოვოს თავისი წყალობა,
გზამ კი თავი მომცეს დაუნანებლადა...

ჯერ კიდევ დროა დავიწყო ანბანით.

"საამაყოს კი ნუ ეძებ, თავი დაიმდაბლე
და თუკი საქმე შენი ნამდვილი არის,
ეშმაკიც კი შენთვის ეცდება".

და დუმილი მოსთხოვა გულმა,
რადგან იგრძნო, რომ ციდან ხმაც ჩამოიცილა
და მიახალა გაღმა ხის ყუნჭს ასტრა-ომეგა -
გრძელი რამე სიგარეტი,
ძაღლებსაც რომ უგერიებდა
და
ფიქრად შედგა.

რადგან ფიქრი და დუმილი თუ არ შეუღლდა
ისე სიტყვა ვერ დაიბადება,

199.
შენც აფიქრდი?!

200.
- აჰა, მიიღე, ჩემო ბავშვობავ,
გიგზავნი ამ ცხელი რძის ყლუპებს!
სხვითი რითი გადაგიხადო,
 (მე შენ გეტყვი და, მოგწვდები და,
შეგიმშრალებ ცრემლიან უპეს)
ჩემო ერთადერთფოტოიანო,
თაფლიანო, კარაქიანო,
 (ან ყინულებში გამლხვალ რუზე გადაგასკუპებ),
კომშის, მაყვლის, შინდის,
კაკლის მურაბიანო,
ეჭვიანო, ფრთხილო, მზიანო,
ფეხშიშველაო...
ნუ გეშინია,
გარყვნასა და ბებერ ტვინს მე არ ვმორჩილდები,
ისევ მას ვმონებ,
რასაც შენში ღმერთი მმონებდა
 (გაზრდამ ნეტავ რა გვიშველაო),
ცხელ რძესა ვსვამ, ყლუპ-ყლუპებით, ამ წუთებშიაც,
მაყვლის მურაბით,
კარაქიან თონის პურითა,
წესს გიყენებ შენ, ამგვარად,
ჩემის ჭკვა-ფიქრით,
სამხვეწროს გწირავ,
ვით წინაპარს და გმირ მოყმესა
 (ბებოჩვენი რომ ხატის ყორეს ჩოქვით უვლიდა)...
ჩემო გუდავ ტყუილებისა, მსახიობო შარა-გზისაო,
გაქცეულო, მობრუნებულო,
შენეზე დამტვრეულ ჯოხებს ახლა დაფნებად ვიმკი
და სულ ვცდილობ, უტყუილო წიგნად განვავრცო,
მზით გამშრალო, ქარით ნავარცხნო,
დედის მეხრევ, მოტრიალევ დღედაღამე სახლის
დარაჯად,
ოხერო ბიჭო, ვის დასტყუე ჯარისკაცის გრძელი
ფარაჯა,
ბესო-ბესიკ-ბესარიონო!
მკვდარს სამარეში იგულებენ,
ბავშვობას კი მოგონებებში,
შენ სადა ხარ, სად გინახულო,
შენც მკვდარი ხარ დედაჩემივით -
ერთად ხართ და კალთას უზიხარ,
თუ სადმე ჩემს გულში, ტვინში,
ანდა უჯრედში
ანთიხარ და მემეგზურები?
ვეჭვ, რადგან ერთი თმის ღერითაც
კი არა მგავხარ.
ჩემო ჭკვიანო,
მზის ამომსვენ-ჩამსვენებელო,
ჩემო ამბა-ბესარიონო,
ნუ მიყურებ ეგრე თვალებჩაციებული -
რომ არ უნდა შეგარცხვინო,
რომ მაგრა ვიყო,
შავო, შავო, თეთრ-მარცვალა კბილებითა სახემცინარო!
ხიჭვთა, ეკალთა უშიშარო,
კოჭ-ლამაზო, ტერფ-აზრიანო,
უბნის გამრიგევ,
არა ჩქარო, არა გვიანო,
ლაზღანდარაო...
სადმე რომ შეგხვდე, ღმერთო, როგორ გავიყინები!
ჩემო ჩვილო და მაგარო,
ასსახიანო,
ავანტიურა, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ,
ცხოვრება აღმოჩნდა.

202.
დედის ხმა ბნელში.
გარდასული ხმა ამ წუთში, აქ, სადაც ვარ,
სადაც მაკლია.
სამყაროდან მომდინარე და დედაჩემ-გამოვლილი
დილის სიბნელეში.
ვწევარ დედაჩემის ნასაწოლარზე თუ
ნადედაჩემარ საწოლზე თუ
ნადედაჩემარ ჰაერში გაურკვევლად დავბორიალობ,

როცა ჯერ კიდევ არ იცი, თუ რას დაარქმევ
შენს ირგვლივ საგნებს
და შენი თავი შეგყავს სხეულში
და იპყრობ ჰაერს,
თორემ საგნებს თვითონ უპყრიხარ,
თვითონ იციან თავის ფასი, თავის ადგილი
და საიდან რასა ჰგვანან, ისიც იციან...
და მაინც კი, შუქს რომ აანთებ
და ცხოვრებას რომ დაიწყებ გინდათუარა,
დედის ხმა გესმის:

"ეს შენა ხარ?"

"მე გახლავარ, როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ,
მე გახლავარ, გინდათუარა".

კრთები უცებ, როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ
და ისეთ რამეს ეუბნები,
რაზეც სხვა დროს კრინტს არ დასძრავდი:

"ეტყობა, ამ სახლს ვერ ველევი,
ძალა არ მყოფნის,
ძალა, რომელიც შენ დამაკელ ჩემს გაჩენისას.
არ გეწყინოს,
იმას ხომ არ გსაყვედურობ,
ფრთები რატომ დამაკელ-მეთქი!
ფრთები... ფრთები... უაზრობაა,
რამდენ რამეს გამოედები...„

ნელ-ნელ ვფხიზლდები,
ნელ-ნელ ვდგები
წინასწარი ცოდნითა და ისამეებით...

"მე შენ დაგბადე ჯანსაღი და სრულიად საღი."
"მაშინ, ეტყობა, ჩასახვისას არ გიხაროდა."

მეტისმეტი მომივიდა და ახლა ვცდილობ,
ამ სახიფათო საუბარს რომ განზე გავუდგე:
"მე ამჟამად სულ სხვა რამე მაინტერესებს
(ისევ ვირჩევ გაცვეთილ თემას):
შენ ეს მითხარი,
რატომ ტოვებ სახლის კარს ღიად?
მე დავკეტავ, შენ გააღებ,
და ასე შემდეგ".
"კარი რას გიშველის, თუკი გული გაქვს გაგდებული!
მე სხვაგან ვარ, ჰოდა მისმინე:"

203.

მიწაში ჩამალულისაც კი უნდა გეშინოდეს, გახსოვდეს ეს, როგორც დედის ანდერძი - მაშინაც კი, როცა ბავშვს ეფერები - მე არაფერი მაბრიყვებს ისე, რო თავი მშვიდად ვიგრძნო - ჩვენ ასჯერ უნდა ვიტყუებოდეთ, ათასჯერ. გიჟი ძროხა ჰო-დედოობით იწველება,მოიტყუე, მოიტყუე, ადამიანები ძალიან საშიშნი არიან. ხალხი მათშივე უნდა გარდაქმნა, სიტყვით, საქმით, მოხერხებით.

204.

თან სურვილის ნერწყვი ახრჩობს სუყველას ჩემი,
თან დორბლი სდის სიძულვილისა.

205.

ყველაფერი, რაც ჩემს თავს არის დადგენილი, იმიტომაა, რომ არც მე ჩავთვალო ვინმე მეგობრად და არც სხვამ იფიქროს - ჩემიანიაო.

206.

ვისაც ეჩვენება, რომ ბევრია კარგი, ან თავის თავში ვერ იყურება, ან გარეთ ვერ ხედავს.

207.

- შიო იყო, გეფიცები, შიო მურვანიძე, მერსედესში რომ ჯდებოდა, "ძალიან ჰგავდა" და "ზედგამოჭრილი" შიო კი არა, შიო იყო მურვანიძე, ნამდვილი შიო!.. შიო დურაკი, ჩემი ძმა და მეგობარი, დიდი ხანი რომ არ მენახა...
- ბიჭო, შიო - დავუყვირე - რადგან უკვე დაძვრას ლამობდა, თუმც მობილური სწორედ მაშინ შეეხმიანა, მაგრამ ამან ვერ შეაყოვნა, იმისავით მიიკრა ლოყაზე და მეც გავქანდი, ავცდი-გავცდი მანქანებსა და ყველაფერს და მივასკდი შიოს მანქანას და ის იყო უნდა შემეცინა და შემეკრიჭა, შემომხედა იმანაც და...
შიო იყო, გეფიცებით, მაგრამ მშვიდი იყო, მამაძაღლი და გასერიოზულებული და ამდენად არ იყო შიო...

208.

პოეტი განუწყვეტლივ გრძნობს, რომ ს ხ ვ ა ა და ამიტომ ცდილობს, სხვებს დაემსგავსოს.

209.

ადამიანმა მოულოდნელად ცხვირწინ სულ უბრალო რაღაც დაკარგა... მშვიდობით თავო, მშვიდობით იდეებო, თქვენც მშვიდობით, პრინციპებო, თავდადებავ და კაცობაო... დანაკარგმა გააწბილა, გაანაწყენა, დანაკარგი მას ეუბნება, რომ ის პირველ რიგში ადამიანია და არა იდეა, ბრძოლა, თავდადება...
დანაკარგი ჩვენ გვეუბნება... უსმინე დანაკარგებს. ადამიანი მარადიული კოჭლია. ამას შეახსენებს ხოლმე თავი, როცა აღწევს სრულყოფილებას და წავა ამაყი.

210.

ო, ეს სახე ბრძენკაცისა!.. საიდან მოვიდა, ან რამდენი თვალთმაქცობა გახდა საჭირო, რომ მსგავსი რამე გამოეძერწათ. რადგან ბუნებას სახე არა აქვს, ანუ არც პოზა.

211.

ტანსაცმლის გახდისას მე უცებ ავტირდი.

212.

- წამიყვანე, თემურ, წა[illegible] კანე,
გეხვეწები, მომაშორე აქაურობას,
თუნდ დედა ვიქნები, თუნდ შვილი, თუნდ ცოლი...
მომიხმობს მე სადღაც ფანჯრიდან,
სხვა სახელით, მაგრამ იმას კი,
ვისაც გული შეუტოკდება.

213.

იქ, ფანჯარაში ვიღაც შუქს აქრობს,
მაგრამ ვიღაცა ანთებს მაშინვე,
მე კი კაცთაგან ნამოქმედარი
სუყველაფერი ისე მაშინებს,
რომ ვფიქრობ, ნეტა რა ეშველება
ამ სურვილებად ქცეულ ქვეყანას,

რამდენს უწია გადაშენებამ,
რამდენი თავი ძირს დაეყარა...
იქ კი თამაში იყო უბრალო,
შესაძლებელი არის სრულიად -
შეყვარებულებს ქიშპობა ჰქონდათ
და ავი გულშიც არ გაუვლიათ.

214.
ხალხი,რომელსაც უკვდავების გარანტია არა აქვს... აბა დაფიქრდი! შენ ზურგს უკან კი რამდენი დიადია - აბა გახედე! ხალხი, რომელსაც უკვდავების გარანტია არ გააჩნია...

215.
ის, რაც ყვირილმა ვერ გააკეთა
ჩურჩულმა შესძლო.

216.
რასაც ღამე ჰკრუხავ, დღითაც იმას ჰზი. განა ასომთავრულით ვარ აღნიშნული მ ე - ჩემგან ჩემზე მონათხრობებში?

217.
და უთხრა ღმერთმა ადამიანს: "მე შენ ყველაზე საძაგელს შეგქმნი და სასჯელად სინდისს დაგიდგენ."

218.
- ბაბუაძე!
და ერთმანეთს გადავეხვიეთ,
მოვიკითხეთ და გავაბიჯეთ ამ შეხვედრის გასამტკიცებლად.
სადღაც შევჩერდით.
- აღარა სვამ? - ვეკითხები ხაზგასმულად გამოწყობილ ძველ თანამსმელსა. (და გაზონმფსმელსა) -.
- არა, უკვე დიდი ხანია...
ცოლისდამ ბალახეულის ექიმბაშთან წამიყვანა (ცოლი მოუკვდა ამასობაში?)
და ლამის ღვიძლი გამიხეთქეს შობელძაღლებმა.
- მერე შენი ღვიძლის ამბავი ცოლისდისგან გესწავლებოდა?
(მომწონს მე ეს ცოლისდის არაკი)
- ჰო, მაგრამ, ლამის გამკოჭეს და ისე წამიყვანეს,
კინაღამ მოვკვდი და სასმელსაც გადავუკეტე...
ეხლა სხვებმა დალიონ ძმაო,
მე ავასრულე ჩემი აზარი და თოფი დავმარხე.
(არა და, ვგრძნობ, ბაბუაძეს გასამაგრებლად 200 გრამი მაინცა აქვს უკვე დაკრული)
- როგორ, შენ ახლა სულ არაფერი დაგილევია?
- ახლა კი არა, ოთხი წელია წვეთი პირში არ ჩამიშვია, ასე რომ ვარ, რაღაცნაირად? უბრალოდა ვარ აღგზნებული, სხვა არაფერი...
(თუმც არსაწყენი იყო ყველაფერი, გულში მაინც რაღაც მეწყინა)
- მე მატყუებ, ბიჭო, რაც ჩვენ ერთად გვაქვს დალეული...
შენს ცოლისდას მე არ ვიცნობ და შენს ნათესავებს, რომ ვისმე ვუთხრა, ფაშა მკვდარია, კანდელაკიც მკვდარი არის,
ეს მკვდარია, ის მკვდარია...
ვის რას ვეტყვი, ლამის არი ჩვენ ორნი ვართ დარჩენილები,
ან ისეთი კაცი ვარ, რომ ვილაპარაკო?
(ამ სიტყვებზე პირი ყურთან მომიტანა შერცხვენილმა ბაბუაძემაც):
- ბიჭო ძმა კი ხარ და ყველაფერიც,
მაგრამ შენ რომ გითხრა მართალი,
დავეჩვევი და ყველასთან დავიწყებ ტიტინს...
აღგზნებული ვარ, მორჩა ეგ არის,
რაც სმას თავი დავანებე აღგზნებული ვარ...
მეც დავისვენე და ყველამაც...
აღგზნებული ვარ...
და გაიხსნა ბაბუაძე, მეც გავიხსენი
და გავლაღდით და გავიარ-გამოვიარეთ ამ ცხოვრებაზე
და ვიცინეთ და ვიცინეთ
და ძლივსღა დავშორდით.

219.
სულ სხვა რამეზე ურჩევნია კაცს საუბარი,
სულ სხა რამეზე...
დურგლას, რომელმაც მწერალს კარი ჩამოუკიდა
და მწერალსაც
იმ დურგალმა წიგნის გამო რომ შეიყვარა...
სულ სხვა რამეზე ურჩევნია კაცს საუბარი, სულ სხვა რამეზე...

220.
ნეტარი არის ის ცრუ, რომელიც სიკვდილის შემდეგ სინანულს იწვევს მართლებში.

221.
- ძუკნა არ მოსულა? - წამოსცდა შიოს უცაბედად
და განაგრძო გზა აბაზანისკენ.
და მხოლოდ მერე, წყალმა ცოტა რომ გამოაფხიზლა,
გაახსენდა და იფიქრა,
- ნეტა ვისზე ვთქვიო?

222.
მძინარი თითქოს მომავლისთვის ემზადებოდეს, იმისთვის რაც მკვდარმა დატოვა. თითქოს იქ დაწვა, საიდანაც მკვდარი წავიდა.

223.
თავდაპირველად შენ გგონია, რომ სიყვარულისთვის მთავარია მხოლოდ - მიეძლვნა.
შემდეგ აღმოაჩენ, რომ საჭიროა კიდევ ბევრი რამის გაღება, და ფიქრობ - ეს ხომ ცხოვრებაა, ცხოვრებაში მიმიძღვიან კვლავ. ამიტომაა, სიყვარული თუ არ მოკვდა, თავის ნაყოფს არ გამოიღებს.

224.
სიხარული გვაჩვევს ყოფნას. ბრაზი - გავარდნას.

225.
სიკეთის ერთი მთავარი თვისება ისაა, რომ იგი მუდამ გვერდს უვლის ნ ა მ დ ვ ი ლ ს.

226.
ტ ყ უ ი ლ ი და მ ა რ თ ა ლ ი : შენ ვერ შესძლებ ზურგით იდგე იმის წინაშე, რასაც უყურებ. შენთვის შეუძლებელია ერთდროულობა.

227.
"ბავშვს დავაძინებ".

228.
ქალი კაცს აძლევს თავისუფლებას საკუთარი ნაკლის მიხედვით: ბედოვლათი - შემწყნარებელია, უყურადღებო არ ეჭვიანობს.

229.
ყოველი ასე გადავიტანე -
ჯერ განვიბანე თავი გუბეში,
ვიგორე, ვიღორე და ჭკუა ვიშოვე,
და სუნთქვა ჩავტოვე ვიღაცის უბეში...

230.
ჩაძომეძინა შენს გრძნობებზე, ჩამომეძინა,
შენ ეს შენიშნე, ღმერთო ჩემო,
შენ ეს გეწყინა...

231.
მდინარე მიდის, ადამიანი მილაპარაკობს...

232.
ჩვენ ორივენი უზნეონი ვართ, მაგრამ შენ მართალი ხარ შენს უზნეობაში, მე კი - მტყუანი.

233.
ლიტერატურა უფრო დიდი ჟინით ამსხვრევს სარკეს, რომელშიაც იძულებულია სულ იყურებოდეს, ვიდრე სხვა რამე - ნაკლულოვანი.

234.
წუპაკი დედაკაცია, ტანთ აბდა-უბდად აცვია, თავი არ დაუვარცხნია, კვირაა ერთი...

235.
ნუ ელოდები შემთხვევებს, მაგრამ მტკიცედ გჯეროდეს მათი. "ბრმა" შემთხვევაც კი შენი ღვაწლია.

236.
შენი სიკეთით შემოუშვებ, ჰაერს გაუყოფ, ადგილსაც მისცემ და ყველაფერსაც და ცოტას რომ მოეწყობიან, სახელს შეგარქმევენ.

237.
რამდენი მოძრაობა და რამდენი რამეა სახიფათო, კაცი რომ მარტოა... ის ხომ წამის არის.

238.
ეს ქალი ამ კაცს მთელი ცხოვრება მახეებს უგებდა. სიტყვა - მახე, საქმე - მახე, სუყველგან მახე: ჰაერში, ლოგინში, ალერსში, წყრომაში...

და თუკი მახე უმტყუნებდა, სხვა რამეს კი არ დააბრალებდა, იმას ფიქრობდა, უკეთ როგორ დაეგო მახე.

მახეებს აგებდა თვალის გახელიდან და - როცა ეძინა.

239.
დროის უკმარისობის ასეთ პირობებში, კაცობრიობა დღეს რომ იწყებდეს ცხოვრებას, დროის სიმცირის ასეთ პირობებში, ის ძაფის ნასკვსაც ვერ გამოიგონებდა. მას არ ექნებოდა არც პირის გემო, არც ცდუნებები, არც რისხვა და არც ცრურწმენები. ის არ დათვრებოდა, არ მოსწევდა, ცეცხლთან უაზროდ არ ილაპა-რაკებდა. ის, თუ ვინმესთან შედგებოდა სულ ერთი წამით, ისიც მხოლოდ ტყვიის სასროლად. მას არ ექნებოდა დასახარჯი დრო ხურდის ტოლაც კი, ყავასაც კი ვერ მოხარშავდა, არათუ გული გაუწევდა ნაპირებისკენ. მან დაკარგა დროის მოკვლის უნარი. ამიერიდან დრო მას თვითონ კლავს.

240.
ყველანი წავიდნენ. ბუდე მიატოვეს. ზეცა, რომელიც ანგელოზების საუფლოდ მიაჩნდათ, საფრენად მოიწყეს, ზღვა, რომელიც საუკუნეობით გადაულახავი ეგონათ, როგორც პიტალო მთები და კლდეები, გაავაკეს და გადაიარეს. ყველანი წავიდნენ. მარტო ხაწირის მთაღა დარჩა თავის ადგილზე და კიდევ მტკვარი მიედინება და კიდევ ეს უსწორმასწოროდ გადაჭრილი ხის ყუნჭი არის მარად უძრავი და თვალშისაცემი და ორიენტირი და შეხვედრის ადგილი და გამოთხოვების, რადგანაც აქ მარტო ლოთები და ბ-ები კი არ ხვდებიან ერთურთს, ქუჩიდან შემოვარდნილი მერსედესიც აქ გამოეთხოვა თავის პირველქმნილ უბიწოებას, როცა ხინ ყუნჭს ზედ ჩამოეგო უზადო სხეულით, როგორც ყველაზე დიდი შესაწირი, როგორც მარგალიტი მორთმეული უსულოთაგან... და აიზილა სისხლში მიწა, ხალხი შეგროვდა, დაიკეტა რკინიგზის სადგური, უცებ რაღაც აზრი გახალხდა, რა თქმა უნდა, უგუნური, თვითმფრინავები მიწაზე დარჩნენ, ქვიშაზე ამოყრილ ფიჩხულებივით, მომლოდინე ავტობუსებმა შეწყვიტეს თუხთუხი, სისხლს ლოკავდა მზე ლიანდაგებზე, ქუჩები ეყარნენ დაზერილი ძარღვების მსგავსად, მელოტები ელვას იზიდავდნენ, თმიანები ფარულად ბოლავდნენ. მსხვერპლი დიდი იყო. ხის ყუნჭთან ეყარნენ უსულო მლოცველები.

241.
- სად მიდის ხალხი?..
-ხალხი მიდის თურმე ქორწილში.
-შენ არ მოდიხარ?
გზაზე გავლას არ დამაცლიან,
-მე არ მოვდივარ!..
ძლივს ვპასუხობ ენის ბორძიკით,
- რა გინდათ ჩემგან,
მე ქორწილი არ გამაჩნია.
აგერა ქალი,
ნათრევი და ნაქართველარი,
ღერი რომ დარჩა,
რადგან ყველგან ფურცლებს აცლიან
და შემომცინის
ზედ შემჯდარი ქალის მხედარი,
-არ გინდა, ქალი,
თუ კაცობა არ გაგაჩნია!
ზედ მყინვარწვერზე შემომჯდარა
კვლავ ვიღაც კაცი,
და მიწებს ყიდის ოთხივ კუთხივ,
ფარჩა-ნაჭრიანი,
ხელს იშვერს ჩემსკენ,
თავჩაღუნულს გავლას არ მაცლის,
-არ გინდა, მიწა,
თუ სამშობლო არ გაგაჩნია?!

242.
მზე ჩადის ღრუბლებში, მზე თვალს ეფარება, უნდა მოვიწყინო.

საძოვრიდან ნახირი, ყანებიდან ხალხი, ბავშვები და

ანგელოზები
სახლში ბრუნდებიან. უნდა მოვიწყინო.

243.
ადამიანში სულ ცხოვრობენ და სულ ერთმანეთს პირს არ უჩვენებენ დამალვისა და ჩვენების ინსტინქტები.

244.
რა ჩვენი ნაცხოვრები და რა ჩვენი წიგნი, დაკარგული საერთოდ. მე შემიძლია, თავი იმით მოვიწონო, რომ ჩემი დაკარგული ცხოვრების ტექსტში ერთი მძიმეც არ შემიცვლია.

245.
ნერვებს ნუ იშლი, გააგრძელე საქმე, ილვაწე, ეს მტვერი რომ არა, რას მოერეოდი. მარტივი რთულად გადაგიქცევია, რთული გამოუცნობად. იმას, რასაც შენი წინაპარი თითით მოუხმობდა, შენ ჯაჭვით დაბმულსაც კი წინ ვერ ჩაუვლი. ასე ახვედი სამეფო ტახტზე, საიდანაც იხილე მტვერი ჩასაძირად წასულ კონტინენტებზე.

246
- ვაი, შენ, ჩემო მამის სახლო და სამშობლოო, წასულმა მეტი იცის შენზე ვიდრე შინ დამრჩალმა, ცარიელი ცარიელზე რომ დავიარები, შავი შავზე რომ არ ვაჩნივარ... ყველა სახლი ყინულია, მამის სახლის გარდა... ვაგლახ, აქ კი ყველას უმცირე ყველას უმფროა და ნიჭსაც საკუთარი თავის გარდა არავინ უვის. როგორ ვიყო უსამშობლოოდ, როცა ყველა ჩიტი - ბუდითა და მელი - სოროთი, როგორ დავანთხიო ნიჭი რიყეზე, რომ თავისიანად მივიდე და მიცნოს მამის სახლმა.

და განა სიცოცხლით ტკბობა არ არის ესეც?

246.
კარგი ის არის, რასაც გამართლებას არ უძებნიან. ვისაც არც ნაკლი გააჩნია და არც ღირსება, როგორც ბუნებას. რასაც აქებენ ან აძაგებენ, ის სრული არ არის, სრული დუმილს იწვევს. წინათ ხელოვანი თავის შემოქმედების საფასურად სიყვარულს ითხოვდა, ახლა კი დუმილს, რადგან კარგს ქება არ ესაჭიროება და ცუდს ძაგება. რასაც აქებენ და აძაგებენ, ის სრული არაა, სრული ბადებს დუმილს. ჭეშმარიტი არც ახალგაზრდაა და არც მოხუცი.

247.
გასათბობელად, გასაძღომელად, გასაგორებლად, გასაზმორებლად - გვგონია, ვიყოთ ჩვენ აქ წვეულნი. მაგრამ, ვაი, რომ დასაღონებლად, ცრემლის სადენად და საოხებლად, შრომის ოფლისთვის და სიობლისთვის, ცხვრის საკრეჭად და გზის საჩვენებლად და წაქცეულის ასაყენებლად ვყოფილვართ თურმე ჩვენ აქ წვეულნი.

248.
"... და ასე შემდეგ..." გაბმულ ქარს რომ კარს დაუკეტავ, თითქოს ეტყვი „და ასე შემდეგ..." უბოდიშებ თუ უკრძალავ „და ასე შემდეგ.." წყალს რომ ჩაკეტავ, ჰორიზონტს რომ თვალს მოაცილებ, აზრს რომ გაწყვეტ და ასე შემდეგ.

249.
ქალებს უხდებათ მახე

250.
თუკი რამ გაქრება, თუკი რამეს დაკარგავს დედამიწა, ესაა სუნი. სუნი მიწისა, ხალხების და ერების სუნი. ზოგი ხალხი, ვისაც უყვარს საუცხოო რამეები, პირველ რიგში გაიხეხებიან, ზოგნი, ამაყები, ხიფათს მიხვდებიან და გაჯიუტდებიან, მაგრამ მეკანონე ძლიერი იქნება, და იმათაც შეაგდებენ საერთო აბანოში და მალე დედამიწა ერთ სუნად ამყრალდება. ცოლი ქმარს ვერ გამოიცნობს და შვილი დედას და საერთოდაც აღარც ქალი გამოიცნობა, აღარც კაცი. ადამიანის ბოლო ომი გენიტალიების ომი იქნება: იორღა აჯობებს ჩაქჩაქას. ეს პროცესი არ შეეხება მცენარეებს, ცხოველებსა და ვარსკვლავებს, რომლებიც ადამიანებს ჭირიანებივით გაერიდებიან. თითო ვარსკვლავი თითო მცენარეს და ცხოველს წაიყვანს. მიწა იქნება სტერილური. ორთქლით რეცხვა საბოლოოდ დაემკვიდრება.

251.
თუ დილაადრიან რამე საქმე კარგად გააკეთე, ანუ შენს თავს დაუმტკიცე, რომ რაღაც შეგიძლია, ანუ, ვთქვათ, იმპროვიზებულად, სწორედ იმ დილას, ტოტიაანთ მხარეზე ღობის ძირები, საიდანაც კრუხწიწილი ედინებოდა, ისე გაამთელე და გაამაგრე, რომ ყოველი გაზაფხულისა და შემოდგომის დარდი მოიშორე, უნდა იგრძნო, რომ მთელ დღეს, მერე, არაფერი აღარ მოხდება. დანარჩენი დრო კულისებში უნდა გაიტანო, ღვაწლის განსჯით და აზრის მოსმენით.

252.
ჩემი გონება უმოქმედოა, ნერვები კი აქტიური. ჩემი გონება დასვენებულია, ნერვები კი გადაქანცული.

253.
ღმერთის საყვარელი ადამიანებს არ ეყვარებათ.

254.
ვინც ამ ცხოვრებამდე არის ნაცხოვრები, იმას, რათქმაუნდა, უჭირს ეს ცხოვრება.

255.
ეს არ იყო ვარსკვლავი, რომელიც მე შენსკენ მომიძღვოდა, ეს იყო ცხოვრება.

256.
ისტორიები უნდა მოიგონო, რომ რამეზე დაეცე მერე.

257.
როცა წვიმა წარღვნას ემსგავსება და სტუმრობა ტყვეობას.

258.
რა ჰქვია იმ კაცს, ვისაც მთავარი დავიწყებია და წვრილმანი ახსოვს.

259.
ძალა კი არ აკლია ადამიანს, სურვილი.

260.
ვინც ჩემგან მწყობრ აზრებს მოითხოვს, დაე, იმან ჩამახედოს თავის ფიქრებში.

261.
ისე ჩქარა გარბის ცხოვრება, რომ, როცა სარკე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ გეტყვის - ბერდებიო, არ დაიჯერებ. ასაწევსა და ასახტომს ისე გაექცევი, თითქოს არასდროს არ განგეცადოს. და, როცა ბევრი ფაქტი დაგროვდება, შენ უკვე კვდები. თუმც, ცოტა ადრე, დარაჯობა უნდა იმ წამს, შესაძლოა ქალის ყურადღება სიყვარულად გულმა მოგინათლოს. ამიტომაც, თუკი ბედმა გაგიღიმა და ის წამი მართლა გეწვია, ჩაეჭიდე ყველა შენი ჩასაჭიდებელით. და თუკი რამემ უნდა წაგიღოს, დაე, ისევ იმან წაგიღოს. ყველა დრო და ყველა დილა და ნაბიჯიც იმით გაზომე. გეუბნები მე შენ მართალს, დამიჯერე, რომ თუ სადმე გადააწყდი, თუკი შეხვდი... რადგან არც ერთი საგზაო ნიშანი, იქით არ ანიშნებს, იქით მიანიშნებს ის, რაც მიწაზე სამყოფელად უვარგისია, რაც ზედმეტია ცხოვრებაში, ფრთები, რომლებშიც სხვა ვერავინ ხელს ვერ გაუყრის, გვირგვინი, რომელიც სხვას თავზე არ გაუჩერდება.

262.
ცხოვრება და ანტიცხოვრება, სურვილი და ანტისურვილი, საქმე და ანტისაქმე... რომ არ შერჩე ამ სიტუაციებს, უნდა ყოველ წამს სძლიო და გაშორდე. ფიქრით, როცა საქმე დაგღლის, საქმით, როცა ფიქრები გჯიჯგნიან. ერთი მოძრაობა, ერთი ფრაზა, ერთი უარყოფა, ერთი თავის გადაქნევა - საკმარისია. შენი დროის საზომი წამ-ნაბიჯია.

263.
ქალი როცა გალამაზდება, სჩანს, ახლოა მისი ქორწილი. ახლოა დღე, როცა ძველებს გადაყრის და ახლებს ჩაიცვამს, განიბანება.

ნეტარია, ვინც მიწაზე განიბანება.

როგორ გამოვტოვოთ ეს ცხოვრება, რომ მიწაზე მხოლოდ განვიბანოთ, რომ სარკეში კი არ გამოვეწყოთ, არამედ სულში.

264.
თუ ღმერთმა შექმნა ადამიანი, რა სურვილისთვის?... იქნებ უნდა, რომ ზრდას უყუროს, ვიდრე იგი ისევ ადამს დაემსგავსება.

ამდენი საუკუნე და ამდენი მილიონები ერთი როლისთვის?

265.
ცოდვა არის მარილი სულისა. იგი აცოცხლებს და ინახავს სულს. დიდებმა იცოდნენ ცოდვით მარილობა, დიდებში ცოდვები ანთია ნიჭად.

266.
დიდი მომხმარებელი: ნამით განბანილი, ვარსკვლავებით გამოცილებული, მზის უკან მავალი... ცხვარ-ძროხის მწყემსი.

267.
დროისთვის თუა "გუშინ", "დღეს", "ახლა", თუ წარმოუთქვამს როდისმე "ხვალე", ანდა წარსულში ისევ შესვლა თუ შეუძლია, თუ ჩვენსავით აკანკალებს: "გუშინ", "დღეს", "ხვალე"..

268.
მნიშვნელობები, წარსულ დროში რომ წარმოიშვნენ, და მასუკან რომ ცხოვრობენ შეუცვლელები, თავისით რომ გაჩდნენ ოდესღაც, შესაძლოა ზოგი კოჭლიც, ზოგი ბოროტი, ოღონდ თვითონ, ოღონდ თავისთვის... საუკუნე-საუკუნე, ნელა, დროთა განმავლობაში, თავსმოხვეული ღირსებების გამოისობით, ანდა თავის გამოჩენის გიჟური სწრაფვით... გმირი, ლეგენდა, ჰომეროსი, ჭექა-ქუხილი, ევფრატი, განგი, შექსპირი და ლიბანის ნაძვი... ვერვინ გასტანა ცისქვეშეთში მნიშვნელობის შე-რა- უძენლად...

269.
გოგოს გაექცა ბუღასკენ ძროხა...

და განა სიცოცხლით ტკბობა არაა ესეც?...

270.
ელოდებოდნენ ისინი დილას.
ოღონდ არა კაცთშეყრის დილას, რომ გაისმება ჯოხის ბაგუნი, ან ლაჯებს შორის მოიჩხრეკს კაცი და გააყოლებს თვალს ფსლის ბილიკებს... და ჩაქრება ზღაპარკოცონი. ელოდებოდნენ ისინი დილას, მზე რომ ალერსით შემოიხედავს, ან შუბის ტარით ფარდას გადასწევს. აი, მაშინ კი ზღაპარკოცონს მიატოვებენ, მიატოვებენ ნასუფრალივით, ხარის ძვლებივით გამოხრულ და გამოსუტულ თავგადასავლებს, მიატოვებენ ქალწულების გატკვლეცაზე ტკბილ ოცნებასაც და საქმეზე ეშურებიან. ელოდებიან ისინი დილას.

271.
სულ იმას ვშიშობთ, რომ აღმოჩნდეს ქალი, რომელიც ჩვენ მოგვიყვება ყველაფერს ქალზე, რომლის შემდეგაც სიცოცხლე ჩალად არ ეღირება, ისე ნამდვილი და ისეთი შემზარავი იქნება ნაამბობი. ასე გადის საუკუნეები. და, აი, აღმონაცენი შავბნელი ეჭვისა: ხან გიჟი და ხან მანიაკი, ხანაც სულთქვეშე ბუდეთა მცოდნე, ცდილობენ გრძნობა მოგვიწამლონ სასმელ წყალივით...
აი, გაიღო ეზოსკენ გამომავალი შუშაბანდის კარი. ახალგაზრდა ქალმა ნაბიჯი გადმოდგა, ჩვენსკენ არც კი გამოუხედავს და ხელთნაჭერი პატარა ტაშტით წყალი ეზოსკენ გადმოაქცია...მილიონი წლისა არის ეს სურათი, ისე, როგორც ამ წუთებში - ქალმა წყალი გადააქცია, - სულ ასეა, სულ ასე იყო, მაგრამ ახლა მე მომეთხრო, მე მეამბა, მე მეანდერძა, ქალის თავი მე გამემხილა, ესევე, როგორც მილიონმა წყალმა ჩაიარა ჩემი გულისთვის. წყლის წინაშე ყველაფერი უძლურია, უძლურია ყველაფერი ქალის წინაშე. ხმალი, შოლტი, სახრჩობელა,ყველა ძალა, ყველა სიმკვეთრე უძლურია, რაც წყალს არ ირევს... ქალი არის თხრობა, ნელი თხრობა, წყალგარეული.

272.
დრო არის სივრცეში მიმავალი უჩინარი ბრმა, რომელიც უხმაუროდ ჩაუვლის ყოველთვის იქ არამყოფ ადამიანს, ხან ზეცა რომ გამორჩდება, ხან დედამიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

273.

გატრუნული და გრილი სამკითხველო დარბაზი უფრო ეროტიულია, ვიდრე ხმაურიანი და ცხელი ზღვის ნაპირი.

274.

სიბრძნე არის ცხოვრებაში მაგრა გამოცდილი დედაკაცი, რომელიც ყველა სისულელესთან წოლილა.

275.

არის ცდუნება, რომ ადამიანმა დაუჯეროს მასზე შექმნილ ლეგენდებს, რათა ნაწილობრივ მაინც ემსგავსოს თავის თავს.

276.

დედას არაფერი არ ეცხობა, დედა სულ სუფთაა.

277.

პოეტის ოქრო მისი სისხლის ფერია.

278.

ქრისტე რეალურია, მაგრამ ძნელია. ცხოვრება რეალურია, მაგრამ ძნელია... მე ოთახიდან ვერ გამოვსულვარ, რადგან გარეთ ძაღლი ძნელია, ისე გაწოლილა ზღურბლზე დარაჯად... მე კი ისღა დამრჩენია, ვიყურო ფანჯრიდან და პატრონს ველოდო. მაგრამ როგორს?... მაგრამ რანაირს?... ფანჯრიდან დილის მზე იყურება და ერთი ჩემი ნახევარი შუქში გახვეულა, მაგრამ როგორ ვიყო ერთი ნახევრით გახარებული, როცა მეორეში შიში გამრევია...

279.

ესაა არსებობა: იძულებითი ტკბობა სიცოცხლით.

280.

არაფერი ისე არ ჰგავს ჩვენს წარმოსახვას, როგორც ცხოვრება.

281.

მე რომ შემეძლოს ჩიტივით ცხოვრება, მაშინ ყველა მიხვდებოდა, რომ არავისაგან არაფერი არ მინდა. მე მათ ვუყურებდი ჩემს ნებაზე და განუწყვეტლივ: თან შორს, თან ახლო.

282.

არყოფნის სურვილი იმიტომ არა აქვს კაცს გაცნობიერებული, რომ გუბეები მის წინ სულ იცვლება.

283.

ადამიანი თვალებით მჭამელი არსებაა.

284.

იმის ნიჭს სიზარმაცის კლიტე ედო.

285.

აი, საიქიოზე გადაკრულად ნათქვამი:
-დილის მზის სხივები შემოდგომის შორ გორაკებზე.

286.

ვარსკვლავები სხვის საზღვარს არ გადალახავენ, იქ ძოვას არ დაიწყებენ თვალის ცეცებით. ადამიანი თავის მინდვრის ბატონ-პატრონია.

287.

ყველაზე უბედურია, ვისაც უყვარს, მაგრამ ვერ უთქვამს. რაღაც ახალი ლანდი მოიპარება სიყვარულისთვის, რომელსაც შუქი წინ ელობება, გონების შუქი.

288.

სევდის ერთადერთი ნაკლი ისაა, სიხარულებს რომ გამოტოვებს. სიბრძნესაც, ერთი სისულელე რომ დააკლდეს, სიბრძნე აღარაა.

289.

"მედინი" .. მიდის და მისი ბრალი არ არის, არც მისი სიჩქარეა დამნაშავე, არც მისი სინელე, მიდის და რა ქნას... ასეთია იმისი წესი.

290.

სიმწარეს რომ ამოიცლი, ის ადგილი აღარ ხორცდება.

291.

არც ეს ხმები, არც ეს სიტყვები და არც ეს საქციელები არ იყო მაშინ... მარტო მიწას კი არ იცავდნენ.

292.

მოუწყე შენს თავს გაღვიძებები. აზრი მუდამ მძინარე იღვიძებს. იძინე ყველგან, სადაც რამდენ წამს მოიხელთებ, წადი, წადი, რომ გაგაღვიძოს ფიქრმა, აზრმა წამოგაფრინოს, რადგან რასაც არა სძინავს, აზრს ვერ იხილავს.

293.

ისე წმინდად გაიღვიძა, ისე წმინდად ადგა ლოგინიდან... თეთრი დუნდულებით.

294.

განა სიცოცხლით ტკბობა არაა, ესაც!

295.

მზე და ხალხი სულ ცალცალკეა, ბურუსი და ხალხი სულ ერთად.

296.

ფილოსოფიური ალიბი.

297.

მსხვერპლის შემწირველს აუტირდა იმ ღამით მსხვერპლი.

298.

დაწერილმა წიხლი არ იცის.

299.

შენსას მეორე ვერ გაიგებს ადამიანი, თუნდ სატკივარზე ხელი დაუდო.

300.

ყველა სატრფოს უნდა ერქვას "ილუზია"... რადგან ლამაზი სიტყვაა ილუზია.

301.
უნდა იცხოვრო "ჰო"-თი და "არა"-თი.

302.
როცა ყველაფერს ტრაგიკულად აღიქვამ, ქენჯნასაც განიცდი, რადგან გრძნობ, რომ შენთვის არამია მზე, მთავარე და ვარსკვლავები, არამია გაზაფხული და შემოდგომა. მაგრამ ესენიც იქნებ მხოლოდ პირს გვიჩვენებენ და გული კი დამალული აქვთ?.. არ გაიხსენო არაფერი, რაც არ გეკუთვნით შენ და ცხოვრებას, არ გაიხსენო შთაბეჭდილებები მზისგან, მთვარისგან? ისინი თავის თავს და სამყაროს ეკუთვნიან და არა შენ და არა ცხოვრებას. თუ კაცმა თავი არ გამოხატა, პატიმარზე უარესია, პატიმარი იტყვის სიმართლეს და გრძნობს, რომ რაც მას გულზე მოეშვა, მსაჯულს დააწვა ახლა სიმძიმედ. ის შეხარის თავის სიმართლეს, ის თავისუფალია, მან გამოხატა და ახლა მშვიდად შეუძლია გაიაროს

სასჯელ-ცხოვრება.

303.
რაც გაჩენილა, სულ ღმერთს ებრძვის ადამიანი და საკუთარ თავს უდგამს ძეგლებს: სახლი, სასახლე, მემკვიდრეობა, ეპიტაფიები... იყო ერთი მეფე, გახდა ათასი, ერთი ქალაქის ნანგრევებზე სხვა ახალი აღმატებულა. ღმერთის ძიება ადამიანის ძიებამ შეცვალა, ამიტომ სულ უფრო მეტი დარაჯი სჭირდება შეშლილს, რომელსაც ყველაფერი შეუძლია რომ დაანგრიოს.

304.
ისე ფრთხილად თენდება, თითქოს პატარძალი კვლებში შედიოდეს, ანდა ქმრეულთ კარავში.

305.
ჭიანჭველების მოსპობით თუ ხარ გართული, თანდათან ვიღაც-ვიღაცეები გაგახსენდება და იმათაც სპობ და უფრო და უფრო მეტი გახსენდება და იმათაც სპობ და როცა ყველას და ყველაფერს მოსპობ, ნათელი გეწვევა: ჯერ ჭიანჭველები და მერე მთელი სამყარო.

306.
დედა რომ ბავშვის წინ შესცოდავს, ეგრე არავინ.

307.
რამდენი დაიხოცა... რამდენი მოკვდა, კაცი, ქალი... სად გაილალნენ?.. აზრი კი არ მაინტერესებს, დრო და ხალხი, ერთად წასული. დრო ხალხის ნაკადში, თუ ხალხი დროში. სად წავიდნენ, სად გაილალნენ...

308.
თუ ცად აჭრილი ჩხიკვის ლანდი
მგლის ჩრდილს დაიკრავს - იქნება შიში.

თუ იგივე ჩხიკვის ლანდი
დედაბერივით ცაში გაფრინდება,
წარმოსახვა იქნება შენი...

309.
ყველაფერში ველით ანაზღაურებას, სიყვარულშიც, ფიქრშიც, საქმეშიც.

310.
ო, ჩემო დაბადებავ, ჩემო პირველო დაკარგულო საიდუმლოებავ... განა შენს მერე კიდევ უნდა ვუფრთხილდებოდე მე სხვა რამეებს?.. იესო ქრისტევ, მე ხომ შენ არ გიცნობ, მაშ რატომღა დგახარ ჩემს გზაზე!.. მე მინდა ჩემი დაბადება მე მეკუთვნოდეს. შენ მოგატყუეს. რწმენის გარდა კიდევა აქვთ ადამიანებს სხვა საწამლავები.

311.
მხოლოდ საიდუმლო სიკვდილია შურისძიება.

312.
არც ერთ ქალს ბიწად არ ჩავრჩენილვარ.

313.
მარადიულიც და მშვენიერიც მხოლოდ წასვლაა, წასვლა ყოველ წამ-წერტილიდან.

314.
ცხოვრებასთან შეუგუებლობის მიზეზი ის არის, რომ მას უნდა, დაადგინოს შენი ფასი.

315.
კეთილმა რომ იცოდეს, თუ როგორ დუღს ბოროტის სული, მაშინ სიკეთე გულში აღარ დაელოდა.

316.
ბუნება თითქოს ჩვილი ბავშვის ტვინში ხდებოდეს, ისეთია მისი ძილი, მისი ღვიძილი, ისე სასტიკი და ისეთი გულუბრყვილოა, დაუდევარი და თავის წესს მიმყოლი მაინც.

317.
როგორც მსახურს და ნაბატონარს ვერ შეარიგებ, რაგინდ ორივემ ბაგეებზე თაფლი წაიცხოს, რაგინდ ორივემ დაივიწყოს თავის წარსული და წმინდა გულით ერთმანეთსაც ხელი მოჰხვიონ...

318.
არ გიყვარდეს რამე განსაკუთრებით, როგორც მთვარეს, როგორც ლამპარს, როგორც ყალიონს... იყავ საჭირო.

319.
ადამიანი, როგორც ჭორი.

320.
სერიოზულობის ყაპი გადაშორდა და რა გამოჩნდა: ფისის მქმნელი ადამიანი.

321.
მხიარულს, პირველ რიგში, გამორჩა ცხოვრება.

322.
იქ აკლია ერთი ფრაზა: "დრო - საკუთარი სახელის დაწერისა და დრო - წაშლისა".

323.
და განმელვიძა მფრინველებრ სწრაფად
და, აჰა, ნაკრტენი ღვთის სიტყვისა, ჩემს ცოდვილ

ბაგეზე.

რადგან სიტყვა კი არ მყოფობს ჩვენში, არამედ ექო, რომელიც თან ნამდვილია და თან უსაფრთხო.

324.
ყვავებდასხმული კენწერო ხეთა.

325.
ღმერთმა რით არ დამაჯილდოვა, მე კი რითი - ღმერთს!

326.
და მსგავსია შენი საქმე - იმ კაცისა,
რომელმაც პეტრე ნახა თვალით
და არ დაიბა თავი მის ჩრდილზე,
არამედ შეირგო და შეიფერა წამი იგი,
ვით სხვა წამ-ები.

327.
ნოემბერია, ქარია და გრძელი ღამეები,
გაზაფხულამდე ძალიან შორია.

328.
სულ პატარა, სულ მცირე-წმინდა.. დაეწოდა კაცი, დაეზიდა, ოქროსავით გაუნათდა ხელის თითები, სახეზე წმინდა კვამლი აუდინდა...მაგრამ ვერ აზიდა... და დაუბრუნდა ისევ ის სახე, კვლავ ის ხელები, როგორიც ჰქონდა... მიდიოდა ისევ ქუჩაში, კვლავ იგივე ფიქრი მიჰქონდა და ის წამი აღარც ახსოვდა - სულ პატარა, სულ მცირე- წმინდა რომ ვერ აზიდა.

329.
მოვიწყინოთ, თუმცა რას გვარგებს,
დაგვინახავენ და ვეგონებით შე-გუ-ებულნი.

330.
ჩვენ ყველანი ტყუილზე ვზივართ,
ვზივართ და ვკრუხვართ
და მრავლდება ის ტყუილები,
რომლებზეც ჩვენ ოდესღაც დაგვსვეს.

331.
რას გვიყვებიან მიცვალებულები?
იმას, რაზეც არასოდეს გვილაპარაკნია.

332.
სანამ ქარიშხალი არ გადაუვლის,
ქალაქი თავის თავს ვერ დაინახავს.

ოდესღაც ჭვრეტა დროის უქმად კარგვა არ იყო. ეს იყო დრო თოკების დამაგრებისა - ცასთან და მიწასთან, წარსულთან და მომავალთან, საიქიოსთან, მადლთან და ცოდვასთან. ახლა ისე ვართ გაბმულ-გახლართულ-დაბორკილები, რომ სწორედ დროა, იკითხოს კაცმა:
- ჭვრეტა როდისღა?

არის დრო წასვლისა
და დრო - დაბრუნებისა,
არის დრო დაკარგვისა.
და დრო - შეძენისა,
არის დრო სიყვარულობისა
და დრო - დაცხრომისა,
არის დრო ფულისა
და დრო - სურვილისა,
არის დრო დაფანტვისა
და დრო - მოგროვებისა,
არის დრო მთქნარებისა,
არის დრო ძილისა,
არის დრო სიცოცხლისა
არის დრო სიკვდილისა...

ჭვრეტა როდისღა?!

მაშინ, როდესაც
ქარიშხალგადავლილი ლერწმიანიც კი ჭვრეტს
თავის თავს.

333.
მამალი ყივის, დღე ეპირება... მალე აქ ისევ ირბენენ ბავშვები.

334.
სიკეთე - როგორც უკეთესი.

335.
"ერთ დღეს, როდესაც დრო მექნება თავისუფალი,
მე შენთან მოვალ, ჩემო დედილო,
დავსხდებით და ვილაპარაკებთ" -
ვიწყებდი ასე.
მარტო შემდეგი სიტყვები მაკლდა
და კიდევ... ფორმა,
ფორმა ჩემიც და სათქმელისაც.
არ ვიცოდი, თუ როგორი წარვმდგარიყავი,
და რანაირი...
და სიტყვები?
ნუთუ ისე ვარჩევდი მათ, რომ ერთიც კი არ მომეწონა.

336.
ეს მწვანე პარკი კუნძულივითაა შუაგულ ქალაქში,
ანუ ოთხივ მხრივ
ხმაურიანი ქუჩები აკრავს
და მაინც, მაღალ ნაძვებზე დახტიან ციყვები.
საიდან გაჩნდნენ?
ვთქვათ, რომელიმე ქუჩა გადმოლახეს შუაღამისას,
მაგრამ საიდან შენიშნეს ეს მწვანე კუნძული?..
ხეებს კიდევ ციყვებიანად ხომ არ დარგავდნენ,
ამ ნახევარ საუკუნის წინ?
ამიტომ მე გავბედავ და ვივარაუდებ,
რომ ისინი რაღაც თესლის მარცვლისაგან იბადებიან.
თესლი კი ან ქარს მოაქვს ხოლმე,
ან ნისკარტიდან უცვივდებათ ბედოვლათ ფრინველებს.

337.
ნუთუ იმით დავამტკიცებ სიყვარულს ჩემსას, რისი დამტკიცებაც არასოდეს მე არ მომიწევს - საუკუნო სიყვარულითა!

მტრედმა მწვანე შტო მოჰგვარა უკვე დამცხრალ მიწიდან ნოეს, რაც მშვიდობას ნიშნავდა და პირველ გაზაფხულს.

რა უპყრიათ ხელთ ამ მოხუცებს, ფართო ხეებით

დაჩრდილულ ბაღში,
და ვინ უყვარდათ?
ან რამდენ ხანს უყვარდათ და ვისი უფრო მეტი იყო ის სიყვარული?..
სიყვარული ხომ იმ წამების განცდაა მხოლოდ,
რასაც არაფერს არ ანაცვალებ!
რამდენ ხანს შერჩათ-შეუყოვნდათ ის სისხლი გულში, ღვიძლში, ძარღვებში...
სხედან სკამებზე და ისვენებენ ყოველივე ცოცხალისაგან.
რა აგონდებათ?
გარდაცვლილ მეუღლეს ვინ დაეძებს თავის ლოგინში,
როცა ცაში გაშორებია.
და, მტრედები...
ოჰ, ეს მტრედები,
ერთხელ ჩადენილ გმირობის ხარჯზე მოხუცების ჩრდილს რომ კენკავენ
და ასე ჰგვანან სვავებსაც და თვითონ იმათაც.

338.
შენ წიგნის ყდებით იფარავდი სახეს,
მე კი ჩემი ხელის თითებით,
შენ ემალვოდი ამ ცხოვრებას,
მე კი ვითმენდი.

339.
ჩემი მეგობრისა ყველაფერი ქარმა წაიღო,
მარტო სიტყვა დარჩა,
რომელიც მან მემაწვნეს უთხრა თავსსიცილითა:
- ერს, რომელმაც მაწონი შექმნა,
გადაშენება არ უწერია.

340.
კვლავ ერთი ფრაზა, რომელიც, წესით, ასევე ოსტატს უნდა უკუთვნოდეს:
- პოეზია?.. ძალიან ადვილია:
ცხოვრების პროზა უნდა აქციო განწირულებად.

341.
ნუ იხარჯები იმათთან, ვისაც მხოლოდ განსჯა შეუძლია.

342.
ყველაფერი რატომ არის ჩემგარეული.

343.
არ ვიცი, ეს ძაღლი იყო და იმიტომ ძაღლს მივამსგავსე, არ ვიცი, მოხუცი ქალი იყო და ქალს მივამსგავსე... ფეხებს რომ ძლივს მიითრევდა თავსხმა წვიმაში, რაღაც სველი და ჩაშავებული... უმწეო არსება, მაგრამ საიდანღაც...
ორივე შემთხვევაში ეს იყო დედაჩემი.

344.
როდესაც ასეთ ბრძოლას მოიგებ და სიტუაციებს შენსკენ მოაბრუნებ,
მაშინ რატომღა უნდა გეშინოდეს კაცის სიტყვისა,
რატომ უნდა დაინდო და ვერ უთხრა მართალი,
რატომ ვერ უნდა მიაბრუნ-მოაბრუნო აბობოქრებულ ზღვაში ხომალდი.

345.
ეს ხორცი და ეს სხეული
დედაჩემის ერთადერთი სახსოვარია.

346.
რამდენი რამ შეუძლია შეამჩნიოს შეუმჩნეველმა:
ეს ორი ქალი, მათხოვრები თუ მათხოვრებივით
ძნელი არის ამის გარჩევა -
რადგან ერთად მიდიან და მიირწევიან სასწორის თეფშებივით.

347.
მოდი, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ,
მე და შენ ორმა იმ მესამეზე,
ან თუნდ ის იყოს ჩვენ ორთაგანი -
ან პირველი, ანდა მეორე,
ან მე ვიქნები ის მესამე, ან შენ იყავი:
უბრალოდ, ჩვენთვის საჭიროა, ორი ერთზე რომ გამოვიდეს.

348.
ნამდვილი "მე" არ არის ნიჰილისტური "მე", როცა ცივი გონებით უარყოფ ყველაფერს. ნამდვილი არასოდეს არაა უარყოფა.

349.
უცნობი კაცი მუდამ უფრო მეტი არის, ვიდრე თვითონ შეუძლია წარმოიდგინოს.

350.
დადგება ხოლმე დრო, როცა კვეხნაღა გვშველის.

351.
წოლა და ცდა, ჯდომა და ლოდინი, რადგან სიარული კვლავ ვერდაწევაა... სურნელი კი ედება მინდვრებს, აღებული პურის ყანისა, დედის სურნელი და ლოდინისა... ლოდინისა, რომელიც რომ არ იყოს მარადიული, უნდა დაყო მოგონილ საზღვრებად და დასვა სამანი, როგორც მინდვრები პეტრე-პავლესი, რომელზეც იდგნენ მკვიდრად და ელოდნენ და სურნელი კი ვრცელდებოდა სამანთა მიღმა, აღებული პურის ყანისა, დედის სურნელი...

352.
ყველა სულდგმული მოვალეა, იყოს ერთგული საკუთარი წარმოშობისა.
მე მარტო გავჩნდი, ნება მომეცით ვითამაშო იგი ბოლომდის.

353.
სარკე - პარტნიორი.

354.
მე ის ბავშვი ვარ, საშობაო საჩუქრებით შინ რომ ბრუნდება
სხვისი სახლიდან.

355.
მე იქ გავთავდი, სადაც ტკბილად ჩამესმოდა ჩემი სახელი.

356.

ღმერთს მინდა რომ ვუთხრა მადლობა, ხოლო კაცთ კი შენდობა ვთხოვო.

357.

რომ ჩამაჭედე ლურსმანივით ბეჭებში ნიჭი.

358.

ცეცხლი შიშისთვის.

359.

ადექით, მკვდრებო! მე კი ნუ მიხმობთ, თქვენ დამენახეთ.

360.

დედაჩემი ისე გაილია, რომ აღარც კი ჩანს...
მხიარულიც და ბრაზიანიც, თოვლიან დღეებში,
აივანზე ამოსული, მხრის შალს უცებ რომ გადაიგდებდა,
დაიბერტყებოდა და შემოვიდოდა...
იმედი სიცოცხლის, იმედი ხვალის, იმედი პურისა...

361.

ყოველ დილას ზურგს შემაქცევს ხოლმე და წავა.

362.

მე ვარ სარკე, რომელშიაც ირეკლებიან მწყურვალნი.

363.

მაგრამ ამას დედაჩემი ველარა ხედავს.

364.

უნდა იცხოვრო ცოდვაზე დიდხანს.

365.

ვერ გაარკვევდი თუ რა ხდებოდა: გიჟი იყო თუ ავადმყოფი, სახლიდან თუ საავადმყოფოდან გამოქცეული, ანთუ მკვდარი, კუბოსა და ჭირისუფლებს რომ მიატოვებს, ნასხვისარ კოსტუმში, მაგრამ ფეხშიშველი.

366.

ისტორია იმისთვისაა, რომ გძულდეს და გახსოვდეს.

367.

საალერსო სიტყვა, გულის არჩეული და გონებისთვის შესაძლოა, სრულიად უაზრო,
როგორ ილევა ამ ყოყმანში, ამ წარმოთქმა-ვერწარმოთქმაში და, ბოლოსდაბოლოს, ნერწყვთან ერთად რომ გეკარგება... და რჩებიან პირისპირ მზერა და საგანი, ორი უაზრო და გაწბილებული, როგორც სიცოცხლე და მომაკვდავი, ერთს რომ ცოტა კიდევ სჭირდება და მეორე ვერაფრით ვერ დაეხმარება... უაზრო წამი, როგორც ძალზე ლამაზი ბავშვი, ამანათივით ერთი ხელიდან მეორისკენ წასული... გზაში.

368.

სხვა მდინარეების ჯიბრით მიყვარხარ, თორემ განა ვერა ვხედავ, თუ როგორი ნაგავი მოგაქვს. განა არ ვიცი, ჩემს მუხლებს რომ ეხლებოდა და ჩემს ბარკლებს ელამუნებოდა, ის ტალღები, დიდი ხანია, სხვაგან დაახრჩვე... ახლა მოდიხარ მღვრიე და ბოროტი, და თითო ტალღაში თითო მახრჩობელი ბეწვი გირევია.. წარსულის ბეწვი..

369.

ქალებს რომ გაუვათ ვადა ლოდინისა.

370.

პოეზიას სხვადასხვა ხალხების ენებში ერთიდაიგივე რჩეული სიტყვები აქვს.

371.

რა თქმა უნდა, ღირს შეჩერება : როცა ყვავილს ყნოსავ, როცა პურს მოიტეხ, როცა ვაშლს აირჩევ... და შეიძლება ამ დროსაც კი არა ხარ შემდგარი... მე იმ იშვიათ წამებს ვგულისხმობ, როცა რაიმე ერთისკენა ხარ მიმართული, დანარჩენ დროს კი შენ წარსულსა თხზავ. მთელ დანარჩენ დროს შენ მარტო არა ხარ.

372.

დღესაც მკლავზე უწევს თავის დამამდაბლებელი, დღესაც მასთან სძინავს.

373.

ვისაც მცირე საჩუქარი არ აღაფრთოვანებს,
დიდს ვერ ეღირსება.

374.

ღმერთო ჩემო! რა მკვდარია ლიტერატურა,
ცხოვრებას ის აღარ სჯობია:
არა თუ წინ უსწრებს,
ტყავში ძვრება, რომ არ ჩამორჩეს.
ვერც ერთი პოეტი ხალხს ზემოდან ველარ დახედავს,
ბრბო გადიადდა
და პოეტი ცდილობს თავი მას შეაფაროს.

რატომ ძერა არ დაემხო დაბლა მიწაზე?
რატომ ბონინობს მაღლა ცაში
და აშინებს მინდვრის თაგვებს
მარტო ჩრდილითაც?

375.

სჯობს, კაცმა იცხოვროს რისამე ხსოვნად, ვიდრე რისამე პატივისცემად.

376.

არ გამოცადო ფიქრები ხალხში.

377.

ნიჭი ხარისხით დარჩება, უნიჭობა - სიმრავლითა.

378.

უსაქმურები უფრო ერთგულებია ერთმანეთის და განუყრელები.

379.

ესეც ადამიანებთან გამოსალმების ხერხია - როცა აპურებ
შენი გაჭირვებით.

380.

ადამიანი სულ ასე იყო, სულ ასე იქნება... სანამ

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

იმ რუკას არ მოიპოვებს, სულ ასე ივლის.

381.

ვერაფრით ვერ დაეწევი ადამიანს, გარდა ტყუილისა.

382.

ადრე, როცა სინდისი მეტი იყო, ვიდრე ამის საჭიროება (საქართველოს დამოუკიდებლობამდე), ცხოვრობდა დიპო, გადაცილებული სამოცსა წელსა, მტრედივით ტკბილ ქალიშვილთან და მეუღლესთან ერთად. დიპო იყო გამოჩენილი გეოლოგი, ამ ხანებში დარჩენილი უსაქმოდ და უსახსროდ და უაზროდაც კი, თუმცა მომლოდინე. დიპო გახლდათ არტისტული და ლაღი კაცი, ბაბუაძის კლასელი და მეგობარი და ანდიპოდი, რადგან არ იყო არც მსმელი და არც გაზონმთევი, უბრალოდ, ანცი იყო ხოლმე და უყვარდა ხოლმე მოლხენა. უსაქმოდ და უსახსროდ და უაზროდაც დარჩენილ დიპოს ბოლო ხანებში ძაან მაგრა გაუჯდა სევდა. ღვინომაც კი ვერ უშველა, თქვენ წარმიდგინეთ, პირიქთ, გული დაუავადდა და დარჩა კვლავ სევდის ამარა.

ამიტომ დიპო თავის სევდას მკურნალობდა მდუმარე დღეებითა და უძილო ღამეებით.

ამ ნიადაგზე, მუდამ ჩუმმა, მზრუნველმა დოდომ (იქნებ ასე ვარგო მოწყენილ ქმარსო), იმ დილასვე, როგორც კი ეს ფიქრი გაუჩნდა, ქმარს შეუძახა;

-რა მოგივიდა, დიპო, მითხარ, ვაჟკაცი არ ხარ?!

-ვაჟკაციც ხარ და ორჯერ მეტიც, თუ კაია-ო!

ამ სიტყვების შემდეგ დიპომ გამოაღო ლოჯიის კარი და აივანს გადაეყუდა.

ნირწამხდარმა დოდომ გასარეცხ რამეებს დაუწყო ძებნა.

383.

დედაჩემი სულ თვალებში მყავს,
მაგრამ თვალები სულ იჩქარიან.

384.

კვდებოდა კაცი და ტყუილის გემოსა გრძნობდა,
გემოსა გრძნობდა და ტყუილი არ უჩნდებოდა,
კვდებოდა კაცი და ტყუილი აქა რჩებოდა,
მასთან ერთად რომ მომკვდარიყო, ათასჯერ სჯობდა,
მაგრამ კვდებოდა და ტყუილი აქა რჩებოდა,
მის ეზო-კარში, მის ოჯახში დაპარპაშობდა,
ხან აქ და ხან იქ დამცინავად ელანდებოდა,
სახეს იცვლიდა, სახელი არ დაერქმეოდა,
კვდებოდა კაცი და ტყუილის გემოსა გრძნობდა
ტანჯვასა გრძნობდა, ტკივილს გრძნობდა, სიკვდილსა გრძნობდა
კვდებოდა კაცი და ტყუილი აქა რჩებოდა.

385.

უსაქმური ანგელოზი

386.

როგორ უნდა, რომ მომეტმასნოს,
მე, ჩემს ამბავს, ჩემს ისტორიას,
თითქოს ყოველთვის ჩემთან იყო და ჩემით იყო,
ბავშვობაშიც, სიბერეშიც და ჩემს უწინაც...

387.

დაე, ნუ ყვირის ნურავინ
- მამა!..
ამ შუაღამისას
და ნუ მაღვიძებს.
თუ წყურვილი კლავს მამის ხილვის,
თუ ენატრება,
დაკეტოს მაშინ ფანჯრები და ისე იყვიროს...
და თუ ქარია, ზღაპარია თუ სიზმარია
და თუ არავინ ეძახის - მამას,
მაშინ მე ნუ მომეჩვენება!
შუაღამისას ნუ გამაღვიძებს.

388.

მე რო არა, ეგდებოდი
ეგრე, რიყის ქვასავით,
არსაიდან წამოსული, წახვიდოდი არსაით...

389.

მხოლოდ თოფის სასხლეტზე არა ზის ტყუილი.

390.

რაც კი რამე გთხოვე და გითავაზეა,
არაფერი მიიღე, არ დააფასეა,
ახლა დაივიწყე, რაც მიანდაზია,
გინდ იუშნოვე და გინდ ილამაზეა...

391.

მსხვერპლმა (კაცმა) თავის ფასი რომ იცოდეს,
უფრო მეტად დაიტანჯებოდა.

ნუ შეახსენებთ, ვინ არის ან რაზომ დიდია,
იყოს ასე, რიყის ქვასავით.

392.

ისინი, ვინც ბუნებაში გვერდ-გვერდ სახლობენ, ნაწერ სტრიქონებში ერთურთისთვის უცხონი არიან. გაშლილი ბადესავით რომ მოისროლო შენი მზერა და, რასაც დაიტანს, ის რომ დახატო, სულ ერთია, შიგ რა მოჰყვება, ისეთივე ჰარმონია თუ იქნება შენს ნაწერში, თუ ჩაერევა, შენს უნებურად, შენი ნერვები, შენი ფიქრი და წარმოსახვა... ფანჯრის შიდა მხარეს თეთრი ფერის საღებავით შეღებილი რაფა იდაყვებითაა გაპრიალებული, გარეთ მტრედის ნასკლინტებია. მომაკვდავ მოხუცს ჭირისუფლები ბოლო წამამდე აქ ელოდებიან, არ მიჰყავთ სახლში. ფანჯრის გადაღმა უშველებელფაშვიანი ქალები და კაცები დაძუნძულებენ, პატარები მაიმუნებივით გისოსებში იჭყიტებიან. ბებერ სანიტარს, ხან რაღაცას რომ შეეტოტება და ხან რაღაცას რომ ჩახედავს, თითქოს თვალებს კიბე ჩაუდგაო, სახე, ამასობაში, კარგა გაეწვეტა, რომ უკეთ გაკვეთოს ნაგვამდე ჰაერი და მიაყოლოს ზედ წვრილი თვალები, რადგან რაც კი რამ აქ ლპობადი და ხრწნადია, ამას ეკუთვნის და ავადმყოფის თავთით დადგმული ყვავილების სუნსაც მაშინ გრძნობს მხოლოდ, როცა ისინი გადაჭკნებიან.

393.

განა დაგდებულს ღატაკი უფრო არ დაიტაცებს?.. რამდენჯერა აქვს წართმეული მაძღრისათვის მშიერ ძაღლს ძვალი! " ჩემი იყოო" - ამისი თქმა ვის რას უშველის.

394.
ჩემმა ნაფიქრმა რატომ არ უნდა მაქციოს მარილის სვეტად, მერე რა, რომ არ ვთქვი, რომ გადავასხვაფერე.

395.
ხომ გვექნებოდა საშინელი უკმარისობა, შვილები უცებ რომ გვეზრდებოდნენ. და მაინც ვჩქარობთ.

396.
მოდი, დავიწყოთ გამოთხოვება.

397.
მხოლოდ მტაცებელ ნადირს შეუძლია ასე ახლოს მისვლა თავის ნანატრ მსხვერპლთან, თუნდაც მხოლოდ დორბლი დაეწვეთოს იმის კარის წინ.. თეთრი...ბალნით ასხმული ბურუსი ჩემი აივნის წინ აკედლილიყო, ეზოსა და ხეებს მოწყვეტილი სახლი რძისფერ ზღვის ტალღებზე შემდგარ გემს დაემსგავსა... გემს, ქოხს, საიქიოს ... რომ უცებ კარს დედაჩემი მოადგა და უღონოდ, თუმცა კი მთელი არსებით მოაწვა. თავი ჩაეკიდა, კუზი ამოსვლოდა, ჩემი სიცოცხლის მომცემი ძუძუები მუცელს მიკვროდა და თეთრად იყო ისიც შემოსილი: თავისი არსების ნამდვილი ფერით, ყინულისა და აყვავებული ტყემლების ფერით, რადგან ორი დრო გვიჭირდა მუდამ - გაზაფხული და ზამთარი.. ღმერთო, რატომ არ აღვიჭურვები წმინდა გიორგის ძალით და რისხვით, ეს ხომ ჩემი სამშობლოა, ჩემი სახლი ჩამონგრეული.

398.
- მე ისე იოლად გავაგდე იგი!
- მე იგი ისე იოლად მივითვისე!
ერთად:
რა ჩვენი ბრალია, თუკი ის თვითონვე ვერ გაერკვა საკუთარ გრძნობებში, არ ეყო არც ჭკუა და არც ვაჟკაცობა.

399.
ცხოვრება არასდროს არა არის იმათი, ვინც მასზე მაღლდება.

400.
საკუთარ სიგიჟეს კაცი სხვაში არ აფასებს.

401.
არც ერთი წამი არ არის რეალური, რეალურია მხოლოდ წამის განცდა.

402.
მე ვიდექ ზღურბლთან, როცა შემომესმა, რომ სინამდვილე წარსულს მაკარგვინებს, და თუმცა, წარსულიც ნაჩუქურთმალია სისულელეებით, მაინც მეგულვის იქ ისეთი რამეები, რასაც კალთას დავუკოცნიდი.

403.
კაცი- თავკლება.

404.
არასოდეს არ უნდა აირჩიო ფონად არც შენზე უარესი და არც უმჯობესი..
ყველაზე უკეთესია მეგობრობა კაცთან, რომ რაიმე მისი ნაკლი საიდუმლოდ იცოდე.

405.
ჩემი სიზარმაცე იყო მუდამ ჩემი საიდუმლო ენა, ჩემი სიმძიმე, ჩემი წინააღმდეგობის უნარი, რომელიც საგანძურს იცავდა ენთუზიაზმისგან.

406.
პოეტმა უნდა დატოვოს სული და არა მემკვიდრეობა.

407.
ყველაზე დიდი გენია, თავის თავს რომ არ უარყოფდეს, მაშინ ყველაფერს წაიღებდა და წავიდოდა.

408.
დაე, ყველამ გაინაპიროს ობოლი, დაე, ყველამ გაიმეტოს, დაე, არ იცოდნენ, რა გალავანი აქვს შემორტყმული იმას ღმერთისგან.

409.
პოეტი და ენა მრავალსიტყვაობის პირობებში.

410.
ვალმოხდილი ქუჩაში არ გამოიცნობა.

411.
ადამიანი, ვინც გინდა იყოს,
აქიდან-იქამდე,
ერთხელ მაინც არის ავტორი.

412.
დუმილია ძნელი, სიცოცხლეს რომ დაამთავრებ,
ასევეა ძნელი, წიგნს რომ დაამთავრებ.

413.
ადამიანი არ არის წარსულის.
ასე რომ არ იყოს,
მაშინ ძნელი იქნებოდა
მისი მოწყვეტა კონტინენტიდან,
რადგანაც სქელი ბაგირით იქნებოდა
წარსულს მიბმული.

ადამიანი ამ წამისაა,
ამ ბოლო წამის,
ამიტომაც ფარვანასავით
ჰაერშივე იჭერს სიკვდილი.

414.
მამის დაკრძალვის წინა საღამოს უფროსმა ვაჟმაც ჩამოაღწია. ატყდა წრიალი და თავიდან გაიხსნა ჭრილობა. მერე ისევ შეიკრა, ჩათბა, ჩამყუდროვდა და უფროსმა ვაჟმაც მოახერხა ეამბა, თუ რა თავგადასავლები გადახდა, როგორ იწვალა, როგორ გადაიდო ზოგჯერ ფრენა, ზოგჯერ კი სხვა რამ მოხდა და... როცა ყველაფერი ჩამოფქვა და თავი შვილად იგრძნო, როცა შუაღამეც გადავიდა - თითქოს ოდნავ ნიშნის მოგებით - შენიშნა: თმა მამაჩემისთვის სხვანაირად დაგივარცხნიათო. სხვებიც დაეთანხმნენ და უფროსი ქალიშვილის თაოსნობით საქმესაც შეუდგნენ - თითქმის ისე დავარცხნეს მამა, როგორც ახსოვდათ, მაგრამ რაღაც საიდუმლო მაინც დარჩათ ამოუხსნელი და იმითღა დაკმაყოფილდნენ, რომ რაღაცა მაინც შეცვალეს.

- ხომ ხედავთ - თქვა უმცროსმა შვილმა - ჩვენ თმაც კი ვერ დავვარცხნეთ ისე, მამაჩემს რომ ჰქონდა და გულუბრყვილოდ კი გვგონია, რომ კარგად ვიცნობდით.

მამაჩემი ლამაზი იყო!..

415.

განახე, შვილო, მე შენ ერთხელ, როცა უკვე მკვდარი ვიყავი:

შენ ქუჩაზე გადადიოდი.
შუა გზაზე შეყოვნდი და რაღაც იფიქრე,
რაღაც მანქანას გაასწარი და დატოვე გაწბილებული,
სახლის კარი შეაღე და რაღაც უთხარი,
უკმაყოფილო გამობრუნდი, ისევ გავარდი...
მაშინ იყო, რომ დაგიძახე,
მაგრამ სიკვდილმა გამაჩერა,
სიცოცხლეც რომ მაჩერებდა, -
პირზე ისე დამადო ხელი,
შენ კი ძახილზე თავი დაგრჩა მობრუნებული,
და ისევ იმას დააბრალე, რომ მოგეჩვენა.
მეც რამდენჯერ მომჩვენებია დედის ძახილი,
მაგრამ საბრალოს
თურმე კი არ მეჩვენებოდა,
ვერ ვიჯერებდი იმას, რასაც ვერა ვხედავდი.
ამიტომაც თუკი რამე მოგეჩვენა, არ შეიეჭვო.
სინამდვილე მართალს არ გეტყვის,
დაიჯერე, რაც გეჩვენება.

416.

ც ო ტ ა ო დ ე ნ ი თ ა მ ბ ა ქ ო ს ს უ ნ ი -
რადგანაც მამა,
სამზარეულოში,
გამოღებულ ფანჯარასთან იჯდა ხოლმე და ეწეოდა -
ა რ ა ს ო დ ე ს ა ღ ა რ ი ქ ნ ე ბ ა.

სკამი კი!..
ძველი, ზურგიანი,
ისევ იდგება.
ყველაფერი ისევ იქნება,
მაგრამ
სამზარეულოს კარს რომ შეაღებ და შიგ რომ შეხვალ,
ი ქ ა რ ა ს დ რ ო ს ა ღ ა რ ი ქ ნ ე ბ ა,
ც ო ტ ა ო დ ე ნ ი თ ა მ ბ ა ქ ო ს ს უ ნ ი.

417.

დიადი ფრაზა სიკვდილის წინ არასოდეს დასრულებულა.

ის იწყება, და...

"ეს დაიმახსოვრე, ეს აუცილებლად უნდა იცოდე, შვილო!"

აი ფრაზა, რომელიც მამაშენმა ვერ დაასრულა!

რა უნდა იცოდე?
-წვიმა?.. ქარი?..
თუ ისა, რომ...
"ტყუილისა და მართლის რკვევაში
არ დაკარგო სიცოცხლის გემო".

რა უნდა იცოდე?

418.

თან ჩხიკვს დავდევ თვალებით,
თან მინდა ვიფიქრო...

*დაიწერა, შემცირების, გაზრდის,*
*გამეორების, დავიწყებისა და*
*დაკარგვის უფლებით.*
*დაიწერა, რომ არ დასრულდეს...*
*ვიდრე მკვდარს არ იპოვნის მიწა.*
*ავტ. 1992-2002*

419.

ჩემთვის რომ ეყურებინათ ადამიანებს, ისინი მეორე სართულს არ ააშენებდნენ, არც მეხუთეს, არც მეათეს და მეასესა...

ჩემთვის რომ ეყურებინათ,
არ ასცილდებოდნენ თავისი ცეცხლის კვამლს...
ისინი იცხოვრებდნენ მიწის პირზე, ქოხებში,
რადგანაც, მე, თუკი ცოტა ფიქრის ძალა მეყო, ვაცნობიერებ:
- ბავშვივითა ვარ
და არაფერი არ მინდა..
არ მინდა აღზევება, ბრწყინვალება, სიმდიდრე, რაიმეს დაუფლება..
ბავშვივით შემიძლია ვიტირო და ვიანჩხლო,
ტყუილიც ასევე ბავშვივით მიზიდავს..
და ჩემი ცოდვებიც იმაზე მეტი არაა,
ვიდრე ბავშვის თამაში თავის წარმოსახვებთან..

420...

არილი



ნოდარ ებრალიძე

# თბილისური შეძახილები

## ხოზოგეპეუ!

Nomina sunt mutabilia, res autem immobiles (ლათ. სახელები ცვალებადია, მაგრამ თვით საგნები არ იცვლება)

ასე ეძახდნენ მსუქანს; სულ ერთი იყო - ვინგინდავინ: ბავშვი - გოგო თუ ბიჭი, დიდი - ქალი თუ კაცი. არც მოხუცს ინდობდნენ, თუკი გადაცდენილი იყო სიმსუქნის ზღვარს. ეს შეძახილი ყველამ იცოდა, არც შედგენილობა ეშლებოდა ვინმეს. "გეპეუ" რაღაც ზევიდან წამოსულს, მოსკოვურს, რუსულს, იმავე "ჩეკას" - ძერჟინსკის, ეგოროვს, ეჟოვს, ბერიას უკავშირდებოდა. სიმსუქნეს "ხოზო" გამოხატავდა. არავინ უწყოდა, სადაური სიტყვა იყო. ზოგ ჭრელ უბანში ქართველებს, სომხებს, ქურთებს ერთნაირად ემშობლიურებოდა. რუსებს უფრო ეუცხოვებოდათ, თუმც თავის საალერსო ბოლოსართებს არ იშურებდნენ. გეპეუს დამატებას ასე ერჩივნათ. ალბათ, მათთვის ეს გე-პე-უ უფრო გამჭვირვალე იყო. იმდენად გავრცელდა ქალაქში, რომ სკოლაში, კლასებში, ამ თიკუნის მატარებელი, სამ გამორჩეულად ჩამოყალიბებულ ქარაქტეროლოგიურ და სოციალურ ტიპს ლამის გვერდით ამოსდგომოდა, როგორც მეოთხე ამპლუა. ეს სამი ძირითადი საკლასო ხასიათი და მდგომარეობა კი შემდეგი იყო: "ცელქი", "ყოჩი", "სამაგალითო" (ანუ ვუნდერკინდი; მაგრამ ამ სიტყვას მასწავლებლები ერიდებოდნენ, მშობელთა უმრავლესობამ, ალბათ, ან არ იცოდა, ანდა ისიც გაურბოდა). ნორმალურ კლასში ერთი ხოზო მაინც გამოერეოდა, სხვა ამპლუას კი იშვიათად თუ შეითავსებდა. "ცელქი" ყოველთვის იყო (ოღონდ არა ხულიგანი, უზრდელი, ამრევი). ასეთები მაღალ კლასებში ყალიბდებოდნენ და რაღაც უფრო მაღალ მნიშვნელობასაც იძენდნენ ცხოვრების კიბეზე. უყოჩო და უვუნდერკინდო კლასი არ ვარგოდა. შინაარსით ხომ მწირი იყო და თანაც მაძიებლები ჩნდებოდნენ, შფოთი სადგურდებოდა. ყოჩობას თუ მაინც თვითონ ბიჭები იჩემებდნენ და ერთმანეთში არკვევდნენ, სამაგალითოს მშობლები ადგენდნენ - ყველა არა, მაგრამ რაღაც ნაწილი მაინც მონაწილეობდა ამ ფარულ ბრძოლაში, მაგრამ ბოლოს მაინც მასწავლებელი და კლასი უსვამდა ბეჭედს. მარტო მშობლების მონდომება და ჭიდილი მაინც ვერ ამბობდა გადამწყვეტ სიტყვას ამ ინტელექტუალურ კონკურსში. თუ მართლა ღვთით მომადლებული ვინმე მოევლინებოდა კლასს, მაშინ ხომ განგებას ვერავინ უმხედრდებოდა - ამაო შეზიარება გამორიცხული იყო. ხოზოები, როგორც მოგახსენეთ, ამ ტრიუმვირატში არც შედიოდნენ (ათასში ერთხელ თუ სხვა ამპლუაც არ ექნებოდათ მორგებული). ისინი უფრო ცელქის და მის ამქარ-კლასელების სამიზნე ხდებოდნენ. ეს უკვე ხოზოს სხვა მონაცემებზეც იქნებოდა დამოკიდებული და თვითონ ცელქის სულიერ მიდრეკილებებზე.

ჩვენი ცელქი მთელ სკოლაში გამოჩეული ბიჭი იყო - კეთილშობილი, სიავის ნატამალი არ ჰქონდა, გულკეთილი, დამთმობი. ანცობაში კი - დიდი ფანტაზიორი, გამომგონებელი. ოთხი კლასის მერე თავგადადებულ სპორტსმენად ჩამოყალიბდა. უნივერსიტეტშიც ერთდროულად ვსწავლობდით. მერე ჩემი, ამხანაგების საყვარელი ერთი რიგითი პატიოსანი სპეციალისტი იყო. ნელ-ნელა მემთვრალეობას შეეჩვია. მოტყდა, დაინვალიდდა კიდეც, მაგრამ ყმაწვილური სიკოხტავე მაინც შერჩა. აქაც კეთილშობილად დარჩა; არ მახსოვს, ვინმე გაებეზრებინოს, თუნდაც მთვრალს - სიტყვამრავლობითა და წარსული სპორტული სიქველის, თუნდაც ანცობის მოგონებებით. ჩვენი კლასის ხოზოსთანაც (გოგო იყო, ეს იმ დროს ნამდვილად იშვიათობა გახლდათ) ძმური ურთიერთობა ჰქონდა, მფარველობდა. ხოზოს დაძახებასაც მაინცდამაინც არ უჭერდა მხარს. გეპეუს დაყოლებას კი უბრალოდ არ გვირჩევდა. "შარის თავი გაქვთ?" - გვეტყოდა ჩუმად, დაღონებით. მაშინ უკვე ვიცოდი, მისი კარგი გვარიშვილობა და ჩემი იმდროინდელი გამოცდილებით ვუკავშირებდი კიდეც გეპეუს მიმართ გამოჩენილ რიდს (გასული საუკუნის 38-39 თუ 40 წელი იყო).

ისე სულ მიკვირდა, ეს ხოზოობა რატომ უნდა გადაბმოდა მაინცდამაინც ამ გეპეუს? მაშინ, მგონი, გეპეუ აღარც ერქვა ამ დაწესებულებას. მაინც ჩეკასა და გეპეუს სახელით იხსენიებოდა და თითქოს არც მისი წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ სიმსუქნით. პირიქით - წიგნებში თუ გაზეთებში, კინოფილმებში, თუნდაც ქუჩაში ნანახი დიდი თუ პატარა ჩინის მუშაკები უფრო ფიზკულტურულ-სპორტული აღნაგობის ჩანდნენ. რაღა შორს წავიდეთ. საქართველოში მაშინდელი მათი შეფი (იმ დროს, ჩემი მოგონება რომ ეხება, უშუალოდ "ცეკას უფროსი" იყო) მოსკოვში რომ წაიყვანეს, მერე გასუქდა, დაუშნოვდა, თორემ ჩვენთან ყველგან, სასწავლო რვეულების ყდაზე გამოხატული პენსნეიანი პროფილითაც კი, ცქვიტ, მოხდენილ მამაკაცად ჩანდა. თანაც ჩვენი სკოლა ჩიტაძის ქუჩის თავში იდგა. იქვე, ცოტა ქვემოთ, ძერჟინსკის ქუჩის გადაკვეთაზე ცეკას შენობა იყო. ყველა ჩვენსკოლელი დარწმუნებული იყო, რომ ერთხელ მაინც ჰყავდა საკუთარი თვალით დანახული ლ.პ.ბ., უშუალოდ ძერჟინსკის ქუჩიდან დატანებული კარებიდან შენობაში შესვლის ან გამოსვლის დროს. ეს თუ ლეგენდას განეკუთვნებოდა, რიგითი გეპეუელების სიკისკასის ჩვენება ერთხელ მთელი სკოლის (ყოველ შემთხვევაში პირველი ცვლის) თვალწინ მოხდა.

რამდენიმე წლით ჩვენზე მაღალ კლასს ჰყავდა მთელი სკოლის მასშტაბით ცნობილი ცელქი. ისიც ტანმორჩილი ბიჭი იყო, მაგრამ, ჩვენი ღიაცესფერთვალება ონავრისგან განსხვავებით, შავი, გარუჯული, ავსიტყვა, ავბეწვა, უფრო მაბნევარი, ვიდრე უწყინარი და უანგარო ამკლები. გაკვეთილები რომ გამოვიდოდა, მთელი ჩიტაძის ქუჩა მოსწავლეებით ივსებოდა. სკოლის ზემოთ მოსახლეობა თითქმის აღარც იყო, ქვემოთკენ კი, ძერჟინსკის ქუჩამდე მაინც ტალღად მივედინებოდით. აქ, იმ ცეკას შენობაში (კარგა ხანს ემსახურა პარტიას, ვიდრე "ქაჯეთის ციხე" არ აშენდა) პირველ სართულზე მისალები, რეგისტრატურა თუ რაღაც ამგვარი ჰქონდათ გამართული, მგონი, ნახევარსარდაფის დონე-

საქართველოს

ზე, ფანჯრები მეტწილად ღია იყო, ტროტუარებზე მიმავალნი ვხედავდით იქ მყოფ დაცვის მუშაკებს და მოფუსფუსე მოქალაქეებს. და აი, ერთხელაც გაზაფხულის ჩახჩახა დღეს სკოლის პირველი ცელქი გამოეყო ამხანაგებს, ღია ფანჯარასთან დაბარებულივით მივიდა, მთელი თავისი მომცრო ტანით გადაწვა რაფაზე და კრიალა, გამყივანი ხმით ჩასძახა: "ყიყლიყოოო!" ეს ყივილი დამუშავებული ჰქონდა. სკოლაშიც, უფრო დიდ ეზოში გაგვეგონა, დერეფანში არავინ დააყივლებდა. რატომღა ჰქონდა ამოჩემებული? შეიძლება იმხანად ეკრანზე გამოსული ქართული ფილმის "არსენას" ბაძვით. იმ კინოსურათში არსენა ოძელაშვილი რატომღაც ასე ყივილით მოუხმობდა ცარიზმისა და ბატონყმობის უღლის წინააღმდეგ საბრძოლველად თანასოფლელებს. რამდენადაც მახსოვს, იქ ასე გამოკვეთილი მამლის ყივილი არც ისმოდა. არც ყ-ბგერა ხმიანობდა. ასეთ სერიოზულ იდეას, თანაც საკავშირო ეკრანზე, ცხადია, სულ ქართული "ყიყლიყო" არ მოუხდებოდა.

მაგრამ ჩიტაძის ქუჩა მარაბდა არ გამოდგა, ყიყლიყოს ბოლო აკორდი არც მიმწყდარიყო, რომ ბიჭი დამდუღრულივით მოსწყდა ფანჯარას. რა მოეფეთა იქ ისეთი ამ ეშმაკის ფეხის მკვნეტელს, რომ შეშლილივით დაეშვა ქვეითკენ? მას, როგორც მწევრები კურდღელს, მიჰყვნენ კარებიდან გამოვარდნილი "გეპეუ-ჩეკისტები" (ზუსტად ვინ იყვნენ, ამას ახლა ვინღა გვეტყვის), ახალგაზრდა, ულვაშკოკობა ბიჭები. ისე ვიყავით დარწმუნებული ჩვენისკოლელის სიჩაუქეში, რომ ვიფიქრეთ, რას დაეწევიან, თანაც რუსთაველამდე თავქვეა და მერე სადღაც თავს შეაფარებს-თქო. მაგრამ პიონერთა სასახლის ბაღის მოაჯირს არც გასწორებოდნენ, რომ მოგვესმა განწირული კივილი, ჭყავილი, ბღავილი და დავინახეთ, რომ სამ თუ ოთხ ფორმიანს ხელში ატატებული მოჰყავდათ მთელი სკოლის ცელქების ყოჩი. უგონო შიშს მოეცვა მისი თვალები, სახე; დასაკლავი გოჭივით მოჰყავდათ, რადგანაც თვითონ, ალბათ, ხელ-ფეხი წაერთვა, თორემ რაიმე საპასუხო ქმედების თავი აშკარად არ ჰქონდა. მხოლოდ კივილი ამოსდიოდა პირიდან (ცოდვას ვერ დავიდებ, ერთიც არ წაუთაქებიათ). ეგრევე შეიყვანეს იმ ოთახში, საცა ორიოდ წუთის წინ არსენასავით ჩაჰკივლა...

მეორე დღეს თუ ვნახავდი, აღარც მეგონა. დიდ შესვენებაზე ეზოში ჩავედი. თავის ჩვეულ ადგილას, სპორტდარბაზად გადაკეთებული ეკლესიის შესასვლელთან ჩაცუცქულიყო. ოღონდ კრინტს არ ძრავდა. აღარც თავისი ამპლუა ახსოვდა და არც მისი ანცობის მომლოდინენი. გაყუჩებული იჯდა, ისედაც ფერმკრთალი სახე სულ ჩასტეტკოდა. ჩვენი ცისფერთვალება ცელქი თურმე ტყუილად არ გვაფრთხილებდა "შარი არ აიტეხოთო". ესეც შენი ხოზოგეპეუები! ხოზოები კი არა, დიდუბის იპოდრომის მუცელაწეული ბედაურები ყოფილან-მეთქი.

გეპეუ თანდათან მინავლდა ხალხის მეტყველებაში (სხვა სიტყვა-აბრევიატურებმა შეცვალა). ხოზო დარჩა; მაგრამ მასაც მოაკლდა ძალა, ფერი. ან ვის რა ხელი აქვს სხვის სიმსუქნესთან, რა ხოზო, რის ხოზო აუტყდათ, გაიფიქრებდა კაცი მის გაგონებაზე. თითქოს ამ სიტყვას რაღაც სხვა დატვირთვა ჰქონდა, და ის რომ გამოეცალა, დროთა დინების გამო, თვითონ თქმასაც მოაკლდა სიმწვავე, უბრალოდ გარკვეული ფიზიკური მდგომარეობის აღმნიშვნელი გახდა.

მაგრამ რატომ დაუკავშირდა ეს ხოზო მაინცდამაინც გეპეუს? ვთქვი კიდეც - არ უნდა ყოფილიყო ეს "მათი" გარეგანი იერის გამომხატველი. მართალია, "ხოზ" სომხურად ღორს ნიშნავს, მაგრამ, ჯერ ერთი, თბილისის ქუჩების მეტყველებასა თუ ზეპირსიტყვიერებაში, თვით XIX ს. შუა წლებშიც კი ქართული იყო გაბატონებული (სწორედ იმდროინდელი არაქართველი მემუარისტების დამოწმებით). თანაც ამ "ხოზოს" განზოგადებული მნიშვნელობით ხმარება ახალ დროებასთან ჩანდა დაკავშირებული. (არც ერთ ქართულ ლექსიკონში არაა, ესეც ხომ საგულისხმოა). ახლაღა ვფიქრობ, რომ ჩემზე უფროსმა ხალხმა ეს, ალბათ კარგად იცოდა, მაგრამ მე მათთვის თავის დროზე არ მიკითხავს, არც არავის დასცდენია ჩემთან და შევრჩი მარტო ამ გამოცანას. არც ესაა დიდი ბედენა. ყველას რჩება ამქვეყნად უპასუხოდ დარჩენილი რაღაც კითხვები...

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

პასუხი კი სულ მარტივი ყოფილა: ისევ ცხენებმა მიშველეს. თბილისური ცხენოსნობის, დიდუბის იპოდრომის ამბავი კარგა ხანია მაინტერესებს. ერთი იმდროინდელი (30-იანი წლების) ჟოკეის სახელის ინიციალის დაზუსტება მჭირდებოდა. ახლობელმა გულითადმა კაცმა 34-ში დაბეჭდილი ცნობარი მიშოვა (33 წლის შედეგები. ხარბად დავეწაფე. მოყვარული კაცისთვის ძველი ბედაურების სახელებიც კი სასიხარულო აღმოჩენაა). ჩავიკითხე მონაწილეები, პრიზები, შედეგები - მანძილი, წუთები. ვხედავ, ცხენების მეპატრონე ორგანიზაციებიც ყოფილა დასახელებული (სოფლის მეურნეობის და სახალხო კომისარიატი, არმიის საცხენოსნო სამმართველოები და სხვა). და აი, ვკითხულობ 33 წლის, 2000-მეტრიანი დოღის ამბავს. ცხენის სახელი - "ტამარა", 3 წლის ქურანა ფაშატი.

და უცებ მეპატრონე: ქპთპ **დვჟვუ**! აგერ სხვა ცხენის ამბავიც: "ბახტრიონი", თაფლა ულაყი... ამისი პატრონიც - ქპთპ **დვჟვუ** (დიახ, ნამდვილად რომ ხოზოგეპეუა!) ესე იგი ეს ჩვენი თბილისური ხოზო, არც მეტი, არც ნაკლები, რუსული აბრევიატურა ყოფილა - ალბათ, ქპთჯკსტგვოოძკ პტევმ (სამეურნეო განყოფილება). მოკლედ, ხოზო გეპეუ ქართული სინტაქსით გეპეუს ხოზო გამოდის. დანარჩენი ზევითაც ვთქვი.

და რახან ეს ხოზო სამეურნეო განყოფილება იყო, ნატანჯი, ნაშიმშილარი ხალხი მას კუჭის გაძღომას, სიმსუქნეს უკავშირებდა (თანაც არმად ნაშოვნი ლუკმით), რა თქმა უნდა, მის გავრცელებას მერე უკვე ადგილობრივი ომონიმიც შეუწყობდა ხელს, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, ქართული სახელების მიმართვითი ფორმის ანალოგიურად, ალაგ-ალაგ იხმარებოდა კიდეც; ხოლო კუთვნილებითი მსაზღვრელი გეპეუ სავსებით გასაგებ ემოციურ ელფერს სძენდა ამ რაღაც აზიურად მჟღერ და თითქოს ადამიანის მეტსახელის აღმნიშვნელ სიტყვას. ამიტომაც ისმოდა ქალაქში ხოზო! ხოზოგეპეუ! ვინმე გულმოკლული მამულიშვილი ქართველი, წარსული და მომავალი დღეების მნახველი და მომლოდინე, ეგებ დამაქცევარ მომხვეჭელობას და მეხუთე კოლონასაც ჭვრეტდა, მაგრამ ვინღა ეგულებოდა ამის გამგები.

## გივი ალხაზიშვილი

* * *

მოლოდინი რომ ქრება
ფერისცვალების შეგრძნება ავსებს სიცარიელეს.



ისინი მოწმეებივით გიყურებენ,
მათი სახელები გახსოვს,
მაგრამ საგნებმა არ იციან შენ ვინ ხარ!

გეეჭვება რას ნიშნავს შენი აქ ყოფნა!
ქოთნის ყვავილს რომ წყალს უსხამ
და ფოთლები უთრთის,
მაგიდას რომ მტვერს აცლი და პრიალებს,
ფანჯრის რაფაზე ბეღურებს რომ
პურის ნატეხს უნამცეცებ, -
ბოლომდი არ ხარ დარწმუნებული:
შენ თუ, ვიღაც სხვა აკეთებს
ამ ყოველივეს.

მაგრამ როცა ფანჯარას ხურავ
და საკუთარ თავში ჩამყუდროვდები,
სწორედ მაშინ მოფრინდება ბეღურა
და იმის ნისკარტი ისეთივე ხმას გამოსცემს,
როგორსაც შენი საწერ-კალამი,
როცა ცარიელ ფურცელზე აგრძელებს
შენი ნამცეცების კენკვას.

*12.X.2000 წ.*

* * *

ვემშვიდობები ოთახს,
იგი ჩემთვის ცოცხალი არსებაა -
თავის კედლებით, ჭერით, იატაკით
და რაც მთავარია ფანჯრებით,
წასვლისას რომ თვალს მაყოლებენ.

მართალია სურათები დროდადრო ქრებიან ჩარჩოებიდან,
ეს მაშინ, როცა სახლში არავინ რჩება მათ გარდა
და თავისუფლად დასეირნობენ უჩვენო სახლში,
სადაც ყველაფერს სიჩუმის მოძრაობა განაგებს,
მზის ლაქა რომ ავლენს შეუმჩნეველი რხევისას.
ამ დროს ოთახში
ბავშვის ტანსაცმელიც ფეხს იდგამს
და თოჯინებს ეთამაშება.

ეს ყველაფერი კარის ღრიჭოდან დავინახე
და მომერიდა სახლში შესვლა,
საგნებისთვის რომ სიმყუდროვე არ დამერღვია.
ისიც კი გავიფიქრე,
იქნებ, უყვართ კიდეც ერთმანეთი ამ მდუმარ საგნებს,
რომელთა საუბარი ძილ-ღვიძილში ზოგჯერ ჩამესმის.

*22.X.2000 წ.*

* * *

სადღაც სუნთქავენ მწიფე კომშები
და ვხვდები გული რად მეკუმშება,
შემოდის ბავშვი გაოცებული
თმახუჭუჭა და ოქროსქოშება.

ცოცხლდება ზოგჯერ ძველი ზღაპარი -
დედის ხმა, სახე, ტემბრი მზრუნველი
და ბავშვობისკენ თვალს გააპარებს
დღე გაჟღენთილი კომშის სურნელით.

იმ ბავშვობიდან ამ სიბერემდი
ყოველი წელი სადღაც გამქრალა
და წუთი, სიბრძნეს რომ იფერებდა,
მიფრინავს, როგორც ბოლოქანქარა.

*28 აგვისტო, 2000 წ.*

* * *

დამუნჯდნენ ბაღის ფერადები,
აღარაფერს არ მკარნახობენ.
ვიღაცას ვუცდი,
მარად უცნობს, თანაც ახლობელს;

მეუცხოება ეს ხალხი დღესაც,
დაბადებიდან აქ რომ სახლობენ
და მე არ ვიცი, როცა კვდებიან,
რად ეჩვენებათ: თავი გასწირეს!
მხოლოდ მუსიკა და ისიც ძველი,
დღევანდელ ყოფას ისევ ამცირებს...

ის, ვინც დაბრუნდა დიდი ხნის მერე
და ჩაუარა ხეებს ახოვნებს,
მხოლოდ ის წუთი თუ შეაყოვნებს
თავმოყრილია სადაც ყველა ხმა -
ვინც ტირის, მღერის ანდა ვინც კივის,
ვისაც ბაგეზე სიტყვა შეახმა,
ვინც წუთი იგრძნო გულში ბიძგივით.



თითქოს ყვავილმა ფეხი აიდგა
და ოთახიდან ოთახში დადის
ბავშვი, რომელმაც არ იცის დარდი
და თავისნაირ ლარნაკში ვარდებს,
ისე უყურებს თითქოს უეცრად
აღმოაჩინა ტყუპისცალები...
მე სარკის სივრცეს თვალს ავარიდებ
და მეშინია სარკის თვალების.

აქ ყველაფერი მუდამ იწყება
ზოგჯერ უკვალოდ ან ნაკვალევით...
სახლის სიჩუმეს ქსოვენ ქალები
და ყოველ ბგერას თუ მოძრაობას
უნდა იმ დროის ჩუმად გალევა,
მუდამ რომ არის და იმალება.

*7.X.2000 წ.*

* * *

გარეთ ადგილი აღარ არის,
გარეთ სივრცე აღარ არის...

თვალები შიგნით იყურებიან,
სადაც უფრო ადვილია სუნთქვა,
სადაც თავის აღმოსაჩენად
ვიძირები, ვიძირები, ვიძირები...

გარეთ ადგილი აღარ არის,
მაგრამ მაინც მოძრაობენ ერთი მიმართულებით,
სადაც მუდამ დარჩენა შეუძლებელია
და საიდანაც სულ რაღაც მიაქვთ
შთაბეჭდილების მსგავსი,
იგივე მიმართულებით,
დამუნჯებულ სამყაროსკენ მოძრაობენ.

გარეთ ადგილი აღარ არის,
საითკენაც ფანჯრის თვალები გაიხედავენ -
ან თვალების ფანჯრები რაიმეს აღმოაჩენენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამ ძველი მეტაფორებისა -
ჭუჭრუტანებადაც რომ არ გამოდგებიან,
რადგან დაგმანულია ყველა გასაღწევი -
საკუთარ თავში ჩასაძრომის გარდა.

გარეთ ადგილი აღარ არის...

უფსკრულის ბაგეებივით რაღაც იხსნება ჩემში,
იქ შეიძლება ჩაკარგვა,
ჩაკარგვა, ჩაკარგვა...

ამ ცხოვრების შთაბეჭდილებები
არსებობენ დასავიწყებლად.

სხვას ვეღარ აგრძნობინებ როგორ ემზადები იმისთვის,
რისთვისაც სხვებიც ემზადებიან
და სხვადასხვა გზით მიდიან
მრავალსიტყვაობის მომაკვდინებელ სიმუნჯისკენ,
სადაც სიტყვები დუმილის ჭაში ცხოვრობენ.

გარეთ ადგილი აღარ არის,
პირჯვრის გადასაწერ სივრცეს
ძლივს პოულობს ხელი,
რომელიც სწრაფადვე ქრება,
შუბლზე გადარბენილ ჩრდილივით
და დიდი დრო არ სჭირდება
მუშტად რომ იქცეს.

*6.V.2000 წ.*



### და ა.შ.

ქარი, მოძრავი პეიზაჟი:
ხეებსაც კი გაქცევა უნდათ
და ეს ქალაქიც ქალაქიდან გაქცევას ცდილობს
და ყველა კარი ჭრილობაა, როცა იღება
და ეს ჩიტებიც საკენკს ამაოდ დაეძებენ
და მიფრინავენ ქალაქიდან,
სადაც ყვავილიც ვერ პოულობს
გასაშლელ ადგილს
და სისხლივით სდის მიწას ბალახი
და მათხოვრები სხეულების ნანგრევებიდან
ხელებს იწვდიან:
- რა ღირს სიკვდილი?!

ხომ შეიძლება საკუთარ თავში ჩავიმარხო,
რადგან საფლავის მიწა ძვირია?!

უხმო სიტყვები თვალებიდან იმზირებიან
და ცხადად ვხედავ თუ საიდან ამოდის ბინდი -
მალე რომ ღამედ გადაიქცევა
და გადაყლაპავს საკუთარ თავს და
ქალაქს მთლიანად
და იმათაც, ვინც გაქცევა ვეღარ მოასწრო,
ვინც მოქანავე პეიზაჟებს ვერ შეუერთდა
და განაგრძობს თავის სხეულში
საფლავის თხრას:
- ამ ქალაქში რა ღირს სიკვდილი?!

*10.VI.2000 წ.*




ბედ ფრენდი

# უდაბნოში ჩავლილი წლები

## პოლ ბოულზის რომანი "ზეცის საფარველი" 50 წლისაა

რომანის დასაწყისში ამერიკელი მოგზაური პორტ მორსბი უმიზნოდ დაეხეტება ალჟირის ქალაქ ორანში. მას გამოელაპარაკება ვინმე არაბი სმაილი, ნორჩ მოცეკვავე გოგონასთან დროსტარებას შესთავაზებს და მის კარავში წაიყვანს. გოგო ჩაის უმზადებს მორსბის და კუნაპეტივით შავი თვალებით შესცქერის. მოგზაური შენიშნავს, რომ მას შუბლი ინდიგოსფრად აქვს მოსვირინგებული. გოგო შეეკითხება: აუტკას, მიმუნისა და აიშას ამბავი თუ გსმენიაო და თხრობას დაიწყებს; ფრანგული არ იცის და მის სიტყვებს სმაილი უთარგმნის ამერიკელს.

აუტკა, მიმუნი და აიშა მთიელი მოცეკვავე გოგონები იყვნენ, რომელთაც ერთი დიდი ოცნება ჰქონდათ - გაემართათ ჩაის სმა საჰარაში. სიყვარულში მრავალგზის ხელმოცარვის შემდეგ, გოგოებმა შეაქუჩეს ფული, იყიდეს დიდი ჩაიდანი, ჩაის ჭიქები და ქარავანს უდაბნოში გაჰყვნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს საჰარასაც მიაღწიეს. აქ ისინი აქლემებიდან ჩამოცოცდნენ და უდაბნოს ფეხით გაუყვნენ. წინ კი, ჰორიზონტამდე მხოლოდ ქვიშის ბორცვები მოჩანდა ურიცხვი და ერთმანეთზე უფრო მაღალი. იარეს გოგოებმა, იარეს და ბოლოს ყველაზე მაღალი დიუნის თავზე შეისვენეს. ამოალაგეს მთელი ჭურჭლეული და ჩაის სმის დასაწყებად ყველაფერი მოამზადეს. ოღონდ, ვიდრე ოცნებას აისრულებდნენ, გადაწყვიტეს ქვიშაზე მიწოლილიყვნენ და ცოტა წაეძინათ.

"მრავალი დღისა და მრავალი ღამის შემდეგ - არაბი წამით შედგა და მორსბის შეაჩერდა, - როცა იქვე ახლოს სხვა ქარავანმა ჩაიარა, ვიღაც მგზავრმა ყველაზე მაღალი ბარხანის თავზე რაღაც დალანდა. მექარავნეები ბორცვზე ავიდნენ და წამოწოლილ აუტკას, მიმუნსა და აიშას წაადგნენ. გოგოები სწორედ ისევე იწვნენ, როგორც ოდესღაც მოეწყვნენ წასათვლემად. და სამივე ჭიქა - არაბმა ჩაის პატარა ჭიქა აწია - ქვიშით იყო სავსე. აი, ასე დასრულდა მათი ჩაის სმა საჰარაში".

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. ალბათ სწორედ ეს იყო ამბის დასასრული. მორსბი შეფიქრიანებულია. ხოლო მკითხველისთვის, ვინც ბოულზის წიგნებს იცნობს, ნათელია, რომ ეს არის არა მხოლოდ უდაბნოში ჩაის დასალევად გამგზავრებული გოგონების ამბის დასასრული, არამედ, გარკვეული აზრით, მთელი რომანის დასასრუ-

ლიც. ცოლ-ქმარი პორტ და ქითი მორსბებიც, თავიანთ ახლობელ თანერთან ერთად უდაბნოსკენ აიღებენ გეზს. ხოლო ბოულზის ნაწარმოებში თუკი პერსონაჟი უდაბნოს მიელტვის, უნდა ვიცოდეთ, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად ჰპოვებს მას. მოთხრობაში "შორი შემთხვევა", რომლის "არსის" ხორცშესხმა სურდა მწერალს (საკუთარი აღიარებით) რომან "ცის საფარველში", ლინგვისტიკის პროფესორს ის მომთაბარე ტომი გაიტაცებს, რომლის ენის შესასწავლადაც იყო იგი ჩასული. აბორიგენები ენას მოკვეთენ მას, კონსერვის ყუთებს მიამაგრებენ და აიძულებენ მათ გასართობად იმაიმუნოს. "ნაზ ნადავლში" დახოცილთა თანატომელები ყელამდე ქვიშაში ჩამარხავენ მკვლელს.

"ისინი თვალს მიეფარნენ და მუნაგრიელი გაჩუმდა. უცდიდა, როდის გაივლიდა ღამის სუსხით სავსე საათები, რომელთა შემდეგ მზეს ჯერ პირველი სითბო მოჰყვებოდა, შემდეგ კი სიცხე, წყურვილი, მოვარვარე ცეცხლი, ჰალუცინაციები. მერე მან უკვე აღარ იცოდა, სად იმყოფებოდა და ველარც სიცივეს გრძნობდა. ქარს ქვიშა მოჰქონდა, კაცს ქვიშით ევსებოდა პირი, ის კი მღეროდა".

პ.ბოულზმა მთელი ათასწლეულით შეაფერხა ტურიზმის განვითარება საჰარაში. გარდა ამისა, მან დაარღვია მწერლობის დაუწერელი კანონი, რომელიც იძლეოდა ერთგვარ გარანტიას, რომ მთავარი გმირი, რომელთანაც მკითხველი სხვებზე მეტად ახდენს თვითიდენტიფიცირებას, წარმატებას მიაღწევს ან, სულ მცირე, ემა ბოვარის მსგავსად, რომანის ბოლომდე მაინც გაუძლებს ბედუკუღმართობას; აქ კი მას უკვე თამამად შეიძლება გამოუყვანო წირვა და მკითხველს სულში მელანქოლიის სასიამოვნო განცდა ჩაუტოვო. სულ სხვა ვითარებაა ბოულზის სამყაროში: ახალბედა სტუმრებიც კი ფეხის შემოდგმისთანავე გრძნობენ, რომ აქ ვარდნისგან დამცავი ბადე უძირო უფსკრულის კიდეებს შორის არის გაჭიმული და ძრწოლით ელიან, როდის დაიწყება წარმოდგენა ცირკის გუმბათქვეშ. და მაინც, ძრწოლა - ეს მხოლოდ ბოულზის სამყაროში შესვლის საფასურია: დაემორჩილო "ციური საფარველის" ზემოქმედებას, იმას ჰგავს, რომ დაეთანხმო უნარკოზოდ ჩაგიტარონ გულის გადანერგვის ოპერაცია - უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში, საერთოდ, გულის გარეშე მოგიწევს ცხოვრება.

პოლ ბოულზი ლონგ-აილენდელი კბილის ექიმის ვაჟი იყო და მთელი სიცოცხლე გაურბოდა სტომატოლოგიას, ლონგ-აილენდს და ვიღაცის შვილიკოდ მიჩნევის ხვედრს. ავტობიოგრაფიულ წიგნში "შეუჩერებლად" ბოულზი ყოველგვარ ახსნა-განმარტებათა გარეშე წერს, რომ მის ოჯახში ჰქონდათ შვილებისთვის სიფათის ჩაქუჩით "მოლამაზების" ტრადიცია; რომ იგი ექვსი კვირისაც არ იყო, როცა მამამ თოვლჭყაპში მიაგდო; და რომ ერთხელ ღამით საყასბო დანა გაუქანა მამას.

"ცის საფარველის" საიუბილეო გამოცემას საშუალება უნდა მოეცა ჩვენთვის, შეგვეფასებინა, რა მანძილით გაექცა ბოულზი საკუთარ სახლს. ფაქტობრივად კი, ეს ახალი გამოცემა ისევ ვერაფერში დაგვეხმარება, როგორც თვით ბოულზი, რადგან, ჯერ ერთი, დაგვიანებულია (შარშან შემოდგომაზე, როცა წიგნი გამოვიდა, 1949 წლის პირველი პუბლიკაციიდან 51 წელი იყო გასული) და თანაც მეტისმეტად მწირია. რედაქტორებს, როგორც ჩანს, ფარ-ხმალი დააყრევინა საყოველთაოდ დამკვიდრებულმა აზრმა, რომ "ცის საფარველი" ინტერპრეტაციებს ვერ ჰგუობს (ბერნარდო ბერტოლუჩის 1990 წელს დასრულებულმა ფილმმა ვერ შეძლო გადმოეცა რომანის საშინელებით სავსე ატმოსფერო; ნაცვლად ამისა, იგი ნამდვილად საშინელი ეკრანიზაციის ნიმუშად იქცა). ასე რომ, წიგნში შეიტანეს ერთადერთი ინტერპრეტაცია: ბოულზის მეგობრის ტენესი უილიამსის წერილი



"ადამიანისა და საჰარის ალეგორია", სადაც ნაწარმოები დახასიათებულია, როგორც "ალეგორია სავსებით ჩამოყალიბებული ადამიანის მოგზაურობისა თანამედროვე გამოცდილებაში" (როცა სტატია იწერებოდა, აშკარად რაღაც ბუნდოვანება უნდა არსებულიყო სიტყვა "ალეგორიის" შინაარსთან დაკავშირებით). თავის ჯუჯა წინასიტყვაობაში ბოულზი იხსენებს, რომ ნაწარმოები უკუაგდო გამომცემლობა "დაბლდეიმ", რომელთანაც უკვე ხელმოწერილი ჰქონდა კონტრაქტი, რადგან იგი "რომანად არ მიიჩნია" და მხოლოდ დიდი გაჭირვებით მოხერხდა "ნიუდაირეკშნზში" მისი დასტამბვა, თანაც სულ რაღაც 3500-იანი ტირაჟით. ის გარემოება, რომ ავტორმა ნახევარი საუკუნის შემდეგაც ვერ მოინელა ეს ამბავი (ხოლო ბოულზი თავის მაშინდელ აგენტსაც უტრიალებს ცოცხალმკვდარს), თვალნათლივ მოწმობს - საქმე გვაქვს ნამდვილ მწერალთან.

ეს კი სულაც არ იყო უეჭველი ფაქტი იმ პერიოდში, როცა 36 წლის ბოულზმა "ცის საფარველის" წერა დაიწყო. მაშინ დიდხანს ნახეტიალევი ექსპატრიანტი, ბოლოს და ბოლოს, მაროკოში დასახლება რომ გადაწყვიტა, ცნობილი იყო როგორც სულში ჩამწვდომი მელოდიების ავტორი - კომპოზიტორი, ვისაც თვით აარონ კოპლენდი უწევდა პროტექციას. მაგრამ ბოულზს უკმარისობის გრძნობა ტანჯავდა - მუსიკის მეშვეობით ვერ აღწევდა "სრულ განწმენდას", ამიტომ მწერლობაში გადაბარგდა და სპრინტერული აჩქარებით შექმნა რამდენიმე თავაწყვეტილი, მძაფრი, პირქუში მოთხრობა. პირველი რომანი მან, ფაქტობრივად, მხოლოდ იმიტომ დაწერა, რომ მოთხრობების კრებული გამოექვეყნებინა. ბოულზი იმ დროს ფესში ცხოვრობდა და თამამად შეჰქონდა ნაწარმოებში უშუალოდ ცხოვრებიდან სწორედ იმ დღეს ამოხაპული დაკვირვებები, როცა ესა თუ ის მონაკვეთი იქმნებოდა, თანაც მაინცდამაინც არ იტკიებდა თავს იმაზე ფიქრით, რამდენად ორგანულად ჩაეწერებოდნენ ისინი ერთიან მხატვრულ ქსოვილში, როცა ნაწარმოები გასრულდებოდა. ძირითადი სიუჟეტური კურსიდან კიდევ უფრო მნიშვნელოვან გადახრებს ის გარემოება განაპირობებდა, რომ მწერალი მეტისმეტად მიეძალა ჰალუცინოგენურ პასტა მაჯუნს.

ყველაფერ ამის შედეგად შეიქმნა ისეთი თვისებების მქონე ხელნაწერი, რომ უფრო გონივრული იქნებოდა ავტორს პირველი ტირაჟი, ნაცვლად იმისა, რომ შეუხორცებელ იარად ჩარჩენოდა გულში, ყველაზე ოპტიმისტური იმედების ხორცშესხმად ჩაეთვალა. ბოულზის წიგნი ქვას ქვაზე არ ტოვებდა მოგზაურობისადმი, როგორც გონებრივი თვალსაწიერის გაფართოების საშუალებისადმი, ევროპელ-ამერიკელთა პიეტეტისგან. იგი აცამტვერებდა დასავლურ იდეალებს ცხოვრების შეუბილწავი წმიდათა წმიდა საძირკვლისა და ფუნდამენტური ადამიანური



პატიოსნების შესახებ. ეს გულცივი, უცხო, არაამერიკული წიგნი არაფერს განადიდებდა საკუთარი სიზუსტის გარდა. მოგვიანებით გორ ვიდალმა თქვა - ბოულზი ისე წერს, თითქოს "მობი დიკი" ჯერაც არ იყოს შექმნილიო.

განცვიფრებას იწვევს, რომ ბოულზის მოდერნისტული ქმნილება ბესტსელერად იქცა. წიგნი ათი კვირის განმავლობაში შერჩა "ტაიმსის" სიას და პირველ წელს ორასი ათასზე მეტი რბილყდიანი ეგზემპლარი გაიყიდა. უილიამ კარლოს უილიამსმა ხმა შეუერთა ტენესი უილიამსს და "ცის საფარველი" პირველ ადგილზე განათავსა იმ წელს წაკითხული წიგნების სიაში. ნაწარმოები პოპულარობას უმთავრესად იმას უნდა უმადლოდეს, რომ ეგზოტიკურ სათავგადასავლო რომანად იქნა მიჩნეული. ეს მცდარი თვალსაზრისი იყო გამოხატული "ტაიმსის" რეცენზიაშიც "სექსი და ქვიშა": "ეს არის შიშისმომგვრელი ზესექსუალური ავანტიურა საჰარაში, სრულად დაკომპლექტებული ქვიშის ბარხანებით, სიმპათიური არაბებით, ფრანგი ოფიცრებითა და ჰარამხანით".

ათი წლის შემდეგ, როცა სექსისა და ბარხანების ირგვლივ ატეხილი აყალმაყალი ჩაცხრა, ხოლო შემდგომი რომანების წარუმატებლობამ ავტორს პროჟექტორების შუქი ჩამოაცილა, ნორმან მეილერმა განმარტა, რატომ შეიტკბეს ნელ-ნელა "ცის საფარველი" ხელოვნების მოყვარულებმა: "პოლ ბოულზმა ჰიპობის სამყარო აღმოგვიჩინა, - წერდა მეილერი, - მან კარი გაუღო მკვლელობებს, ინცესტს, კვადრატის (პოლ მორსბის) დაღუპვას, ორგიათა ძახილს, ცივილიზაციის აღსასრულს. მან მიგვიპატიჟა ამ თემებისკენ". ბოულზი აკრძალულის მესაყვირე იყო და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ბიტნიკი მწერლების ჭრელი კომპანია მის კვალს გაჰყვა. ტრუმენ კაპოტემ, უილიამ ბეროუზმა და ალენ გინზბერგმა როკ-ვარსკვლავებისა და ამ ჯურის სხვა უსაქმურებისგან შემდგარი მარგინალთა სამწყსო გაიყოლიეს ტანჟერისკენ, სადაც ისინი, ოსტატის ფერხთით მოკალათებულნი, მაჯუნსა და მიზანთროპიას ყლაპავდნენ. ბოულზი ნაკლებად სახელგანთქმული იყო, ვიდრე ბევრი მისი სტუმარი. ჯგუფურ ფოტოებზე ვხედავთ მის გამხდარ ფიგურას - კადრის კიდესთან დგას, ხელში სიგარეტი უჭირავს და ობიექტივისკენ უნდობლად იმზირება. და მაინც, ვფიქრობ, მთელ ამ ჭრელაჭრულა ჯგუფში, როგორც ხელოვანი, ბოულზი ყველაზე დღეგრძელი აღმოჩნდება.

პორტრეტული ფოტოკამერის მსგავსად, ბოულზის ხატოვანებას მოკლებული ხმა აბსოლუტური ობიექტურობის ერთგვარ ნაირსახეობას გვთავაზობს; ხოლო მწერლის თხრობის მანერა, საქციელს დეტალურად რომ აღწერს, მისი მოტივების შესახებ კი არაფერს გვეუბნება, იდეალურად მიესადაგა რომანის უსიცოცხლო პერსონაჟებს. ნაწარმოები იწყება იმით, რომ პორტი, ქითი და თანერი გემით ჩადიან ორანში. ჩვენ ბოლომდე ვერ გავიგებთ, როგორ გაიცნეს მათ ერთმანეთი, საიდან ჩამოვიდნენ ან საით მიემართებოდნენ. საუბარია მხოლოდ უდაბნოს ხილვის რაღაც ბუნდოვან სურვილზე. პორტი დილეტანტი მწერალია, სარკასტული და თავგზაარეული, მთელი არსება შინაგანი სიცივით აქვს გათოშილი და ამას ვერაფერს შველის. მისი ცოლი ქითი, რომელიც ქმართან უკვე თორმეტი წელია ცხოვრობს, კარგი გარეგნობის ნერვებაშლილი ქალია, სხვა ადამიანებს ისევე არაფრად აგდებს, როგორც "მარმარილოს ქანდაკება მასზე მცოცავ ბუზებს". თანერი კი ლამაზი და გონებაჩლუნგი მამაკაცია. ახალი თაობის ამ მოხეტიალეთაგან არც ერთი თანაგრძნობასთან ოდნავ მიახლოებულ დამოკიდებულებასაც კი არ იწვევს. მოგზაურები სამხრეთისკენ მიემართებიან და დროდადრო მათი გზა ლაილების მარშრუტს გადაკ-

ვეთს ხოლმე; ეს არის ბრიტანელი დედა-შვილი - ნამდვილი კლოაკა ისტერიისა, უზნეობისა და გახრწნილებისა. მას შემდეგ, რაც პორტი მოცეკვავე გოგოსთან გაატარებს ღამეს, ქითი თავს აცდუნებინებს თანერს, რის შემდეგაც პორტი თანერს ლაილებს ჩაატოვებს ხელში და თვითონ ქითისთან ერთად გარბის კიდევ უფრო შორეული ქალაქებისკენ იმ იმედით, რომ ცოლი და ქმარი იქ შეძლებენ, თავიანთ სულთმობრძავ ქორწინებას ახალი სიცოცხლე შთაბერონ. ქითის სულ უფრო მეტად ეეჭვება ეს. ხოლო როცა ადგილობრივი კოლორიტის ძიებაში მეოთხე კლასის ვაგონში მოხვდება, ქალი იგრძნობს, რომ ყოველგვარი ადამიანური თანალმობის უნარს უკარგავს.

"ქითის გზას უხერგავდა ველურსახიანი კაცი. მას ხელში ეჭირა ცხვრის მოჭრილი თავი, რომლის გიშრისფერი თვალები უძრავად გაშეშებულიყვნენ ბუდეებში. "ოჰ!" - ამოიოხრა ქითიმ. კაცმა ფლეგმატურად ამოხედა მას და არც კი განძრეულა, რათა ქალს გავლა მოეხერხებინა. ქითი მთელი ძალების დაძაბვით ცდილობდა გვერდი აევლო მისთვის და ამ დროს კაბით ცხვრის სისხლიან კისერს გაეხახუნა... ქითიმ ზურგი შეაქცია წვიმას, რკინის სახელურს ჩაებღაუჭა და შეაჩერდა ყველაზე ამაზრზენ ადამიანურ სახეს, როგორიც ოდესმე ენახა. ამ კაცს ტანთ ევროპული ძონძები ეცვა, თავზე კი ტომარა ჩამოეფხატა. ცხვირის ადგილას მას ბნელი სამკუთხა ორმო უჩანდა, ხოლო კბილებზე უცნაურად მიბრტყელებული ტუჩები ერთიანად გათეთრებოდა. სრულიად უმიზეზოდ, ქითის ლომის თავი აგონდებოდა და თვალს ვერ აშორებდა ამ სახეს". ქითის უნდობლობით სავსე გახევება ეს არის ბუნებრივი, თუმცაღა ერთობ გულცივი რეაქცია სხვების ადამიანურ ჯოჯოხეთთან შეხებაზე. პორტს კი რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ეუფლება და სასიცოცხლო ძალას აცლის რწმენა, რომ სამყაროს არსებობა ყოველგვარ აზრს არის მოკლებული. ქედიდან, რომელიც უდაბნოს გადაჰყურებს, პორტი და ქითი მზის ჩასვლას უყურებენ.

"- აქ ძალიან უცნაური ზეცაა, - თქვა პორტმა, - ხშირად, როცა მას ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ცა მყარი იყოს და რაღაც ისეთისგან გვიცავდეს, რაც მის მიღმაა.

- რაც მის მიღმაა? - ქალი შეიშმუშნა, როცა ამას ეკითხებოდა.

- კი.

- ხო მაგრამ, რა შეიძლება იყოს მის მიღმა? - ხმა ძალზე ჩუმი ჰქონდა.

- ალბათ არაფერი. მხოლოდ სიბნელე, უკუნეთი სიბნელე, აბსოლუტური ღამე და სხვა არაფერი".

ქითის წინათგრძნობა სტანჯავს და სურს უბედურებას გაექცეს. პორტიც უბედურებას მოელის, ოღონდ, კი არ გაურბის, მიელტვის მას. იგი კვადრატი კი არ არის, როგორც ამას მეილერი ისურვებდა, არამედ გულგატეხილი მოგზაურია, რომელსაც მხოლოდ ერთი სურვილი შერჩენია - დაისვენოს. მიუხედავად ქითისა და თანერთან ურთიერთობაში გამოვლენილი უსულგულობისა, პორტის ილაჯგამწყვეტი ძიება ძალიან ნელა, მაგრამ მაინც აღძრავს მისდამი სიმპათიას. დაახლოებით რომანის შუაგულში, როცა ის უკვე საკმაოდ მოგვწონს, პორტს ტიფი შეეყრება, ცნობამიხდილი წევს სბას გარნიზონში მტვრიან იატაკზე და სიკვდილს ებრძვის. ცოლი თავთით უზის და ცდილობს წვნიანი შეახვრეპინოს. ქარი კი კარს აყრის უდაბნოს ქვიშას და პორტის მთელი ძიებების კულმინაციად აგონია და ბოდვა იქცევა.

"მრავალფეხას შეუძლია; თუ გინდაც დაანაკუწო, მაინც შეუძლია; ყოველი ნაგლეჯი დამოუკიდებლად გადაადგილდება; ეგ რა არის, იატაკზე ცალ-ცალკე დაყრილი ყოველი ფეხი თავისთვის მოძრაობს.

თითოეულ ყურში ყმუილი ჩაესმოდა, სხვაობა მათ ტონალობაში იმდენად ვიწრო იყო, რომ ვიბრაცია ახალთახალი მონეტის ძგიდეზე ფრჩხილის გასმას აგონებდა".

ჩვენს თვალწინ ჯერ პორტის იერი წაიშლება, შემდეგ კი - მისი ცხოვრებაც. იმ მკითხველებმა, რომლებიც რომანის კითხვისას ენდობოდნენ პორტს, დაივიწყეს, რომ ბოულზს არ უნდა ენდო. ასეა თუ ისე, პორტი ბოლოს სიმშვიდეს ჰპოვებს: "მიდი, მისწვდი, გახიე ცის თხელი საფარველი, დაისვენე" - პორტი იმავე ვარსკვლავიერ მტვერს უბრუნდება, რომლიდანაც ყველა ვიშვით და მისი სახელის სემანტიკაში ჩადებულ გეოგრაფიულ დაპირებას ასხამს ხორცს: ის არის საწყისი და ბოლო პუნქტი მოგზაურობისა.

რომანის დარჩენილ ნაწილში უკვე ქითი განასახიერებს საკუთარ სახელს: იგი იქცევა ერთგვარ საგზაო ჩანთად, სხვათა ვნებების თავმოსაყარ ადგილად. პორტის სიკვდილის შემდეგ მას ტრავმული ამნეზია დაეწყება და სამხრეთისკენ მიმავალ აქლემების ქარავანს გაჰყვება. საჰარის გადაკვეთისას მექარავნეები ყოველ ღამე აუპატიურებენ ქალს. შემდეგ მას დაუნდობლად სცემენ და მოწამლავენ კიდეც. მიუხედავად ამისა, როცა ამერიკის ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს მოახერხებს მის ჩაყვანას ირანში, ქითი ისევ ცდილობს გაიქცეს... საით? - ალბათ, ისევ იქ, უდაბნოში.

მას შემდეგ, რაც პოლ ბოულზმა გარყვნილებას მოწყურებულ, მაგრამ ამ საქმეში გაუწაფავ აუდიტორიას "ცის საფარველი" აჩუქა და ამით ჰიუ ჰეფნერს გაუკვალა გზა, ნახევარი საუკუნე გავიდა. რაღას გვთავაზობს ბოულზი დღეს, როცა სექსი და ჰიპური სულისკვეთება უკვე იმდენია, რომ ლამის ყველაფერი წალეკოს? თანამედროვე მკითხველს ბოულზი სთავაზობს არა ალტერნატიული ცხოვრების მოლანდებას, არამედ, საერთოდ, ყოველგვარი ცხოვრებისგან გაქცევას. შესაძლოა, ავბედითად ჟღერდეს, მაგრამ ეს სიმართლეა. წერილში გამომცემლისადმი ბოულზი "ცის საფარველის" შესახებ ამბობდა: "ჩრდილს ვერსად ჰპოვებ, მზე სულ უფრო დამაბრმავებლად კაშკაშებს, მოგზაურობა კი გრძელდება, რადგან არ არსებობს ოაზისი, სადაც შეიძლებოდა შეჩერებულიყავი". ბოულზს უყვარდა კაფკას სიტყვების ციტირება: "გარკვეული წერტილიდან უკან მიბრუნება უკვე შეუძლებელი ხდება. და ეს ის წერტილია, რომელსაც უნდა მიაღწიო". ქითი გადარჩება, საკუთარ შეშლილობას ჩაებღაუჭება და ამ გამოცდას ვერ ჩააბარებს; პორტი კი, თავისი სიკვდილით, ჩააბარებს.

ასეა თუ ისე, ბოულზი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეძებდა სიკვდილს და, ალბათ, ბედის დაცინვად ეჩვენებოდა ის ფაქტი, რომ იგი დაუსრულებლად, ხანგრძლივი ათწლეულების განმავლობაში ჩარჩა ტანჟერში. ბოლო გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც 1998 წელს დაიწერა, ის ამბობს: "რომანი ჯანსაღი დაიბადა და ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, იგი ავტორზე უფრო ცოცხალიც კი არის". ერთი წლის წინ, 88 წლის ასაკში პოლ ბოულზი გარდაიცვალა. რომანი ისევ ცოცხალია. ეს საშველად მომხმობი კივილი არ ჩუმდება, ათას ექოს გამოსცემს და რაღაც შემაშფოთებლად ემსგავსება გამარჯვების საზეიმო ყიჟინას.

*"ნიუ იორკერი", 15 იანვარი, 2001 წ.*

ინგლისურიდან თარგმნა მიქელ ირემაძემ

არილი

ემზარ კვიტაიშვილი

# სიცარიელე

(პოემა)

დღეს ვამხელ - ათ წელზე მეტია, ამ საშინელების დაწერა მინდოდა და ყოველთვის ფეხს ვითრევდი, შეკავებული მოლოდინით ვთვრებოდი. ეს არ იყო სიზარმაცე. არც ახლა გახლავთ მთლად იოლი დასაძლევი ყოვლის გამხელა, სამზეოზე გამოტანა, აშკარად, ჯიქურ თქმა იმისა, რაც ყველა თქვენგანმა ისედაც კარგად იცის. რამდენჯერ მოხდა ის, რისიც მეშინოდა: მიზანი - მიზნად, სურვილი - სურვილად დამრჩა. რა მექნა, გავბედე, მეტი გადადება ცოდვის გადიდება იქნებოდა.

* * *

ძველ ჩინელებს მიაჩნდათ, რომ ქაოსიდან თავდახსნილი დაოს კოსმოსი სამყაროული "სიცარიელე-ენერგიის" ნელმა შემკვრივებამ წარმოშვა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაწერილ ერთ ჩინურ ტრაქტატში ნათქვამია: "დაო უსაზღვრო სიცარიელეში დაიბადა". ამავე სიცარიელეში გაჩნდა დრო და სივრცე... სიმშვიდემ ცა და მიწა ერთმანეთისგან გამიჯნა. ძველი ბერძნები იმთავითვე მიხვდნენ - სიცარიელის გარეშე მოძრაობა ყოვლად შეუძლებელი გახდებოდა (ახლა იოლია ამის დანახვა). ბგერაც ჰაერში უნდა დაირხეს, გახმიანდეს, მუსიკას სიცარიელე სჭირდება. წმინდა კაცი, ადამიანის სულისა და აღნაგობის ულრმესი მცოდნე, დიდი ღვთისმეტყველი გრიგოლ ნოსელი ამბობს და უნდა ვენდოთ - დაპირისპირებულთა მონაცვლეობა განუწყვეტელია, სისავსე და სიცარიელე გადაბმულად ეხლართებიან ერთმანეთს. ზუსტად ასევეა ძილი და სიფხიზლე; მათაც სჩვევია, ასულდგმულებს ადგილშენაცვლება... დაღლა რომ არ დაეტყოს, ბუნებას შესწევს უნარი - თავი განიახლოს. ძაფებად გაწელილ ბაყაყის ქვირითზე დამჩნეული შავ-შავი წერტილები და დამამლულ კვერცხში, სანთლის ალზე, გალანდული რგოლი - სიცოცხლეა. მეჩვენება, ყველაზე მეტად, სიცარიელე კვერცხს ემუქრება. საკმარისია - ნემსის წვერით გახვრიტო და იოლზე იოლია მისი დაცლა, გამოსრუტნა. დღემდე არ უარუყვიათ თეორია, რომ სამყარო გიგანტური კვერცხის უეცარმა, უმძლავრესმა აფეთქებამ დაბადა; შავ უსასრულობაში განიბნენ მაშინ ციური სხეულები; ბოლავდნენ, იწყეს მიჩენილ წრეებზე სრიალი, სრბოლა. ამომიკითხავს - სხვა სიმაღლიდან წამოილო ღმერთმა უთვალავი თესლეული, იქ მიფანტ-მოფანტა ქარის ხელით, ცის ნამი ასვა, აღმოაცენა, გაახარა, გააშენა სიზმარში ნანახი ნაყოფსავსე ბაღი, ბოლოს ჩვენ რომ შევსეოდით.

* * *

პირველად ერთი კაცის (სახელმწიფო მოხელის) საწერ მაგიდაზე ვნახე პლასტმასის მუქი ყავისფერი, მჭიდროდ შეკრული კოლოფი, წიგნის ფორმისა. ეს იყო შევჩენკოს "კობზარი", ალბათ საკანცელარიო წვრილმანების (სამაგრები, ჭიკარტები) ჩასაწყობი ნივთი. თავი ფრთხილად ავკეცე და ჩავიხედე. შევწუხდი, სიცარიელე შემომეფეთა. წიგნის ფიტული აღმოჩნდა. ეს იყო გამომშრალი, ძარღვებგადაჭრილი, შიგნეულამოცლილი არარაობა. მალე (ოღონდ სხვა მაგიდაზე) იგივე ბედი ეწია უილიამ შექსპირის ტრაგედიებსაც. შექსპირის ერთ-ერთი, ნიღბიდან დახატული, სანთელივით უძრავი სახის მიღმაც ილანდება შავი სიცარიელე, რისი შევსებაც, დღემდე, ვერა და ვერ ხერხდება. ბევრჯერ მივეახლე, მსურდა შემეცნო, ვინც ამა ქვეყნის მტანჯველ სიცარიელეს, მწარე ხაპივით გაბერილს, ყავარჯენს უკაკუნებდა, დამცინავად ეთამაშებოდა (იგი პროზად დაწერილი ერთი მეტად უცნაური, აუხსნელი პოემის ავტორია; ნაბოკოვი მის ერთ, სასწაულით გადარჩენილ ფოტოს აკვირდებოდა, უკვირდა ამ კაცის არსებობა; იშვიათი გარეგნობის გამო, რელიქტურ ხვლიკს შეადარა).



* * *

ყოველ დილა-საღამოს ვიტანჯები, სხვადასხვა დროს მიფიქრია და მითქვამს - ნუთუ სრულებით არ გაშინებთ, ადამიანი დიდი ღრუ, სიცარიელე რომაა, არაფერს რომ არ ნიშნავს ნეკნების თეთრ ბადეში ჩაჭედილი შიგნეული; არც ღვიძლი, ფილტვები, ელენთა, თირკმელები, მით უფრო, ნაღვლის ბუშტი... ყველაფერი პირწმინდად გაიწურება და გავა, ნალექსაც არ დატოვებს.. მოფართხალე გულიც ფორთოხალივით გამოხმება, როცა იქნება, მის წითლად დაკუნთულ კედლებშიც შემაშფოთებელი სიცარიელეა გამოკრული. სათქმელადაც არ ღირს, იმდენად აზრისგან დაცლილია თავად ჩემი ცხოვრება - მე რომ დროზე, თავიდანვე მეზრუნა, ცარიელ დღეთა ვეება აცმები მექნებოდა; დღემდე მიკვირს, იმ დღეებმა მიწას რომ არ ამგლიჯეს, არ გადამკარგეს. ძანძალს იწყებს ტან-ფეხი, ბოლო წლებში ისეთი უსიამო ფიქრები მეძალება... დავრდომილი მოხუცის ხილვისას უფრო ვხვდები, რაოდენ არაგამძლე, თქლაფი, იოლად დასაშლელი მასალაა ხორცი, მით უმეტეს, თაკარა ზაფხულის სიცხეში. ორიოდე კვირით ლოგინად ჩავარდნაც კი საკმარისია, გარბილებული, მოთანთალე ქსოვილი მყისვე რღვევას იწყებს - მკლავებზე, ნეკნებზე, თეძოებზე, ნანემსარებზე; მზადაა, მუცელსაც შემოაცვდეს, შემოეცალოს. ამავე ძრწოლას ეხმიანება ჩემი ერთი უთარიღო ჩანაწერიც (შიში ხომ უვადოა):

* * *

მერიდება თქმა, მაგრამ იძულებული ვარ (თანაც მერამდენედ), განვაცხადო - ადამიანი შიგნიდან ცარიელია. ამისკენ, უპირველესად, მიბიძგებს მუცელი - ღრუ, სი-

ცარიელე. აქვე მახსენდება დანით გაფატრული, გამოწელილი თევზი. ასევე, სამუმიედ გამზადებული, გაციებულ ცვილად ქცეული მიცვალებული, რომელსაც ირგვლივ გაზეთილი ტილო უნდა დაახვიონ, ჭუპრივით შეფუთონ და მერე, გამოსაშრობად, ჰაერში უსასრულოდ აკიბულ საუკუნეებს გადასცენ; იმაზედაც მიფიქრია (დოკუმენტურ ფილმში მინახავს) - რა თავზარდამცემია გრილ კატაკომბებში, ხარიხებზე გამწკრივებული, გაფიჩხული გვამები, რომელთა ნედლ ძარღვებში, ერთ დროს, მდუღარე, ალისფერი სისხლი წრიალებდა. იმ სურათმა მომაგონა ქონით გაპოხილ მორუხო, სქელ მუყაოში შეფუთული, წვრილი კანაფით გაკოჭილი, ცხლად შებოლილი ოქროსფერი, უწვენო სტავრიდა, ასე საეჭვოდ რომ მიახლოვებს სიცარიელეს, სიკვდილის გამყინავ განცდას. არ გაგიკვირდეთ და სწორედ ამ დროსვე წარმომიდგება ვეებერთელა, კათოლიკური ტაძრის ღია, ჭერმაღალი ინტერიერი; ეს გახლავთ ერთი უცნაური ნიდერლანდელი მხატვრის გრაფიკული ნამუშევარი. ფაქტურა მარმარილოა. სარკოფაგზე გაწოლილია მღვდელმთავრის ქანდაკება. გატოტილა ორკაპა მიტრა, შავ-თეთრად დასალტული გრძელი თავსარქმელი. იგრძნობ, რას ნიშნავს მიუსაფრობა, გავერანება. ეპისკოპოსს მკერდზე აზის მინდვრიდან შემოფრენილი და აბობლებული, თავკისერმოღრეცილი კალია - ღამეული სიცივისგან სახსრებშეკრული, შტერად მდგარი, თვალებაბზინებული... რომ იკადრო, ფეხი დაადგა და გასრისო, გატოკებასაც ვერ მოასწრებს, გაფრენაზე ხომ ფიქრიც არ შეეძლება; განზეც ვერ გახტება საცოდავი. ამნაირ მკვეთრ მოძრაობას ზაფხულის დამხრუკავი, წითელი ხვატი ჭირდება, რაც უკვე აღარ ეღირსება სიმინდისტაროსფერ, დასეგმენტებულ, შეუმჩნევლად, უხმოდ მკუთავ სხეულს. დიდი-დიდი (ისიც საგაისოდ) თოფისწამალივით მისისხნებული კვერცხების დაყრა მოასწროს. ვერ წარმომიდგენია, თქვენ თვითონ არ გაგახსენდეთ სალვადორ დალის საკმაოდ ცნობილი სურათი, მძაფრად ეროტიული ხასიათისა, რომლის აღწერასაც, მიზეზთა გამო, მოვერიდები. ნამდვილ შლეგად გაქცევს, ათასი უქმი საფიქრალის ამშლელია სიცარიელე. კუბოს დანახვა, სადაც არ უნდა იყოს, გუნებას მიწამლავს, მძმარავს. ისედაც ზომაზე მეტი ვიბოდიალე, რა მრჯის, რაღა ბევრი გავაგრძელო - ლეშის ჩარჩალა ჭურჭელი, სარკოფაგი, ასე მესახება: სიცარიელე სიცარიელეში.

* * *

სიცარიელის მეტყველ გამოხატულებად მიმაჩნია ვეება, ბოლოგაფარჩხული, ულვაშებით დათასმული, ჯავშნიანი კიბორჩხალი, რომლის წვრილთვალება ფიტულს, კედელზე მიკრულს და ჩამოგრძელებულს, ძალზე უსიამო გრძნობა აღუძრავს. ბევრ თქვენგანს უნახავს მარილწყალში მოხარშული წითელი კიბორჩხალები. ბარში შესულები, მკვრივად შემოსალტულ ჯავშანს აჯიჯგნიან, ხრაჭახრუჭით შემოაცლიან, სანამ კიდურებში შემალული ერთი ციცქნა თეთრი ხრტილები არ შერჩებათ ხელთ და გემოიანად აკნატუნებენ, ზედ ცივ, ქარვისფერ, ქაფმოგდებულ ლუდს აყოლებენ, თუნდაც ორიოდე ზანტი საათით რომ შეავსონ მომლოდინე, გაუმაძღარი ფაშვის ბუყბუყა სიცარიელე, საძილედ მოითენთონ. თავის მოტყუებაა ესეც; ვის რა შერჩენია ამ ცრუ, მოლანდებულ ქვეყნიერებაზე, რაც არ უნდა იცმუცნოს ადამის უმადურმა ძემ, მოკვდავის მუცლით ნაშობმა, როგორ ამოავსებს უძირო, ამოუყორავ, აყურყურებულ სიხარბეს? კეცა-კეცად ჩაჭუჭკულ-ჩალაგებული შიგნეული (ამის მიგნება სულაც არაა ძნელი) თავად გამოჭამს ნიადაგ მოუცლელ მუცელს, მომცელავ სიცარიელეს აჩენს. თუნდაც თავმოკრულ ჭიპს ქვემოთ გადაკრული კრიალა კანი მოიქავე, დააკვირდი, რა ყრუ, პახპახა ხმას გამოსცემს ჩაგუდული სიცარიელე, თეძოებს მიბჯენილი, მარილგამჯდარი, გიდელა, დაძარღვული ბუშტი, ავსებისთანავე რომ იცლება, ფერს იცვლის გაჭყლეტილი, დაჩუტული. "გარუმბული" - მუცელგაბერილ კაცზე ითქმის და, ცხადია, დამცინავად ჟღერს. მინახავს უხეში, ხორკლიანი რუმბი, წაყრონჭილი, კედელზე აყუდებული; ესაა დროებით ფორმამიცემული სიცარიელე, ჩხვლეტისთანავე რომ იკეცება.

* * *

ხომ იტყვი: დასვრეტილ ძვლებშიც ქარი გაგდის, ძაღლის გაგდებულო, გასაგუდავო, თავჩაქინდრულო ქონდრისკაცო, რისი იმედი უნდა გქონდეს? ნეკნებზე ხელის დაყოლება, ნელა დასმა კმარა, რომ ხელად იგრძნო - ფუყე, მოყანყალებული კასრი ხარ, არაფერში მოსახმარი, გასახმობი. შუბლის იქითაც სიცარიელეა, ტვინი ხომ ისედაც ჩახმება ქალაში. ასევე მალე გამოშრება ზუთხის ხიზილალა, შავ-ნაცრისფრად მბზინავი; სუფრაზე დარჩენილი, დილით, შეგიძლია მარცვალ-მარცვალ დაფქვა თითებშუა. ძვლებში, გულში, მუცლის ღრუში, გამომშრალ ძარღვებშია დაბუდებული, არ გასვენებს, გელანდება, დაბადებიდანვე დაგდევს ცივი სიცარიელე...

* * *

უგულო, ფურფუტა თხილის ამჩატებული ნაჭუჭები ბევრჯერ მომისროლია. მაწუხებს ყურძნის მარცვალიც, გამხმარი, ხელში რომ გაფშვნი და მაშინვე ნაცრისფერი მტვერი გავარდება, განიბნევა. მაშინებს საწნახელის მუცელი, ამოქუთნული, რომლის ნამაჭრალ, მჟავე სიბნელეში წითური ქინქლა ირევა... იქვე გდია ყუნწწატეხილი, თესლამორიდებული, ყვითლად გაჩეხილი კვახი... სიცარიელეს ინახავს ჰაერჩაგუბებული უჯრა თუ კარდონის ჩახუთული ყუთი... მზარავს სიცარიელე მუცელგაღუნული, ობობას ყბებით გამოწუწნული პეპელასი, უსუსტეს ნიავსაც რომ შეუძლიაააქანაოს, დაძრას, შავ მტვერში გარიოს. რამ უნდა გამახაროს... პირველი არა ვარ, ვინც ეს საწუხარი გამოხატა, თუმცა ვერც იმას გავიხსენებ, სხვებს მთლად ჩემსავით გამოეთქვათ იგივე... ვერა და ვერ დავდექ უბრად; თავს არ ვიბრუებ და არც არავის ვეჯიბრები. მაგიჟებენ წაბლსა (თეთრი) და ნიგოზში (წითელი) შეყუჟული პაწაწა მატლები, შიგნიდან რომ ღრუტნიან ნაყოფს, ფქვავენ, ბნელ სიცარიელეს ტოვებენ... იყო ერთი იაპონელი პოეტი (მონაზონი), რომელსაც მთვარიან ღამით ჩაესმა როგორ გულდაგულ ბურღავდა წაბლში ჩახრახნილი მატლი თეთრ გულს, რძეს წოვდა. შეუძლებელია, ყველაფრის დამფარველ, მიმჩქმალავ ბუნებას ამაშიაც რაიმე გამოცანა არ ჰქონდეს ჩადებული. თვით ჩემი ჩუმი, თანდაყოლილი სიცარიელეც (ერთი პოემა ხომ ასე იწყება, ჩვენ, ადამიანები, ცარიელები, ფიტულები ვართო) მეხმარება, მოვლენიდან გამოვიტანო აზრი, ხშირად, იგივე უაზრობა. არ დავმალავ, მიკვირს, ეს უნარი ჩემთვისაც რომ გამოიმეტა განგებამ.

* * *

ერთი დიდი შემოქმედი ამბობს: "სიტყვები კიდობნებია". უნდა მიხვდე, რაგვარი სიტყვებიც არის აქ განჭვრეტილ-ნაგულისხმევი. იმ სიტყვებს შენი ქაფქაფა სისხლი უნდა გადაუტუმბო, რომ არ ჩახმეს, დაფუტუროვდეს. თუ გულმოდგინედ დააკვირდებით, სიტყვაც გამოღრუტნულია და სხეულიც; მუდამ იმას ვცდილობთ, როგორმე შევავსოთ ერთისა და მეორის სიცარიელე. ეს მოჩვენებითი სავსეობა იმდენად ხან-

მოკლეა, ბევრჯერ შეგაკრთობს. იტყოდი, რომ წვალება არ ღირდა, მაგრამ ამაზე საფიქრალადაც ვერ იცლი. რითი, რანაირად გინდა გაუმკლავდე მოქრიალე "მიწის წესს" - გაქრობას ღმერთების ტოლ გმირს, ლომის ფეხებზე შემდგარ გილგამეშსაც რომ ხრავდა. "ბუნებას არ უყვარს სიცარიელე!" - სიცარიელე ეშმაკეულის საბუდარია. შემჩნეულია - სიცარიელეს სიცოცხლეც ეტანება, იკავებს მის ადგილს. საკმარისია, კრაზანამ აივნის სვეტში ხვრელი იპოვოს და იქ შეძვრება, გამრავლდება. ამასვე აკეთებს გაზაფხულზე მოფრენილი ნამგალა ჩიტი; აგურის კედელში ნაპრალს თუ მიაგნო, შეიმალება, სამყოფელად აქცევს. ეს ორი შემთხვევა ჩემი თვალით მინახავს. მაგალითები ზღვასავით ულეველია. შიში მაქვს, ჩვენს მიტოვებულ კარ-მიდამოებსაც უცხოთესლი დაეპატრონება.

* * *

სულ მახსოვს, როგორ აკაკუნებდა მამაჩემი სიცხიანი ჩვილის ბეჭებზე თავის მოქნილ თითებს, ყურს ადებდა ალმურადენილ ზურგს, პლევრადან გამოცემული მსტვინავი, ხიხინა სუნთქვა რომ არ გამოპარვოდა. რა გასახსენებელია სიცარიელეთაგან ყველაზე ულმობელი, უსასტიკესი - ბრინჯაოს ხარის გახურებული მუცელი, სადაც კართაგენელი დესპოტები ცოცხლად ამწყვდევდნენ განწირულებს, შიგ კეტავდნენ და წვავდნენ; ყოველი მხრიდან ცეცხლი ჰქონდა შენთებული და ის უცნაური "სიკვდილის მანქანა" აფრიკის მზესავით ვარვარდებოდა. ამ დროს, სიღრმიდან ნაფლეთ-ნაფლეთად ამოდიოდა დაბუგულის მდუღარე ღრიალი, რომელიც ძალზე გავდა ყელგამოღადრული ხარის სასოწარკვეთილ ბღავილს. როგორ არ ჩამოიქცა აქამდე ცა, ამდენი ვერგასაძლები ხმის მომსმენი?!. სხვა ცოდვებიც ამძიმებდა კართაგენს - ნაყოფიერების ღვთაებას ბაალს (რის ფასად!) იქაც დაუნანებლად სწირავდნენ თავიანთ პირმშოებს, ჩვილებს. ამიტომ თუ იწვოდა თექვსმეტი დღე აფოფრილ, მოგუგუნე ხანძარში სციპიონ უმცროსისგან დაჩოქებული კართაგენი. უგონიერეს მხედართმთავარს ცრემლებიც კი წასკდომია, მაგრამ მაინც გადაუხნავს რომის ძველი მეტოქე: მასაც მოუშორებელ წუხილს გვრიდა კაცთა ხვედრის სიმუხთლე, ცვალებადობა.

* * *

როგორც ნიგვზის მღვრიე, კირისფერი, გულჩაუდგმელი ლებნებიდან, ისე გამოვწურე ტვინიდან წებოვანი ბალზამი, თეთრ ფურცლებს დავაგლისე. გვიან იცის ნაყოფის გამოღება ასეთმა ნერგმა, ვაითუ, ვერც იხარა... როცა პატარ-პატარა ნაგლეჯებს ვკეცავდი და წარწერიან კონვერტში ვდებდი არ ვიცოდი, რა პირი გამოუჩნდებოდა ბუნდოვან, საეჭვო ჩანაფიქრს. არც ახლა ვარ დარწმუნებული თუ რამე სარგო, ვარგისი გამოვიდა. ყველაზე მეტად მაინც ის მაღონებს, რომ რის წაკითხვასაც გთავაზობთ, სიხარულს ვერ მოგანიჭებთ, წუხილი, უგუნებობა კი უამისოდაც არ გაკლდათ. გამიჭირდება, პოეზიის გარკვეულ სახეობად ჩავთვალო ეს დახლართული, მიკიბულ-მოკიბული ბულულები, ბოლო რომ არა და არ უჩანდა. ერთის თქმა ნამდვილად შემიძლია (თუ გადაათვალიერეთ, შეატყობდით) - ტყუილის, სიყალბის ნამცეციც არ ურევია ამ ტვინარეულ ნაუბარში. სიცარიელე, რაღაცათი, ვგონებ, ცასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მე თვითონაც ხშირად ვწყდები მიწას და ცაში მიყვარს რიალი; მიხვედრილი ვარ, ხვედრია ჩემი, ამანაა, ცარიელზე რომ დამსვა. თუ დაკვირვებიხართ, ყოველი ქუჩა, ჩვეულებრივ, სიცარიელით ბოლოვდება, დაბლა დაშვებულ ცას გადაებმის და, საბოლოოდ, არსადაც არ მიყავხარ. ხელის ცეცებით მივყვებოდი ქვის კედლებს, ტალანებს. ჩემი ჭკუით, ვითომ შევკარი, ვინ უწყის, საიდან ამოკრებილი, მტვრიანი ნამცეცები... შერცხვენა, დამარცხება არ მაკლია, როგორმე ეს ერთი მარცხიც ჩაიფარცხება. ნაფიქრის გამოხატვა თუკი ოდნავ შევძელი, არ უნდა დამჭირდეს მეტის თქმა; აღარ ღირს, იმდენ სიცარიელეს კიდევ სხვა, ახალი მივუმატო. დაღლასაც თავისი კანონიერი, უღელდაუდგმელი უფლება მოეპოვება - შუადღისას, შემაღლებულ მზეს როცა ვეღარ იხილავ, გონებას აღრევს წვეთებისგან დაცრემლილი, ნესტგამჯდარი მღვიმის, გამოქვაბულის ღრუ, ძნელია პლატონისეული დითირამბული აღზევება, სილაღე შეინარჩუნო. შთაგონების ნეტარი წამები როცა დამდგომია, თავს შევუძახებდი ხოლმე: "ეცადე შეილირსო, რომ ხარ ღმერთის სადგომად შექმნილი ჭურჭელი და არა დასალპობად განწირული ნაწილების დროებითი, მოფამფალე სათავსო". არც ის წამები და არც ეს მჭმუნავი განწყობილება დიდხანს არ გამყოლია. ბოლოს ერთი უცნაურობაც უნდა გავამხილო. ზოგჯერ, აივანზე გამოსული (არანაირი სარკე არ მჭირდება), ვხედავ: ნელნელა, ხელ-ფეხ-თავიანა ვქრები, სრიალით გადავდივარ ცის ლურჯად გადაჭიმულ თაღზე, თვალს ვეფარები... რჩება თვალუწვდენელი, გარშემოუწერელი, ყოვლის დამტევი სიცარიელე.

*16 აგვისტო, 2002 წელი.*

არილი



ვალენტინ რასპუტინი

# რუდოლფიო

ერთმანეთს პირველად ტრამვაიში შეხვდნენ. გოგომ მხარზე ხელი შეახო და როცა კაცმა თვალი გაახილა, ფანჯარაზე მიუთითა:

- უნდა ჩავვიდეთ.

ამასობაში ტრამვაი გაჩერდა, კაცმა ხალხით სავსე ვაგონში ძლივს გააღწია და გოგო ჩავიდა თუ არა, ისიც ჩახტა. პატარა გოგო იყო, ალბათ თხუთმეტ-თექვსმეტისა, მადლობის მოლოდინში მისკენ მომართულ მრგვალ, გაბრწყინებულ სახეს შეხედა თუ არა, კაცი ამას მაშინვე მიხვდა.

- გმადლობთ... შეიძლება გავცდენოდი კიდევაც, - თქვა კაცმა.

მაგრამ, იგრძნო, გოგოსათვის ეს საკმარისი არ იყო და დასძინა:

- ისეთი გიჟური დღე მქონდა, დავიღალე... რვა საათზე სახლში უნდა დამირეკონ, მოკლედ, გადამარჩინე.

გოგოს, ეტყობა, გაუხარდა. მერე წინ წასულ მანქანას გაჰყურებდნენ და გზაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ გარბოდნენ. თოვდა. როცა ასე მშვიდად თოვს, როცა მსხვილი, ფუმფულა ფანტელები ისე მოეფინება, თითქოს ზეცაში თოვლის უცნაურ ჩიტებს ბდღვნიან, სახლისაკენ გული არ მიგიწევს. "დავუცდი, ვიდრე დარეკავენ და ისევ გამოვალ", - გაიფიქრა კაცმა და გოგოსკენ შეტრიალდა, თან იმაზე ფიქრობდა, რა ეთქვა, ვინაიდან ასე გაჩუმებული სიარული უკვე უხერხული იყო, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე შეიძლებოდა და რაზე არ შეიძლებოდა მასთან საუბარი. ჯერ ისევ ამ ფიქრებში იყო, რომ თვითონ გოგომ წამოიწყო:

- მე თქვენ გიცნობთ.

- მიცნობთ? საიდან?

- თქვენ ასცამეტში ცხოვრობთ, მე - ასთოთხმეტში. თქვენ, უფროსები, მარტო უფროსებს ამჩნევთ, ყველანი საშინელი ეგოისტები ხართ... ასე არ არისო, ხომ ვერ იტყვით?

გოგომ თავი მარჯვნივ შეატრიალა და კაცს სახეში ქვემოდან ახედა. კაცმა ჩაიფხუკუნა, მაგრამ არაფერი უპასუხა, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იცოდა, რაზე შეიძლებოდა და რაზე არ შეიძლებოდა მასთან საუბარი.

ერთხანს ჩუმად მიაბიჯებდნენ, გოგო წინ იყურებოდა და თავიც არ მოუბრუნებია, უცებ განუცხადა:

- თქვენ ხომ სახელიც არ გითქვამთ!

- მერედა ეს აუცილებელია?

- რატომაც არა. აბა ამაში განსაკუთრებული რა არის? ზოგს ჰგონია, სახელის გაგება თუ მოისურვე, ესე იგი, მის მიმართ არაჯანსაღი ინტერესი გამოძრავებს.

- კეთილი... - თქვა კაცმა, - თუ ეს შენთვის ასე აუცილებელია, რუდოლფი მქვია.

- რაა?

- რუდოლფი.

- რუ-დოლ-ფი... - ხმამაღლა გაიცინა გოგომ.

- რა იყო?

გოგო კიდევ უფრო ხმამაღლა აკისკისდა. კაცი შეჩერდა და გაკვირვებული მიაჩერდა.

- რუ-დოლ-ფი, - გაიმეორა გოგომ და სიცილისაგან ლამის ჩაბჟირდა, - მეგონა ასე მხოლოდ სპილოებს ეძახდნენ სამხეცეში.

- რაა?!

- ნუ ბრაზობ, - გოგომ ხელი სახელოზე მოჰკიდა, - მაგრამ, გეფიცები, ძალიან სასაცილოა.

- რა გელაპარაკო, ბავშვი ხარ, - იწყინა კაცმა.

- რა თქმა უნდა, ბავშვი ვარ, შენ კი კაცი.

- მაინც რამდენის ხარ?

- რამდენის და, თექვსმეტის.

- ჰოო? მე კი ოცდარვის.

- ხომ ვამბობ, დიდი ხარ-მეთქი, თან რუდოლფი გქვია.

გოგომ ისევ გაიცინა და თვალებგაბრწყინებულმა ისევ ქვემოდან ახედა.

- შენ? შენ რა გქვია? - ჰკითხა კაცმა.

- მე? სულერთია ვერ გამოიცნობ.

- მაგას არც ვაპირებ.

- ჰოდა, რომც ეცადო, ვერ გამოიცნობ - მე იო მქვია.

- რაა?

- იო.

- იო?

- ჰო. "ისპოლნიაიუში ობიაზანნოსტი", ესე იგი, იო.

შურისძიება მომენტალური იყო. ვაჟი თავს ვეღარ იკავებდა, ხმამაღლა ხარხარებდა და წინ და უკან ზარივით ქანაობდა. საკმარისია გოგოსთვის შეეხედა, რომ ისევ თავიდან ახარხარებულიყო.

- ი-ო, - სიტყვა თითქოს ყელში ჰქონდა გაჩხერილი, - ი-ო.

გოგო აქეთ-იქით იყურებოდა, უცდიდა სიცილს როდის მორჩებოდა და როცა კაცი ოდნავ დამშვიდდა, ნაწყენმა თქვა:

- სასაცილოა, არა? მე თუ მკითხავ, იო ისეთივე სახელია, როგორც ყველა.

- მაპატიე, - კაცი ღიმილით გოგოსკენ დაიხარა, - რა ვქნა, ძალიან მეცინება... ახლა უკვე ბარი-ბარსა ვართ, ხომ ასეა?

გოგომ თავი დაუქნია.

ჯერ მისი სახლი იყო, მერე კაცის. იგი სადარბაზოს წინ შეჩერდა და კაცს ჰკითხა:

- შენი ტელეფონი რა ნომერია?

- ტელეფონის ნომერი რად გინდა?

- გეშინია?

- მაინც რისი უნდა მეშინოდეს.

- რა ვიცი, უფროსებს ყველაფრის გეშინიათ.

- მართალია, - დაეთანხმა კაცი.

გოგომ ხელთათმანი გაიძრო და თავისი პატარა ხელი კაცს გაუწოდა. ხელი მშვიდი და ცივი ჰქონდა. კაცმა ხელზე ხელი მოუჭირა:

- ახლა კი გაიქეცი სახლში.

თქვა და ისევ გაიცინა.

გოგო სადარბაზოს კართან გაჩერდა:

- ახლა მაინც თუ მიცნობ ტრამვაიში?

- რა თქმა უნდა, გიცნობ.

- ტრამვაიმდე... - თქვა გოგომ და ხელი თავს ზემოთ ასწია.

- ... რომლითაც ორივენი ერთად ვიმგზავრებთ, - დასძინა კაცმა.

* * *

ორი დღის შემდეგ კაცი მივლინებით ჩრდილოეთში გაემგზავრა, საიდანაც მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა. ქალაქში უკვე კარს მომდგარი გაზაფხულის მძაფრი, სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. ნისლიანი ჩრდილოეთის შემდეგ აქ ყველაფერს კრიალი გაჰქონდა, ყველაფერი ბრწყინავდა, ტრამვაიც კი.

სახლში შესულიც არ იყო, რომ ცოლმა კარებშივე მიაგება:

- ვიღაც გოგო ყოველდღე გირეკავს.

- ვინ გოგო? - იკითხა კაცმა გულგრილად.
- ალბათ შენ უფრო იცი.
- არა, არ ვიცი.
- მე კი თავი მომაბეზრა...
- საინტერესოა, - გაიცინა კაცმა ცალყბად.

ტელეფონმა რომ დაიწკრიალა, აბაზანაში იყო. კარს იქიდან ესმოდა, ცოლი ტელეფონზე როგორ პასუხობდა: "ჩამოვიდა, მაგრამ აბაზანაშია, თუ შეიძლება მოგვიანებით დარეკეთ". მერე კი ის-ისაა დასაწოლად ემზადებოდა, რომ ისევ დარეკა ტელეფონმა.

- დიახ...
- რუდიკ, გამარჯობა, უკვე ჩამოხვედი? - გაისმა ყურმილში გახარებული ხმა.
- გამარჯობა, - უპასუხა კაცმა მორიდებით, - ვინ ბრძანდებით?
- ვერ მიცანი? ეე, რუდიკ... მე ვარ, იო ვარ.
- იო? - კაცს იმავე წუთს გაახსენდა და თავისდაუნებურად გაეცინა, - გამარჯობა, იო... გატყობ უფრო შესაფერისი სახელი შემირჩიე.
- ჰო. მოგწონს?
- ასე მაშინ მეძახდნენ, შენხელა რომ ვიყავი.
- გეხვეწები? საიდან მოიტანე...

მერე ორივენი გაჩუმდნენ, მაგრამ კაცმა თავი ვერ შეიკავა და ჰკითხა:

- რაო, იო,რა გინდა?
- რუდიკ, ეგ ქალი შენი ცოლია?
- დიახ.
- რატომ არ მითხარი, ცოლიანი თუ იყავი?
- ბოდიშს გიხდი, - გაიცინა კაცმა, - არ ვიცოდი, ეს შენთვის ასე მნიშვნელოვანი თუ იყო.
- რა თქმა უნდა, იყო. შენ რა, გიყვარს?
- დიახ. იო, მომისმინე, იცოდე აღარ დამირეკო, საჭირო არ არის.
- შე-გე-შინ-დაა?.. - წაუმღერა გოგომ, - იცი რა, რუდიკ, ისეთს ნურაფერს იფიქრებ. თუ ასე გინდა, იცხოვრე მაგასთან, წინააღმდეგი არა ვარ. მაგრამ, არ დამირეკოო, აბა ასე როგორ შეიძლება! იქნებ საქმეზე დამჭირდა დარეკვა!
- მაინც, რა საქმეზე? - ჰკითხა კაცმა ღიმილით.
- როგორ თუ რა საქმეზე? აი მაგალითად, ერთი რეზერვუარიდან მეორე რეზერვუარში წყლის გადაქაჩვაზე პასუხი ვერ მივიღე, - არ დაიბნა გოგო. - ასეთ დროს ხომ შეიძლება, არა, ხომ შეიძლება?
- არ ვიცი...
- რა თქმა უნდა, შეიძლება. იმისი კი, რუდიკ, ნუ შეგეშინდება, ის ერთია, ჩვენ ორნი ვართ.
- ვინ? - ვერ მიუხვდა კაცი.
- ვინ და, შენი ცოლი.
- ნახვამდის, იო.
- დაიღალე?
- ჰო, დავიღალე.
- კარგი, ხელი ჩამომართვი და დაიძინე.
- ხელს გართმევ.
- იმას კი არ დაელაპარაკო, ხმა არ გასცე.
- კარგი, - გაიცინა კაცმა, - არ დაველაპარაკები.

ბაგეზე ჯერ ისევ ღიმილი არ მოშლოდა, ცოლთან რომ მივიდა:

- იო იყო. ასე იმ გოგოს ჰქვია... სასაცილოა, არა?
- ჰო, - გამომცდელად შეხედა ცოლმა.
- ორ რეზერვუარზე ამოცანა ვერ ამოხსნა. არ ვიცი, მგონი მეშვიდეშია თუ მერვეში.
- რა ქენი, დაეხმარე ამოცანის ამოხსნაში?
- არა, - თქვა კაცმა, რაღა მახსოვს... რეზერვუარზე კი მართლაც ძნელი ამოსახსნელია.

* * *

ხეირიანად ნანათიც არ იყო, ტელეფონმა რომ დარეკა. არა, ნანათი კი არა, ქალაქს ჯერ ისევ ღრმა ძილით ეძინა. ლოგინიდან წამოდგა და მოპირდაპირე სახლს გახედა - ფანჯრებში სინათლის ჭაჭანება არ ჩანდა. ტელეფონი კვლავ გაუჩერებლად რეკავდა. ყურმილი აიღო და საათს შეხედა - ჯერ მხოლოდ ექვსის ნახევარი იყო.

- გისმენთ! - ჩასძახა გაბრაზებულმა ყურმილში.

კაცი ლამის გაათრდა:

- იო, რას გავს, რა არის ეს!
- რუდიკ, - სიტყვა არ დაამთავრებინა გოგომ, - მომისმინე, ნუ ბრაზობ, შენ ხომ არც კი იცი, რა მოხდა.
- რა მოხდა? - ჰკითხა კაცმა უკვე ჩამცხრალმა.
- რუდიკ, შენ ახლა რუდიკი კი არა, რუდოლფიო ხარ, - გამოუცხადა ზარ-ზეიმით, - რუ-დოლ-ფიო! ხომ კარგია! ეს-ეს არის მოვიფიქრე. რუდოლფი და იო, ესე იგი, რუდოლფიო, როგორც იტალიელებთანაა. აბა გაიმეორე!
- რუდოლფიო, - თქვა კაცმა და მის ხმაში ერთდროულად ბრაზიც იყო და სასოწარკვეთაც.
- სწორია. ახლა მე და შენ ერთი სახელი გვაქვს. რომეო და ჯულიეტასავით, ჩვენ ახლა განუყრელები ვართ. შენც რუდოლფიო ხარ და მეც.
- მომისმინე, - თქვა გონსმოსულმა კაცმა, - არ შეგეძლო, ცოტა უფრო შესაფერის დროს დაგერეკა?
- ნუთუ არ გესმის, რომ არ შემეძლო. ჰო, არ შემეძლო. თან უკვე შენი ადგომის დროც არის. რუდოლფიო, იცოდე რვის ნახევარზე გაჩერებასთან გელოდები.
- დღეს ტრამვაით წასვლას არსად არ ვაპირებ.
- რატომ?
- დღემაგიერი მაქვს.
- ეგ რაღაა?
- დღემაგიერი რიგგარეშე დასვენების დღეა. სამსახურში არ მივდივარ.
- ჰო? - თქვა გოგომ, - მაშ მე რა ვქნა?
- არ ვიცი, სკოლაში წადი, სხვა რა უნდა ქნა!
- შენ ცოლსაც დღემაგიერი აქვს?
- არა, ჩემ ცოლს არა.
- თუ ასეა, არა უშავს. ოღონდ არ დაგავიწყდეს, რომ მე და შენ ახლა რუდოლფიო გვქვია.
- დიდად მოხარული გახლავართ.

კაცმა ყურმილი დადო და ჯანდაბა-ჯანდაბას ძახილით ჩაის ასადუღებლად სამზარეულოსაკენ გასწია. ძილით სულერთია ველარ დაიძინებდა, გარდა ამისა, მოპირდაპირე სახლის სამ ფანჯარაში უკვე სინათლეები ენთო.

* * *

შუადღისას კარზე დაუკაკუნეს. კაცი ამ დროს იატაკს წმენდდა და კარი რომ გააღო, ხელში იატაკის სველი ჩვარი ეჭირა.

კართან გოგო იდგა.

- გამარჯობა, რუდოლფიო.
- შენა ხარ? - გაოცდა კაცი, - რა იყო, მოხდა რამე?
- მეც შენსავით დღემაგიერი ავიღე.

ისეთი სახით იყურებოდა, წმინდანი გეგონებოდა, სახეში იმის ნატამალიც არ ჰქონდა, რასაც სინდისის ქენჯნა ჰქვია.

- აი თურმე რა, - იხტიბარი არ გაიტეხა კაცმა, - ესე იგი, სეირნობ... რახან მოხვედი, შემობრძანდი. ახლავე მოვრჩები.

გოგო ეგრევე, პალტოიანი ჩაჯდა ფანჯარასთან მდგარ სავარძელში. იჯდა და უყურებდა, წელში წახრილი კაცი ჩვრით იატაკს როგორ წმენდდა.

- რუდოლფიო, ოჯახურ ცხოვრებაში, მე მგონი, ბედნიერი არა ხარ, - განუცხადა ერთი წუთის შემდეგ.

კაცი წელში გაიმართა.
- რატომ?
- იმიტომ, რომ აშკარაა. მაგალითად, იატაკს შენ ყოველგვარი სიამოვნების გარეშე წმენდ, ბედნიერები კი ასე არ იქცევიან.
- სისულელეა, - თქვა კაცმა ღიმილით.
- არ მითხრა, ბედნიერი ვარო!
- არაფერსაც არ გეტყვი.
- აი ხომ ხედავ.
- ჯობია გაიხადო.
- მე შენი მეშინია, - თქვა გოგომ, ისე რომ ფანჯრისათვის თვალი არ მოუშორებია.
- რაო, რაო?
- შენ ხომ კაცი ხარ.
- აი თურმე რა, - გაიცინა კაცმა, - მაშინ აქ მოსვლა როგორღა გაბედე?
- მე და შენ ხომ რუდოლფიო ვართ.
- აი ეგ კი დამავიწყდა. ეგ ჩემთვის მეტად საპასუხისმგებლო რამ არის.
- რა თქმა უნდა.
გოგო გაჩუმდა და ვიდრე კაცი სამზარეულოში ვედროს აჩხარუნებდა, იჯდა და ხმას არ იღებდა. მაგრამ, ოთახში რომ შემოვიდა, იოს პალტო უკვე სავარძლის ზურგზე იყო გადაკიდებული, სახე ჩაფიქრებული და სევდიანი ჰქონდა.
- რუდოლფიო, იცი, დღეს მე ვიტირე, - თქვა უცებ გოგომ.
- რატომ, იო?
- იო კი არა, რუდოლფიო.
- რატომ, რუდოლფიო?
- ჩემი უფროსი დის გამო. დღემაგიერს რომ ვიღებდი, მეჩხუბა.
- მე მგონი, შენი და მართალია.
- არა, რუდოლფიო, მართალი არ არის, - გოგო სავარძლიდან წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, - ერთხელ შეიძლება, როგრ არ გესმით! აი ახლა შენ რომ გელაპარაკები, რომ იცოდე, როგორი ბედნიერი ვარ...
თქვა და ისევ გაჩუმდა. კაცმა გოგოს ყურადღებით შეხედა. აღელვებულს პალტოს ქვეშიდან მკერდი იმ ორი პატარა ბუდესავით მოუჩანდა, ფრინველები ბარტყების გამოსაჩეკად რომ აგებენ. "ერთ წელიწადში სახე დაეხვეწება, კიდევ უფრო გალამაზდება", - გაიფიქრა კაცმა და იმ აზრმა, ცოტა ხნის შემდეგ ამას უკვე შეყვარებული ეყოლებაო, გული სევდით აუვსო. მერე გოგოსთან მივიდა, მხარზე ხელი მოჰკიდა და ღიმილით უთხრა:
- ყველაფერი მშვენივრად იქნება.
- მართლა, რუდოლფიო?
- რა თქმა უნდა.
- მჯერა, - თქვა გოგომ.
ის-ისაა უნდა გაბრუნებულიყო, რომ გოგომ დაუძახა:
- რუდოლფიო!
- რა იყო?
- ასე ადრე რატომ დაქორწინდი? კიდევ ორი წელი და ცოლად გამოგყვებოდი.
- ნუ ჩქარობ, - უთხრა კაცმა, - მოვა დრო და კარგ ბიჭზე გათხოვდები.
- მე მხოლოდ შენი ცოლობა მინდოდა.
- ის ბიჭი ჩემზე ათასჯერ უკეთესი იქნება.
- კი, აბა! არის კი ვინმე შენზე უკეთესი?
- რა თქმა უნდა.
- ჰო, მაგრამ, ის ხომ შენ არ იქნები, - ამოიოხრა გოგომ.
- მოდი ჩაი დავლიოთ, - შესთავაზა კაცმა.
- დავლიოთ.
კაცი სამზარეულოში გავიდა და ჩაიდანი ქურაზე დადგა.
- რუდოლფიო!
გოგო წიგნის თაროებთან იდგა.
- რუდოლფიო, ჩვენი სახელი ყველაზე ლამაზია. აი შეხედე, ამაზე უკეთესი მწერლებსაც არ ჰქვიათ, - თქვა და უცებ გაჩუმდა, - შეიძლება მხოლოდ ამას ერქვას, აი ამას - ეგ-ზიუ-პე-რი... ხომ მართლა ლამაზია?
- ჰო, ლამაზია... რაო არ წაგიკითხავს?
- არა.
- წაიღე და წაიკითხე. ოღონდ ყოველგვარი დღემაგიერის გარეშე. შევთანხმდით?
- შევთანხმდით.
გოგომ პალტოს ჩაცმა დაიწყო.
- მერედა ჩაი? - შეახსენა კაცმა.
- რუდოლფიო, ჯობია წავალ, - სევდიანად გაიღიმა გოგომ, ოღონდ ცოლს არ უთხრა, რომ აქ ვიყავი, კარგი, რუდოლფიო?
- კარგი.
გოგო რომ წავიდა, კაცმა მოწყენილობა იგრძნო. გული როგორიღაც აუხსნელი სევდით ჰქონდა სავსე. ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა.

* * *

გაზაფხული უცებ დადგა. რამდენიმე დღე ადამიანები უფრო კეთილები გახდნენ. იმის გამო, რომ გაზაფხულის სიზმრებმა გამოცდილი მარჩიელივით მათ გულებს ბედნიერება და სიყვარული უწინასწარმეტყველა, ეს რამდენიმე დღე მოლოდინიდან აღსრულებაში გარდამავალ დღეებად ესახებოდათ.
გაზაფხულის ერთ ასეთ დღეს, ასაღამოებულზე, როცა კაცი სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, ვიღაც ხანდაზმულმა ქალმა გააჩერა:
- მე იოს დედა ვარ, მაპატიეთ, თქვენ მგონი რუდოლფიო გქვიათ?
- დიახ, - თქვა ღიმილით კაცმა.
- მე თქვენ ჩემი ქალიშვილისგან გიცნობთ. ამ ბოლო დროს ძალზე ბევრს ლაპარაკობს თქვენს შესახებ. მე კი...
ქალი შეყოყმანდა და კაცი მიხვდა, რომ მას უჭირდა იმ შეკითხვის დასმა, რის გაგებაც მისთვის, დედისათვის, ასე აუცილებელი იყო.
- ნუ ღელავთ, - დაამშვიდა რუდოლფმა, - მე და იო, უბრალოდ, კარგი მეგობრები ვართ, ცუდი არაფერი მოხდება.
- რა თქმა უნდა, - აწრიალდა ქალი, - მაგრამ იო ისეთი თავნებაა, არაფერს გვიჯერებს. იცით, ისეთ ასაკშია... მეშინია რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს... ყველაზე მეტად კი ის მაფიქრებს, არც კლასსა და არც თანატოლებს შორის ამხანაგი არ ჰყავს.
- აი ეგ კი ცუდია.
- ჰო, მაგრამ, თქვენ ხომ მასზე დიდი გავლენა გაქვთ, აი თქვენ რომ დაელაპარაკებოდეთ...
- უსათუოდ დაველაპარაკები, - შეჰპირდა კაცი, - თუმცა, ვფიქრობ, იო შესანიშნავი გოგოა, ტყუილად ნერვიულობთ.
- არ ვიცი.
- ნახვამდის, დაველაპარაკები, ყველაფერი კარგად იქნება.

* * *

გადაწყვიტა არ გადაედო და ახლავე დაერეკა, მით უმეტეს, ცოლი ახლა შინ არ ეგულებოდა.
- რუდოლფიო! - გახარებულმა უპასუხა გოგომ, - რა კარგია, რომ დარეკე... რუდოლფიო, მე კი ისევ ვიტირე.
- იტირე? რატომ? აბა ამდენი ტირილი ვის გაუგონია? - თქვა კაცმა.
- ეს სულ იმ "პატარა პრინცის" გამო. მეცოდება. ხომ მართალია, ის ხომ მართლა იყო ჩვენს დედამიწაზე?

- მე მგონი, კი.
- მეც ასე მგონია. ჩვენ კი არ ვიცოდით. განა ეს საშინელება არ არის? ეგზიუპერი რომ არა, ვერც ვერასოდეს გავიგებდით. ტყუილად ხომ არ ჰქვია ჩვენსავით ლამაზი სახელი.
- ჰო.
- იცი კიდევ რაზე ვფიქრობ? კარგია სულ ასე პატარა პრინცად რომ რჩება, თორემ ხომ შეიძლება მერე ისიც სხვებივით ჩვეულებრივი გამხდარიყო, ირგვლივ ხომ ისედაც უამრავი ჩვეულებრივი ადამიანია.
- არ ვიცი.
- მე კი ვიცი.
- "ადამიანების პლანეტა" თუ წაიკითხე?
- რუდოლფიო, ყველაფერი წავიკითხე. ეგზიუპერი ნამდვილი ბრძენია, თან ძალიან კეთილი. გახსოვს? ბარკას გამოისყიდიან და ფულსაც აძლევენ, ის კი ამ ფულს გოგო-ბიჭების ფეხსაცმელში ხარჯავს, თვითონ კაპიკსაც არ იტოვებს.
- ჰო, - თქვა კაცმა. - ბონაფუსი თუ გახსოვს? აი ის, არაბებს რომ ძარცვავს. არაბებს კი თან სძულთ და თან უყვართ კიდევაც.
- იმიტომ, რომ მის გარეშე უდაბნო მათთვის ძალზე ჩვეულებრივი და მოსაწყენი იქნებოდა. ის ხომ მას თან საშიშს ხდის, თანაც რომანტიულ იერს აძლევს.
- ყოჩაღ, თუ ეს ყველაფერი ასე კარგად გესმის.
- რუდოლფიო... - თქვა გოგომ და გაჩუმდა.
- გისმენ.
გოგო დუმდა.
- რუდოლფიო, - თქვა კაცმა რატომღაც აღელვებულმა, - ახლავე ჩემთან მოდი, მარტო ვარ.

* * *

გოგო სავარძელთან მივიდა და დაჯდა, თან სულ აქეთ-იქით იყურებოდა.
- ასე გაჩუმებული რატომ ხარ? - ჰკითხა კაცმა.
- მართლა შინ არ არის?
- ვინ? ცოლი?
- ჰო, აბა ვინ!
- არა.
- ის შენი ცოლი ნამდვილი მიმრაა.
- რა?
- რა და, მიმრა.
- ეგ სიტყვა საიდანღა მოიტანე?
- დიდი რუსული ენიდან. მისთვის იქ ამაზე შესაფერისი არაფერი არ არის.
- იო, აბა ასე როგორ შეიძლება!
- იო კი არა, რუდოლფიო.
- ჰო, რუდოლფიო.
- ამას წინათ დავრეკე და მასთან მოვხვდი. იცი რა მითხრა? თუ რეზერვუარების გამო რეკავ, გიჯობს მასწავლებელს მიმართოო. მე მგონი, ეჭვიანობს.
- არა, არა მგონია.
- რუდოლფიო, ხომ ვჯობივარ, ხომ მართლა ვჯობივარ?.. ჯერ ხომ არ დავქალებულვარ, ჯერ ხომ ჩემთვის ყველაფერი წინაა.
კაცმა გაიღიმა და თავი დაუქნია.
- აი ხომ ხედავ... მე მგონი, დროა დასცილდე.
- რა სისულელეს ბოდავ! - გააწყვეტინა კაცმა, - ძალიან ბევრ უფლებას გაძლევ...
- გიყვარვარ და იმიტომ, არა?
- არა, მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობრები ვართ.
გოგო შუბლშეკრული იჯდა და დუმდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა,
- რა ჰქვია?
- ვის? ჩემ ცოლს?
- რა თქმა უნდა.
- კლავა.
- ძალიან მაგარია...
- კმარა, გეყოფა! - გაბრაზდა კაცი.
გოგო წამოდგა, წუთით თვალები დახუჭა და უცებ თქვა:
- რუდოლფიო, არანორმალური ვარ, მაპატიე, არ მინდოდა...
- ოღონდ არ იღრიალო, - გააფრთხილა კაცმა.
- არა, არ ვიღრიალებ.
გოგო განზე გადგა და ფანჯრისკენ შეტრიალდა.
- რუდოლფიო, მოდი შევთანხმდეთ - დღეს შენთან არ ვყოფილვარ, არც არაფერი მითქვამს, კარგი?
- კარგი.
- ჩათვალე, რომ "მშვიდობით" ტელეფონზე გითხარი.
- კარგი.
და გოგო წავიდა.
ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ ტელეფონმა დაიწკრიალა.
- მშვიდობით, რუდოლფიო.
- მშვიდობით.
თქვა კაცმა და შეიცადა, მაგრამ გოგომ ყურმილი უკვე დაკიდა.

* * *

ამის მერე აღარ დაურეკავს. როცა მზის სასწორზე ზამთარი გაზაფხულმა გადაწონა, კაცს ისევ გამგზავრება მოუწია და უკან მხოლოდ მაისში დაბრუნდა. ამის გამო და კიდევ იმის გამო, რომ ამ ხნის მანძილზე უამრავი სამუშაო ჰქონდა, გოგო დიდი ხანია არ ენახა. ყოველ გახსენებაზე - ხვალ დავრეკავ, ხვალ დავრეკავო, მაგრამ ვერც ხვალ დაურეკა და ვერც ზეგ.
ბოლოს შემთხვევით ტრამვაიში შეხვდა. დაინახა თუ არა, ხალხით სავსე ვაგონში მისკენ მოუთმენლად გასწია - ხომ შეიძლება, სხვა გაჩერებაზე ჩამოვიდესო, - შეეშინდა. იცოდა, ვერ გაბედავდა და უკან ვერ გაეკიდებოდა. მაგრამ, გოგო არ ჩასულა და კაცმა იგრძნო, რომ ამ ამბავმა იმაზე მეტად გაახარა, ვიდრე ამას მეგობრული ურთიერთობა მოითხოვდა.
- გამარჯობა, იო, - უთხრა კაცმა და მხარზე ხელი შეახო.
გოგო შეშინებული მიტრიალდა, კაცს შეხედა, ჯერ ოდნავ შეცბა, მაგრამ გახარებულმა მაშინვე თავი დაუქნია.
- იო კი არა, რუდოლფიო, მე და შენ ხომ ისევ მეგობრები ვართ, ხომ ასეა?
- რა თქმა უნდა, ასეა, რუდოლფიო.
- წასული იყავი?
- დიახ.
- მე კი ერთხელ დაგირეკე, მაგრამ შინ არ იყავი.
- უკვე ერთი კვირაა აქა ვარ.
ვაგონი ხალხით იყო სავსე, ხან ვინ გაჰკრავდათ მხარს და ხან ვინ. ამის გამო იძულებული გახდნენ, ისე ახლოს მისულიყვნენ ერთმანეთთან, რომ გოგო თავით კაცს ნიკაპზე ეხებოდა, ხოლო როცა თავს ასწევდა, კაცი კი დაიხრებოდა, რათა მისი ნათქვამი გაეგო, უხერხულობისაგან თვალები ორივეს აქეთ-იქით გაურბოდა.
- რუდოლფიო, გინდა რაღაც გითხრა? - უთხრა გოგომ.
- რასაკვირველია, მინდა.
გოგომ თავი ისევ ასწია და სახე სახესთან ისე ახლოს მიუტანა, რომ კაცმა თვალები დახუჭა.
- იცი, სულ მენატრები, რუდოლფიო.
- სულელი ხარ... - თქვა კაცმა.
- ვიცი, - ამოიოხრა გოგომ, - მე ხომ სხვა ბიჭი არავინ მენატრება, ას წელიწადსაც არავინ მჭირდება.
ტრამვაი გაჩერდა და ორივენი ჩავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ახლა იმ შენს კლავასთან წახვალ, არა? - ჰკითხა გოგომ.

- არა, არ წავალ, მოდი გავისეირნოთ.

მდინარისაკენ იმ მხარეს შეუხვიეს, საითაც უშენი ადგილი იწყებოდა. მიდიოდნენ უგზოდ, უბილიკოდ, კოლბოხებსა და ნაგვის გროვებს ახტებოდნენ. მერე კაცმა ხელში ხელი მოჰკიდა და ნაქცევებზე გადასვლაში მიეხმარა.

გოგო დადუმდა. და კაცმა იგრძნო, რომ ისიც ისე ღელავდა, როგორც თვითონ... ისიც მასავით მღელვარე, დაუოკებელი ფორიაქით იყო სავსე.

მერე ფლატესთან გავიდნენ. იდგნენ ხელიხელჩაკიდებულები და მდინარეს ჩაჰყურებდნენ. ზოგჯერ გახედავდნენ მდინარის გაღმა სივრცეს და ისევ მდინარეს ჩააცქერდებოდნენ.

- რუდოლფიო, - ვეღარ მოითმინა გოგომ, - ჩემთვის ჯერ არავის უკოცნია.

კაცი დაიხარა და ლოყაზე აკოცა.

- ტუჩებში მაკოცე, - სთხოვა გოგომ.

- ტუჩებში მხოლოდ ყველაზე ახლობელ ადამიანს ჰკოცნიან, - ძლივს ამოღერღა კაცმა.

- მაშინ მე...

გოგოს შეაკანკალა და შეშინებულმა კაცმა უცებ გაიგო - დიახ, კი არ იგრძნო, არამედ გაიგო, გოგომ როგორ გაარტყა. ერთი გემრიელად უსილაქა და გაიქცა - უშენზე, ოღროჩოღროზე, გაექცა მოლოდინს და მღელვარებას.

ის კი იდგა და უყურებდა, გოგო როგორ გარბოდა, მაგრამ დაძახებას ვერ ბედავდა, ვერ ბედავდა გაჰკიდებოდა და დასწეოდა. კაცი კიდევ დიდხანს იდგა დაცლილი და განადგურებული, საკუთარი თავი ეზიზღებოდა.

* * *

ეს ამბავი შაბათ დღეს მოხდა. კვირას, დილაადრიანად კი იოს დედამ დაურეკა:

- რუდოლფიო, მაპატიეთ, ალბათ გაგაღვიძეთ.

ქალს დაბნეული, აკანკალებული ხმა ჰქონდა.

- გისმენთ, - თქვა კაცმა.

ალბათ საჭირო იყო კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ...

- ყველანი სასოწარკვეთილები ვართ, არ ვიცი, რა ვიღონოთ, პირველი შემთხვევაა ასე რომ...

- დამშვიდდით, - უთხრა ბოლოს კაცმა, - ღამე შეიძლება ამხანაგთან გაათია.

- არ ვიცი...

- მე მგონი, ასეა. ორ საათში თუ არ გამოჩნდა, მოვძებნოთ. ოღონდ ჯერ დამშვიდდით. ორი საათის შემდეგ დაგირეკავთ.

კაცმა ყურმილი დადო და ჩაფიქრდა. "შენც დამშვიდდი, იქნებ მართლა ამხანაგთან გაათია?" - უთხრა თავის თავს, მაგრამ ვერ დამშვიდდა, პირიქით, იგრძნო, ნერვიულმა კანკალმა როგორ აიტანა. ცოტა რომ დამშვიდებულიყო, სტვენა-სტვენით საკუჭნაოში გავიდა და თავის ძველ, სკოლამდელ სახელმძღვანელოებში ქექვას მოჰყვა.

ტელეფონი დუმდა. სამზარეულოს კარი ჩაკეტა და ალგებრის სახელმძღვანელო გადაფურცლა. აი, ისიც: ერთი რეზერვუარიდან ორი საათის განმავლობაში წყალს მეორე რეზერვუარში თუ გადავქაჩავთ...

უცებ ტელეფონი აწკრიალდა:

- მოვიდა, - თქვა დედამ, თავი ვერ შეიკავა და ატირდა.

კაცი გაჩუმებული უსმენდა.

- რუდოლფიო, ძალიან გთხოვთ, მობრძანდით ჩვენთან.

და ქალი ისევ ატირდა:

- გოგოს რაღაც დაემართა...

* * *

შევიდა თუ არა, ნებართვა არ უთხოვია, ლაბადა მაშინვე გაიძრო და დედამ ქალიშვილის ოთახის კარზე უსიტყვოდ მიუთითა.

იო მუხლებშეკეცილი საწოლზე იჯდა, აქეთ-იქით ირწეოდა და გაშტერებული ფანჯარაში იყურებოდა.

- რუდოლფიო, - დაუძახა კაცმა.

გოგო მისკენ უსიტყვოდ შემობრუნდა.

- რუდოლფიო!

- თავი დამანებე! - თქვა გოგომ და სახე ზიზღით დაემანჭა, - რუდოლფიო კი არა, ჩვეულებრივი რუდოლფი ხარ, გესმის? ჩვეულებრივი რუდოლფი...

დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ კაცი შეცბა, მაგრამ, შეეცადა თავს მორეოდა, ფანჯარასთან მივიდა და რაფას ჩამოეყრდნო.

გოგო ისევ წინ და უკან ირწეოდა, ფანჯარაში კაცს მიღმა სივრცეს ჯიუტად გასცქეროდა.

- კარგი, ასე იყოს, ოღონდ ამიხსენი, წუხელი სად იყავი? - თქვა კაცმა.

- წადი, ჯანდაბაში წადი, - დაღლილად უპასუხა გოგომ, ისე რომ, არც კი შეუხედავს.

კაცმა თავი დააქნია. დედის მდუმარე შეკითხვაზე პასუხი არ გაუცია, საკიდიდან ლაბადა ჩამოიღო, კიბეზე დაეშვა და წავიდა... წავიდა ჯანდაბაში... კვირა დღე ისის იყო თენდებოდა. ქუჩაში არავინ იყო. უშენი ადგილი გაიარა და მდინარის ნაპირისკენ რომ დაეშვა, უცებ გაიფიქრა: მერე? მერე სადღა წავალ?

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

არილი



მისი ლექსი პირველად 1993 წელს ვთარგმნე. გაზეთ "რუბიკონისათვის" თანამედროვე რუსი პოეტების პუბლიკაციას ვამზადებდი "Гуманитарный Фонд"-ის, - იმ პერიოდში რუსული ახალგაზრდული და მარგინალური ლიტერატურული პროცესების ამსახველი ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურული გაზეთის, - ნომრებიდან, და ბევრი შესაძლო ავტორიდან რამდენიმეთა შორის ალექსანდრ ანაშევიჩიც მოხვდა. მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი, რომ 8 წლის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს შევხვდებოდით, დავმეგობრდებოდით, ჩემთვის მისი პოეზია ძალიან ახლობელი გახდებოდა და მისი კვლავაც და კვლავაც თარგმნის სურვილიც გამიჩნდებოდა. ეს დაახლოება კი თანამედროვე რუსული ხელოვნების ფესტივალის RE:АРТГРУЗ-ის წყალობით მოხდა (სხვათა შორის, ფესტივალის კიდევ ერთი მონაწილის - სტანისლავ ლვოვსკის - ერთი ლექსიც მქონდა 1993-ში "რუბიკონისათვის" გადმოქართულებული).

ძალიან ძნელია დღევანდელ უკიდეგანო რუსულენოვან პოეზიას ასე თუ ისე სრულყოფილად იცნობდე, მაგრამ რამდენადაც მე მას ვიცნობ, ახალი თაობის ავტორთა შორის ალექსანდრ ანაშევიჩი ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ხმად, ნამდვილ ფენომენად მიმაჩნია.

იგი ვორონეჟელია. 1971 წელს დაიბადა. თავს ჟურნალისტობით ირჩენს, ლექსების გარდა, პიესებსაც წერს, ოღონდ დრამატურგია რამდენად ეხმარება თავის რჩენაში, ეს უკვე აღარ ვიცი. 1999 წელს ანდრეი ბელის სახელობის პრემიის ლაურეატთა შორტ-ლისტში მოხვდა. შეიძლება ბევრმა ამ პრემიის შესახებ არაფერი იცის, არადა იგი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენაა აღიარების რუსულ კულტურაში. პრემია საბჭოურ პერიოდში, 70-იან წლებში დაწესდა ყოველგვარი ოფიციოზის გარეშე. ჟიურის წევრები მუდამ ის მწერლები იყვნენ, არანაირად რომ არ ექვემდებარებოდნენ საბჭოურ კონიუნქტურას და ამ ჯილდოთი ცდილობდნენ ის ავტორები წარმოეჩინათ, რომლებიც ახალ გზებს ეძებდნენ რუსულ მწერლობაში. ამ მარგინალური პრემიის ლაურეატებს ჯილდოდ ერთ ბოთლ არაყს, ერთ ვაშლს და მანეთიანს გადასცემდნენ ხოლმე. გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ პრემიის ბევრი ლაურეატი და ლაურეატობის კანდიდატი დღეს თანამედროვე რუსული კულტურის ავანგარდშია. ამიტომაც რამდენიე წელია, რაც რუსეთში დაიწყეს სერიის - "ანდრეი ბელის პრემიის ლაურეატები" გამოცემა. სხვათა შორის, ამ სერიითაა გამოცემული ალექსანდრ ანაშევიჩის მეგობრის, ასევე ვორონეჟელის და ასევე RE:АРТГРУЗ-ის მონაწილის, ელენე ფანაილოვას კრებული.

ალბათ ალექსანდრ ანაშევიჩიც მალე მოხვდება ამ სერიაში, დღემდე კი მას გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი: "Столько ловушек" (1997); "Сигналы Сирены" (1999); "Неприятное кино" (2001). ამ პუბლიკაციაში ბოლო ორი წიგნიდან ნათარგმნი ლექსებია წარმოდგენილი. ვისაც მისი შემოქმედება დააინტერესებს, შეუძლია იგი საკმაო დოზით იპოვოს ელმისამართზე: http://www.vavilon.ru/texts/anashevich/.

მთარგმნელი

## ალექსანდრ ანაშევიჩი



### ავადვმყოფობდი, პოემა, პეტერბურგი

ავადვმყოფობდი, მეხვეოდა თავბრუ, ქუჩაში არ შემეძლო გასვლა, ჩიტთან მუსაიფი.
ძლივს მეყო ძალა ავმდგარიყავი, მომეძებნა აბები, შპრიცი.
რას ვიზამ ნეტა, თუკი ფეხები წამერთმევა, ყველა სიტყვა დამავიწყდება.
მოვასწრებ განა, შევძლებ განა წერილის მიწერას ყველა ჩემი მამაკაცისთვის.
გადიან ქუჩაში, ეკითხებიან გოგოს, ფოსტალიონს:
ფოშტა არაა, არაა ნუთუ ძვირფასისაგან წერილი რამე.
ის: არაა არაა ფოშტა, შეხედე: ჩანთა ცარიელი, ამით დავდივარ,
მე თვითონ ველი წერილს ქმრისგან, ქმარი ომშია, ერთი წერილი მოიწერა სამ წელიწადში,
სამი სიტყვა ეწერა იქ, და ისინიც ვერ გავარჩიე,
მეზობელთან ვიყავი, რძალთან, მთელი სოფელი მოვიარე,
დღემდე ვატარებ ჯიბეში ფურცელს, ისე, როგორც ვეფხვს გალიაში,
შეხედე - შტამპი, სამკუთხა და ჯარისკაცური,
რა ფოშტაზეა აქ ლაპარაკი, ქმრის წერილია. აბა წერილი?
დავსუსტდი, არ ვიცი, შევძლებ თუ არა სარკმელთან მისვლას, დაყვირებას, დასახმარებლად დაძახებას.
სარკმლიდან ვხედავ: დგას პეტერბურგი სველი, ვხედავ, რაა მის გულში.
ხიდები ტყდებიან, იპობიან, ვარვარებენ ნათურები.

ვხედავ ამას შუშის მიღმა, საკუთარი ბუნაგიდან.
ჩემი ბინა გაყიდეს და არ იციან, რომ დავიმალე, საბნის
ქვეშ ვწევარ.
ფული წაიღეს შავი ჩემოდნით, შავ მიწაში ღრმად
ჩაფლავენ.
ყველაფერს ვხედავ, განსაკუთრებით, სარკეში როცა
ვიყურები.
მესმის: ჩიტმა გაიფრინა, დაიჩხავლა.
ვხედავ, მესმის, მიმოვდივარ, ერთი კია - რომ შევიშალე.

## მან დაიძინა, წერილები ჩემი გახდა

### Б კატალოგის მიხედვით

ძვირფასო, გწერ მადრიდიდან, აქ ჩემმა ცხოვრებამ სულ
სხვა მხარეს იბრუნა პირი,
მე აქ ღია ვარ, როგორც სიმ-სიმ, მეუფლება იოლად ყველა,
მაქვს ახალი ესპანური წითელი კაბა, ასეთი თვალითაც
არ გინახავს,
ფული არასდროს გეყოფოდა სამაგისოდ.
იცი, ეს რაა: ნაქარგები, სამშვენისები, აკურატული ნახელავი.
მხოლოდ და მხოლოდ ამით დავდივარ.
დანახვაც აღარ შემიძლია საძაგელი ჩემი ძონძების,
მაგრამ არ ვყრი სანაგვეზე, ღუმელისთვის გამომადგება.
მაპატიე, რომ ვუღალატე ჩვენს ლამაზ ქალაქს, ჩვენს
პეტერბურგს, ჩვენს კუნძულებს, ჩვენს მეტროს, ყურეს.
უღალატებ, სუყველაფერს დაივიწყებ, როცა ყველა მხრიდან
გიხმობენ,
გიმღერიან მანდარინის, ქლიავის და ზეთისხილის მწიფე ხეები...
აქ ლაღად და ბედნიერად ვარ მე, მცონარე.
დედოფლად ვგრძნობ თავს, ვეება თევზად.
სუყველაფერი მაქვს, რისი მოცემაც შეეძლო ჩრდილოეთს:
კაბალიერო ღამით, მარაო, ღრმა დეკოლტე, წვნიანი ხილი.
ამის სანაცვლოდ რწმენა დავკარგე.
ყველაფერი, რაც მიყვარდა, თაყვანს ვცემდი - დამავიწყდა,
ვერ წავიღე გულის სიღრმეში.
ასე ვფიქრობ, რომ მაპატიებ, რადგან ვიცი: არასდროს
არაფერს ვაკეთებდი მე სიბოროტით.

### У კატალოგის მიხედვით

ძვირფასო, გწერ სატუსაღოდან, ბედს, როგორც ხედავ,
ვერ გაექცევი.
გახსოვს მარჩიელი, მისი ცარიელი, გაჩერებული დღეები,
მისი უმიზეზობა, ჩამოშლილი, მშთანთქმელი ცეცხლის ენები.
მხოლოდ შენ გახსოვს ეს, მარტო ვიყავით ჩვენ მაშინ.
აქ ისჯება თავის მიბრუნებაც, დედოფლის მზერაც,
ეროტიკული სიზმრებიც.
მე მამშვიდებენ: შესასვლელთან ქვის ლომები წვანან.
შენ ამბობდი - ეს სიყვარულის მაგნიტებია,
შენ ამბობდი - ის ქვის ჯავშნის ქვეშ იმალება, სიღრმეში.

### M კატალოგის მიხედვით

ძვირფასო, გწერ მონასტრის გალავნით გარშემორტყმული,
შევიცვალე, შემოსილი სხვანაირად ვარ.
ამ წერილის გამოგზავნას, ალბათ ვერც კი შევძლებ,
კარიბჭე ხომ დაკეტილია.
მაღალ კედლებს ვერ გადაუფრენ: დავდივარ მიწაზე,
ფრთები არა მაქვს და ისე.
გუშინ აქ ჯარისკაცები ცდილობდნენ შემოჭრას.
მინდოდა ბარათი ჩიტების ფოსტით გამომეგზავნა.
მაგრამ მხოლოდ ყვავი იყურება ფანჯარაში, არ ელოდო
მისგან არც დახმარებას, არც გათვალვას.
მთელი დღე ზის ტოტებზე, ცერად მიყურებს, კვირტებს
კორტნის.
შევინახავ წერილებს, შეხვედრისას მთელ დასტას გადმოგცემ.
აქ ბევრი რამ ვისწავლე, ყველა ლოცვა წავიკითხე.
რწმენამ გაიღვიძა ჩემში, თუმცა, ჯერჯერობით ციდამ,
კოლიბრივით.
მარხვას ისე ვიცავ, თევზსაც კი არ ვჭამ.
მთელი დღე ოთახში დავდივარ, წრეზე.
ვფიქრობ, რომ უნდა გიყვარდე, ახლა ხომ შენზე უფრო
ახლოსა ვარ ღმერთთან.

### С კატალოგის მიხედვით

ძვირფასო, გწერ ლაზარეთიდან, შპრიცებია გვერდით,
ფლოსტები, ქალწულები, მანდარინი - საინზე, და
არავინ არ მეკარება, ეშინიათ.
აქ ახალ სიტყვებს ვლაპარაკობ, სხვა სამოსი მაცვია ტანზე.
სამჯერ ვცადე გაქცევა, მაგრამ
გამაჩერეს, არ გამიშვეს, მითხრეს: ყველა შენამდელი, -
ზღვის ფსკერზეა,
მათ იმედიც აღარ დარჩათ, და ნეტარნი არიან უკვე.
გუშინ ქალები მომიყვანეს.
ერთს ეკავა ხელში ჟენშენი, მეორეს ბაზი პირის ღრუში
უგუგუნებდა,
მესამეს შინელი წამოსხმული ჰქონდა მხარზე,
მე არ გავედი მათთან, განძრევა მეზარებოდა.
ნემსი ამიტრიპტილინის გამიკეთეს სალამოთი,
საპროცედუროში ვიდექი, როგორც განდევნილი მანდელშტამი,
სისხლი სდიოდა მედდას ხელებზე.
შევფიცე ექიმს, რომ ჩემს ცხოვრებას აღარ აღვწერ,
ყვავილების ქონი, ვთხოვდი, გამოეწერა, ჩემს ძარღვებს
მხოლოდ ის მოაძლიერებს.
ვამშვიდებდი, პირობას ვდებდი, მაგრამ სიტყვა მაინც გავტეხე.
ძვირფასო, ირგვლივ სიცარიელე რომ არის, აქ არავინ იცის.
ძილის წინ გარეთ გავდივარ, ვყვირი:
"ხალხნო, მისმინეთ: ანგელოზები აკაკუნებენ, უსტვენენ
და გვაფრთხილებენ!"
ამ წინასწარმეტყველებათა გამო მომკლავენ,
მომწამლავენ - მე მეშინია.

### Ю კატალოგის მიხედვით

ძვირფასო, გწერ ღამის სათევიდან, უზარმაზარი გალიიდან,
აქ ნახევარი სამყაროა: მორდოველები, იაკუტები, მკვდრები,
ევენკელები.
თავზე მადგას გვირგვინი, ჯიბეში მიყრია ხურდა.
ღამ-ღამობით აქ იკრიბებიან ქალაქელი უსაქმურები და
ხეიბრები.
არ იფიქრო, რომ ეს კლოაკაა, აქ თავს იყრის ღვთის მთელი
ხროვა.
ღვთისკენაა მიმართული ყველა ფიქრი, შეძახილი,
წამოყვირება.
მე პირის ღრუში მაქვს დამალული ბრილიანტები,
მაქვს პირადი ცხოვრება და სამიჯნურო ვარიანტები,
ამის გამო არ დახიო ეს წერილი ოღონდაც, მე აქ, მეეჭვება,
შევძლო ღალატი.
ღამით ვწევარ ფიცრებზე, ვგრძნობ: ნეტარება გვერდითაა:
მხოლოდ უნდა გავიარო ყრუ დერეფანი, ჯოჯოხეთივით
რომ სრულდება.
მორიგ წერილს იქიდან მოგწერ, თუ ამაზე არ მიპასუხებ.

## თურქეთი: საათის ყიდვა

საათი ვიყიდე ნაწილ-ნაწილ სტამბულის ბაზარში.
მფლეთდა ძაღლი უზარმაზარი, მონადირე, მწევარი იმისათვის,
რომ ვიყიდე ერთი კილო ციფერბლატი, კბილანები, ისრები.
აჯობებდა პატარა კაბა მეყიდა, ბარბარა სტრეიზანდს რომ
აქვს, ისეთი.
თვით ტკბილ თურქეთშიც ხომ ბაგეზე ვატარებდი მის
სიმღერებს, ვერ მოუღო მათ სიცხემ ბოლო,
არ მოეკიდა ობი.
რა დრო გაზომა ჩემმა სათმა, სანამ მიმქონდა უზარმაზარი
ჩანთით.
ყველა წუთი რომ შეაერთო, სანამ ასი მეტრი გავიარე
ვაგზლამდე, დღე-ღამემ გაიფრინა.
ვთრთი ალგზნებისგან, თითქოს საათი კი არ მიმაქვს,
ოქროს ზოდები.
მებარგულები გვერდით მომყვებიან, ჩურჩულებენ,
თვალს უკრავენ ერთიმეორეს, მომსახურებას მთავაზობენ
პირველად მივდიოდი ასეთ ამალასთან ერთად.
არავის ვანდობ ჩემს ბარგს, ხელებს დავიწყვეტ და
არავის ვანდობ.
უკმაყოფილო უხეში თურქული გინების ქვეშ
არავის ვანდობ, ჩემს საუკეთესო დაქალსაც კი არა.
ის მელოდება მე პეტერბურგში, ნერვიულობს, ტაბლეტებს
სვამს, ფანჯარას არ სცილდება, ტაბურეტიდან
არ დგება.

* * *

ლილიპუტები ჩამოვიდნენ კრაკოვში
წვიმაში დგანან
წარმოდგენა დაიწყება ზუსტად შუაღამისას
ხიდიდან გადავარდა ვაგონი პატარა ცხენებით სავსე
საჰაერო ბურთები კოსმოსში გაფრინდნენ
მათ თან სდევს ისეთი პატარა სიკვდილი
რომ არც კი ჩანს
მხოლოდ ისინი ხედავენ
თავიანთი ლილიპუტური თვალებით მას
ჟულიენს მაჯაზე უზარმაზარი ბაფთა აქვს
კუკუს ბრმა თვალები
გოლიათ ჟანს კი საყურეები ძუძუსთავებზე და
სტკივა თავი
პანი ანს და პან ბანს მკვდარი ბავშვი გაუჩნდებათ
მათ წარმოდგენაზე ანშლაგი იქნება
მაყურებელი გაიგებს, რომ ეს მათი ბოლო შოუ იყო
ჭრელი კარავი შაპიტო უფსკრულში ჩაინთქმება
თითოეული თავის მკვდარ პატარა კვიცს მიიღებს და
უფსკრულს მიღმა კიდევ ერთი უფსკრული და
ასე უსასრულობამდე
ბრმა კუკუ დგას წვიმაში, მღერის:
იყიდეთ იყიდეთ ბილეთები
წარმოდგენა დაიწყება ზუსტად შუაღამისას.

რუსულიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა

არილი

თემურ კობახიძე

# მოდერნისტული კარნავალი ტომას ელიოტის ვენეციაში

"რა დახვეწილია ეს სტრიქონები! მათ რომ კითხულობ, ასე გგონია, შავი გონდოლა მიგაცურებს ვარდისფერ-სადაფისფერი ქალაქის მწვანე არხებში..."

ოსკარ უაილდი,
"დორიან გრეის პორტრეტი"

ტომას ელიოტის პოეზიის შესახებ დაწერილ ნაშრომთა კითხვისას ყურადღებას იპყრობს ის, რომ მათი დიდი უმრავლესობა ძირითად პოემებს: – "უნაყოფო მიწას", "ნაცრისყრის ოთხშაბათსა" და "ოთხ კვარტეტს" ეძღვნება. ეს ნაშრომები დეტალურად აცნობენ მკითხველს ელიოტის პოემების ასოციაციურ წყაროებს, საგულდაგულოდ აანალიზებენ მათ აზრობრივ ქარგას და ძალზე შთამბეჭდავად წარმოაჩენენ ამ მოდერნის-



ტი პოეტის მართლაც განსაცვიფრებელ ერუდიციას. მთელი ამ ლიტერატურულ-კრიტიკული ბიბლიოთეკის კიდევ ერთი, სხვა ნაწილი შეისწავლის ძირითად პოემებში გამოხატულ მსოფლმხედველობრივ პრობლემას - ელიოტის რელიგიურ მრწამსს, მის "თეოლოგიასა" და იმას, თუ როგორ გადაიქცა ეს ოდესღაც სამღვდელოებასთან ირონიულად დაპირისპირებული პოეტი იმ ეკლესიის ერთგულ ადეპტად, რომელიც კათოლიციზმისკენ იხრება, მაგრამ სულიერ მამად და წინამძღვრად კენტერბერის არქიეპისკოპოსს აღიარებს. კიდევ სხვა, და ალბათ ყველაზე საინტერესო ნაშრომთა ავტორები განიხილავენ არა იმას, თუ საკუთრივ რ ა ს წერდა ელიოტი, "რას გულისხმობდა" თითოეული მისი დიდი პოემა, ან თუნდაც რომელიმე ძირითადი სახე, არამედ იმას, თუ რ ო გ ო რ წერდა "უნაყოფო მიწის" ავტორი, რა იყო მისი მხატვრული მეთოდის არსი და რა გზით, რა საშუალებებით აღწევდა ის დახვეწილ პოეტურ ეფექტს. ყველა ამ პრობლემურსა თუ მიმოხილვით, ვრცელსა თუ მომცრო ზომის, ზედაპირულსა თუ ზედმიწევნით კომპეტენტურ ნაშრომში შედარებით იშვიათია მცირე ფორმის ნაწარმოებთა სპეციალური კვლევა - ისეთების, მაგალითად, როგორიცაა ლექსი "ბერბანქი ბედეკერით: ბლაისტაინი სიგარით."

"ბერბანქი" ელიოტის მთელი პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე რთული ლექსია. მრავალი წლის მანძილზე ის ურთიერთსაწინააღმდეგო კომენტარებს იწვევდა და ელიოტისტიკაში დღესაც არ არსებობს ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ ბოლოს და ბოლოს რას წარმოადგენს ეს საშუალო ზომის, რვასტროფიანი ნაწარმოები. ამავე დროს, "ბერბანქის" უჩვეულო აზრობრივ ტევადობასა და ასოციაციურ სირთულეს უკვე ადრეული კრიტიკა საგანგებოდ წარმოაჩენდა, როგორც ელიოტის მთელი პოეზიისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან თვისებას, რომელიც კონცენტრირებული სახით სწორედ ამ ლექსში გამოვლინდა. ცალკეული დებულებები "ბერბანქის" შესახებ გაბნეულია რამდენიმე უმნიშვნელოვანეს კრიტიკულ ნაშრომში, როგორც წესი - შემდგომ აზრობრივ განვითარებას მოკლებულ, ლაკონურ დებულებათა სახით. ჯერ კიდევ აიზეკ ეივორ რიჩარდზი თავის ფუნდამენტურ "ლიტერატურული კრიტიკის პრინციპებში" (1924) სწორედ "ბერბენქთან" დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ "მკითხველი, რომელიც ერთ პატარა ლექსში აღმოაჩენს მინიშნებებს "ასპერნის წერილებზე", "ოტელოზე", "გალუპის ტოკატაზე", მარსტონზე, "ფასკუნჯსა და გვრიტზე", "ანტონიოს და კლეოპატრაზე" (ორჯერ), "ექსტაზზე", "მაკბეთზე", "ვენეციელ ვაჭარსა" და რასკინზე, უეჭველად იგრძნობს, რომ მისი ტვინი უჩვეულოდ და ძალზე დაძაბულად მუშაობს."

"ბერბანქი" ელიოტმა 1919 წელს გამოაქვეყნა ლონდონის ალმანახ Arts and Letters-ში, სათაურით "ბლაისტაინი სიგარით", თუმცა სულ მალე ეს სათაური მნიშვნელოვნად შეუცვალა (დაუმატა "ბერბანქი ბედეკერით") და საბოლოოდ, ამერიკაში გამოსულ თავის გახმაურებულ კრებულში, "1920 წლის ლექსებში" გამოაქვეყნა. ამ კრებულშია მოთავსებული სხვა მნიშვნელოვანი ნაწარმოებებიც - "ჯერონშენი", "სუინი ერექტუსი", "სუინი ბულბულთა შორის", "ჰიპოპოტამი", "ბ-ნი ელიოტის საკვირაო წირვა", "უკვდავების ჩურჩული" და რამდენიმე ფრანგულად დაწერილი ლექსი.

1920 წელს ძმისადმი მიწერილ წერილში ელიოტი საგანგებოდ აქებს "ბერბანქს" და "სუინის ბულბულთა შორის" - როგორც ჩანს, მომავალ კრიტიკოსთა გასაგონადაც, რომელთაც, შესაძლოა, ისინი უბრალო "ექსცენტრიკად" მიეჩნიათ: "ლექსები ზედმიწევნით სერიოზულია და ალბათ საუკეთესოა იმათ შორის, რაც კი ოდესმე დამიწერია. აქაც კი (ლონდონში - თ.კ.) ჩვეულებრივი საგაზეთო კრიტიკა ხან "ხუმარად", ხან კი "სატირიკოსად" მნათლავს, და ამერიკაში ხომ საერთოდ აღმაშფოთებელ ვინმედ ჩამთვლიან...". ერთი სიტყვით, ელიოტი იმთავითვე არაორაზროვნად მიანიშნებდა "1920 წლის ლექსების" სირთულეზე, ის თითქოს მზად იყო იმისათვის, რომ "ბერბანქს" ისევე, როგორც კრებულში შემავალ სხვა ლექსებს კრიტიკა და მკითხველი საზოგადოება ვერც ინგლისში და ვერც ამერიკაში უბრალოდ, ვერ გაიგებდა. მისი პესიმისტური პროგნოზი სულაც არ იყო საფუძველს მოკლებული: დღესაც კი, როდესაც ელიოტის პოეზიასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა კარგა ხანია მინელდა, როდესაც მისი ლიტერატურული ესთეტიკა რადიკალურ სიახლედ აღარ აღიქმება და თვით ელიოტი ინგლისურენოვანი ლიტერატურის კლასიკოსადაა შერაცხული, "ბერბანქთან" დაკავშირებით აზრთა ძველებური სხვადასხვაობა სუფევს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს "1920 წლის ლექსების" შექმნის შემდეგ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობას მთელი მეოცე საუკუნის უსასრულოდ მრავალფეროვანი ლიტერატურული ეპოქა არც კი გამოუვლია.

"ბერბანქი" ყველა თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება როგორც ელიოტამდე არსებული, ისე მისი თანამედროვე ინგლისური პოეზიისაგან. ის თვით ელიოტის პოეზიაშიც განცალკევებით დგას, როგორც უმნიშვნელოვანესი ადრეული ნაწარმოები და შემდგომი დიდი პოემების წინამორბედი, რომელიც ჩანასახობრივად უკვე შეიცავს მითოპოეტიკურ ექსპერიმენტსა და ასოციაციურ მრავალნიშნადობას - ელიოტის მოწიფულობის ხანის პოეზიის ძირითად ნიშანთვისებებს. ლექსის მთავარი სირთულე ის სულაც არ არის, რომ სრულიად გაურკვეველია, თუ "რის შესახებაა" ის დაწერილი, ან "რას გულისხმობს" მისი ავტორი: უკვე იმჟამინდელ ანგლო-ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობას მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ნამდვილი ლექსი "კი არ გულისხმობს რამეს, არამედ ის უბრალოდ, არის" (არჩიბალდ მაკლიში, "Ars Poetica", 1924).

მეორე მხრივ, დღესაც არ არის საბოლოოდ გარკვეული, თუ რას წარმოადგენს "ბერბანქის" ფრაგმენტალურ, არაერთგვაროვან სახეთა ერთი შეხედვით სრულიად ქაოტური გროვა; არ არის საბოლოოდ გაშიფრული მისი აზრობრივი სტრუქტურა და ის, თუ რა გზით, რა მეთოდითაა შეკავშირებული ამ რვასტროფიან ლექსში ის რთული ასოციაციური სახეები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე წყაროზე მიანიშნებენ მკითხველს; არ არის გარკვეული, თუ რა მხატვრული დანიშნულება, ან რა აზრობრივ-ემოციური დატვირთვა აქვს ლექსში მოყვანილ ოცდაათამდე ასოციაციურ პარალელს, რომელთა დიდი ნაწილი ინგლისური ლიტერატურის აღიარებულ შედევრებს უკავშირდება. დაბოლოს, დაუდგენელია, თუ ვინ არიან ლექსის "მოქმედი პირნი" - ვის, ან რას განასახიერებენ ესოდენ მჭიდროდ დასახლებულ მცირე ფორმის მხატვრულ სივრცეში პრინცესა ვოლუპინი და სერ ფერდინანდ კლაინი; "ჩიკაგოელი სემიტი ვენიდან" და ხვედრილბალს მინდობილი, "საძირკველში ჩატანებული ებრაელი"; რატომაა ნახსენები რომაული "ღმერთი ჰერკულესი" ან რა საჭიროა ძველი ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას გახსენება. რა კავშირშია ყველა ამათთან ვენეციელი ფერმწერი კანალეტო, ან რა დანიშნულება აქვს ელიოტის ლექსში მისი "პერსპექტივის" ხსენებას; ვინაა გზამკვლევით ("ბედეკერით") აღჭურვილი ბერბანქი და რატომ მაინცდამაინც სიგარითაა წარმოსახული ბლაისტაინი? ერთი სიტყვით, "ბერბანქის" სირთულე სწორედ ის არის, თუ რას წარმოადგენს მისი მხატვრული სტრუქტურა, ანუ ის, თუ სახელდობრ "რა არის" ეს ლექსი.

"ზერბანქი" სავსებით გამოდგება იმის მაგალითად, რომ ელიოტი არასოდეს ყოფილა "ხალასი" შემოქმედი, რომელიც "ნაივურად" წერს იმას, რასაც მას მუზა შთააგონებს. "როდესაც მწერალი ნაწარმოებს ჰქმნის, მისი შრომის დიდი ნაწილი კრიტიკული ხასიათისაა", - წერდა პოეტი დაახლოებით იმ დროს, როდესაც იქმნებოდა "ზერბანქი". ეს კი სხვა არაფერია, თუ არა "გაცრა, შერწყმა, კომბინირება, აგება, წაშლა, ჩასწორება, გადამოწმება და მთელი ეს საშინლად მძიმე შრომა იმდენადვეა კრიტიკული, რამდენადაც შემოქმედებითი ხასიათისა." შესაბამისად, ელიოტის პოეტური მეტყველება ზედმიწევნით "რაციონალურია", უკიდურესად "გათვლილია", ყველა მისი ასოციაციური სახე მრავალგზის გადამოწმებული, დეტალურად "შესწავლილი" და ავტორისეულ ჩანაფიქრთან ზუსტ შესაბამისობაშია მოყვანილი. ელიოტს თითქოს წინასწარ აქვს გათვალისწინებული ყველა ის ინტერპრეტაცია, რაც თუნდაც უკიდურესად განათლებულმა და საგანგებოდ განსწავლულმა მკითხველმა შესაძლოა მის ლექსს მისცეს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ელიოტს ლექსს "მუზა" კი არ აწერინებს, არამედ უსაზღვროდ დახვეწილი ცივი გონება, რომელიც მის პოეზიაში დროდადრო მუზის ნილაბს ატარებს და ზეშთაგონებად წარმოგვიდგება.

ამგვარ "რაციონალიზმში", შემოქმედებითი პროცესის ესოდენ შეგნებულად და მიზანდასახულად წარმართვაში თითქოს იკარგება ძირითადი - თვით ამ პროცესის შემოქმედებითი ხასიათი. მაგრამ მწერლური რაციონალიზმი ელიოტთან ისეთ იშვიათ მხატვრულ დონეს ერწყმის, ურთულესი ასოციაციური სახეები იმდენად ორგანულადაა შეკავშირებული და ეს კავშირი იმგვარ მწერლურ ოსტატობას გულისხმობს, რომ აქ გაცნობიერებული, რაციონალური საწყისი თავად გვევლინება შემოქმედებით საწყისად; ის საკუთარ თავს, საკუთარ მკაცრ ანტირომანტიკულ "რაციონალიზმს" გადალახავს და ერთი შეხედვით საწინააღმდეგო თვისებაში, ჭეშმარიტ შემოქმედებაში, მძაფრი და დახვეწილი ემოციით გაჯერებულ პოეზიაში გადაიზრდება. სუბიექტური, გაუცნობიერებელი შემოქმედებითი მოენტი ელიოტის პოეზიაში შეგნებულად რეპრესირებულია ფსევდოანალიტიკური განსჯის წინ წამოწევისა და მისი მაქსიმალურად განზოგადების, "გაობიექტურების" ხარჯზე. "ჩვენი ინსტინქტები დაბეჯითებით მოითხოვენ ჩვენგან, რომ არ მივანდოთ არაცნობიერის შემთხვევითობას ის, რისი გაკეთებაც გაცნობიერებულად ძალგვიძს.. იმას, რაც გაუცნობიერებლად ხდება, ჩვენ შეგვიძლია მიმართულება შევუცვალოთ და შეგნებულ მიზნად ჩამოვიყალიბოთ", - წერდა პოეტი ესეში "კრიტიკის დანიშნულება". პირადსა და სუბიექტურ შთაბეჭდილებას ელიოტი, როგორც წესი, სავსებით გაცნობიერებული პოეტიკური სისტემის ელემენტად გარდასახავს და მითოლოგიური საყოველთაობის პლანში განაზოგადებს. როგორც ის უილიამ ბატლერ იეიტსის შესახებ წერდა, "პოეტმა უნდა შეძლოს მძაფრი პირადი შთაბეჭდილების გარდაქმნა ზოგად ჭეშმარიტებად, შეინარჩუნოს ამ შთაბეჭდილების განუმეორებლობა და ამასთან ერთად, ის უზოგადეს სიმბოლოდ გარდასახოს."

* * *

ლექსს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი, რომელიც ელიოტის პოეზიის სხვა ეპიგრაფებთან შედარებით მოცულობით ყველაზე დიდია (თუ არ ჩავთვლით "ჰიპოპოტამისას") და ინფორმაციულად ყველაზე ტევადი. ინფორმაციულ ტევადობაში ვგულისხმობ იმას, რომ ის შეიცავს ნაწყვეტებს ექვსი სხვადასხვა წყაროდან, რომელთაგან ერთი ვენეციის ერთ-ერთ პალაცოში დაცულ ფერწერულ ტილოზე არსებულ წარწერას წარმოადგენს, ერთიც - სასცენო "რემარკას", ანუ ავტორისეულ მინიშნებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასცენო მოქმედება დრამატურგიულ ნაწარმოებში. დანარჩენი ოთხი ლიტერატურული წყარო ან უშუალოდ ვენეციის შესახებ არის დაწერილი, ან ამა თუ იმ გზით ვენეციის თემას უკავშირდება:

> Tra-la-la-la-la-laire... Nil nisi divinum stabile
> est; caetera fumus... გონდოლა შეჩერდა, ძველი
> სასახლე ჯერაც იქ იყო, რა მიმზიდველია
> მისი სადაფისფერ-ვარდისფერი... თხები და
> მაიმუნები, თანაც რა თმებით! კონტესა განაგრძობს სვლას, სანამ პატარა ბაღში შევა, სადაც
> ნიობე მას ზარდახშას აჩუქებს დაგაუჩინარდება.*

სიტყვებისა და ფრაზების ეს ერთი შეხედვით უაზრო ხლართი შეიცავს ლექსის გააზრებისათვის აუცილებელ ინფორმაციას - არსებითად, მთელი ნაწარმოების აზრობრივ, ასოციაციურ და სიმბოლურ საფუძველს. ფრაზა Nil nisi divinum stabile est; caetera fumus ("მხოლოდ ღვთაებრივია მუდმივი, ხვა ყველაფერი კვამლია") წარმოადგენს წარწერას კუატროჩენტოს პერიოდის იტალიელი ფერმწერის, ანდრეა მანტენიას (1431-1506) ტილოზე "წმ. სებასტიანი", რომელიც გამოფენილია ვენეციაში, კა დ'ოროს ცნობილ პალაცოში.

sevdian და საზეიმო ლათინურ სენტენციას ვიზუალურად აძლიერებს ტილოს ქვედა მარჯვენა კუთხეში, მუქ მოშავო ფონზე გამოსახული ანთებული სანთელი - დროის, ისტორიისა და სიცოცხლის სიმბოლო, რომელიც იწვის და იქცევა კვამლად. სწორედ მასზეა "მიმაგრებული" პატარა დროშა ელიოტის მიერ ნასესხები წარწერით. "ზერბანქში" ის მძაფრ ემოციურ კონტრასტს ჰქმნის თეოფილ გოტიეს ლექსის, "ვენეციური კარნავალის" რემინისცენციასთან, რომლითაც იწყება ეპიგრაფი (Tra-la-la-la-la-la-laire......) და რომლის "კარნავალური" სულისკვეთებაც, ფაქტიურად, მთელ ნაწარმოებს მსჭვალავს.

საერთოდ, ელიოტის ეპიგრაფები ორგანულად ერწყმიან მისსავე პოეტურ ტექსტებს, წარმოადგენენ ამ ტექსტების განუყოფელ ნაწილს და არა მისი "დედააზრის გამოხატვასა" თუ "კომენტარს", როგორც ეს ხშირად ხდება ელიოტამდელ, ტრადიციულ ინგლისურსა და ამერიკულ პოეზიაში. ამ მხრივ არც "ზერბანქის" ეპიგრაფია გამონაკლისი. წმ. სებასტიანისა და გოტიეს ასოციაციების მოტანით უკვე ლექსის დასაწყისში წარმოსახულია ერთი მხრივ თვით "წარმავალობა" და ამაოება, - მხიარულების, ამქვეყნიური ტკბობისა და დროსტარების მოტივი, ხოლო მეორე მხრივ - გვხვდება საკმაოდ პირქუში შეხსენება იმისა,რომ ყოველივე ეს მართლაც წარმავალია და ადრე თუ გვიან იქცევა "კვამლად", ან, უფრო სწორად - რომ ყოველივე უკვე იმთავითვე არის "კვამლი".

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ვარიაციით, სანთლის ასოციაციური სახის ლაიტმოტივი ლექსში რადენჯერმე გვხვდება. ეპიგრაფში "სანთელი" მხოლოდ იგულისხმება, სათაურში კი ის უკვე ბლაისტაინის სიგარად წარმოგვიდგება. მეხუთე სტროფში უშუალოდ არის ნახსენები "მბოლავი სანთელი - დროის დასასრული", რომელიც ლექსის ერთერთ უმთავრეს სიმბოლურ ხატს წარმოადგენს. საერთოდ, "ზერბანქის" ეპიგრაფს, სათაურსა და საკუთრივ ლექსს მკაფიოდ გამოხატული პარალელიზმი ახასიათებს: ეპიგრაფში მოყვანილი ასოციაციური მოტივები სათაურში იგულისხმება და ვარიაციული სახით, პოლიფონიურად "თანაარსებობს" მთელი "დანარჩენი" ლექ-

---

* პოეტური თარგმანი აქ და ქვემოთ ეკუთვნის ქ-ნ მედეა ზაალიშვილს.

სის სახეთა სისტემაში, ფაქტიურად განსაზღვრავს მას. მაგალითისათვის, თუ "სანთლის" ასოციაციის სახით, დროისა და მარადისობის მოტივი წითელ ზოლად გასდევს მთელ ლექსს, ეპიგრაფის პირველივე მინიშნება თეოფილ გოტიეს "ვენეციურ კარნავალზე" ახდენს "ბერბანქის" მთელი სიტუაციის "კარნავალიზაციას", ამზადებს მკითხველს ლექსის "მოქმედ პირთა" ტრაგიკომიკური ნიღბების შესახვედრად, შეჰყავს იგი ლექსის კარნავალურ სამყაროში.

ა. ე. რიჩარდსი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ რემინისცენცია ელიოტისათვის ინფორმაციის შეკუმშვის საშუალებაა, თუმცა აქ უფრო მნიშვნელოვნად ის გვესახება, რომ ის ახალი ემოციური და ინტელექტუალური მთლიანობის შექმნის საშუალებაც არის. ყოველ ასოციაციურ სახეს, ყოველ ექსტრატექსტუალურ სიუჟეტსა თუ დეტალს, ყოველ მინიშნებას და, შესაბამისად, მკითხველის მიერ ამ მინიშნების "მიგნებას" თან ახლავს როგორც დედნისეული განცდითი შინაარსი, ორიგინალის ემოციური შეფერილობა, ისე მკითხველის მიერ კონკრეტულ ასოციაციათა "აღმოჩენის" მომენტთან დაკავშირებული სრულიად ბუნებრივი ტკბობა. ასოციაციურ დეტალთა დედნისეული ემოციური დატვირთვა ელიოტის ლექსში ახალ მხატვრულ მთლიანობას, ცალ-ცალკე თემებად გაერთიანებულ ინტელექტუალურ ასოციაციათა ერთიან პოლიფონიურ ჟღერადობას წარმოქმნის. სახეები აქ ისეა დალაგებული (და, რაღა თქმა უნდა, ასოციაციურად "ნაგულისხმევიც"), რომ ყოველი მათგანი რამდენიმე მელოდიურ ხაზს ავითარებს და ეს პარალელურად ჟღერადი მელოდიები თუ თემატური ხაზები მთელი ლექსის მანძილზე არ წყდება. ერთიან ჟღერადობაში ისინი სათაურიდან ბოლო სტროფის ჩათვლით, ლექსის მთელ მხატვრულ ქსოვილს განსაზღვრავენ.

ბერბანქი, ამერიკელი ტურისტია, ან ბიზნესმენი, რომელიც საქმიანი ვიზიტით, ან გასართობად ესტუმრა ვენეციას. ცხადია, ეს ძირითადი პერსონაჟი არ არის ვენეციის მკვიდრი და მის იჩამოსვლისა თუ ჩ ა ს ვ ლ ი ს მოტივს (რომელიც, ზ ე ა ღ ს ვ ლ ი ს საპირისპიროდ, პაროდიულ ასოციაციათა დონეზე, ჯოჯოხეთში ჩასვლასაც მოასწავებს), ლექსში სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. ბერბანქის "ტურისტობას" მისი გვარის ამერიკული ჟღერადობის გარდა, მოწმობს ისიც, რომ მას ხელში ბედეკერი უჭირავს. "ბედეკერი" წარმოადგენდა გერმანიაში გამოქვეყნებული ევროპული ქვეყნებისა და ქალაქების გზამკვლევთა სერიას, რომლის გამოცემაც ვინმე კარლ ბედეკერმა 1850 წელს დაიწყო და რომელიც მთელი ასი წლის განმავლობაში საოცარი პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში ჩამოსულ ტურისტთა თუ ბიზნესმენთა შორის. საყურადღებოა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ბედეკერის პატარა წითელი წიგნით ხელდამშვენებული მოგზაური ისეთსავე ტიპიურ სურათს განასახიერებდა, როგორსაც ჩვენს დროში - რუკით, ფოტოაპარატით ან ვიდეოკამერით აღჭურვილი ტურისტი.



ამრიგად, ვენეციაში ჩასვლის მოტივი - იგივე ზოგადმითოლოგიური "მოგზაურობის" (ე. წ. the Quest) დასასრულის, ანუ მაძიებელი გმირის (the Quest Hero) კარნავალიზებულ სიტუაციაში "ჩამოსვლის" თემა, უკვე ლექსის ეპიგრაფში წარმოჩინდება. თავისთავად, ეს მითოლოგემა პროტაგონისტის ჩამოსვლისა შეკრულ, მჭიდროდ დასახლებულ, დრამატურგიულად დაძაბულსა და დროთა თანმიმდევრობის თვალსაზრისით აღრეულ მითოსურ ტოპოსში ("ვენეციაში") უამრავი ლიტერატურულ-სიუჟეტური ასოციაციის აღმძვრელია. ლექსის ეპიგრაფში ის სიუჟეტურად არის გაფორმებული ჰენრი ჯეიმზის რომანის, "ასპერნის წერილების" ასოციაციური მოხმობით. "გონდოლისა" და "ნაცრისფერ-ვარდისფრად მოპირკეთებული ძველი სასახლის" (პალაცოს) ხსენებით ეპიგრაფში ხდება ბერბანქისა და ჰენრი ჯეიმზის გმირის - ვენეციაში ჩასული ამერიკელი გამომცემლის ასოციაციური გაიგივება. გამომცემელი იმიტომ ჩადის ვენეციაში, რომ მიაკვლიოს XIX ს. დასაწყისის ამერიკელი რომანტიკოსი პოეტის, ჯეფრი ასპერნის (ჯეიმზის შეთხზული პერსონაჟია) პირად წერილებს, რომლებიც, მისი ინფორმაციით, იქ მაცხოვრებელი ღრმად მოხუცებული პოეტის ყოფილ სატრფოს უნდა ეკუთვნოდეს. მოხუცი ქალბატონი განმარტოებით ცხოვრობს ძველ პალაცოში და სწორედ ამ პალაცოსთან "შეჩერდება გონდოლა" მის სანახავად ჩამოსული გამომცემლით. შეხვედრისას ეს უკანასკნელი ქ-ნ ბორდეროს თავის ნამდვილ ვინაობას არ უმხელს - ანუ უმალავს მას სტუმრობის რეალურ მიზანს - ანუ, არსებითად, სახეზე ნიღაბს იფარებს, რაც, რაღა თქმა უნდა, ელიოტის ლექსში ისევ კარნავალის სიმბოლურ მოტივს უკავშირდება.

ეპიგრაფშივე ნახსენები "თხები და მაიმუნები" შექსპირული ასოციაციაა - ამ სიტყვებით განრისხებული ოტელო მიმართავს ლოდოვიკოს და მის მხლებლებს, რომლებიც მას კვიპროსში ჩამოუტანენ დოჟის ბრძანებას იმის შესახებ, რომ ვენეციაში უნდა დაბრუნდეს. ფრაზა ორმაგ აზრობრივ დატვირთვას შეიცავს - ერთი მხრივ ესაა "ეშმაკმა დალახვროს!" მსგავსი წამოძახილი, ხოლო მეორე მხრივ ის ლოდოვიკოსა და მის მხლებლებს ეხება, რადგანაც ისინი უნებლიედ და უდროო დროს ესწრებიან სცენას, რომელშიც იაგო საბოლოოდ არწმუნებს ოტელოს, რომ დეზდემონამ მას უღალატა. ცხადია, აქაც ხაზგასმულია ვენეციაში ჩასვლის მოტივი და რადგანაც "ჩამსვლელი" ამ შემთხვევაში ოტელოა, ის ასოციაციურად გაიგივებულია ამერიკელ ტურისტ ბერბანქთან, რომელიც აგრეთვე ვენეციაში ჩადის; ბერბანქი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ჰენრი ჯეიმზის გამომცემელთან, რომელიც ვენეციას ასპერნის წერილების საძებნელად ესტუმრება, ხოლო გამომცემელი - თვით ჰენრი ჯეიმზთან, რომელიც ვენეციაში ნამყოფი, ხოლო 1876 წლიდან ინგლისში დამკვიდრებული ამერიკელი იყო. ლექსი იწყება იმით, რომ ბერბანქი "გადაივლის პატარა ხიდს" და "ციცქნა ოტელთან ჩამოვა":

> ბერბანქმა გადაკვეთა პატარა ხიდი,
> ჩამოხტა ციცქნა სასტუმროს კართან
> პრინცესა ვოლუპინიც იქვე ჩამობრძანდა,
> დაჰყვეს ერთად და ბერბანქი წაზდა.

"პატარა ხიდი" და "ციცქნა ოტელი" ვენეციაში უამრავია, მაგრამ ელიოტი გულისხმობს ლექსში მოგვიანებით უშუალოდ ნახსენებ ვენეციის ერთ-ერთ მშვენებას - რიალტოს, რათა ლექსის სიტუაცია ასოციაციურად "ვენეციელ ვაჭარს" დაუკავშიროს.

საინტერესო ასოციაციური ფუნქცია ეკისრება სიტყვა "descending"-ს (ჩამოსვლა, "დაშვება", მოყვანილ თარგმანში - "ჩამოხტა"), რომელიც იმჟამინდელ მეტყველებაში ეკიპაჟიდან ჩამოსვლას, ანუ მგზავრების "გადმოსხმას" ნიშნავდა, რაც ვენეციაში, სადაც ეკიპაჟები არასოდეს არ დადიოდნენ, შეუძლებელი იქნებოდა. საქმეც ისაა, რომ ელიოტის უზომოდ "აწონილ" ტექსტში ამ სიტყვას მეტად მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა აქვს, რომელსაც სრულიად შეგნებულად ეწირება მისი თავისთავადი მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ გონდოლიდან ნაპირზე (ჩვეულებრივ - კიბეზე) მხოლოდ ა ს ვ ლ ა ა შესაძლებელი, რაც ელიოტს ნახსენებიც აქვს ლექსის მეშვიდე სტროფში, სადაც პრინცესა ვოლუპინი გონდოლიდან გადმოდის და "წყლის" (როგორც ჩანს, სანახევროდ წყალში ჩაძირულ) კიბეზე ა დ ი ს :

გაიწვდის პრინცესა ვოლუპინ გამხმარ,
ლურჯფრჩხილებიან ჭლექიან ხელს,
რომ აჰყვეს წყლის კიბეს...

გარდა ამისა, რიალტოსთან "ჩამოსვლა" ისედაც შეუძლებელია, რადგან თვით სიტყვა "რიალტო" ეტიმოლოგიურად rivo alto-ს,"მაღალ ნაპირს" ნიშნავს. ამგვარად,ოტელთან "ჩამოსლა" ("ჩამოხტომა") და კიბეზე "ასვლა" ისევ და ისევ "ზემოთ ასვლისა" თუ "ქვემოთ ჩამოსვლის" უზოგადეს იგივეობაზე მეტყველებს. სიტყვა " descending" (ჩამოსვლა, გადმოსვლა) ასოციაციურად უკავშირდება "ბერბანქის" შექმნამდე რამდენიმე კვირით ადრე დაწერილ თვით ელიოტის წერილს ჰენრი ადამსის შესახებ, სადაც ის აღნიშნავს, რომ ამერიკიდან ლივერპულში სხვადასხვა წელს ჩამოსული ჰენრი ადამსი და ჰენრი ჯეიმზი "ერთსა და იმავე ოტელთან გადმოსხდნენ", ანუ ერთსა და იმავე ოტელში დასახლდნენ. ("Henry Adams in 1858 and Henry James in 1870 land in Liverpool and... descend at the same hotel"). ამრიგად, ბერბანქი ჰენრი ჯეიმზის გარდა კიდევ ერთი ცნობილი ამერიკელის -- მწერლისა და ისტორიკოსის, ჰენრი ადამსის (1838-1918) პაროდიული ანალოგიაა. თვით "ჩასვლა" კი არა მხოლოდ ვენეციაში ან ლივერპულში, არამედ საერთოდ ევროპაში ჩასვლაა, ან კიდევ უფრო ზოგადად, არა რომელიმე კონკრეტულ გარემოში, არამედ ზოგად მითოსურ სივრცე-დროში ("ვენეციაში") ჩაღწევაა. საბოლოოდ, მრავალგზის გაშუალებულ ასოციაციათა ხარჯზე, ეს რემინისცენცია გულისხმობს ევროპაში ამერიკიდან ჩასულ თვით ტომას ელიოტსაც, რომელიც ერთ დროს, ბერბანქის არ იყოს, ბედეკერით დაიარებოდა ევროპის ქალაქებში და მათ შორის ვენეციაშიც. ფერწერული ანალოგია კიდევ ერთხელ რომ მოვიხმოთ, ტომას ელიოტიც, სხვა დიდ ევროპელ ხელოვანთა დარად, თავის რთულ მხატვრულ ტილოში ამ ასოციაციის საშუალებით თავის საკუთარ შენიღბულ პორტრეტსაც წარმოსახავს.

ახალგაზრდა ელიოტის პირქუში და ირონიული მუზის ევროპულ თავგადასავალთა ვრცელი აღწერა ჩვენი უშუალო სათქმელისაგან საკმაოდ შორს დგას. ალბათ ის უნდა ითქვას მხოლოდ, რომ თვითირონია, რომლითაც პოეტი "ბერბანქში" საკუთარ თავს ასოციაციური სახის კომპონენტად წარმოსახავს, მის იმჟამინდელ ფიქრებსა და წარმოდგენებში იღებს დასაბამს: რაღა თქმა უნდა, ელიოტის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ელიოტის ევროპა კეთილმოსურნე და, ამავე დროს, განცვიფრებული ამერიკელის თვალით დანახული ევროპაა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია მის თანამედროვე კონსერვატიულ და მისდამი არც მაინცდამაინც კეთილგანწყობილ ინგლისურ კრიტიკას. "ელიოტის ადრეულ ლექსთა "განსწავლულობა" უნდა აღვიქვათ, როგორც მისი ამერიკანიზმის ერთ-ერთი ასპექტი", - წერდა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ფ. ვ. ბეიტსონი. "... ის სიამოვნება, რომელ-



საც ის და ეზრა პაუნდი თავიანთ ერუდიციაში ჰპოვებენ და რომელსაც წარმატებით გადასცემენ მკითხველს, თუმც ხარისხობრივად განსხვავებული, თვისებრივად მაინც იგივეა, რასაც ნებისმიერი ამერიკელი ტურისტი განიცდის ჩვენი ტაძრების, სამხატვრო გალერეებისა და მუზეუმების ხილვისას. ლიტერატურული "განსწავლულობა" ამ შემთხვევაში ტურისტის მიერ ნაუცბათევად შეძენილი "კულტურის" ანალოგიურია ...... ეს ტურისტის ერუდიციაა."

ეს აზრი ალბათ ბოლომდე მართებული იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ელიოტის "ხალასმა", "ტურისტულმა" აღქმამ და "პროვინციულმა" ამერიკანიზმმა მძლავრი ბიძგი მისცა ინგლისის ძველსა და ნაყოფიერ კულტურულ ნიადაგზე ახალი მხატვრული იდეალის შექმნას და თვისებრივად ახალი პოეტური თვალთახედვის დამკვიდრებას. მეორეს მხრივ, ჭეშმარიტების მარცვალს ბეიტსონის მსჯელობა მაინც შეიცავს: ის კულტურული გარემო, ის მენტალიტეტი, რომელიც ევროპელი ხელოვანისათვის გენეტიკურად ახლობელი და გაუცნობიერებლად ძვალ-რბილში გამჯდარია, ელიოტისათვის შესწავლის, ანალიზის, აღტაცებული შეფასებისა და მიზანდასახული შეთვისების შედეგს წარმოადგენს. ელიოტს მიაჩნდა, რომ ევროპაში დამკვიდრებული ამერიკელი ერთგვარად "მომგებიან" მდგომარეობაში იმყოფება - ის ყოველგვარი ევროპული ეროვნული სპეციფიკისაგან თავისუფალია, რაც საშუალებას აძლევს მას უფრო ადვილად ეზიაროს არა რომელიმე კონკრეტული ევროპული ერის კულტურას, არამედ მთლიანად ზოგადევროპულ კულტურულ ტრადიციას, მის ძირითად მაცოცხლებელ ნაკადს. ყოველ შემთხვევაში, სრულ "გაინგლისელებამდე" ცოტა ხნით ადრე, 30 წლის ევროპაში ახლადჩამოსულ ელიოტს ჯერ კიდევ მიაჩნდა, რომ "ამერიკელისათვის საბოლოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულყოფა და თვითრეალიზაცია ისაა, როდესაც ის იქცევა არა ინგლისელად, არამედ ევროპელად, ისეთ ვინმედ, ვერც ერთი ევროპაში დაბადებული ევროპული ერის შვილი ვერასოდეს რომ ვერ გახდება.“ („ჰენრი ჯეიმზის ხსოვნას“, 1918).

ალბათ სწორედ ამგვარმა ხედვამ განაპირობა ელიოტის ადრეულ პოეზიაში ზოგადევროპულ სიმბოლურ ტიპაჟთა სიმრავლე და მათი მეტად მნიშვნელოვანი ირონიულ-პაროდიული დანიშნულება. ესაა ერთდროულად სხვადასხვა ეროვნულ ნიშანთა მატარებელი და ამავე დროს საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი, საუკუნის დასაწყისის საშუალო და ზედა სოციალური ფენის „ზოგადევროპული“ წარმომადგენლები. სხვა „1920 წლის ლექსებზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ, უკვე „ზერბანქში“ ვხვდებით სერ ფერდინანდ კლაინს, პრინცესა ვოლუპინს და ევროამერიკელ ებრაელს, ბლაისტაინს - „ჩიკაგოელ სემიტს ვენიდან“. კრებულის სხვა ლექსში - „ჯერონშენში“, რომელიც თავდაპირველი ჩანაფიქრით „უნაყოფო მიწის“ შესავალს წარმოადგენდა, ამგვარი პერსონაჟია ევროპულ მუზეუმში შესული „ჰაკაგავა, ტიციანებს შორის თავს რომ ხრის“. აქვე გვხვდებიან მადამ დე თორნქვისტ, ფროილაინ ფონ კულპ, მისტერ სილვერო, დე ბეილჰაჩე, ფრესკა და მისის ქემელი - საგანგებო დაკვირვების ღირსი უნდა იყოს მათი აშკარად პაროდიული, ევროპულ რეალობაში არარსებული და მაინც ევროპულ ყაიდაზე მოქცეული გვარები. თვით „უნაყოფო მიწის“ პირველსავე ეპიზოდში ავსტროუნგრეთის კრონპრინცის რეალური (ისტორიული) ბიძაშვილის წარმოსახვითი პროტოტიპი, კონტესა მარი ლარიში გერმანულად ამცნობს მკითხველს, რომ ის რუსი სულაც არ არის, უფრო ლიტველია, ერთი სიტყვით - გერმანელი, საბოლოო ჯამში კი - ავსტრიელი: “Bin gar keine Russin, stamm’ aus Luitauen, echt Deutsch...“ მსგავსად ამისა,პრინცესა ვოლუპინის უკანასკნელი „სატრფო“ - სერ ფერდინანდ კლაინიც ერთ-ერთი „ზოგადევროპული“ სახეა. ის შეიცავს ავსტროუნგრეთის ტახტის მემკვიდრის, ფრანც-ფერდინანდ ფონ ჰაბსბურგის ფრიად გამჭვირვალე რემინისცენციას, რომელიც ცნობილი იყო, როგორც პატარა ტანის კაცი (გერმ. Klein - პატარა, დაბალი); სარაევოში მისი მკვლელობა პირველი მსოფლიო ომის საბაბი გახდა. ამავე დროს, ლექსის სიმბოლურ ასოციაციათა პლანში ეს სახე მთელ ევროპას, მის ეროვნულსა და კულტურულ სიჭრელეს განასახიერებს: ინგლისური სარაინდო ტიტული „სერ“ უცნაურად ერწყმის ესპანურ-პორტუგალიურ-ავსტრიულ ისტორიულ ტრადიციაში ცნობილ სახელს „ფერდინანდს“ და მდაბიურ გერმანულ, ან შესაძლოა თუნდაც ებრაულ გვარს „კლაინ“.

სახეთა თუ ნიღაბთა მთელი ეს კალეიდოსკოპი ისევ და ისევ ელიოტის ადრეული პოეზიის ერთ-ერთ ძირითად, ხოლო „ზერბანქისათვის“ განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე მითოპოეტიკურ ხერხს - ნაწარმოების სიტუაციის კარნავალიზაციას ემსახურება. თვით ოტელოს რემინისცენციის მოტანა ეპიგრაფში მხოლოდ ვენეციაში დაბრუნების, იქ ჩასვლის მოტივის ხაზგასმას კი არ გულისხმობს, არამედ იმის მკვეთრად გამოხატულ მინიშნებასაც შეიცავს, რომ ეს უპირველეს ყოვლისა დრამატურგიული, თეატრალური ასოციაციაა, რომელიც იხმობს სახიობის, თამაშის, ნიღბის, და, მაშასადამე - კარნავალიზაციის მოტივს.

ვიქტორიანელი პოეტი რობერტ ბრაუნინგი, რომლის ლექსის რემინისცენციასაც წარმოადგენს ეპიგრაფში მოტანილი ფრაზის ნაწყვეტი „თანაც რა თმებით!“ აგრეთვე განეკუთვნება იმ შემოქმედთა რიცხვს, ვინც იტალიაში მოგზაურობდა და იქ ხანგრძლივად ცხოვრობდა. ის ვენეციაში ჩასვლის შემდეგ, 1877 წელს გარდაიცვალა და მისი ცნობილი ლექსი „გალუპის ტოკატაც“ ვენეციას ეძღვნება. საყურადღებოა, რომ ლექსის გმირი, ბალთაზარო გალუპი ვენეციელი კომპოზიტორი იყო, რომელიც პირიქით, 1740-იან წლებში ვენეციიდან ლონდონში ჩავიდა და იქ რამდენიმე წელი დაჰყო. „გალუპის ტოკატას“ ასოციაციური მოხმობით „ზერბანქში“ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მითოსური ტოპოსი უნივერსალურია, რომ ასოციაციური გმირები სწორედ იმ პირობითსა და მჭიდროდ დასახლებულ სივრცეში „ჩადიან“, რომელიც მოგვიანებით ელიოტის პოეზიაში კიდევ უფრო უნივერსალურ, „ირრეალურ ქალაქად“ - „უნაყოფო მიწის“ ლონდონად, ანუ საკუთრივ უნაყოფო მიწის მითოსად განსახიერდება. როგორც ეს ხშირად ხდება ელიოტის პოეზიაში, არც „გალუპის ტოკატას“ რემინისცენცია არ მიანიშნებს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ასოციაციურ სიუჟეტზე - ვთქვათ, ბალთაზარო გალუპის ლონდონში „ჩასვლაზე“ (რომელიც, ისევე როგორც ელიოტს, რობერტ ბრაუნინგსაც თავისი ლექსის ეპიგრაფში აქვს ნახსენები). ბრაუნინგის ლექსში წარმოსახვითი მოსაუბრე გალუპის ვენეციის დაცემასა და დაკნინებაზე ესაუბრება, მაგრამ, ამავე დროს, ვრცლად აღწერს ვენეციას, საუბრობს ვენეციურ კარნავალზე, ახსენებს „შაილოკის ხიდს“ და დასძენს, ეს ყველაფერი შენი მუსიკით შევიცანი, ვენეციაში არასდროს არ ვყოფილვარ, ინგლისი საერთოდ არასოდეს არ დამიტოვებიაო. აქ უკვე „ჩასვლის“ მოტივი იგივეა რაც „არჩასვლისა“ და „იქვე დარჩენის“, რადგანაც თომას მანის კაიერსაშერნის მსგავსად, ელიოტისეული „ვენეციის“ მითოსური ტოპოსი უნივერსალურია - ის „ყველგანაა და არსად არ არის“, მასში ჩასვლა და არ ჩასვლა ერთი და იგივეა, რამეთუ ის ადამიანის არსებობის ყველა შესაძლებელ ფორმას, ადგილმდებარეობასა თუ დროსა და სივრცეში გადანაცვლებას მოიცავს.

კარნავალის ასოციაცია „გალუპის ტოკატიდან“ ელიოტის ლექსის საერთო კარნავალური ფონის ორგანულ ნაწილს შეადგენს, მაგრამ ყურადსაღებია ბრაუნინგის ლექსში „შაილოკის ხიდის“ ხსენებაც - ამ ხიდად შექსპირის ტრაგედიაში რიალტო მოიხსენიება. „ვენეციელი ვაჭრის“ ამ „მეორად“ ასოცაციას აგრძელებს და ამძაფრებს „ზერბანქის“ მეექვსე სტროფში უკვე უშუალოდ ნახსენები რიალტო, რომლის დასახელებაც ვენეციელთა ცნობიერებაში დღესაც მევახშეთა თავშესაყრელ ადგილს, „ბირჟას“ უკავშირდება. მევახშეობას შუა საუკუნეების ვენეციაში უმთავრესად ებრაელები ეწეოდნენ და „ვენეციელი ვაჭრის“ ეს უშუალო მინიშნებაც გამოჰკვეთს კიდევ ერთ, მეტად მნიშვნელოვან აზრობრივ ფონს, რომელიც შაილოკის ებრაელობას უკავშირდება - ეს მოტივი სათაურშივეა გამოტანილი სიგარის მწეველი ბლაისტაინის ხსენებით.

„ზერბანქის“ მთელი სიტუაცია თითქოსდა იმპროვიზირებულ სცენაზე „დადგმული“, მარიონეტისმაგვარი პერსონაჟების მიერ საგანგებოდ და მიზანდასახულად განსახიერებული პაროდიული „წარმოდგენაა.“ ეს გამოიხატება როგორც მოქმედი პირების გროტესკულ-პაროდიული დეკორატიულობით, მათი კარნავალური „ნიღბოსნობით“, ასევე პირობითი ურბანისტული გარემოს ხელოვნურობით („პატარა ბაღი, ციცქნა ოტელი“, „პატარა ხიდი“, „პრინცესა ვოლუპინის დისტროფიული ხელი“ და სხვა). სცენიური დეკორაციის განცდას ამძაფრებს ეპიგრაფის ბოლო რემინისცენცია, რომელიც წარმოადგენს ციტატს მე-16 - მე-17 საუკუნეების მიჯნის ინგლისელი დრამატურგის, ჯონ მარსტონის მასკიდან „მისი მოწყალება ელისის, დერბის დაქვრივებული კონტესას გასართობად“. ძირითადად, „მასკა“ წარმოადგენდა სალაღობო ფსევდოთეატრალური ჟანრის ერთ ან ორსურათიან სანახაობას, რომელსაც იმჟამინდელი სამეფო ოჯახი და არის-

ტოკრატია უკვეთავდა დრამატურგებს ნადიმის, წვეულების ან სხვა ზეიმის დროს გასართობად. ის ჩვეულებრივ შეიცავდა დეკორაციულ-მითოლოგიურ ან ალეგორიულ სცენებს, რომლებშიც ზოგჯერ მოწვეულ მსახიობებთან ერთად თვით დამკვეთის ოჯახის წევრები იღებდნენ მონაწილეობას. ეპიგრაფში მოყვანილი ფრაგმენტი წარმოადგენს მასკის ტექსტში ჩართულ ავტორისეულ რემარკას, მითითებას მოქმედების წარმართვის შესახებ თეატრალური პაუზის მომენტში, როდესაც "მის მოწყალება კონტესას" წარმოსათქმელი ტექსტი არა აქვს.

ამ ასოციაციის მოტანით ელიოტი ამძაფრებს ლექსის სიტუაციისა და მასში აღწერილი მოქმედების (თუ ლექსში აღწერილს საერთოდ შეძლება "მოქმედება" ეწოდოს) დეკორაციულ, ხელოვნურ, სცენაზე ნიღბოსანთა მექანიკური გადანაცვლების მაგვარ ხასიათს. "ბერბანქი" პაროდიული მასკის ნიშან-თვისებებსაც იტევს - "ღმერთი ჰერკულესიც," "პრინცესა ვოლუპინიც", "ებრაელიც", "მენავეც" და "დარაბებიანი კარჭაპით" მოცურავე "კლეოპატრაც" ("ანტონიოს და კლეოპატრაში" მისი მდიდრული ხომალდის აღწერა შექსპირის პოეტური მეტყველების ერთ-ერთ მწვერვალად არის მიჩნეული) სხვა არაფერია, თუ არა ნიღბები. ნიღბები არიან თვით ბერბანქიც, ბლაისტაინიც და, მათთან ერთად, - სერ ფერდინანდ კლაინიც. ეს უკანასკნელნი ლექსში რიგრიგობით ემიჯნურებიან პრინცესა ვოლუპინს, რაც მათ შინაგან ერთგვაროვნებაზე მეტყველებს - ისინი თითქოს ერთი და იმავე არსის სხვადასხვა ნიღბებს განასახიერებენ, თუმცა, ამავე დროს, ინდივიდუალური ნიშნებითაც გამოირჩევიან. საბოლოოდ, ლექსის ყველა "მოქმედი პირი" პაროდიული რენესანსული "მასკის" პერსონაჟია, სიმბოლური დატვირთვის მატარებელი ალეგორიული სახეები. ცხადია, ელიოტის პაროდიულ წარმოსახვაში "მასკა "თუ "მასკარადი" იგივე "კარნავალია", იგივე რიტუალური საწყისის შემცველი ქმედება, რომელიც ამჯერად პირობითი "ვენეციის" მითოლოგიურ სივრცეში ხორციელდება. მისი მოქმედი პირები ტრაგიკომიკურსა და მექანიკურ რიტუალურ ქმედებაში არიან ჩაბმულნი, ფასეულობათა ნიველირების გამძაფრებულ განცდას გამოხატავენ.

ამ განცდას კი ლექსში უშუალოდ გადმოსცემს ერთადერთი სიტყვა - declines ("კნინდება"), - რომელიც აზრობრივად თითქოს "მბოლავ სანთელზე" და "დროის აღსასრულზეა" მიბმული. ამ ფრაზით ("დროის აღსასრული") მთავრდება მეხუთე სტროფი, სიტყვა "კნინდება" კი ახალ, მეექვსე სტროფს იწყებს:

მბოლავი სანთელი დროის დასასრული

კნინდება. ერთხელაც იქ, რიალტოზე...

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ "კნინდება" აქ ცალკე არის ნახმარი, ლექსის სახეთა წყობიდან ის აშკარად გამოყოფილია. თანაც, ამავე დროს, მას მეტად მნიშვნელოვანი აზრობრივი დატვირთვა ენიჭება და მისი საგანგებო სტილისტური შეუსაბამობა (რა "კნინდება" - სანთელი? დროის დასასრული? თუ დრო კნინდება ვენეციის წარსული დიდების ნაშთებსა და ნანგრევებს შორის?) აქ აზრის ხაზგასმას ემსახურება, კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატავს ავტორისეულ სათქმელს. მეორე მხრივ, "ბერბანქი" ისე არ უნდა აღვიქათ, თითქოს ელიოტი პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ვენეციის "დაკნინებას" გამოხატავს, ან მის "გარდასულ დღეთა დიდებას" ნაღვლობს. "ბერბანქის" კარნავალური სულისკვეთება, მისი ტრაგიკომიკური პათოსი ურთულეს აზრობრივ-ემოციურ კომპლექსს შეიცავს; "დაკნინებისა" თუ "დეგრადაციის" მარტივი კონსტატაცია ან იმ კონკრეტული ისტორიული ვითარების შესახებ საარქივო დოკუმენტის შექმნა ელიოტის მიზანს ნამდვილად არ შეადგენდა. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ კრიზისული თემატიკა წარმოადგენს მეტად მოსახერხებელ "აზრობრივ საკიდს", რომელზედაც პოეტი თავისი ლექსის უაღრესად მრავალფეროვან მხატვრულ ტილოს ჰკიდებს. ამ თვალსაზრისით "ბერბანქი" ნამდვილად შეიცავს თავისი ეპოქის რეალიებს, დროის მიერ ნაკარნახევ "პოეტურ მასალას"; როგორც თვით ელიოტი აღნიშნავდა შექსპირის რენესანსულ მსოფლაღქმასთან დაკავშირებით, "ის იდეათა და წარმოდგენათა იმ კომპლექსს ასახავს, რომლითაც მის ეპოქას მოუხდა აზროვნება." ("შექსპირი და სენეკას სტოიციზმი", 1924).

ასოციაციური დატვირთვის თვალსაზრისით უაღრესად მრავალ-ნიშნადია ლექსის სათაურიც. ორი წერტილი, რომელიც მას შუაზე ჰყოფს, აღიქმება როგორც იგივეობის ნიშანი, ანუ ის, რომ ბერბანქი ბედეკერით იგივეა, რაც ბლაისტაინი სიგარით. ერთი შეხედვით სათაურში ეს ორთოგრაფიული ნიშანი უადგილოდაც მოჩანს; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "ბლაისტაინი სიგარით" წარმოადგენს "ბერბანქისა და ბედეკერის" ერთგვარ კომენტარს, მათ სახესხვაობას, ან მათი რომელიმე ნიშან-თვისების დამამტკიცებელ "საბუთს". აზრის ბუნდოვანებას ამ შემთხვევაში პოეტური მეტყველების უკიდურესი ლაკონიზმი, მისი კონდენსირება იწვევს - სათქმელი საგანგებოდ "შეკუმშულია", სგულადაგულოდ "შენიღბულია" და "ფრჩხილებს გარეთაა" გატანილი, მიზანდასახულად ექსტრატექსტუალურია. უკულმა წაკითხვით სათაურში პრაქტიკულად არაფერი არ იცვლება: "ბლაისტაინი სიგარით" იგივეა, რაც "ბერბანქი ბედეკერით". მაგრამ დაკვირვებული აღქმისას ყურადღებას იპყრობს არა იმდენად თვით ბერბანქისა და ბლაისტაინის სახეები, რამდენადაც მათი აქსესუარები - "ბედეკერი" და "სიგარა". მათგან პირველი არის გეოგრაფიული გარემოს, ქალაქის, "ვენეციის" და, მაშასადამე, ს ი ვ რ ც ი ს სიმბოლო, ხოლო მეორე - სიგარა, იგივე მბოლავი სანთელი, წარმავალობა და დინება - დ რ ო ი ს აღმნიშვნელი ხატი. ორი წერტილით მინიშნებულია სივრცისა და დროის იგივეობა, - შემოტანილია ის მითოსური "ახლა", რომელიც ელიოტის პოეზიაში დროთა აღრევას, უსასრულოდ ხანგრძლივ აწმყოს, მარადისობასა და, საბოლოო ჯამში, ზედროულობას გამოხატავს. ლექსის სათაური თითქოს სიმბოლურად "ეპატიჟება" მკითხველს მყისიერსა და მარადიულ მხატვრულ სივრცე-დროში - იმ მითოსურ ტოპოსში "ჩამოსასვლელად", რომელიც ზედროულ "ვენეციასთანაა" გაიგივებული.

ვენეციაში "ჩამსვლელ" ორ პერსონაჟთაგან მეორის, - სიგარის მწეველი ბლაისტაინის სახე ასოციაციურად უკავშირდება ოსკარ უაილდის "დორიან გრეის პორტრეტს". ამ რომანის მთავარი გმირი უყვება თავის მუდმივ თანამოსაუბრეს, ლორდ ჰენრის, რომ მან თეატრში გაიცნო თავისი სატრფოს - შექსპირული როლების შემსრულებელი მსახიობი ქალის, სიბილ უეინის იმპრესარიო: "აღ-



მაშფოთებელი ებრაელი, ყველაზე განსაცვიფრებელ ჟილეტში გამოწყობილი, რაც კი ოდესმე მინახავს, იდგა შესასვლელთან და საზიზღარ სიგარას ეწეოდა. ცხიმიანი, ხუჭუჭა თმა ჰქონდა და ჭუჭყიან პერანგზე უშველებელი ბრილიანტი უბრწყინავდა. ერთმა რამემ ნამდვილად გამართო: ამ ურჩხულს... წრეგადასულად ჰყვარებია შექსპირი. ისიც გამანდო, თანაც სიამაყით, ხუთჯერ გავკოტრდი და ხუთჯერვე "ბარდის" სიყვარულმა გამაკოტრაო. - წამდაუწუმ "ბარდს" უწოდებდა შექსპირს; ასე ეგონა, ამით უფრო გამოარჩევდა."

უნდა ითქვას, რომ ზოგი თანამედროვე კრიტიკოსი, უკვე ჩვენს დროში, სწორედ "ბერბანქზე" და ბლაისტაინის სახეზე დაყრდნობით ელიოტს ანტისემიტად მიიჩნევს. ამ დღესდღეობით "მოდურ" თემაზე მრავალი ნაშრომი დაიწერა, მათ შორის - ენთონი ჯულიუსის ვრცელი მონოგრაფია.** მათი ავტორები პასუხს ვერ სცემენ მარტივ კითხვას: რა დააკლდებოდა ან რა შეემატებოდა ელიოტის პოეზიის მხატვრულ ღირსებას, მისი ავტორი რომც ყოფილიყო, ან პირიქით - რომ არ ყოფილიყო ანტისემიტი. ესეც არ იყოს, სრულიად არარეალურია, რომ ურთულესი ნართაულების, ირიბი თქმისა და აზრის დაფარვის ცნობილ დიდოსტატს, ტომას ელიოტს, ოდესმე ისე უშუალოდ გამოეთქვას თავისი "ანტისემიტური" პოზიცია, როგორც ეს იმავე ჯულიუსს წარმოუდგენია. ელიოტის პოეტური ფრაზის სიტყვასიტყვით გაგება მისი პოეზიის ვერგაგებას ნიშნავს და უმალ მკითხველის (ამ შემთხვევაში პროფესიონალი მკითხველის, კრიტიკოსის) უმეცრებაზე მეტყველებს, ვიდრე ებრაელთა მიმართ ელიოტის უარყოფით ან მტრულ დამოკიდებულებაზე. ბლაისტაინი, ბერბანქი, პრინცესა ვოლუპინი და სერ ფერდინანდ კლაინი მთელი გასული საუკუნის და დიდწილად ჩვენი საკუთარი დროის უსაზღვროდ განზოგადებული სიმბოლოებია, სწორედ იმ თვისებათა გამომხატველი, რომელთაც შეუდარებლად უფრო დიდი მასშტაბურობით ასახიერებს მათი თანამედროვე დუბლინელი მაწანწალა - ჯეიმზ ჯოისის ცნობილი ებრაელი ლეოპოლდ ბლუმი. ასე რომ, იმავე ლოგიკით ალბათ ჯოისიც უნდა ანტისემიტად გამოგვეცხადებინა. ამ სრულიად აშკარა გარემოებათა მიუხედავად, ზოგი კრიტიკოსი გულმოდგინედ ეძიებს მეოცე საუკუნის დიდ ინგლისურენოვან ლიტერატურაში ებრაელთა შეურაცხყოფის კვალს, იმ უახლესი რუსული კრიტიკისა არ იყოს, სრულიად ნეიტრალურ ნაწარმოებებში რომ "ამხელს" ხოლმე შენიღბულ "ჟიდომასონურ" სიმბოლიკასა და ფარულ "სიონისტურ მოწოდებებს". ცხადია, საკუთრივ ლიტერატურასთან, ნაწარმოების მხატვრული ღირსების შეფასებასთან ყოველივე ამას არაფერი საერთო არა აქვს, თუმცა ახალბედა ლიტერატორთა ფართო წრეში ელიოტის ანტისემიტად გამოცხადება აშკარად იწვევს არაჯანსაღ ენთუზიაზმს: ყველას იზიდავს მოდერნიზმის ცნობილი მეტრის დამკვიდრებულ შემოქმედებით პორტრეტში ახალი პიკანტური დეტალების "აღმოჩენა". ჩვენს უშუალო სათქმელს რომ დავუბრუნდეთ, შექსპირის მოტრფიალე და სიგარის მწეველი თეატრალური მენეჯერი "ბერბანქში" წარმოგვიდგება ბლაისტაინად - საერთაშორისო მასშტაბის საქმოსნად (ან ბანკირად), "ჩიკაგოელ სემიტად ვენიდან". ბლაისტაინის გვარი ელიოტმა ისესხა ბეწვეულის მდიდრული მაღაზიის აბრიდან, რომელიც ლოიდის ბანკის სიახლოვეს იყო განლაგებული (იმჟამად ელიოტი სწო რედ ლოიდის ბანკში მუშაობდა) და რომელიც ეკუთვნოდა ლონდონელ ვაჭარს, გვარად ბლაისტაინს. სათაურშივე მოყვანილი ეს სახე თითქოს მიანიშნებს მკითხველს, რომ ნაწარმოებში უხვადაა გამოყენებული შექსპირული თემატიკა. ბლაისტაინი შაილოკთანაა გაიგივებული, მაგრამ თანამედროვე შაილოკი შექსპირის გმირის პაროდიული ვარიანტიცაა და პაროდიულად სახეშეცვლილი უაილდის პერსონაჟიც. ის ახლა "ბეწვის ქურქში გახვეული ფულია" და უბრალო მევახშე კი არ არის (არც თეატრის უმნიშვნელო მენეჯერია), არამედ საერთაშორისო ბიზნესს ატრიალებს ჩიკაგოსა და ვენაში. საინტერესოა, რომ "ბლაისტაინი და კომპანია" დღეს, უკვე ჩვენს დროში, ბეწვეულის მართლაც საქვეყნოდ განთქმული ფირმაა; დროთა განმავლობაში მათ ბიზნესი ლონდონიდან ჰონკონგში გადაიტანეს და თავიანთ ნაწარმს უკვე მთელ მსოფლიოში ჰყიდიან (ასე რომ ელიოტის ლექსმა ბლაისტაინებს ფაქტიურად წარმატება უწინასწარმეტყველა). მსგავსად იმისა, როგორც უაილდის ტექსტში მენეჯერი თეატრის შესასვლელთან დგას, "ბერბანქშიც" ბლაისტაინი პირველად სწორედ სათაურში გვხდება და თითქოს "წინ უძღვის" ლექსის შექსპირულ ასოციაციათა სიმრავლეს, ელიოტის "თეატრში" ეპატიჟება მკითხველს. შექსპირული თემატიკის მიმნიშნებელი გასაღებია სიბილ ვეინის ასოციაციური სახეც, რომელიც მოგვიანებით, "უნაყოფო მიწაში", უკვე ანტიკური სამყაროს წინასწარმეტყველად - კუმეს სიბილად წარმოგვიდგება, უაილდის რომანში კი, დორიანის თქმით, ის "ხან იმოჯენს თამაშობს, ხან როზალინდს, და ხანაც დეზდემონას."

მთელი ეს საოცრად ჭრელი კალეიდოსკოპი, როგორც თვით ელიოტის, ისე სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ნაწარმოებთა ასოციაციური პერსონაჟებისა, ისევ და ისევ კარნავალური ფერხულის მძაფრ შთაბეჭდილებას წარმოქმნის და გოტიეს "ვენეციური კარნავალის" ძირითად რემინისცენციას უკავშირდება. საქმე ისაა, რომ გოტიეს ამ ლექსს ინტენსიურად არჩევენ "დორიან გრეის პორტრეტშიც" - თვით დორიანი ხმამაღლა კითხულობს "კარნავალის" სწორედ იმ ნაწყვეტს, სადაც ლირიკული გმირის გონდოლა "ვარდისფერ ფასადს მიადგება" და ის "მარმარილოს კიბეზე ადის":

...Devant une faœade rose
Sur le marbre d'un escalier...

სხვანაირად რომ ვთქვათ, "ასპერნის წერილებსა" და "ვენეციური კარნავალის" პირწმინდად "იმპრესიონისტული", ფერწერული დამთხვევა (ან ურთიერთგავლენა) ელიოტს ოსტატურად აქვს გამოყენებული იმისათვის, რათა მისი ლექსის ასოციაციურმა სახემ ერთდროულად ორივე წყაროზე მიანიშნოს მკითხველს და თანაც აღძრას "დორიან გრეის პორტრეტის" მეტად მნიშვნელოვანი ასოციაცია. ვენეციის სადაფისფერი ფასადებისა და ვარდისფერი მარმარილოთი ნაშენები პალაცოების ხსენება მიანიშნებს ლექსის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასოციაციურ წყაროზე - ცნობილი ინგლისელი ხელოვნებათმცოდნისა და კრიტიკოსის, ვიქტორიანული ესთეტიკის კანონმდებლის, ჯონ რასკინის წიგნებზე "არქიტექტურის შვიდი მანათობელი"(1849) და "ვენეციის ქვები"(1851), რომლის უშუალო დამოწმებაც "ბერბანქის" უკანასკნელ სტროფში გვხვდება. ყველა ამ რემინისცენციათა რთული გადახლართვით ელიოტი კიდევ ერთხელ, კონცენტრირებული სახით წარმოაჩენს ლექსის ორ უმნიშვნელოვანეს, მთელი მისი პოეტური სტრუქტურისათვის განმსაზღვრელ ასოციაციურ სიმბოლურ ხატს - "ვენეციასა" და "კარნავალს".

დასასრული შემდეგ ნომერში

---

** იხ.Anthony Julius. T.S. Eliot, Anti-Semitism, and Literary Form. Cambridge University Press, 1995

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მირჩა ელიადე ჩვენში, ძირითადად, ცნობილია როგორც რელიგიის ისტორიისა და მითოლოგიის უთვალსაჩინოესი სპეციალისტი. მისი რენესანსულად მრავალმხრივი ნიჭიერების სხვა წახნაგებს, ისევე, როგორც მის დაუჯერებლად მრავალფეროვან ბიოგრაფიას, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. არადა, რუმინეთში იგი უკვე 26 წლის ასაკში გახდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მწერალი; იმდენად პოპულარული, რომ სამშობლოში... დიდხანს და ჯიუტად ამბობდნენ უარს მირჩა სერიოზულ მეცნიერად ელიარებინათ, ვიდრე ერთმა მისმა გამოკვლევამ საფრანგეთში არ მოიპოვა აკადემიური დაფნები. შემდეგშიც მის არსებაში განუყოფლად ერწყმოდა ერთმანეთს უდიდესი ერუდიციის მკვლევარი და უცნაური ფანტაზიის მწერალი.

ჩვენი პუბლიკაციები "უცნობ" ელიადეს წარმოგიდგენთ.

"მამაცობის აპოლოგია" 21 წლის ასაკში შექმნილი ტექსტია, რომლის ცოტა არ იყოს ქაოსური სახოვანების წიაღ გულისხმიერი თვალი უზარმაზარ, ლამის უიტმენის მასშტაბის პოეტურ ტალანტს გაარჩევს. აქ თვალნათლივ იკითხება სულის ორი თვისება, რომლითაც მრავალი წლის შემდეგ უკვე მსოფლიო სახელის შემოქმედმა თავისი სიჭაბუკე დაახასიათა - ღრმა მელანქოლია და ბობოქარი ენერგია. და კიდევ, აშკარაა საკუთარი პიროვნების შექმნის - მეთუნის მსგავსად თავისი ხელით მოზელისა და სურვილისამებრ გამოძერწვის - რწმენაც და ნებაც.

"აპოლოგია" დასრულებულია 1928 წლის იანვარში. რამდენიმე თვეში მირჩა ელიადე ინდოეთში გაემგზავრა. ცხოვრობდა კალკუტაში, შეისწავლიდა სანსკრიტს, ესაუბრებოდა და თარგმნიდა რაბინდრანათ თაგორს. მერე ჰიმალაებში გადაინაცვლა, სადაც ერთ-ერთ ინდუისტურ მონასტერში სვამი შივანანდუს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა პრაქტიკულ იოგას... ელიადე ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ინდოეთში გატარებულმა სამმა წელიწადმა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება განსაზღვრა.

სიბერისდროინდელი საუბრები კლოდ-ანრი როკესთან დაგვარწმუნებს, რომ მირჩა ელიადეს პიროვნული ბირთვი არ შეცვლილა. ეგ არის სახელგანთქმულმა მეცნიერმა ოდნავ მეტი სიდინჯე და ვნებების კონტროლირების უნარი შეიძინა. სხვა მხრივ კი ეს იგივე მეოცნებე და ბობოქარი სულია, თავისი ადამიანური შეზღუდულობის საზღვრებს იქით გასვლას რომ ლამობს.

სხვათა შორის, ზოგიერთი მხატვრული სახე, - უფრო სწორად კი, სულიერი რეალობა, - მთელი ცხოვრება თან სდევდა ელიადეს. ინდოეთში გამგზავრების წინ შექმნილი ჭაბუკური "აპოლოგიის" ყველა მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს ყინულოვან უდაბნოში მდებარე გამოქვაბულის სურათი, საითკენაც მისწრაფვის ზეკაცური ნებით ატანილი განდეგილი.

ოცი წლის შემდეგ, უკვე 41 წლის დაღვინებულ მამაკაცს დღიურში ჩაუწერია: "რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება ინდოეთის გარეშე?.. იმ რწმენის გარეშე, რომელიც ჩემში დღესაც ცოცხლობს: "რაც გინდა მოხდეს, ჰიმალაებში ყოველთვის იარსებებს გამოქვაბული, რომელიც მე მელის".

დაბოლოს, სიბერისჟამინდელი საუბრებიდან:

"- თქვენ ახლაც ფიქრობთ გამოქვაბულზე?

- დიახ, გამუდმებით! ეს არის ჩემი დიდი იმედი.

- რას გააკეთებდით იქ: იოცნებებდით, იკითხავდით თუ წიგნებს დაწერდით?

- გამოქვაბული - ესაა თავისუფლება და განმარტოება... და ეს სავსებით საკმარისია".

რედაქცია

ემილ მიშელ ჩორანი

# მირჩა ელიადე



ელიადე გავიცანი ბუქარესტში 1932 წელს, ფილოსოფიის კურსის დამთავრების შემდეგ. ის კერპი გახლდათ ახალი თაობისა - მაშინ ამ მაგიურ ფორმულას ამაყად ვიმეორებდით. აბუჩად ვიგდებდით "ბებრუცუნებს", "რამოლის" - ერთი სიტყვით, იმათ, ვინც ოცდაათ წელს იყო გადაცილებული. ჩვენმა სულიერმა მოძღვარმა მათ წინააღმდეგ ნამდვილი საომარი კამპანია წამოიწყო, ერთიმეორის მიყოლებით ანადგურებდა და მიზანს თითქმის არასოდეს აცდენდა. "თითქმის"-მეთქი, ვამბობ, რადგან ის ზოგჯერ შეცდომებს უშვებდა. მხედველობაში მაქვს მისი გამოხდომები დიდი პოეტის - არგეზის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის დანაშაული კი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ის აღიარებული, ოფიციალური მგოსანი იყო. თაობათა შორის გაჩაღებული ბრძოლა სხვადასხვაგვარი კონფლიქტების წვდომისა და განმარტების საერთო პრინციპად გვესახებოდა. ახალგაზრდობის ასაკს ავტომატურად გენიალურობის ასაკად მივიჩნევდით. ალბათ იტყვით, რომ ამგვარი თავდაჯერება ჭაბუკებს ყოველთვის სჩვეოდათ. რა თქმა უნდა, მაგრამ არა მგონია, ვისმე ჩვენსავით შორს შეეტოპა. ეს იყო ისტორიის დამორჩილებისადმი მიმართული ნების უკიდურესი გამოხატულება, ისტორიაში შესვლისადმი, ნებისმიერი ძალისხმევის ფასად სიახლის გამოგონებისადმი ლტოლვა. სიშმაგე ნორმას წარმოადგენდა და ის ხორცშესხმული იყო პერსონაჟში, რომელიც ახლახან დაბრუნდა ინდოეთიდან, ე.ი. სწორედ იმ ქვეყნიდან, რომელიც ყოველთვის უგულებელყოფდა ისტორიას, ქრონოლოგიას, საერთოდ, ნებისმიერ მოძრაობა-განვითარებას. ამ პარადოქსს ხაზგასმით არ აღვნიშნავდი, მაგრამ ის ააშკარავებს ელიადეს ხასიათის სიღრმისეულ დუალიზმს; მასში ურთიერთს უთავსდებიან არსი და მოვლენა, ზედროულობა და ყოფა, მისტიციზმი და სიტყვაკაზმული ლიტერატურა. გამონაკლისის სახით, ამგვარმა დუალიზმმა არ გამოიწვია პიროვნების გახლეჩა: საბედნიეროდ, ელიადეს ეხერხება (ერთდროულად ან მონაცვლეობით) ურთიერთგანსხვავებულ სულიერ დონეებზე ცხოვრება: ექსტაზის ტექნიკის დაუფლებისას ის ანეკდოტსაც არ თაკილობს.

ჩვენი ნაცნობობის დასაწყისში მაკვირვებდა, როგორ შეეძლო მას, ჩასწვდომოდა სანკჰიას (რომლის შესახებ მაშინ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა) და, იმავდროულად, აღტაცებულიყო მოდური რომანით. იმ დროიდან მოყოლებული, ეს უჩვეულო, ყოვლისმომცველი, წრეგადასული ცნობისმოყვარეობა ნიადაგ მხიბლავდა; ამასთან, ელიადეს სულაც არ ახასიათებს ბნელი, ავადმყოფური დაჟინება მანიაკისა, რომელიც ცოდნის ერთი კუნჭულით იფარგლება, ხოლო სხვა ყველაფერს ფრივოლურობად და ზედმეტ გონებრივ ტვირთად მიიჩნევს. მის ერთადერთ მანიას, რომელიც ამასთან, ასაკთან ერთად, შესუსტდა, წარმოადგენს ერთნაირად ხარბი ინტერესი ცოდნის განსხვავებული სფეროების მიმართ; ეს კი იმათი ნიშან-თვისებაა, ვინც ეწაფება სხვადასხვა საგანს მხოლოდ შემეცნებისადმი დაუოკებელი წყურვილის კარნახით. იმ დროს ელიადე ეთაყვანებოდა იორგას. რუმინელი ისტორიკოსი, არაორდინარული, მიმზიდველ-მომნუსხველი პიროვნება ნიკოლაე იორგა ავტორია დაახლოებით ათასი ნაშრომისა, რომელთა ერთი ნაწილი უაღრესად შთამბეჭდავია, მაგრამ ძირითადად - სიტყვამრავალი, ულაზათო და ბუნდოვანი. იმ ქაოსში მხოლოდ იშვიათად თუ გამოკრთება სინათლის სხივები. ელიადე აღტაცებული იყო იორგათი, ისევე, როგორც აღგვაფრთოვანებს ხოლმე ბუნება - ტყე, ზღვა, ნახნავი მიწა, ერთი სიტყვით, ბარაქა, სიჭარბე, ყოველივე ის, რაც აღმოცენდება, იზრდება, ნაყოფს ისხამს და ამკვიდრებს საკუთარ თავს. ელიადეს არასოდეს უღალატია სასიცოცხლო ძალისა და ნაყოფიერების კულტისთვის - განსაკუთრებით, ლიტერატურაში. შეიძლება, ვაზვიადებ, მაგრამ, ჩემი აზრით, ქვეცნობიერად ის წიგნებს ღმერთებზე მაღლა აყენებს და მეტი ხალისით სცემს თაყვანს. მე, ყოველ შემთხვევაში, არ შემხვედრია წიგნებით მასზე მეტად მოჯადოებული ადამიანი. ვერასოდეს დავივიწყებ, როგორი თრთოლითა და სინაზით ეფერებოდა ის წიგნების ყდებსა და გარეკანს, რა სიყვარულით ფურცლავდა მათ პარიზში ჩამოსვლისას (მეორე მსოფიო ომის შემდეგ). წიგნების მაღაზიებში ელიადე კერპთაყვანისმცემელივით ძრწოდა და თითქოს წმინდა რიტუალს ასრულებდა. ამგვარი ენთუზიაზმი გულისხმობს სულიერი ძალების მნიშვნელოვან მარაგს, რის გარეშეც შეუძლებელია სიუხვის, სიმდიდრის, ხელგაშლილობის, ანუ იმ თვისებების შეფასება, რომელთა მეშვეობითაც სული ბაძავს ბუნებას და აჭარბებს კიდეც მას. არასოდეს მიტაცებდა ბალზაკი. სიმართლე რომ ვთქვა, მის ნაწარმოებებზე ჯერ კიდევ სიყრმისას ავიცრუე გული. გზა

ვერ გავიკვლიე ბალზაკის სამყაროსკენ, რომელიც ჩემთვის დახშულია. რომ იცოდეთ, რამდენჯერ სცადა ელიადემ ჩემი მოქცევა! ის კითხულობდა "ადამიანურ კომედიას" ბუქარესტში; გადაიკითხა 1947 წელს პარიზში; გამორიცხული არაა, რომ ახლაც კითხულობს მას ჩიკაგოში. ელიადეს ყოველთვის მოსწონდა სისხლსავსე, ბობოქარი სიცოცხლით გაჟღენთილი რომანი, რომელიც მრავალ პლანში ვითარდება და წარმოქმნის "უსასრულო მელოდიას"; სადაც თვალსაჩინოდ შეიგრძნობა დროის მდინარება, გულმოდგინედაა მონიშნული დეტალები და ხორცშესხმულია რთული, მრავალფეროვანი თემები. ჩემი მეგობარი უფრთხოდა იმას, რასაც ლიტერატურაში ეგზერსისი ეწოდება - ანემიურსა და რაფინირებულ, ესთეტებისთვის ესოდენ სასიამოვნო თამაშებს, სიდამპლეშეპარულ, ოდნავ მყრალ ქმნილებებს, რომლებიც გაძარცულია ინსტინქტისა და ენერგიისგან. მაგრამ ბალზაკით მისი გატაცება სხვაგვარადაც შეიძლება აიხსნას. არსებობს აზროვნების ორი კატეგორია: პირველ მათგანს აინტერესებს პროცესი, მეორეს კი - შედეგი; პირველი აკვირდება აზრისა და მოქმედების თანმიმდევრულ გაშლა-განვითარებას, მათ ეტაპებსა და ეტაპობრივ გამოხატვას, ხოლო მეორე მიისწრაფვის უშუალოდ ფინალისკენ, რეზიუმესკენ, იმგვარად, რომ არ ითვალისწინებს ლოგიკურ შუალედებს. ჩემი ტემპერამენტის ზეგავლენით ყოველთვის მიზიდავდა აზროვნების მეორე ტიპი. შესაბამისად, მიტაცებდნენ შამფორი, ჟუბერი, ლიხტენბერგი - ისინი, ვინც გვაწვდიან ფორმულებს, მაგრამ არ გაშკარავებენ ამ ფორმულებისკენ მიმავალ მარშრუტებს. მოკრძალებულობის თუ უუნარობის გამო ეს ადამიანები ბრმად ხელმძღვანელობენ ლაკონიურობის პრინციპით; მათ სურთ, სათქმელი ქაღალდის ერთ გვერდზე, ერთი ფრაზის ან ერთი სიტყვის მეშვეობით გამოხატონ. დროდადრო ეს ხერხდება, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ - ძალზე იშვიათად. ზოგჯერ უმჯობესია ლაკონიზმისგან თავის შეკავება და გაჩუმება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს იჩენს მოჩვენებითი იდუმალებით აღსავსე მრავალმნიშვნელოვნება. და თუ ადამიანს მოსწონს გამოხატვის ამგვარი, უკიდურესად პურიტანული და, შეიძლება ითქვას, უგერგილო ფორმა, მისგან გადაჩვევა და სხვა ფორმის გათავისება ძალზე ძნელი საქმეა. ის, ვისაც ჩვევად ექცა ორაკულებისადმი მიმართვა, ვერ ჩასწვდება ბალზაკს. სამაგიეროდ, მას შეუძლია განსაზღვროს, რატომაა სხვა ადამიანისთვის ძვირფასი მწერლის სამყაროში ასახული ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები, თვალსაწიერის სიფართოვე, თავისუფლება, რისაც არაფერი გაეგებათ მაქსიმების - იმ მცირე ჟანრის მოყვარულთ, რომელშიც სრულყოფილებას ასფიქსია ახლავს.

მოვლენათა ფართო სინთეზისადმი მტკიცე ერთგულების მიუხედავად, ელიადემ მაინც შეძლო, თავი გამოეჩინა ერთ პასაჟშიც, მოკლე და ელვისებური სისწრაფით დაწერილ ესეიში. ამას ადასტურებს მისი პირველი თხზულებები, მრავალრიცხოვანი მინიატურული ტექსტები, რომელთაც ის აქვეყნებდა ინდოეთში გამგზავრებამდეც და იქიდან ჩამოსვლის შემდეგაც. 1927 და 1928 წლებში ელიადე რეგულარულად თანამშრომლობდა ბუქარესტის ერთ ყოველკვირეულ გაზეთში. მაშინ პროვინციაში ვცხოვრობდი და გიმნაზიის ბოლო კლასებში ვსწავლობდი. გაზეთი ჩვენამდე დილის თერთმეტ საათზე აღწევდა და სკოლიდან ჯიხურში ვიპარებოდი ხოლმე მის მოსატანად. ამგვარად მომეცა შესაძლებლობა, გავცნობოდი აშვაგხოშის, კერეში ჩომ ბუონაიუტის, ეუხენიო დ'ორსისა და მრავალი სხვის მეტ-ნაკლებად გახმაურებულ სახელებს. უპირატესობას ვანიჭებდი უცხოელ ავტორებს. ჩემს პატარა ქალაქში არ მოიპოვებოდა მათი წიგნები, რომელთა მეშვეობითაც (ჩემი აზრით) შეიძლებოდა იდუმალებისა და ჭეშმარიტების სამყაროში შეღწევა, ხოლო ბედნიერება დაიყვანებოდა ოდესმე მათი წაკითხვის იმედზე. ამგვარად, იმედის გაცრუების შესაძლებლობას სამომავლოდ ვვარაუდობდი, მაშინ, როდესაც რუმინელი ავტორები ამ გრძნობას იმთავითვე აღმიძრავდნენ. საკვირველი ერუდიცია, გზნება და ცხოველმყოფელი ძალა იყო ჩაქსოვილი ამ პატარა სტატიებში, რომლებიც მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობდნენ.



ემილ მიშელ ჩორანი, ეჟენ იონესკო და მირჩა ელიადე

მჯერა, რომ მათ ხიბლსა და ღირებულებას არ აზვიადებს მეხსიერების მრუდე სარკე. სტატიებს გიჟივით ვეწაფებოდი, მაგრამ ჩემს სიგიჟეს სალი გონება ხელმძღვანელობდა. ვაფასებდი, პირველ ყოვლისა, უნარს, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდა ელიადეს ტექსტებში ვიბრირებდა და ცოცხლდებოდა თითქმის ისტერიული მიკერძოებით ხორცშესხმული ყოველი იდეა. ამასთან, ეს იყო პოზიტიური, მასტიმულირებელი, ჯანსაღი ისტერია. რა თქმა უნდა, ამგვარი უნარი ახასიათებს მარტოოდენ გარკვეულ ასაკს, მოგვიანებით კი ის იფერფლება, ხოლო თუ მაინც გაჰყვება მოწიფულ პიროვნებას, რელიგიათა ისტორიის კვლევისას მისი დემონსტრირება სრულიად უადგილოა.

ელიადეს ყველაზე ბრწყინვალე თხზულებაა "წერილები პროვინციელისადმი", რომელიც მან დაწერა ინდოეთიდან დაბრუნების შედგომ და ნაწილ-ნაწილ გამოაქვეყნა იმავე ყოველკვირეულ გაზეთში. ვფიქრობ, ელიადეს არც ერთი პუბლიკაცია არ გამომიტოვებია. თუმცა, მათ ყველანი ვკითხულობდით, რადგან ისინი სწორედ ჩვენ გვეხებოდა, ჩვენთვის იყო გამიზნული. ელიადე ხშირად გვკენწლავდა და თითოლეული ჩვენგანი ელოდებოდა თავის ჯერს. ერთხელ მისი მათრახი მეც მომხვდა. ელიადე მთავაზობდა, არც მეტი, არც ნაკლები, გავთავისუფლებულიყავი აკვიატებული იდეებისგან, აღარ დამებეჭდა პერიოდულ გამოცემებში მიღმური მსჯელობები და შემეწყვიტა გაუთავებელი ბჭობა ჩემს საყვარელ თემაზე - სიკვდილის პრობლემაზე. მაგრამ განა ეს მოთხოვნა გავითვალისწინე? სულაც არა! აზრადაც კი არ მომსვლია, სხვა პრობლემებით დავინტერესებულიყავი. სწორედ იმ დროს გამოქვეყნდა ჩემი ტექსტი, რომელიც ეხებოდა "ჩრდილოელ ხალხთა ხელოვნებაში ასახულ წარმოდგენებს სიკვდილის შესახებ" და მტკიცედ გადავწყვიტე, ამ კურსისთვის არ მეღალატა. გულის სიღრმეში ვსაყვედურობდი ჩემს მეგობარს, რომ ის თავდავიწყებით არც ერთ საქმიანობას არ ეძლეოდა; რომ სურდა, ყველაფერი ყოფილიყო და არ ძალუძდა, კონკრეტულად რაიმედ ქცეულიყო; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას არ ხელეწიფებოდა ფანატიზმი, ბოდვა, "სიღრმე", ანუ - რომელიმე მანიით ერთიანად გატაცება, მასში ჩაძირვა. ვფიქრობდი, რომ რაიმედ ყოფნა ნიშნავს საკუთარ პოზიციაზე გახევებას, თვალის ცეცების, პირუეტების, განახლებისადმი მზაობის აღკვეთას. გონების ძირითად დანიშნულებად მიმაჩნდა საკუთარი სამყაროს, განკერძოებული აბსოლუტის შექმნა, სადაც, რადაც უნდა დამჯდომოდა, ჩავიკეტებოდი. ამაში ვგულისხმობდი, თუ გნებავთ, ანგაჟირებულობას, მაგრამ ისეთს, რომლის ერთადერთი მიზანი იქნებოდა შინაგანი სამყაროს შექმნა, მხოლოდ საკუთარი თავისადმი მსახურება. ელიადეს ბრალად ვდებდი "მოუხელთებლობას", ჭარბ ღიაობას, ზედმეტ დინამიურობას, იმას, რომ მასში დუღდა და გადმოდუღდა ენთუზიაზმი. სხვა ყველაფერთან ერთად, იმაშიც ვადანაშაულებდი, რომ თავისი საქმიანობა მთლიანად არ მიუძღვნა ინდოეთს. მეგონა, რომ ინდოეთი ყველაფერს მოიცავდა და ამ ქვეყნისადმი ინტერესის ნაკლებობა პიროვნების დეგრადაციის შესახებ მეტყველებდა. ჩემი ბრალდებები ჩამოვაყალიბე სტატიაში, რომელსაც აგრესიული სათაური ჰქონდა - "ადამიანი ბედის გარეშე". საყვარელ მოაზროვნეს მკაცრად გავუსწორდი, გავკიცხე არათანმიმდევრულობის გამო, რაც მას საშუალებას არ აძლევდა, თავისი მოღვაწეობა ერთი იდეისადმი მიემართა; შეძლებისდაგვარად, ყველანაირად ვამტყუნებდი, ყველაფერში უარყოფით მხარეებს ვეძებდი (უსამართლო და არალოიალური მიდგომის კლასიკური ნიმუში!), ბრალად ვდებდი იმასაც, რომ საკუთარ ალაგმულ ვნებებსა და მისწრაფებებს ის სურვილისამებრ განაგებდა, თავს არიდებდა ტრაგიზმს და უგულებელყოფდა "ფატალურობას". ამ ოსტატურად განხორციელებულ თავდასხმას მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა: მას იერიში მიჰქონდა ყველა ფრონტზე, ე.ი. ფაქტობრივად, შეეხებოდა ნებისმიერი ადამიანის ნაკლოვანებებს. ნეტავ, რატომაა, რომ თეორიული აზროვნებისადმი მიდრეკილ, გარკვეული პრობლემებით დაკავებულ ადამიანს ან გმირად მიიჩნევენ, ან კიდევ - მონსტრად? იდეა და ტრაგედია ღვიძლი ძმები როდი არიან, მაგრამ იმ დროს დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველი იდეა ყვირილში უნდა გადაზრდილიყო. უყოყმანოდ მჯეროდა, რომ პირქუში ხედვა სალი აზროვნების მაჩვენებელია? ამიტომ ჩემს მეგობარს ვაკრიტიკებდი ზედმეტი ოპტიმიზმის, განურჩევლად ყველაფრით დაინტერესებისა და ძალების იმგვარი ფლანგვის გამო, რაც ვერ უთავსდება ჭეშმარიტი შემეცნების მოთხოვნებს. უნებისყოფობით გატანჯული, თავს, ელიადესთან შედარებით, გაცილებით ემანსიპირებულ პიროვნებად ვაღიარებდი, თითქოს ჩემი უნებისყოფობა სულიერი მონაპოვარი ან სიბრძნის შედეგი გახლდათ. ერთხელ ვუთხარი, რომ წინამორბედ ცხოვრებაში ის, უთუოდ, მხოლოდ ბალახით იკვებებოდა და სწორედ ამის წყალობით შეინარჩუნა ეგზომ ნედლი გრძნობები, მიმნდობლობა და გულუბრყვილობა. ვერ ვაპატიე, რომ მასზე უფროსად ვგრძნობდი თავს, რომ მას ვაკისრებდი პასუხისმგებლობას ჩემი მოჟამული ხასიათისა და ხელმოცარულობის გამო და მეჩვენებოდა, რომ თავისი იმედები ჩემი იმედების ხარჯზე მოიპოვა. როგორ შეძლო ელიადემ, წარმატებისთვის მიეღწია რამდენ ურთიერთგანსხვავებულ სფეროში? უშრეტი ცნობისმოყვარეობა, რომელსაც ეშმაკეული წარმომავლობის ვნებად ან, წმ.ავგუსტინეს მსგავსად, "უჟმურად" მივიჩნევდი, ჩემი ბრალდებების ძირითად საყრდენს წარმოადგენდა, თუმცა სინამდვილეში ეს ცნობისმოყვარეობა ღაღადებდა არა ავადმყოფობის, არამედ, პირიქით, ჯანმრთელობის შესახებ. შურით აღვსილი, მას სწორედ ამ ჯანმრთელობას ვდებდი ბრალად. მაგრამ ჩვენს ურთიერთობაში დელიკატური მოტივებიც მონაწილეობდა.

ალბათ, ვერ გავკადნიერდებოდი, დამეწერა "ადამიანი ბედის გარეშე", რომ არა ერთი საგანგებო გარემოება. ჩვენ გვყავდა საერთო მეგობარი ქალი, ძალზე ნიჭიერი მსახიობი, რომელიც, მისდა საუბედუროდ, გაიტაცა მეტაფიზიკურმა პრობლემებმა. ამ გატაცებამ იმსხვერპლა მისი კარიერაცა და ნიჭიც. უშუალოდ სცენაზე, ამა თუ იმ ტირადის ან დიალოგის წარმოთქმისას ქალს უეცრად "წამოუვლიდა" ხოლმე: გლობალური იდეებით შეპყრობილი მსახიობი ყოველგვარ ინტერესს ჰკარგავდა იმის მიმართ, რაც უნდა ეტიტინა მოქმედების მსვლელობის დროს. ეს მტკიცე ხასიათის მქონე პიროვნება თავის განცდებს არც მალავდა, რაც მის თამაშზე ზემოქმედებდა. ქალი დატოვეს თეატრში, მაგრამ მარტოოდენ უმნიშვნელო, არცთუ რთულ როლებს აძლევდნენ. მან ისარგებლა შემთხვევით და მთლიანად მიეცა თავის მიდრეკილებას მედიტაციისადმი, თან ეძებდა პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებშიც აქსოვდა მის მართლაც რომ მგზნებარე სულს. პასუხების მისაღებად ის ჯერ ელიადესთან მიდიოდა, შემდეგ კი, უკვე ოდნავ დამცხრალი, ჩემთან. ერთ მშვენიერ დღეს ელიადემ ვერ მოითმინა და ქალი სახლიდან გააგდო. განწბილებული მსახიობი ჩემთან მოვარდა, რათა თავისი განცდები გა-

ეზიარებინა. ამის შემდეგ ერთმანეთს ხშირად ვნახულობდით; ყველაფრის თქმის საშუალებას ვაძლევდი და ვუსმენდი. რაც მართალია, მართალია, განსაცვიფრებელი პიროვნება გახლდათ, მაგრამ ისეთი მომთხოვნი, ისეთი აბეზარი და ამასთან, ისეთი ჯიუტი იყო, რომ ყოველი ჩვენი შეხვედრის შემდეგ, გაოგნებული და სრულიად გადაქანცული, პირველსავე დუქანში მივდიოდი და ვთვრებოდი. მიყრუებული სოფლიდან ჩამოსული ეს თვითნასწავლი გლეხი ქალი არაჩვეულებრივი აღმაფრენით, ბრწყინვალედ მსჯელობდა არყოფნის უფსკრულის შესახებ. ის დაეუფლა რამდენიმე უცხო ენას, გატაცებული იყო თეოსოფიით, კითხულობდა გამოჩენილ პოეტთა ქმნილებებს. მისი რამდენიმე თავგადასავალი მარცხით დამთავრდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ განუცდია ისე მძაფრად, როგორც - უკანასკნელი. მსახიობის ღირსებების, ისევე, როგორც მისი ტრაგიკული განცდების უჩვეულო მასშტაბურობის გამო ჩვენი ნაცნობობის დასაწყისში ვერაფრით ვხსნიდი ელიადეს უტიფარ საქციელს. სამაგიეროს გადახდის მიზნით დავწერე “ადამიანის ბედის გარეშე”. როდესაც ეს სტატია გაზეთის პირველ სვეტში გამოქვეყნდა, ქალი აღფრთოვანდა, ხმამაღლა წაიკითხა თხზულება ჩემი თანდასწრებით, თითქოს ის რომელიღაც პიესის საკვანძო მომენტი ყოფილიყო, და თითოეული პარაგრაფი განმარტა: “ამაზე უკეთესი არაფერი დაგიწერია“, - მითხრა მან. ეს შეუსაბამო ქება, ფაქტობრივად, მას შეეხებოდა, რადგან თვითონ წამაქეზა საამისოდ და მასალაც მომაწოდა. მოგვიანებით ჩავწვდი ელიადეს დაღლისა და გაღიზიანების მიზეზს, აგრეთვე მის წინააღმდეგ ჩემი გამოხდომის შეუსაბამობას; აღსანიშნავია, რომ სტატიამ მას გული კი არ დასწყვიტა, არამედ - გაართო. ელიადეს ეს თვისება საგანგებოდ ხაზგასასმელია: საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ მწერლებს დიდხანს ახსოვთ და სტანჯავთ ხოლმე მათ წინააღმდეგ მარჯვედ გამიზნული შეურაცხყოფა.

იმავე პერიოდში ელიადე შეუდგა ლექციების კითხვას ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტზე. როდესაც კი შემეძლო, ყოველთვის ვესწრებოდი მათ. სულიერმა გზნებამ, რომლითაც მისი სტატიები უხვად იყო გაჯერებული, ამჯერადაც იჩინა თავი. ეს იყო სიცოცხლის ვიბრაციით ყველაზე მეტად გაჟღენთილი და ყველაზე შთაგონებული ლექციები, რაც კი ოდესმე მომესმინა. ყოველგვარი ჩანაწერების გარეშე, ლირიკული ერუდიციის გრიგალით ატაცებული ელიადე დარბაზში ისროდა ბობოქარ, მაგრამ ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებულ ფრაზებს და მათ ხელის მკვეთრ მოძრაობებს აყოლებდა. გადიოდა დაძაბული საათი, რომლის შემდეგ - მართლაც რომ საკვირველია, - მას დაღლილობის ნიშან-წყალიც კი არ ეტყობოდა. ელიადეს თითქოს შეეძლო დაღლილობის უსასრულოდ გადავადება. ყველაფერი ნეგატიური, ყოველივე ის, რაც იწვევს ფიზიკურსა და სულიერ თვითგანადგურებას, მისთვის უცხო იყო, და ახლაც ასეა. აქედან გამომდინარე, მას არ ახასიათებს უდრტვინველი მორჩილება, ლამენტაციები, თვითგანქიქება, რომლებიც გულისხმობს ჩიხს, მარაზმს, მომავლის არარსებობას. შეიძლება, ეს მსჯელობაც კადნიერი იყოს, მაგრამ, ვფიქრობ, ელიადეს, რომელიც გონებით მშვენივრად სწვდება ცოდვის არსს, ცოდვის გრძნობა არ გააჩნია, საამისოდ ის ძალზე ფიცხი, დინამიური, სულსწრაფია, ზედმეტად აღსავსეა სამომავლო გეგმებით და მიილტვის ახალი შესაძლებლობებისკენ. ცოდვის გრძნობა უჩნდება მხოლოდ იმას, ვინც უსასრულოდ ღეჭავს წარსულის საცოხნელს, ვინც სამუდამოდ გაეჩხირა ამ წარსულში და თავის დახსნა არ შეუძლია, ვინც თხზავს ცოდვებს ზნეობრივი წამებისადმი მიდრეკილების კარნახით და სიამოვნებს თითოეული იმ სამარცხვინო ან გამოუსწორებელი საქციელის გახსენება, რომელიც მან ჩაიდინა, ან კიდევ - აპირებდა ჩადენას. ყოველი ამგვარი პიროვნება შეშლილია. მხოლოდ მას არ ენანება დრო საიმისოდ, რათა ჩააღწიოს თვითგვემის უფსკრულში - დამკვიდრდეს იქ და ლაფში იგოროს, - ის ხომ იმავე ყალიბშია გამომცხვარი, რომელშიც ჭეშმარიტი ქრისტიანის სული ყალიბდება, ქრისტიანისა, რომელიც განამებული არსებაა, შელახული სულით. მისი არაჯანსაღი სურვილია, შეჩვენებულ იქნას. საბოლოოდ ის იმარჯვებს ამ სურვილზე, მაგრამ ეს გამარჯვება (ე.წ. “რწმენის მოპოვება”) სრული როდია. პასკალისა და კირკეგორის შემდეგ “ხსნას“ ვეღარ წარმოვიდგენთ სხვადასხვაგვარი სახიჩრობებისა და შინაგანი დრამით ფარული ტკბობის გარეშე. ამჟამად, როდესაც მოდაში შემოვიდა “შეჩვენებულობის დაღი“ - რა თქმა უნდა, ლიტერატურაში, - გვინდა, რომ მთელი სამყარო, შეჩვენებულივით, კაეშანმა მოიცვას. მაგრამ განა შესაძლებელია მეცნიერის შეჩვენება? ან რა მიზეზით უნდა მოხდეს ეს? ცნობილია რომ რაც უფრო ფართოა ცოდნა, მით უფრო ძნელია ჯოჯოხეთის წარმოდგენა: მისი წრეები ძალზე ვიწროვდება. ალბათ, ახლა ქრისტიანობის მარტოოდენ პირქუში ასპექტები თუ გაგვიღვიძებს გარკვეულ განცდებს; სწორედ მისი ბნელით მოცული სიღრმეების ჭვრეტა ავლენს ამ რელიგიის არსს. და თუ ჩვენი წარმოდგენები სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ელიადე ნამდვილად განდგომილია ქრისტიანობისგან, როგორც მისი პროფესიის, ასევე - შეხედულებების ძალით. ხომ არაა ელიადე ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი ახალი ალექსანდრიზმისა, რომელიც, მისი ძველი ნაირსახეობის მსგავსად, ათანაბრებს ყველა რელიგიას და უპირატესობას არ ანიჭებს არც ერთ მათგანს? რომელი რელიგია უნდა ამჯობინოთ, რომელი დაიცვათ და რომელ ღვთაებას უნდა მოუწოდოთ, თუ არ გსურთ მათი იერარქიულად დაწყობა? ძნელად წარმოსადგენია, როგორ ლოცულობს რელიგიათა ისტორიის სპეციალისტი. და თუ ის მართლაც ლოცულობს, ეს ნიშნავს, რომ მეცნიერი განუდგა თავის პროფესიას, დაუპირისპირდა საკუთარ თავს, ანადგურებს თავისსავე “ტრაქტატებს“, სადაც არ ფიგურირებს არც ერთი ჭეშმარიტი ღმერთი და ყველა ღმერთი ტოლმნიშვნელოვანია. უმადური შრომაა სხვისი ღმერთების აღწერა. ნებისმიერი შესანიშნავი კომენტარი საქმეს ვერ უშველის - ღმერთებისგან მხოლოდ გამონაწური დარჩება, მათ გაცოცხლებას კი ვერავინ შეძლებს. ღმერთების ურთიერთშედარებისას ელიადე მხოლოდ შუბლით შეაჯახებს მათ ერთმანეთს, რაც საერთო ზარალს გამოიწვევს, არა ღმერთების, არამედ ანემიური სიმბოლოების, რომლებთანაც მორწმუნეს არაფერი ესაქმება - თუ ვიგულისხმებთ, რომ ერუდიციის, მიუკერძოებლობისა და ირონიის ეგზომ მაღალ დონეზე შეიძლება ფეხი მოიკიდოს ორთოდოქსულმა რწმენამ. ჩვენ ყველანი, ელიადეს მეთაურობით, - ყოფილი მორწმუნეები გახლავართ, ჩვენ ვართ მორწმუნეები რელიგიის გარეშე.

თარგმნა თამარ ლომიძე

არილი

მირჩა ელიადე

# მამაცობის აპოლოგია



კალკუტა, 1930.

ვუმღერი ქალწულს და საფუარს მისი ტანისა, ჩვენს არსებაშიც რომ გადმოდის, ჩვენშიც ფუვდება. კდემამოსილ და ჩუმ ანგელოსს, თვინიერ ცრემლით მტანჯველ ხანჯარს რომ გვიცხრობს სულში. ოღონდ იცოდეთ, რომ ეს ხოტბა, ქალწულის ხოტბა, თავად სიმღერად ამოხეთქილი და მძულვარე მრისხანებაა; რომ ამოთქმისას სისხლად მექცა პირი, ტუჩები, თვალები - ცეცხლად, ხოლო ხელები ზეცისკენ აჭრილ-აჭყორცნილი სამანებია.

ვუმღერ მშვენებას, სიტკბოებას, ნეტარ ცდუნებას, გზას რომ უნათებს ჩირაღდნების მხრჩოლავი ალით მამრს უბადრუკი დაღმასვლისას მწვერვალებიდან, სადაც სუნთქვა ჭირს, გათოშილ ქვებს ხრავს ქარაშოტი.

ისმინეთ ქება ქალწულისა:

მისი სიშიშვლე ბამბისებრი სითეთრე არის.

მისი სხეულის ოვალები - მდელო და ბორცვნი - თვალთ ელხინება, თრობით ავსებს, ესალბუნება.

მისი სხეულის ნელსურნელი ციურ ცვარ-ნამის გუნდრუკია, ნაკვერცხლებიდან ფთილა-ფთილად რომ აღიკმევა.

...მთრთოლვარე ყელი ვნებააშლილ სულამითისა...

მკლავები არის ულბილესი თეთრი გველები, მათში ჩაფლულ მაშვრალ ბაგეებს ვნების, სურვილის, ნეტარების ცეცხლით რომ აგზნებს.

ძუძუებზე კი - ერთი სასწორის ამოპირქვავებულ ორ ფიალაზე - ზეაბზეკილ-ამრგვალებული კერტებია დაკოსებული.

და ძუძუ-მკერდი იბურცება და იბერება და იტიკნება ღამეული ოცნებებისგან, როს ცნობისწამრთმევ სიტკბოების ხორხისმიერ ოხვრის თანხლებით, იწყება გადაშლა მუხლებისა - იწევა ფარდა, რაც ტრაგედიის დაწყებას გვამცნობს.

რბილი მუცელი და უმანკო ხევი მის ქვემოთ დაძაბულია საოცრების შიშნარევი მოლოდინისგან, უღრან ტყესავით უკარება, კაცშეუვალი.

წაკულაკივით უმწიფარი შვართხი ბაყვები; მხურვალება და სინოტივე; შესაფერი იდუმალ ჩრდილთა, კაცს რომ ნესტოებს უთრთოლებს და სუნთქვას უხშირებს.

მისი წვივებიც რებუსია, ამოხსნას ელის!

ასე ალვავლენ მონოტონურ ქებათა ქებას იმ ქალწულისა, რომელიც ცრემლად დაიღვრება განთიადისას.

## ქებათა ქება ქალწულს

ვუმღერი ქალწულს, ვუმღერი სევდას ქალწულისას, ქვითინში რომ უნდა ჩაიღვაროს განთიადის ჟამს. ვუმღერი ქალწულს, მამრს შიმშილი რომ დაუპურა, და მწყურვალებით ახურებულ კუნთებში, ძვლებში, მაგრილობელი მოდუნება რომ ჩაუღვარა. ვუმღერი ქალწულს, ყველა ქალწულის მჭმუნვარებით სავსე მონობას. ვუმღერ თეთრ ნადავლს მზიდან ამოზრდილ ხელებით პყრობილს. ვუმღერ ქალწულის უნებლიე წუხილს და ცრემლებს, უბიწობის სამუდამო დაკარგვის გამო; შიშნეულ კვნესას, შობილს მამრის აღუვსებლობით.

ვუმღერი ქალწულს, ვუმღერი მტერს სიმორცხვით სავსეს; ბინდში შემალულ მაცთუნებელ თბილ ნეტარებას. ვუმღერი თვალებს, ცრემლის მღვრელს და გულის შემმუსრავს. ვუმღერი ქალწულს, ყველა ქალწულს, მათ ჯადოსხეულს, მამრების მზერას რომ იზიდავს ანდამატივით. ვუმღერ ამ სხეულს, ქალწულის ტანს, ვნებით რომ ამღვრევს დაწმენდილ ნათელს ცაშიც, კაცის თვალსა და სულშიც. ვუმღერი ამ ტანს, დამათრობლად, ცნობისწამღებად რომ იფურჩქნება და ყვავილობს ვნების ხვატისგან; ხოლო გმირობის ხორშაკიან, დამქანცველ გზებზე წინ გველობება, როგორც ჩრდილი და განსვენება.

ვუმღერი ქალწულს, ვუმღერ სევდით სავსე მეგობარს, ჭმუნვით აღსავსე არსებისა, მამრს რომ ვუწოდებ... დიახ, მამრს ვარქმევ და აღვუვლენ ხოტბათა ხოტბას.

## მამრის სადიდებელი

შენს სადიდებელს აღვავლენ მამრო, დიდება შენს სქესს, რომლის წიაღაც აღმოცენდა ქარაფები, ცის კამარები.

დიდება ამ სქესს აღუვსებელს და მოუქანცველს, ვისაც ფილტვები ღრმა და მწველი სუნთქვით აქვს სავსე, ხოლო ჯანსაღი და წვენსავსე სათესლეები - გამარჯვების შმაგი წყურვილით.

ვაქებ მამრის შუბლს - შეტევისთვის გამზადებულს, ბრძოლად შემართულს. ვაქებ შეტევას - აჭრას ზემოთ, სიმაღლისაკენ: კიდით კიდემდე მოვარვარე მუგუზლებით მოვარაყებულ ღრმა უფსკრულებით დაღარული მწვერვალებისკენ.

დიდება თვალებს, მამრის თვალებს - ქუთუთოებს უკან დამალულ მრისხანების ცეცხლს, ელვის კონებს

და მეხთატეხას.

დიდება მკლავებს - უტეხ ძვლებზე აგრაგნილ კუნთებს, რომლებიც თრთიან მოლოდინით, როცა მდედრი ან საქმე უხმობს.

დიდება მამრის სხეულს, მის სისხლს - ალისფერს, მძიმეს, ბაგეებისკენ რომ მიილტვის იმ ღვინის მსგავსად, ეშმაკეული დედაკაცის ძუძუებშორისში რომ ღვრიან ხოლმე და ასე სვამენ. სისხლს, თვალის გუგებს რომ აწვება, აბრმავებს მზერას; დაწყვეტამდე რომ ძაბავს კუნთებს და სუნთქვას გიშლის; მთელ შიგნეულს რომ გიტრიალებს და გხუთავს... გახრჩობს.

დიდება ტუჩებს, მამრის ტუჩებს, მარადჟამს მწყურვალს, არჩევანისას ურყევ ნების ძალით მოკუმულს, მრისხანებისას ცოფმოდებულს და ხილვად საშიშს, როდესაც ხვადს წადილი იპყრობს.

დიდება ტუჩებს, ბარბაროსის ტუჩებს დაფჩენილს, სისხლიან ხორცის შთანთქმად მზადმყოფს, მოსურნეს იმის, თავის წიაღში მოაქციონ ქარაშოტები და წყაროებიც, ხეებიც, ქვებიც...

ტუჩებს დადაგულს თეთრ სხეულთა მხურვალე ცეცხლით, ალერსსდანატრულ საუნჯეთა მწველი შეხებით.

დიდება კბილებს, შმაგს, ცოფიანს და ძლევამოსილს - უბიწო მხრების და წვივების დამშანთავ ნესტარს, და ბაყვებისაც, დაურვების ძალსმინდობილნი კაცის ხელებში რომ მრგვალდებიან.

დიდება მამრის გარეგნობას, უშნო სიწმინდეს, ღაწვთა ოვალის დამანგრეველ კაცურ ყვრიმალებს, ამ ძალოვან ყბებს, ღონივრად რომ კუმშავენ კბილებს და ამ ფართო შუბლს, თვით ზეცას რომ ექიშპება.

დიდება თვალებს, მამრის თვალებს ყოვლისმოსურნეს, ყოველივეს რომ იძულებით ეუფლებიან და მერე თავის ნება-სურვილს უმორჩილებენ.

დიდება ვნებას, ყველა გრიგალს, რომელთა გავლით სული იწრთობა, იწმინდება და იბრძმედება.

დიდება წმინდა მამრულ საწყისს - მამრს წმინდა სახით.

ჰეი თქვენ - ვნებადაშრეტილნო და თქვენ - უფერულ ყოფითობის ჭაობის ტყვენო, თქვენც - მხნეობისა და სილაღის ძალსმოკლებულნო და თქვენც - თოვლიან მღვიმეების ჩამჭკნარნო შვილნო, თქვენც - განდეგილნო მდუმარ ტაძრების, ვინც სურნელოვან სანთლებად ბჟუტავთ, თქვენ ყველავ - ილაჯგაცლილნო და სურვილდავსილნო, ჩამომხმარნო და ჩაჩანაკნო, ისმინეთ ჩემი: ყინულოვანი წვიმის თქეშით განიბანეთ მჭკნარი სხეული, დაფშვენით მძიმე ლოდები და სვით ზღვის სიმლაშე. ზეცა და მიწა ახალ წვენით აგივსებთ სხეულს და ახალ სულად ჩაგეღვრებათ მზე ძველ სისხლ-ხორცში. დაუნდობელი აზრების სკა აგივსებთ კეფას... ნუ შედრკებით! ნუ შეშინდებით! ძველს განუდექით, კაცურ ძალში ხელახლა იშვით!

## დაკარგულ სიმაღლეთა სევდა

ამ ქების ამოღრიალება ხმას როდი მართმევს. საუბარს განვაგრძობ და დინჯად ამოვთქვამ ჭეშმარიტებებს.

ყველა ის როდი მიმაჩნია მამაკაცად, ვისაც კაცის სახელი ჰქვია. კაცად ქცევა ქრისტიანად ქცევის მსგავსია - ამისთვის ხელახლა შობა არის საჭირო: უშიშარი გარდაქმნა მთელი ცხოვრებისა, საკუთარ თავზე გამარჯვება, ფერისცვალება. განა შესაძლებელია, ეს პირობები კატეგორიებად დავანაწევროთ და ეპითეტებამდე დავიყვანოთ? კაცობა ეს არის დინამიკაში მოცემული ფენომენოლოგია, განუწყვეტლივ მოძრავი ჯაჭვი ცხოვრებისადმი, სულისადმი, ღვთისადმი დამოკიდებულებებისა. უზარმაზარი მანძილია თავქარიანი ჭაბუკის გულუბრყვილო უვიცობიდან, საკუთარი სქესის პოტენციისა რომ არაფერი გაეგება, იმ მშობლის ყოვლისმცოდნეობამდე, რომელიც უკვე იქცა თავისი



მეუღლესთან, ჰოლანდიელთან ერთად, ჩიკაგო 1978.

ქვეყნიერების მამად - შექმნა ახალი სამყარო და მხოლოდ საკუთარი ნებელობის ძალით დააფუძნა იგი სხვებში. დაე ეს პარადოქსად ჟღერდეს, მაინც ვიტყვი, რომ მხოლოდ დადგინებაში შეიცნობა კაცობის არსი.

მამაკაცობის აუცილებელი ატრიბუტი ევოლუციის ყველა ეტაპზე, - იმ ბელადის პირველყოფილი ჟესტიდან მოყოლებული, საკუთარ სხეულს სხვისი ტკივილის ხარჯზე რომ ანებივრებს, ასკეტის უშეღავათო განდეგილობამდე, - ეს არის ბუნებრივი გამოვლინება ნებისა. ნების ძალა, აი, რას მიელტვიან ქალები. მათ სწყურიათ, ამ ძალამ დაიურვოს; არადა თვითონ უმორჩილებენ თავს საკუთარ კაპრიზს - ნების ილუზიურ გამოვლინებას. ფსევდომამაკაცებს უყვართ მსჯელობა ნებაზე, ტვინის ჭყლეტა ნების ყოველმხრივ შესაფასებლად, მერე კი მისი უკუგდება ან მიღება მცირე ზომის ყველასთვის უსაფრთხო ულუფებად, რიტორიკულ ცეცხლს ეშხს რომ შემატებს. სინამდვილეში ნება ეს არის წმინდა მამაკაცური ქმედითობა. ის ტვინიდან გამოჭყლეტილი ფანტაზია კი არ არის, არამედ - რეალურად საგრძნობი ძალა, რომელიც მიუწვდომელია სულიერი ენერგიისგან დაცლილი, სისავსესა და სიუხვეს მოკლე-

ბული ცნობიერებისთვის. შესაძლოა, თავად ბედისწერამ განაწესა, ნების გამუდმებით და დაჟინებით, და არა წამიერ ამოფრქვევებად, გამოვლენა მთლიანად ერთი სქესის ხვედრი ყოფილიყო. ბედისწერამვე მოგვისაჯა ცთუნებათა მუდმივი და ცოცხალი მონაწილეობა ცხოვრებაში. წინაპართა უძლურება სულით ხორცამდე მსჭვალავდა ადამიანის არსებას, მოუშორებელ ლექად რჩებოდა ტვინსა და გულში. ამან დაბადა უშქარი უსქესო არსება. სულ უფრო ძნელდება მამაკაცური პოტენციის აუცილებლობაზე საუბარი და მისი ღირსებების მტკიცება. საზოგადოება თავს იცავს კაცური ნებისგან და, რაკილა მისი მოსპობა არ ძალუძს, ცდილობს იზოლირებით უვნებელყოს ან გახრწნას იგი. ბომონდს თავისი ფუტურო კერპები ჰყავს. ამიტომ არის სულებისთვის, ვისაც დაკარგული სიწმინდის სევდა აწამებს, ესოდენ საზარელი განსაწმენდელი.

არაცნობიერ არსებობას არც ტკივილი ახლდა და არც ნეტარება, იგი კუნთების გავარჯიშების მსგავსი კორექტულად შესრულებული საქმიანობა იყო. ცნობიერებამ საკუთარ თავზე ძლევის მოპოვების უმძაფრესი წადილი შვა ადამიანში, და ამავე დროს - მტანჯველი განცდა ამის შეუძლებლობისა. ამ საკითხზე ბევრ კარგ მოაზროვნეს და ბევრ ქმედების კაცს უმსჯელია, ხოლო ჩემით, აი, რას მივხვდი: ცნობიერებამ ნათელი გახადა ადამიანის უსუსურება კოსმოსის წინაშე. "მსურს ეს ვაშლი და მსურს ეს ქალი!" ღლისით, მზისით შიშველი მამაკაცი ჩაკბეჩს ვაშლს და ქალს სისხლი სდის. მაგრამ, აი, გაიღვიძა ცნობიერებამ და ადამიანმა მაშინვე იფიქრა: "თუკი წყალზე გავლა მოვისურვე, დავიხრჩობი, ხოლო თუ მოვისურვე მზეს ხელით მივწვდე, სხვებს ვაფიქრებინებ შეშლილიაო". სურვილისა და საღი აზრის ეს დაპირისპირება უცნობი იყო პირველი ადამიანისთვის. ისურვებდა და ზღვაზეც ისე გაივლიდა, როგორც ხმელზე, ისურვებდა და მზეს ხელებში მოიმწყვდევდა. მტკიცებულებებს ნუ მომთხოვთ. ხომ ფაქტია, რომ ისტორიამდელი ნება ახლა უკვე მიუწვდომელია ჩვენთვის? და რომ ჩვენს ტვინს, რომელიც მრავალსაუკუნოვანმა აზროვნებამ გამოფიტა, ამ ნების აღარაფერი გაეგება? უშქარი მამაკაცის უძლურება, მემკვიდრეობით რომ გადმოეცა ჩვენი დროის უშქარ ფსევდომამაკაცს, კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც სახელი შეიძინა დუალიზმმა "ადამიანი - კოსმოსი". მაგრამ ამავე დუალიზმიდან იღებს სათავეს მამაკაცის ფერისცვალება, მისი პიროვნების დადგენება.

აი, პარადოქსის განმარტება: საკუთარი უძლურების სულსა და ხორცში გამჯდარმა მემკვიდრეობით მიღებულმა რწმენამ მამაკაცი თითქმის მთლად ხელიდან წასულ უღიმღამობად აქცია. ცნობიერებამ ლამის **ბუნებრივ** კანონად შერაცხა ნების გამოცალკევებულობა უსასრულობისგან, კოსმოსისგან. ადამიანის სიმცირე-სიპატარავე მიღებულ იქნა როგორც **მოცემულობა**. და მაინც, ყოველთვის ჩნდებოდნენ მამაკაცები, ვისაც ვერაფერი დააკლო ნების ფატალურმა დადამბლავებამ - მძიმე დაავადებამ, რომელსაც სულ უფრო აძლიერებდა საკუთარი თავის აბსოლუტური რწმენის ქრობა, ტვინიდან გამოჭყლეტილი უფრო და უფრო დახვეწილი ფანტაზია-კაპრიზები, გრძნობათა განაზება-გაზიზება. ამ მამაკაცთა სული ახალი ცომის ზელას იწყებდა და მოულღლელად აღასრულებდა სამამაცო საქმეს - ძლევა, გადალახვა, გასწრება, - აი, მისი ასპარეზი. ამ გადატრიალებაში სუბლიმირდებოდა მამაკაცური ტრაგიზმის უკანასკნელი ფაზები, ხდებოდა ასკეტური სევდის კრისტალიზება.

გაქრა ნება, რომლისთვისაც არაფერი იყო შეუძლებელი და რომლის წყალობით არ არსებობდა მიზეზი, კაცს რაღაცის სურვილი გასჩენოდა. ნების დაკარგვის შედეგად კი ადამიანის სულს გამუდმებით ტანჯავს სურვილები. იმას, ვინც საკუთარ თავს შეიცნობს, სურვილები უმრავლდება. და ის სისხლს ანთხევს ყოველი დამარცხებისას.

ვით განვადიდო მამაკაცის სულის და ხორცის ეს ხარბი წყურვილი, თუ არ ამოვთქვი

## სიმღერა იმაზე, ვისაც ყოველივე სურს

მე მსურს არა შენი სხეული და არა შენი თვალები, არამედ ამქვეყნად არსებული ყველა სხეული.

და თუკი თუნდაც ერთი საიდუმლო დარჩება სხვის საიდუმლოდ, მე უარვყოფ სხეულს.

რატომ უარვყავ სხეული, რომელმაც ყოველივე არ მომცა?

მოვედ, ყოველივევ, და გამითბე სული და ტანი.

ჰოი, ყოველივევ, ერთიანად ამავსე და შენში გამთქვიფე, დაე გიყვარდე, გძულდე, ცად ამიტაცე, მიწას მომფინე.

მსურს, ჩემი ხელები დედამიწას შემოეგრაგნოს. მსურს, ჩემი თვალები განიფინოს ჰორიზონტამდე, სადაც მზე უჩუმრად ჩადის. მსურს ჩემი ტუჩები დაეწაფოს დედამიწის ძუძუს კერტსა და მიწის მარილს. მსურს ჩემი მხრები ზეცას მისწვდეს. და კიდევ ერთხელ: მსურს, რომ ხელები მნათობების ტრასებად მექცეს.

მსურს ხორციელი, სუნის მქონე, მთამაღალის ცივი ნიავი, მაგრამ მსურს ლპობის, კვდომის სუნიც, გვალვის სუნიც და ზღვაურისაც...

თვითონ არ ვიცი, რა აზრი აქვს სახელშეურქმეველ სურნელთა ამ მყივარ ძახილს... და მაინც ვუხმობ.

მსურს ყველაფერი, რასაც ვერასდროს დავეწაფები - მონაქალთა ფართო ბაყვები, ქარაფების ყინულოვანი სუსხი და თელამუშის ფოთოლთშრიალი - სურვილები რაღად მოვთოკო?!

მსურს ცოდვიანის სიმწარე და სიტკბო ლეღვისა.

მსურს, რომ დავწერო ყოველივე; რატომ ვფლანგო შხამი წვეთებად, ანდა - თაფლი სათითეებად?

მსურს ყოველივე მოვიცვა აზრით, ყოველივეს გულისგულს მივწვდე და ხელახლა ვიშვა უფალში. ეს სურვილები ღიმილს მიქრობს სახეზე და თვალს უკეთურ მზერით მიელმებს, რადგან ისინი საწამლავია, ჩემს არსებაში წინაპართა უძლურებიდან რომ ჩაიღვარა.

შინაგანი სახმილით ვიწვი და საკუთარი არაფერი გამაჩნია რა. როდემდე იგიზგიზებს ეს ცეცხლი და კიდევ რამდენ ხანს გაანათებს წყვდიადს ჩემი არხების მოვარვარე ნახშირი?

იცით, რა ძალის მრისხანება ბობოქრობს საკუთარი უძლურებით გაცოფებულ სულში? მე მძულს ადამიანური საწყისი ჩემს არსებაში, მძულს საკუთარი სხეული და წინაპართა დამარცხებები, რადგან ისინი ხელს მიშლიან, ყოველივეს რომ დავეუფლო. ძალა არ შემწევს ყოველივეს დაუფლებისა, არ ძალმიძს მიყვარდეს ყოველივე, შევიტკბო, შევსვა, ვკოცნო და ვკბინო, ვზილო და ვჩორკნო. მე მხოლოდ საბრალო სხეული ვარ, რომლის საზღვრებს აწყდება ყოველივეს დაუფლების წყურვილით გახელებული სული. იბრძვის სული, იტანჯება და საკუთარ უძლურებას გოდებს.

თქვენ, **იქით მხარეს მყოფნო** - ხედავთ ახალი განთიადის ათინათს? ეს ზემოთ მიიწევენ სულები, რომლებმაც უკვე იციან, რომ ყოველივეს ვერ დაეუფლებიან. შესაძლოა, სწორედ მათ იმღერონ საგალობელი მწარე და მტანჯველი გამარჯვებისა.

მამაცობა არც მთლიანად გრძნობიერი და არც ერთიანად სულიერი ცნებაა. აქედან, **ყოველივეთი** შეპყრობილობიდან იწყებენ ზრდას სხვადასხვაგვარ სინთეზთა კრისტალები, რომლებსაც მამაკაცი უმაღლესი გასხივოსნებისკენ მიჰყავთ. სინთეზი და ძლევა განმუხტვაა იმ პოტენციებისა, რომლებიც ცოდვითდაცემის დროიდან ცოცხლობენ სულში. მამაკაცის გონი იმ ფასეულობებში ექცევა, რომლებსაც იგი ცნობიერების ძალით ქმნის და

ნების ძალით აფუძნებს. ქალები სესხულობენ ფასეულობებს. ფსევდომამაკაცები ფასეულობებს პორციებად ანაწევრებენ და მერე ამ პორციებისგან ახალ-ახალ კომბინაციებს ქმნიან. მაგრამ ცოცხალი აზრი, მოულოდნელი რაკურსი, სხვა სულთა გამოსაკვებად განკუთვნილი თვითმყოფი ქმნილება მხოლოდ ნამდვილი მამაკაცური ცნობიერების ნაყოფი შეიძლება იყოს.

მამაკაცის ევოლუცია დაფუძნებულია სწორედ ბრძოლაზე, ცდაზე, სულის უტეხობაზე. ამიტომ რჩებათ იგი ისტორიკოსებს შეუმჩნეველი. მის რეცეპტს ვერავინ შეთხზავს. და მაინც, მამაცობა არსებობს, იგი ექსპერიმენტების გზით ვითარდება. ჩვენ მხოლოდ მისი ზოგადი ნიშნების დასახელება შეგვიძლია, რადგან, ნუ დავივიწყებთ, ეს ნიშნები განუწყვეტლივ გარდაიქმნება, სახეს იცვლის, ერთიმეორიდან ამოიზრდება.

ადამიანი მარტოდმარტო იპყრობს მწვერვალს - უხმაუროდ, ყველასგან ფარულად, საფეხურების, გზისა და თოკების გარეშე. გამარჯვებაც და დამარცხებაც მხოლოდ მისი კუთვნილებაა. არც მეგობარმა, არც სატრფომ არაფერი იციან ამის შესახებ. მკაცრად, მამაკაცურად გატარებული ყოველი საათი აახლოებს მამრს ქმნილებასთან, რომლის ხორცშესხმისთვის იშვა იგი - საკუთარ **სიმწიფესთან**.

## დაზუსტება ბატონებისა და ქალბატონებისთვის:

ბატონებისთვის, რომლებმაც დაამცირეს, შებილწეს, შეარცხვინეს, გააუპატიურეს, გახრწნეს, დაალპეს ძლიერი სქესის პოტენცია; ქალბატონებისთვის, რომლებმაც განადიდეს და ამით წელში მოამაგრეს მარადიული მამაკაცური ულიმლამობა, ვწერ ამ დაზუსტებას - უშუალო ქირურგიულ ოპერაციას პირველადი აზრის განსაწმენდად.

დონ ჟუანი ხორცშესხმულ მამაკაცურ ძალმოსილებას არ წარმოადგენს. კაცი, რომელსაც ცხოვრების აზრად მდედრთა კოლექციის შეგროვება გაუხდია, უეჭველია, გაცილებით დიდ ფასს ადებს ქალებს, ვიდრე ისინი იმსახურებენ. დონ ჟუანთა მოუსვენრობა და სიხარბე მათი ბუნების ულიმლამობას ააშკარავებს. მათ აზრად არ მოსდით, მოკრიბონ და მოათავსონ **ყოველივე** ერთადერთ საყვარელ სულსა და სხეულში. მათ ხომ ვერაფრით გააგებინებ, რომ რაც უნდა **ბევრი** მოხიბლონ, სულ ერთია, **ყველას** ვერასოდეს დაეუფლებიან. და მოუსვენრობის წურბელა სისხლისგან ცლის, ძალას აცლის, ფიტავს მათ სულს. ეს ხელმოცარული არსებები იქამდე ილუპებიან, ვიდრე უშელავათო შრომით საკუთარი პიროვნების ამაღლებას მოასწრებდნენ.

მამაკაცთა სქესისადმი კუთვნილების წყალობით შენში არსებულ პოტენციათა არანაირი გარდაქმნა, არანაირი ძლევა და ზეასვლა არ განხორციელდება მოუღალავი შრომის გარეშე. თუკი ვისურვებთ, შესაძლოა, შინაგანი ცხოვრებიდან იშვას ახალი მამაკაცი - ახალი დროის ბატონ-პატრონი. ჭეშმარიტად მამაკაცური სულის პულსაციის შეცნობა, მასში დაუნჯებული ძალის შეცნობას ნიშნავს. აქედან, სულიდან იწყება ძლევათა გზა ზესავალი. დაე, შეჩვენებულ იქნან წინაპრები! და მაინც, მათი მამაცობა, მათი წმინდა ნებელობა მიუწვდომელია ჩვენთვის, როგორც ფიზიოლოგიური, ისე კოსმიური თვალსაზრისით. ოდესღაც, - სულ ერთია, მხოლოდ ერთი წამი დასჭირდა ამას, თუ მთელი ათასწლეული, - მოხდა ეს საშინელი ცვალება არსისა, - ანდა კრიტერიუმებისა, - ან კიდევ ფასეულობებისა, - რაც გნებავთ, ის დაარქვით. მამაცობის (მამაკაცობის) კლება ნამდვილ ტრაგედიად, და უფრო მეტიც - ადამიანის **დაცემად** გადაიქცა. ვინც პირველადამიანობის არსს, ღმერთკაცულ ნებას ჩასწვდომია, ბევრ დასკვნას გამოიტანს, თუკი ამ უბრალო ფრაზას ჩაუკვირდება.

თუმცაღა, ძვირფასო ქალბატონებო, არც დიდი ხნის დავიწყებული წარსულის სურათებით მინდა დაგიღალოთ მზერა და არც - თეოლოგიური კოკეტობით შეგაწყინოთ თავი. ასეა თუ ისე, სულის ცხოვრება - მკაცრი შინაგანი ცხოვრება, - ხსნის ერთადერთ გზად რჩება. სახიდან ირონიული ღიმილი მოისხიპეთ ბატონებო: ვიცი, რასაც ფიქრობთ საკუთარ თავზე, მაგრამ იმედს გაგიცრუებთ - შინაგანი ცხოვრებისა თქვენ არა გაგეგებათ რა. თქვენი ფსევდოშინაგანი ცხოვრება წიგნებიდან არის ამოხაპული, სახელმოხვეჭილ ადამიანთა ნიმუშის მიხედვით გაქვთ ნასწორები და სიქსტის მადონათა სიახლოვეს ჰყვავის. თქვენ გატკბობთ სნობური პოეზია და დახვეწილ-დაშაქრული ახალმოდები. მთელი თქვენი ფილოსოფია პირველივე იმედგაცრუებისა და გრძნობათა პირველივე აფორიაქებისას შეიქმნა. - ხომ სწორად გამოვიცანი? თქვენი ფიქრიანობა საგანგებოდ იმისთვის არის განკუთვნილი, რომ საჯაროდ იქნას გამოფენილი ნორდული სპექტაკლების ანტრაქტებში, გემბანების ბინდ-ბუნდში და თვით მარტოდმარტო სეირნობის დროსაც კი. თქვენ სულებში სიყმაწვილის შედედებული კოშტია ჩარჩენილი - ის არასმაქნისი მელანქოლია, რომელიც, რატომღაც, გენიოსთა სევდისგან ვერ განგისხვავებიათ, ის თავმომწონეობა, რომელიც პიროვნების ჩია, ნარცისულ ბუნებას ამხელს. თქვენ მეტისმეტად ქალურები ხართ. ქალის სული, რა თქმა უნდა, ხიბლით სავსე და უსაზღვროა. მაგრამ, უმჯობესია იგი წიგნების ტრფიალ ქალბატონებს დავუტოვოთ. ან კიდევ იმათ, - სალონიდან სალონში რომ დაატარებენ თავიანთ იდეალს - ტენორისხმიან და ენაწყლიან მამაკაცს.

მამაკაცის სულიერი ცხოვრება პირქუში და მკაცრია. მისი ღიმილი და ნათელი თვალი ნუ მოგატყუებთ - მათ მიღმა დაფარულია ყველასთვის უჩინარი შრომა, რომელსაც გვიანი ნაყოფი მოაქვს. ეს შრომა ყოველთვის უმძიმესია, რამდენადაც სქიმას მოითხოვს. გრძნობთ, საიდან ქრის განთიადის ნიავი? ხსნა განხორციელდება ასკეზისა და დისციპლინის მეშვეობით, ხოლო ამისთვის აუცილებელია შრომა.

როგორ ვადიდო შრომა? რა სიტყვებით ვუმღერო ხოტბა ქაფჩას, ქვებსა და კირს, რომელთა მეშვეობით ამყავს კედელი აისის სხივების ალში გახვეული ტყვიისფერი მწვერვალებისკენ? ვისურვებდი, სტრიქონებისთვის გადამეცა თრთოლა ხარბი წყურვილისა, რომელსაც შრომით ვიცხრობ, როცა წელში მოხრილი და მუშტებშეკუმშული კედელს ახალ-ახალ ფენებს ვადებ და სიმაღლეს ვმატებ. სულიერი ცხოვრება არარაა დისციპლინის გარეშე. მოდუნებულობა დროდადრო შეიძლება დაშვებულ იქნას როგორც ცდა, მაგრამ არასდროს - როგორც ნორმა. დისციპლინა, რა თქმა უნდა, არც მეთოდოლოგიას ნიშნავს, არც მკაცრ კანონებს და არც გონებრივ ჰიგიენას. ეს არის მხოლოდ უწყვეტობა, უტეხობა, სიჯიუტე, ატანილობა ძლევისა და სიღრმეში წვდომის წადილით.

ვინც გამუდმებით სულიერი ძლევისთვის შრომობს, დამათრობლად წმინდა ესენციამდე ახდენს მამაცობის დისტილირებას. რაო, ძვირფასო ქალბატონებო, გიჭირთ არა, პირქუშ ნეოფიტში ინიციაციის სატანჯველი რომ გაიარა, ამოიცნოთ პეწიანი ბატონი, ლიტერატურული სალონების ბრწყინვალე დილეტანტი, სნობი და მოდური ფილოსოფიის მოყვარული? აი, რის ცოდნა არ გაწყენდათ: თქვენი განაფული თვალი ვერასდროს დაინახავს მამაკაცის ნამდვილ ღირსებებს, მეგობრის მოუთოკავ სულს, **საზღვრებს იქით გაჭრილ** სატრფოს. და ამას ფსევდოსულიერებას უმადლოდეთ, ძვირფასო ქალბატონებო, თქვენს ნუგბარ-სასუსნავს, რომელსაც საკუთარი სქესის თავლაფდამსხმელი კაცები გიმზადებენ. თქვენ კი ამ სუროგატს ნამდვილ სულიერებად და რჩეულ გონებრივ საზრდოდ მიიჩნევთ და ამით **ორგანულად** იუცხოებთ წმინდა კაცურ სულს, რაშიც, ცხადია, ჩვენ არ მიგვიძღვის ბრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერი შრომის დაწყების პირველი ნიშანი ეს არის დუმილი. ცხადია, აქედან ჯერ კიდევ შორი მანძილია ასკეტის პირქუშ სიმუნჯემდე. მამაკაცის ბუნებისთვის უცხოა გრძნობების გამოფენა-გამომზეურება - ჭაბუკთა და სენტიმენტალურ სულთა ეს სნეულება. რა საჭიროა გულის გადაშლა? რა საჭიროა პიროვნების დაქუცმაცება სხვებისთვის ტანჯვის და სიხარულის გაზიარებით? რატომ უნდა მოალიავო სხვების წინაშე სულიერი სამყარო, ჭეშმარიტი განმარტოების ეს უკანასკნელი თავშესაფარი? მკაცრ მდუმარებაში მოიპოვებს მამაკაცი თავის სულიერ საუნჯეებს, რომელთა შესახებ არავინ არაფერი უნდა იცოდეს? ასეთი მდუმარება სულაც არ ცდილობს, სხვებს შეეჩხიროს თვალში. ყოველდღიურ ყოფაში, რომელიც, გინდა არ გინდა, უნდა ავიტანოთ, იგი მსუბუქი, ზედაპირული საუბრის მიღმა იმალება.

მამაკაცურ ბუნებას აღშფოთება ავსებს და ზიზღი აცოფებს სუროგატთან, ანუ იმ გულისამრევ ნაყალბევთან შეხებისას, პიროვნებად რომ ასაღებს თავს. სნობებს ვგულისხმობ, სახეზე აღბეჭდილი სევდისა და იდუმალების ჩრდილით რომ თავმომწონეობენ. ძვირფასო ქალბატონებო, თქვენ ადვილად ებმებით ამ სუნამონაპკურებ ჭაბუკთა ბადეში, ოცნებაზე, დიდებაზე, მელანქოლიურ მოგზაურობაზე, მშვენიერ პრინციპებზე, ორიგინალობაზე რომ უყვართ ენაწყლიანობა. ორიგინალურობა - აი, ღრმა იარა, რომელსაც მამაკაცთა სქესი თქვენ უნდა გიმადლოდეთ. თქვენ ორიგინალები გჭირდებათ; თანაც, რაც უფრო მინაზებულნასათუთარია, მით უკეთესი. თქვენი მეოხებით იძენს ფასს ყველა ეს ნაავადარ-ნაკატასტროფალი და ტვინგათხლეებული, ყველა ეს უნიჭო ფსევდოინტელექტუალი, ვიღაც სახელგანთქმული პედერასტის ფრაზები რომ თუთიყუშივით დაუზეპირებია და ამით კეკლუცობს, ყველა ეს უცხო ფილოსოფოსთა ციტატებით ტვინგამოტენილი დილეტანტი, სულის ადგილას ხმაურიანი ეჟვნის მეტი რომ არაფერი უმოძრავებს, ყველა ეს წვრილფეხა პოეტი, საკუთარი თავი გენიოსად რომ შეურაცხავს, ყველა ეს თავხედი ცინიკოსი ერუდიტი და მეორე უძველესი პროფესიის ღირსეული ოსტატი ჟურნალ-გაზეთებიდან, ყველა ეს მისტიკოსი თავისი გროშადღირებული სიწმინდით. ძვირფასო ქალბატონებო, ეს ნაყარ-ნუყარი მიგაჩნიათ თქვენ ნამდვილ მამაკაცებად, იდეალურ საქმროებად, თქვენი ოცნების გმირებად. არ შეგეცილებით, თქვენთვის დაგვითმია. თუ ერთიანად მოგვაცილებთ, გვშველებია კაცებს. ხოლო თქვენ, ჩემო ძვირფასო ბატონებო, თუკი მართლა გადაწყვიტეთ, საკუთარი პიროვნება მწვერვალებამდე აღაზევოთ, იმ ვნებიანობას ნუ დაეხარბებით, რომელზეც ყველა ლაპარაკობს ისე, რომ მისი არაფერი გაეგება. ძალმოსილი, ყოვლისწამლეკავი, ქალებისთვის უცნობი ვნებიანობა, მხოლოდ იმის სხეულს აღელვებს, ვისაც მისი დაურვება ძალუძს. ქუთუთოების, ნესტოების, ტუჩების თრთოლა სახსენებელიც კი არ არის სურვილის იმ ცეცხლთან შედარებით, რომელიც სულისა და სხეულის სიღრმეში გიზგიზებს.

ნუ წუწუნებთ, ჩვენი არავის ესმისო, ნუ ირგებთ იმათ ნიღაბს, ვინც სხვების სიყვარულსა და ყურადღებას მათხოვრობს. მამაკაცობის ეს საბრალო აჩრდილები ქალურობის ბაირაღებად ფრიალებენ, განსჯის გამთოშავ სუსხს რომ ვერ უძლებს. და რამდენადაც ამწუთიერი წარმატების გზა ლაფიან საფლობზე გადის, უარყავით წარმატება და თქვენ **სხვაგვარ** წარმატებას მოიპოვებთ, როცა ამის ჟამი დადგება.

აი, რამდენიმე ამონარიდი ჩემი "წმიდა კანონებიდან" ბატონებისა და ქალბატონებისათვის, რომლებიც ისურვებდნენ ეს **დაზუსტება** ადვილასათვისებელი ფორმით მიეღოთ.

დონ ჟუანი ხელმოცარული კაცი გახლდათ. ქალებზე მეტისმეტად იყო გაწუწკებული და მას შემდეგაც კი, რაც გულს აიყრიდა, "თავდავიწყებას" მაინც მათ საცვლებში ეძებდა.

ახალი კაცობრიობის შესატყვისი ახალი მამაცობა სულიერ ცხოვრებას ეფუძნება. წმინდა მამაკაცი დაუცხრომლად ლესავს მის მახვილს შინაგან სალესზე, ცდის და აფხავებს მას.

ქალთა მოდგმას ხიბლავს შინაგანი ცხოვრების სუროგატები: უღიმღამო, უნაყოფო, "სხვისი გამონაცვალი" იდეალიზმი.

მამაკაცის ევოლუციური კრიზისის პირველი ეტაპია გადასვლა სულიერების სუროგატიდან მკაცრ და დისციპლინირებულ სულიერ შრომაზე.

საზოგადოების ფემინიზაცია უძლიერესი საცთურია მისი ევოლუციის გზაზე. მამაკაცის მთავარი მტრებია ნარცისიზმი და საკუთარი თავის სიბრალული, გრძნობათა გამოფენა, იაფფასიანი მელანქოლია, სნობიზმი. ხსნა მხოლოდ სულიერ ასკეზაშია.

## მამაკაცის ტრაგიზმი

იცხოვროს მუდმივ საფრთხეთა შორის, აი, მამაცის ბედისწერა.

ნუ მეტყვით, თითქოს დღევანდელ პირობებში არც საფრთხისთვის რჩებოდეს ადგილი და არც გმირობისთვის. ნურაფერს მეტყვით ცივილიზაციის კომფორტზე, რომელმაც კანონების ჩარჩოში მოაქცია ბრძოლების შხამი და ამით უვნებელჰყო იგი. მამაკაცი დღესაც ისეთივე საფრთხეთა წინაშე დგას, როგორც გამოქვაბულის ადამიანად ყოფნის პერიოდში. არსებობს სულიერი საფრთხეები. ბრძოლად მოვუხმობ ყველას, ვინც შიშს არ დაუთრგუნავს! გმირობა ბიბლიოთეკაშიც ხდება და ასკეტის სენაკშიც. ამ ბინდით მოცულ ბრძოლის ველებზე დიდია შანსი მოწამლულმა ისარმა გიმსხვერპლოს. ყველგან სიკვდილია ჩასაფრებული - სანგრებში, ჭაობებში, ტყეებში. სიგიჟეს ვამბობ?.. თქვენ ფიქრობთ, რომ ხელმოცარვა და დაცემა ღრმა სულიერი იარა არ არის? ან იქნებ გგონიათ, რომ აზრის დაკარგვა სიკვდილს არ უტოლდება? თქვენ მიიჩნევთ, რომ ჯოჯოხეთური მანუსკრიპტების ამოკითხვას ნაკლები ვაჟკაცობა სჭირდება, ვიდრე ხმალდახმალ შებმას?

მამაცობის განწმენდა და განვითარება ცხოვრებისეული ცდის მეშვეობით ხდება. ესოდენ იშვიათი სულიერი გასხივოსნება შემოქმედების წყალობით და თვით შემოქმედების გულისთვისვე ხორციელდება. ეს სულაც არ არის უნაყოფოდ ჩავლილი ცხოვრება. სულ უფრო მკაფიოდ იმიჯნება ნამდვილი მამაკაცური სულიერება დილეტანტებისა და სნობების მაიმუნური მანჭვა-გრეხისგან. ორი არჩევანი გვაქვს: ან გულმოდგინედ უნდა ვზარდოთ და ვკვებოთ ადამიანური ფიზიოლოგიის საზღვრებს იქით გასული ახალი ცნობიერება - და სწორედ ამას ვუწოდებ პიროვნებას - ან კიდევ მთელი სიცოცხლე ვლოშნოთ ორი-სამი სენტიმენტალური განცდა, წიგნებში დაძებნილ ინტერპრეტაციებში გამოვახვიოთ ისინი და გათოშილი სული სხვისი სხივებით გავითბოთ.

შემოქმედება ყოველი მამაკაცის მოწოდებაა. კაცის ნაყოფიერება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ალბათ ზეციური ნიშანი იყო. შვილი არის გამაგრძელებელი გვარისა, როგორც ხორციელი, ისე სულიერი თვალსაზრისით; თუკი, რაღა თქმა უნდა, სისხლისმიერი მამა, ამავე დროს სულიერი მშობელიც არის. ყოველ მამაკაცში თვლემს შემოქმედების ენერგია, წყურვილი საკუთარი თავის ძლევისა, ციხე-სიმაგრის აღების, ხელოვნების, სულის ყოველგვარი გათავისუფლების გზით. ყველა ვერ იქნება დიდი მხედართმთავარი, პოეტი ან მოაზროვნე. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არც არის მნიშვნელოვანი. რა სახისაა შემოქმედება, მეორეხარისხოვანი საკითხია. მთავარია საფუძვლის შემოქმედება ანუ პიროვნების ჩამოყალიბება; ცნობი-

**ერება** - აი, რა უნდა გამოაკრისტალოს თითოეულმა ჩვენგანმა გამოცდილებიდან, ბრძოლიდან, დამარცხებებიდან, ტანჯვიდან. ამის მეშვეობით შევინარჩუნებთ საკუთარ თავს. ცნობიერებაშია გამართლება იმისა, რისთვისაც ვიბადებით და რაშიც გვესაჭიროება გმირობა. ცხადია, ახლა არაფერს ვამბობ ქალის პიროვნებაზე, რაც სულ სხვა სულიერი სტრუქტურაა. აქ პიროვნებაში კაცობის საბოლოო სინთეზს ვგულისხმობ და ვმსჯელობ მისი განხორციელების გზებზე.

გამოცდილებით გამდიდრებულ სულს გახლეჩით ემუქრება ორი სტიქია - დიონისური და ქრისტიანული. ერთი მხრივ, სენსუალობა, მოქანცულ ვნებათა მელანქოლია, არარაში ჩაღვრილი ბობოქარი სასიცოცხლო ძალა, თავისუფლება პანში, აზროვნება აპოლონში. და მეორე მხრივ, გრძნობათა დისციპლინა, მათი დაკმაყოფილების იერარქია, მიდრეკილება განუწყვეტელი განწმენდისა და სულიერი ძლევისკენ; სწრაფვა ღმერთთან სრული შერწყმისა, თავისუფლება ქრისტეში, ზეციური თავისუფლება, რომელიც თვითშეზღუდვით მოიპოვება.

მხოლოდ მრავალი განსაცდელის მძლეველი მამაკაცის ცნობიერებაში იღებს ეს კონფლიქტი ტრაგიკულ მასშტაბს. შეჯახება ტანჯვის მომტანია. მარტოოდენ თვითდადგინების გზით მიმავალმა კაცმა შეიძლება გამოცადოს საკუთარ თავზე ცხოვრების ძლიერი საცდური, დიონისურ წადილთა დამთრგუნველი ძლიერება, ვნებათა მტანჯველი აბობოქრება. სულს, რომელსაც მხოლოდ უსუსური წინააღმდეგობის უნარი აქვს, ცთუნება ძალას ვერ იძენს და დამათრობელად ტკბილ საწამლავად არ იღვენთება.

კონფლიქტი **კრიზისში** გადაიზრდება იმ წუთიდან, როცა ასკეტიზმისკენ მიდრეკილება პრინციპად იქცევა. გამოსავალი სულის განუწყვეტელი თვითსრულყოფით შემუშავებულ ახალ სოფლხედვასა და ფასეულობათა გადაფასებაშია. ის, რასაც პიროვნებას ვუწოდებ, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა სულიერი დინამიკისთვის აუცილებელი უმაღლესი სინთეზი, რომელშიც პანი და ქრისტე მათი სამეუფო სფეროების მბრძანებლებად იქნებიან აღსაყდრებულნი. ეს არის ცხოვრების, ტკბობის, კოსმოსის, ღვთაების ფასეულობათა გადაფასება. ეს არის სამყაროს ფართო და მოწესრიგებული ჭვრეტა; შინაგანი წონასწორობის შენარჩუნება. პიროვნება იქმნება და სასიცოცხლო წვენით ივსება საკუთარ თავთან განუწყვეტელი ბრძოლით. პიროვნება აიგება სულიერი შრომის შესაბამისად, ქვის ქვაზე დადებით; პიროვნების აშენება, აი, ერთადერთი ქმნადობა, რომელიც ჩვენ მოგვეთხოვება. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ მხოლოდ ასე შეიძლება გადავრჩეთ სამყაროში, ვინაიდან პიროვნება ეს არის სულიერი ორგანიზმი, რომლის ცხოვრება იმდენადვე აღმატებულია ფიზიოლოგიაზე, რამდენადაც მცენარე დგას მინერალზე მაღლა.

შეუპოვარი შრომით ფორმირებული პიროვნება მხოლოდ შრომაშივე შეიცნობა. არც აქ ვართ დაზღვეული ფალსიფიკაციისგან: ზოგი "პიროვნება" წიგნის გმირების ნაფლეთებიდან დაუფიქრებლად შეთითხნილ მოზაიკას წარმოადგენს (ელემენტების ეს სიმრავლე ან ცნობიერების ფუნქციური პოლივალენტურობით აიხსნება, ან ფიზიოლოგიური ცნობიერებისგან განუყრელი წინააღმდეგობრიობით. წინააღმდეგობრიობა შესაძლოა, უბრალოდ, ჭარბი გამოცდილების შედეგიც იყოს).

ყოველ ადამიანში თავისებურ გადაჭრას ჰპოვებს კონფლიქტი "სხეული-სული", ყალიბდება ინდივიდუალური სოფლხედვა, საკუთარ ვექტორზე იმართება ძალები. და ეს იმ მიზეზით ხდება, რომ პიროვნებას საფუძვლად ედება მხოლოდ საკუთარი გამოცდილება, რომელიც არც ერთ სხვა ცნობიერებაში არასდროს ზუსტად არ მეორდება.

ხედავთ, მამაკაცის სულის განუწყვეტელ მღვიძარებას, მის მტანჯველ წრიალს? შეგიძლიათ, ჩაწვდეთ ტრაგედიას სულისა, რომელსაც სქესის პოტენცია ღმერთთან აახლოებს, ხოლო ცთუნება დიონისეს ეშმაკეულ სხეულზე აჯაჭვავს? შეგიძლიათ, გაიგოთ, როგორ ეწამება ნებულობა, როცა **კეთილის** ხორცშესხმის შედეგად ბოროტი კი არ იღუპება, არამედ მის გვერდიგვერდ იზრდება, სიკეთის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებს და სულ ახალ-ახალ ცთუნებათა და საფრთხეთა შექმნაში ოსტატდება? მამაკაცის ტრაგედია პიროვნების გამბასრავი დუალიზმია: მისი სული მხოლოდ სხეულისგან კი არ იცავს თავს, არამედ ამ სხეულის მიერ შობილი სულისგანაც. მის სულში ქრისტიანული სამყარო თავს იცავს დიონისეს სენსუალური წარმართობისა და აპოლონის მინაზებულ-მიქანცებული წარმართობისგან.

## განდგომა

აქ უკვე ბევრს არას ვიტყვი, სიტყვაძუნწობას ვარჩევ. ჩემს წინაშე უსიხარულო ქარაფებია, რომლებიც ჯერ ადამიანის ფეხს არ დაულახავს. იცით კი რამე მთებისა, სადაც **მარტოობაში** ასრულებს სიცოცხლეს ღირსეული მამაკაცი, ვინც სულში საკუთარ დანიშნულებას მიაკვლია? გსმენიათ რამე სასურველ მარტოობაზე, ამომწურავ მარტოობაზე, გამოუსწორებელ მარტოობაზე?

დროდადრო ვიღაც ჩვენი სამყაროს საზღვრებს გარეთ გააღწევს ხოლმე. წლების განმავლობაში იგი ისეთივე გვეჩვენებოდა, როგორიც ჩვენ ვართ. და უცებ აღმოვაჩენთ, რომ ყველასთვის შორს გაუსწრია და ახლა მისი ნებელობა ჩვენსას თრგუნავს. ვის შეეძლო შეეღწია მის მდუმარებაში? ახლა კი იგი დაგვშორდა, შესაძლოა უკვე მკვდარიც კი იყოს და ყინულოვანი უდაბნოს რომელსამე გამოქვაბულში განისვენებდეს. მან იმიტომ კი არ მიგვატოვა, რომ სიცოცხლე აშინებდა და არც იმიტომ, თითქოს გემოს ველარ ატანდა ცხოვრებას, ან დაიღალა, ქანცი გაუწყდა. ასეთ ხალხს უკან გამობრუნება სჩვევია. იქ, ზემოთ, ბინდსა და აისის შუქს შორის ადამიანს ისეთი გააფთრებული ბრძოლა ელის, რომლის წარმოდგენაც კი გაგვიჭირდება. მას ძალას აძლევს უგნურება, დეზებით აჩქარებს შიმშილი, უძილობა, მოგონებები. ან იქნებ გგონიათ, გამოქვაბულის მარტოობაში ადამიანს სიმშვიდე ელის? ამ სამყარომდე აღწევენ მხოლოდ ჩვენს შორის უძლიერესნი, რომელთა ხვედრი, სხვაგვარად რომ ეაზროვნათ, გამარჯვება, დიდება, განცხრომა იქნებოდა.

**ყველაფერი ან არაფერი.** აი, პირველი ბიძგი განდგომისაკენ. რაოდენ შორს არის გაჭიმული ჩვენი საბრძანებლის საზღვრები? ერთი ქალი, ასი ქალი, ათასი ქალი? მერედა ისიც ვიკითხოთ, რა დროით? თანაც, რაოდენ სრულია ჩვენი ბატონობა? მათ აზრებს, ხომ სულ ერთია, ვერასოდეს დავიმონებთ. ან კიდევ რამდენი ქვეყანა შეიძლება დავიპყროთ? ახლა ზღვა, რომელიც ყოველთვის **წინ** არის განფენილი? ან ყვავილები, რომლებსაც ერთიანად ვერასოდეს მოვკრეფთ? ან თუნდაც, ზეცა, რომელსაც ჩვენი შეზღუდული მზერით ვანაწევრებთ?

განცხრომა ძვალივით გვეჩხირება ყელში, როცა სულს ასკეტური მამაცობა აცისკროვნებს. ღირსეული საქმეა უარი თქვა ნაყარ-ნუყარზე, რომელსაც სხეული მიელტვის. ღირსეული საქმეა უარი თქვა განცხრომასა და ჯილდოებზე, რომელსაც სული მიელტვის.

რაა დიდება - ეს უძლიერესი საცთური, რომლის წინაშე ესოდენ ბევრი მამაკაცის გონება დადრეკილა? არის კი დიდებაში რაიმე რეალურად ხელშესახები, თუ ეს მხოლოდ ფუჭი **ჟღალა-ჟღურია?** რამდენად გვეხმარება იგი საკუთარი თავის ძლევაში - იმაში, რომ სულს არც ხოტბა გვიმღვრევდეს და არც სიძულვილი? რამდენ საუკუნეს შეიძლება გაგრძელდეს იგი? დაბოლოს - როგორ შეიძლება **ყოველივეს** მოსურნე სული აცთუნოს ერთ, თუნდაც საუკეთესო, კონტინენტზე განფენილმა უბადრუკმა დიდებამ? თავგზაამრევი კითხვებია...

ახალმა სინთეზმა ყველა სინთეზი უნდა მოიცვას. ნამდვილი მამაკაცის სულიერებამ დაღლა არ იცის. მის მდუმარებას ვერაფერი შეედრება. მეუდაბნოე ისეთ მდუმარებამდე აღწევს, რომ ესმის რაზე ესაუბრება ტყე, ფრინველები და მიწა - რაც ჩვენს ულიმღამო ვარსკვლავებს აბსურდი ჰგონიათ. მარტოობაში გამოიგლოვებს იგი ყველა, უკვე სამუდამოდ უკან მოტოვებულ, სიყვარულს. ხსოვნიდან და ტანჯვიდან დაიწყება მისი სულის ამაღლება. ცთუნებანი არ გამქრალა. პიროვნება ჯერ საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა. მისი სულის ტიგელებში ისეთი ესენციები დუღს, რომლებიც ამა სოფლის შვილთ გონებას დაუბანგავდა. ოღონდ, მე ამ უცხო, უცნაურ ღვთაებრივ სითხეებზე არაფერს ვიტყვი.

იგი მარტო იცხოვრებს, ყველასგან დავიწყებული და ყველასთვის უცნობი, სახელდაკარგული. იგი სუსხიან ღამით დალევს მარტოობაში სულს უნაპირო ყინულეთში. წამით შელღვება თოვლი მისი ამოსუნთქვისაგან. მას არავინ დაიტირებს, არავის ცრემლი არ დაეცემა. არავის შეუძრავს გულს საკუთარ თავზე მოპოვებული ეს საკვირველი ძლევა.

მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ იგი ნამდვილად მოკვდა?

და ვის შეუძლია თქვას, რომ ეს უზენაესი განდგომა ყოველივეზე ბატონობას არ ნიშნავს? შესაძლოა, ისეთი ჯუჯები, როგორებიც ჩვენ ვართ, - ქუჩებში რომ დავფუსფუსებთ და თბილ ოთახებში ვიტანჯებით, - მხოლოდ და მხოლოდ მისი შმაგი ნების ნაწილად ქცეული უბრალო მარიონეტები ვიყოთ? და იქნებ, სწორედ ეს არის ჭეშმარიტება? იქნებ, ჩვენს საქციელს, სურვილებსა და აზრებს დიდი მეუდაბნოის ნება მართავს?

ასე მთავრდება "მამაცობის აპოლოგია" და იწყება "ხოტბა მეუდაბნოისა".

1928 წ. 6 იანვარი

თარგმნა მიქელ ირემაძემ



მირჩა ელიადე კალკუტაში, 1930

# გამოცდა ლაბირინთით

## საუბრები კლოდ-ანრი როკესთან

### სათავეების მნიშვნელობა
#### გვარი და წარმომავლობა

მირჩა ელიადე: გვარი Eliade ბერძნული წარმომავლობისაა და, უდავოდ, ასოცირდება Helios-თან. თავდაპირველად ის იწერებოდა, როგორც Heliade. რაღაც შუალედური ჰელიოსსა და ელადას შორის: მზე და ელინი... მაგრამ ეს ჩვენი შთამომავლობითი გვარი როდია. პაპაჩემის გვარი იერემია იყო. რუმინეთში კი ტლანქსა და ზლაზნია ადამიანებს დასცინიან: "რას გაეჩხირე, იერემიას ურემივითო?" მამაჩემსაც ასე ქირდავდნენ სკოლაში. მან გადაწყვიტა, მოწიფულობისას გვარი შეეცვალა და არჩევანი შეაჩერა ელიადეზე, რადგან ასე ერქვა XIX ს. გამოჩენილ მწერალს - ელიადე-რედულესკუ. ამგვარად იქცა ის ელიადედ, რისთვისაც ძალზე ვემადლიერები. ელიადე უფრო მომწონს, ვიდრე - იერემია. კმაყოფილი ვარ ჩემი გვარით.

კლოდ-ანრი როკე: ისინი, ვინც წაიკითხა "ამონაწერები დღიურიდან", უკვე ცოტათი გაეცნენ თქვენს პიროვნებას და თქვენი ცხოვრების ძირითად მომენტებს. მაგრამ "დღიური" იწყება 1945 წლიდან, როდესაც, დაახლოებით ორმოცი წლის ასაკში, პარიზში დასახლდით. მანამდე ცხოვრობდით რუმინეთში, ინდოეთში, ლისაბონში, ლონდონში. რუმინეთში გიცნობდნენ, როგორც აღიარებულ მწერალსა და "აღმოსავლეთის მცოდნეს". ამის შესახებ მიგვანიშნებს თქვენი "დღიური". მაგრამ თითქმის არაფერი ვიცით იმ წლების შესახებ, რომლებიც წინ უძღოდა პარიზის პერიოდს. პირველ ყოვლისა, გვიამბეთ, როგორი იყო თქვენი ბავშვობა.

- მაშ ასე, დავიბადე 1907 წლის 9 მარტს, რუმინეთის ისტორიის ერთ-ერთ ავბედით თვეში. ყველა პროვინცია ამბოხებული იყო. ლიცეუმში ხშირად მეუბნებოდნენ: "ასე როგორ დაუმიზნე, რომ ზუსტად არეულობის დროს დაიბადე?" მამაჩემი, ისევე როგორც მისი ძმა, სამხედრო პირი გახლდათ, კაპიტნის ჩინი ჰქონდა. ვცხოვრობდით ბუქარესტში. დავდიოდი დაწყებით სკოლაში მინტულიასის ქუჩაზე და ჩემს მოთხრობაში "მინტულიასის ქუჩაზე" სწორედ ეს სკოლა ფიგურირებს. შემდეგ ვსწავლობდი სპირუ ქარეტის ლიცეუმში. საკმაოდ კარგი ლიცეუმი იყო, მას რუმინულ "ჟიულ ფერის" უწოდებდნენ.

**- ოჯახში ერთადერთი ბავშვი იყავით?**

- არა, ჩემს მშობლებს სამი შვილი ჰყავდათ. ძმა ჩემზე ორი წლითაა უფროსი, ხოლო და - ოთხი წლით უმცროსი. ბედმა გამიღიმა, რომ შუათანა გახლდით. რადგან მშობლებისთვის ყველაზე საყვარელი შვილები იყვნენ თავდაპირველად პირმშო - ჩემი უფროსი ძმა, შემდეგ კი, როგორც ნაბოლარა - ჩემი და. ვერ ვიტყვი, რომ მშობლების სიყვარული მაკლდა. უბრალოდ, მისი სიჭარბე სულს არ მიხუთავდა. ბედმა მეორედაც გამიღიმა - ერთბაშად ორი მეგობარი შევიძინე: ძმა და და.

### დრაკონი და სამოთხე

**- ადრეული ბავშვობიდან რა გაგონდებათ?**

- პირველი მოგონება... ორი, ორნახევარი წლისა, ტყეში ვარ. ვდგავარ და თვალებს ვაცეცებ. დედაჩემი არსად ჩანს. მდელოზე პიკნიკი გაუმართავთ. მე კი ოდნავ გვერდზე გავედი და დავიკარგე. უეცრად ჩემ წინ უზარმაზარი, საუცხოო, ლურჯი ხვლიკი დავინახე. გასაოცარია, როგორ არ დავფრთხი... სული შემიგუბდა, იმდენად მშვენიერი იყო ეს უზარმაზარი ლურჯი არსება... აღფრთოვანებისა და ელდისგან გული მიტოკავდა, მაგრამ იმავდროულად ხვლიკის თვალებშიც შიში გამოკრთა - გული



მასაც აუძგერდა! ეს შთაბეჭდილება მრავალი წლის განმავლობაში ვერ დავივიწყე.

მეორე... დაახლოებით იმავე ასაკში ვიყავი, რადგან მაგიდას ჯერ კიდევ ვერ ვწვდებოდი. ჩვენს სასტუმრო ოთახში აღმოვჩნდი. იქ შესვლა გვეკრძალებოდა. მგონი, კარს გასაღებითაც კი კეტავდნენ. და აი, ერთხელ, ზაფხულში, ნაშუადღევის დაახლოებით ოთხ საათზე, მშობლები შინ არ იმყოფებოდნენ: მამა ყაზარმაში წავიდა, დედამ კი მეზობელ ქალს მიაკითხა... კართან მივედი და სახელურს ხელი მოვკიდე - კარი გაიღო. შევედი... იქ კი საკვირველი რამ ვიხილე: ფანჯრებზე მწვანე ფარდები ეკიდა და, რადგან ზაფხული იყო, მთელ ოთახს მწვანე, ძალზე უცნაური, მკრთალი შუქი ეფინებოდა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ყურძნის მარცვალში აღმოვჩნდი. და, ელდანაკრავი, ვიდექი ამ მწვანე, არა, უფრო ოქროსფერ-მომწვანო ბინდბუნდში, იდუმალ სივრცეში, სრულიად განსხვავებულ სამყაროში. ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა. მეორე დღეს კვლავ ვცადე, კარი გამეღო - მაგრამ ის ჩაეკეტათ.

**- რა მნიშვნელობას ანიჭებთ ყურძნის მარცვლისმაგვარ ოთახს? რატომ შეინარჩუნა, თქვენი აზრით, ამ მოგონებამ ასეთი სიცხოვლე?**

- შთაბეჭდილების - ატმოსფეროს, სამოთხისებრი ატმოსფეროს ძალით. ყოვლისმომცველი სიმწვანე. სიმწვანეში გამომკრთალი ოქროსფერი. გარდა ამისა. სიჩუმე, სრული სიჩუმე. და აი, შევაღწიე ამ ზონაში, ამ წმინდა სივრცეში. ვამბობ, "წმინდა"-მეთქი, რადგან ეს სრულიად განსაკუთრებული რამ იყო: არაფერი ამქვეყნიური, არაფერი ჩვეული. არაფერი იმ სამყაროდან, რომელშიც ვცხოვრობდი: მამა, დედა, ძმა, ეზო, სახლი... არა, იქ ყველაფერი სხვაგვარი იყო. სამოთხისებრი. რაღაც ადგილი, მანამ აკრძალული და შემდეგ კვლავ აკრძალული... ჩემს მეხსიერებაში ის აღიბეჭდა, როგორც არაჩვეულებრივი მოვლენა. ეპითეტი "სამოთხისებრი" გვიანდელია. რელიგიური გამოცდილება? არა. მაგრამ მივხვდი, რომ სრულიად განსხვავებულ სივრცეში აღმოვჩნდი და განსაკუთრებული რამ განვიცადე. ამიტომაა, რომ ეს მოგონება მოსვენებას არ მაძლევს.

**- "დღიურში" რამდენჯერმე ახსენებთ რუმინეთის "ეგზისტენციალურ" კლიმატს, რომელიც იქ თითქოსდა უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე - საფრანგეთში.**

- სწორია. მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა, ათას ცხრაას ოცდაცამეტ-ოცდათექვსმეტ წლებში. ამასთან, უკვე უნივერსიტეტში სწავლის დროს გავეცანი კირკეგორის ორსამ მომცრო ნაშრომს, იტალიურ ენაზე, შემდეგ კი წავაწყდი მისი ნაწერების თითქმის სრულ გერმანულ გამოცემას. მახსოვს, გაზეთ "კუვინტულში" გამოვაქვეყნე სტატია სათაურით "პამფლეტისტი, საქმრო და სქიმოსანი". ვფიქრობ, ეს იყო რუმინეთში დაბეჭდილი პირველი სტატია კირკეგორის შესახებ. ათას ცხრაას ოცდახუთ თუ ოცდაექვს წელს. კირკეგორს საგანგებო მნიშვნელობას ვანიჭებდი - ძირითადად, როგორც ნიმუშს. ნიმუშს წარმოადგენდა არა მარტო მისი ცხოვრება, არამედ ისიც, რასაც ფილოსოფოსი აცხადებდა, რასაც წინასწარმეტყველებდა. სამწუხაროდ, ის მრავალსიტყვაობით სცოდავდა; ამიტომ მისი საუკეთესო წიგნია, ჩემი აზრით... ჟან ვალის "კირკეგორის ეტიუდები": ის შეიცავს მშვენივრად შერჩეულ მრავალ ციტატას, იმას, რაც ყველაზე არსებითია კირკეგორის ნაწერებში.

**- უნივერსიტეტში თქვენ და თქვენს კოლეგებს ბევრი საერთო მისწრაფება გქონდათ, მაგრამ ყველაზე მეტად რა გიზიდავდათ?**

- პირველ რიგში - ორიენტალისტიკა: დამოუკიდებლად ვეუფლებოდი ივრითს, შემდეგ კი - სპარსულ ენას. ვყიდულობდი გრამატიკის სახელმძღვანელოებს, ვასრულებდი სავარჯიშოებს... ორიენტალისტიკის გარდა, მაინტერესებდა რელიგიათა ისტორია და მითოლოგია. ამავე დროს, განუწყვეტლივ ვაქვეყნებდი სტატიებს ალქიმიის ისტორიის შესახებ. ამით გამოვირჩეოდი თანატოლთა შორის: მხოლოდ მე მიტაცებდა ერთდროულად აღმოსავლეთიცა და რელიგიათა ისტორიაც. ძველი აღმოსავლეთი და თანამედროვე აღმოსავლეთი, განდი, თაგორი და რამაკრიშნა - მაშინ არაფერი ვიცოდი აუროზინდო გხოშის შესახებ. წავიკითხე (რელიგიათა ისტორიით დაინტერესებულ სხვა ადამიანთა მსგავსად) ფრეზერის "ოქროს რტო", შემდეგ - მაქს მიულერი. ინგლისურის სწავლასაც კი შევუდექი, რათა ფრეზერის ყველა თხზულებას გავცნობოდი.

**- მინდა გკითხოთ, როგორი იყო პირადი მოტივები, რომლებმაც გიბიძგათ რელიგიათა შესწავლისკენ. თქვენ მიერ დასახელებული მოტივები ინტელექტუალური ხასიათისაა. როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება რელიგიისადმი?**

- არც ისე კარგად ვიცნობდი საკუთარ ტრადიციას, მართლმადიდებლობას. ჩემი ოჯახი, როგორც იტყვიან, "მორწმუნე" იყო, მაგრამ ხომ იცით, მართლმადიდებლები რელიგიას ეცნობიან ტრადიციის საფუძველზე. სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებული არაა კატეხიზისის გაკვეთილები. ძირითადი ყურადღება ექცევა ლიტურგიას, ლიტურგიულ პრაქტიკას, რიტუალებს, საიდუმლოებებს. როგორც წესი და რიგია, ყველაფერში ვმონაწილეობდი. მაგრამ ამას საგანგებო მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. სხვა რამ მაინტერესებდა. ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და ურთიერთგანსხვავებული ფილოსოფიებისა და უდიდესი ფილოსოფოსების თხზულებათა გაცნობის შემდეგ უკმარისობის გრძნობა გამიჩნ-



მირჩა ელიადე და კულიანუ-ჩიკაგო.

და. მივხვდი, რომ შეუძლებელია ადამიანის სიცოცხლის საზრისსა და სამყაროში მისი საგანგებო მდგომარეობის წვდომა რელიგიური გამოცდილების არქაული ფაზების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ვგრძნობდი, რომ ვერ შევძლებდი ზემოხსენებული ფაზების აღმოჩენას მხოლოდ საკუთარი რელიგიური ტრადიციის, ე.ი. მართლმადიდებელი ეკლესიის ამჟამინდელი რეალობის საფუძველზე. ეს ტრადიცია ხომ "განპირობებული" იყო მრავალსაუკუნოვანი ისტორიითა და იმ ინსტიტუტებით, რომელთა დანიშნულებისა და ურთიერთმონაცვლე ფორმებისა არაფერი გამეგებოდა. მარტოოდენ ჩემი ტრადიცია საკმარისი არ გახლდათ ქრისტიანობის ჭეშმარიტ მნიშვნელობასა და შინაარსში გასარკვევად. ამიტომ მწადდა სიღრმეში შეღწევა. თავდაპირველად - ძველი აღთქმა, შემდგომ - მესოპოტამია, ეგვიპტე, ხმელთაშუა ზღვის სამყარო, ინდოეთი.

**- შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ბედ-იღბალი რომში განისაზღვრა...**

- დიახ, რომში, პროფესორ ჯუზეპე ტუჩის ბიბლიოთეკაში, სადაც ის თავის სემინარს უძღვებოდა. როდესაც ტუჩი ინდოეთში გაემგზავრა, ერთ მშვენიერ დღეს მის ბიბლიოთეკაში ვიპოვე სახელგანთქმულ სურენდრანათ დასგუპტას "ინდური ფილოსოფიის ისტორიის" პირველი ტომი ფრანგულ ენაზე და წინასიტყვაობაში წავიკითხე მადლიერების სიტყვები, რომელთაც ის უძღვნიდა თავის მფარველს მაჰარაჯა მანინდრა ჩანდრა ნანდის გასიმბაზარიდან. დასგუპტა წერდა: "ამ ადამიანის წყალობით შევძელი, ხუთი წლის განმავლობაში მემუშავა კემბრიჯის უნივერსიტეტში. აი, ჭეშმარიტი მეცენატი. ის ეხმარება და ხელს უწყობს მეცნიერულსა და ფილოსოფიურ კვლევებს; მისი გულუხვობა განთქმულია მთელ ბენგალიაში...". სწორედ აქ უეცრად მივხვდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ორი წერილი გავგზავნე ინდოეთში. ერთი - პროფესორ დასგუპტას, კალკუტის უნივერსიტეტში, მეორე კი მაჰარაჯას - კასიმბაზარში. მივწერე: "ამჟამად ვმუშაობ დიპლომზე, რომელსაც ოქტომბერში დავიცავ, შემდეგ კი მსურს, შევისწავლო ინდური ფილოსოფია, განსაკუთრებით - იოგა...". დასგუპტა მართლაც იცნობდა კლასიკურ იოგას და გამოქვეყნებული ჰქონდა პატანჯალისადმი მიძღვნილი მრავალი წიგნი.

ორი-სამი თვის შემდეგ, როდესაც ბუქარესტში დავბრუნდი, საპასუხო წერილები მივიღე. პირველ მათგანში დასგუპტა მწერდა: "დიახ, ეს ძალიან კარგი აზრია. თუ მართლაც გსურთ მუშაობა შედარებითი ფილოსოფიის სფეროში, უმჯობესია, შეისწავლოთ სანსკრიტი და ინდური ფილოსოფია ადგილზე, ინდოეთში, ვიდრე - ინდოლოგიის ევროპულ ცენტრებში. ვინაიდან საუნივერსიტეტო სტიპენდია არც ისე დიდია, იგი გიშუამდგომლებთ მაჰარაჯას წინაშე...". მაჰარაჯა კი მწერდა: "დიახ, შესანიშნავი იდეაა. გამოემგზავრეთ, დაგინიშნავთ სტიპენდიას, მაგრამ არა ორი წლით... (მოკრძალების გამო ორწლიანი სტიპენდია ვითხოვე). ორი წლის განმავლობაში შეუძლებელია სანსკრიტისა და ინდური ფილოსოფიის შესწავლა. ხუთწლიანი სტიპენდიით უზრუნველგყოფთ". ამგვარად, დიპლომის დაცვისთანავე, 1928 წლის ნოემბერში მე, ფილოლოგიის ფაკულტეტის ლიცენციატს (სპეციალობით - "ფილოსოფია") მშობლებმა ცოტაოდენი ფული მომცეს (ბუქარესტის უნივერსიტეტმაც სტიპენდია აღმითქვა) და კონსტანცადან რუმინული გემით პორტ-საიდში გავემგზავრე, პორტ-საიდიდან იაპონური ხომალდით - კოლომბოში, იქიდან კი - მატარებლით - კალკუტაში. ორი კვირა გავატარე მადრასში, სადაც დასგუპტას შევხვდი.



მირჩა ელიადე კარლ გუსტავ იუნგთან ერთად.

ინტერმეცო

**- წელან, როგორც კი შემოვედი, მითხარით, რომ მოიფიქრეთ სათაური ჩვენი საუბრებისთვის.**

- დიახ, ვიფიქრე სათაურის შესახებ. საქმე ისაა, რომ გამოცდილება არა მაქვს - დიალოგის კი არა, მისი ჩაწერის გამოცდილება. ჩვენ შორის გამუდმებით გაჩხირულია "აპარატურა", ეს კი ჩემთვის, მე ვიტყოდი, "ინიციაციური" გამოცდაა. ამას შეჩვეული არა ვარ. აი, სათაურიც: "გამოცდა ლაბირინთით". გამოცდა - რადგან გამუდმებით მიხდება სანახევროდ დავიწყებული ამბების გახსენება, ხოლო თვით პროცესი - მიდიხარ, ჩიხს აწყდები, უკან ბრუნდები, კვლავ მიდიხარ - ძალზე მაგონებს ლაბირინთში ხეტიალს. ვფიქრობ, ლაბირინთი უპირატესად ინიციაციის ხატს წარმოადგენს. ეს - ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი თითოეული ჩვენგანის ცხოვრება შედგება ინიციაციური გამოცდების რიგისგან: ადამიანი ყალიბდება გაუცნობიერებელი ინიციაციების რიგის გავლის შემდგომ. დიახ, ალბათ, ეს სახელწოდება ძალზე ზუსტად გამოხატავს იმას, რაც ჩემში ხდება მაგნიტოფონის წინაშე, თანაც ის მომწონს, რადგან, მგონი, საკმარისად ზუსტად გადმოსცემს ადამიანის სიცოცხლის არსს.

## ინდოეთი - სინამდვილეში

### შეგირდობა. სანსკრიტი

**- ინდოეთის გაცნობისას მხოლოდ ინტელექტუალური მიზნები გამოძრავებდათ, თუ უბრალო, ადამიანური ინტერესიც გაგიჩნდათ ამ ქვეყნის მიმართ?**

- უბრალო, ადამიანური ინტერესიც გამაჩნდა. თუმცა, უნდა დავაზუსტო, რომ ხელი არ ამიღია იმაზეც, რასაც დასავლელი ადამიანის Weltanschauung-ს უწოდებენ. მინდოდა, სანსკრიტს საფუძვლიანად დავუფლებოდი, ინდური ტრადიციის შესაბამისად, მაგრამ, იმავდროულად, მწადდა, შემენარჩუნებინა დასავლური ყაიდის ფილოსოფიური მეთოდიკა. რომ დასავლელი ერუდიტის ორიენტირები შემეთანხმებინა ტრადიციის ფარგლებში შემუშავებულ ორიენტირებთან. არასოდეს მიცდია შემეცნების დასავლური სპეციფიკის უგულებელყოფა. ცოტა ხანს ვსწავლობდი ბერძნულს, შემდეგ ლათინურს. ვეცნობოდი დასავლურ ფილოსოფიას; ყოველივე ეს ჩემში ღრმად იყო გამჯდარი. მაშინაც კი, როდესაც ჰიმალაებისკენ გავწიე და სენაკში განვმარტოვდი, დასავლურ ტრადიციას არ ჩამოვშორებივარ. როგორც ხედავთ, დაპირისპირებულთა გაერთიანებას შეგირდობის დროიდან ვესწრაფოდი. (...) ინდოეთის კულტურით ღრმად, "ეგზისტენციალურად"

ვიმსჭვალებოდი. გავიდა ერთი წელი, და დასგუპტამ მითხრა: "დროა. ახლა შეგიძლია აიბარგო და ჩემს სახლში დაბინავდე". მასთან კიდევ ერთი წელი გავატარე.

### ჰიმალაები და იოგები

**ქ. - ა.რ. 1930 წლის სექტემბერში კალკუტიდან ჰიმალაებში მიემგზავრებით. ტოვებთ დასგუპტას...**

მ.ე. დიახ, უსიამოვნების შემდეგ, რის შესახებაც უსაზღვროდ ვნანობ. ისიც განიცდიდა. მაგრამ მაშინ არ მსურდა დარჩენა ქალაქში, იქ დასგუპტას გარეშე არაფერი მესაქმებოდა... ჰიმალაებისკენ გავწიე. გზად მრავალ ქალაქში შევჩერდი, მაგრამ ჰარდვარისა და რიშიკეშისკენ მივისწრაფოდი: სწორედ იქიდან იწყება ნამდვილი მონასტრები. ბედმა გამიღიმა: სვამი შივანანდას შევხვდი. ის მოელაპარაკა წინამძღვარს - მეჰანტს, და ტყეში ქოხი გამომიყვეს... პირობები მძიმე როდი იყო: ვეგეტარიანელობა და ევროპული კოსტიუმის ტარებაზე ხელის აღება - თეთრი ტანისამოსით გვამარაგებდნენ. ყოველ დილას ვიხვეწებოდი, რომ ჩემთვის რძე, თაფლი, ყველი მოეცათ. იქ, რიშიკეშში, ექვსი თუ შვიდი თვე გავატარე, თითქმის აპრილამდე დავრჩი.

### ზოგიერთი რამ ინდოეთის პოეტუროგის შესახებ

**ქ. - ა.რ. ინდოეთში მიღებული გამოცდილება აღბეჭდილია არა მარტო თქვენს ესეებში, არამედ - პროზაშიც: "სერამპორის ღამეებში", "მაიტრეიიში"... აგრეთვე - რომანში "იზაბელი და ეშმაკის წყლები", რომელიც ფრანგულად ნათარგმნი არაა. ეს უკანასკნელი, თქვენი აღიარებით, დაწერეთ, რათა თავი გეხსნათ სანსკრიტში სრული ჩაძირვის პერიოდში.**

მ.ე. დიახ, სანსკრიტის გრამატიკასა და ინდურ ფილოსოფიას ხუთი თუ ექვსი თვის განმავლობაში ვსწავლობდი, შემდეგ კი დაღლილობამ შემიპყრო. თან ერთმა ჩანაფიქრმა გამიტაცა. იმხანად დარჯილინგში ვცხოვრობდი და ხელი მოვკიდე რომანის წერას. ის თითქოს ჩემს ცხოვრებას ასახავდა, მაგრამ ბევრწილად გამოგონილი გახლდათ. ამ ფანტომურ, მომნუსხველ სამყაროში ღრმად შევიჭერი და დაწვრილებით აღვწერე. რომანი სულ რამდენიმე კვირაში შეიქმნა. ასე აღვიდგინე ჯანმრთელობა და სულიერი წონასწორობა.

**- იქ წარმოდგენილია რუმინელი ყმაწვილი, რომელიც ცეილონში დახეტიალობს, შემდეგ კი კალკუტაში გაემგზავრება და ეშმაკს ხვდება...**

- კალკუტაში გაემგზავრება, მოეწყობა ინგლისურ პანსიონში - სწორედ ისეთში, მე რომ ვცხოვრობდი. სახლი სავსეა ჭაბუკებითა და ქალიშვილებით, რომლებსაც უამრავი პრობლემა აღელვებთ. ამას ერთვის "ეშმაკის" იქყოფნა და შესაბამისი მოვლენები, რადგან მთავარი გმირი ძალზე დაინტერესებულია "ეშმაკით".

**- თქვენ გახასიათებთ მკითხველთა გაოგნების თითქმის დემონური უნარი. ზოგჯერ ძნელად გასაგებია, სადაა სიმართლე და სად - სიცრუე; ამდენად, თქვენს სამყაროში ორიენტირება ხშირად ძალზე ჭირს.**

- გეთანხმებით და ვფიქრობ, რომ ამაში მდგომარეობს ჩემი პროზის თუნდაც ერთი ნაწილის სპეციფიკა.

**- მკითხველის გაოგნება გესლნარევ სიამოვნებას განიჭებთ, ხომ ასეა?**

- იქნებ, ეს ერთგვარი პედაგოგიკაა? რა საჭიროა, მკითხველს აბსოლუტურად გამჭვირვალე ამბავი შევთავაზოთ.

**- პედაგოგიკა და ლაბირინთებისადმი სიყვარული?**

- დიახ, ინიციაციების მსგავსი გამოცდებისადმი.

**- სამაგიეროდ, "მაიტრეიიში" არაფერია ფანტასტიკური. ამ წიგნზე ფიქრისას ყველაზე მეტად მაღელვებს - ეს კი ისეთი წიგნია, რომელზეც უნდა იფიქრო, რადგან მას ყველაზე ღრმად სწვდები არა იმდენად კითხვისას, რამდენადაც შემდეგ, მისი გახსენებისას - დიახ, ყველაზე მეტად მაღელვებს გმირი ქალი, მაიტრეიი, რომელიც ხორცშესხმულ ვნებას წარმოადგენს. რომანი ხომ ძალზე მარტივია, მაგრამ ქალის სილამაზის საცთური - როგორც აჯანტის ფრესკებზე, როგორც ინდურ ეროტიულ პოეზიაში - ესაა დამდაგველი სინათლე... როგორ წარმოგიდგებათ ეს წიგნი ახლა, ამდენი ხნის შემდეგ?**

- გამიგეთ, რომანი სანახევროდ ავტობიოგრაფიულია, მაშასადამე...

**- მაშასადამე, თქვენ არ გსურთ, გაამჟღავნოთ არა მარტო გნოზისის საიდუმლოებანი, არამედ - საკუთარი გრძნობებიც... მაგრამ რაკი აჯანტის ფრესკები ვახსენე - ვინმემ უკვე ხომ არ შეადარა მაიტრეიის სახე, მთელი მისი მგრძნობელობით, ამ ფრესკებს? და როგორია თქვენი შეხედულება ამის შესახებ?**

- ასეთი რამ მართლაც ითქვა. შესანიშნავ წერილში, რომელიც რომანის წაკითხვის შემდეგ გამომიგზავნა გასტონ ბაშლიარმა, გვხვდება გამოთქმა "მგრძნობელობის მითოლოგია". ჩემი აზრით, ესაა მარჯვედ მოძებნილი განსაზღვრა, რადგან მგრძნობელობა იქ, გარკვეული გაგებით, გარდასახულია.

### ინტერმეცო

მ.ე. ... დიახ, ვხედავდი ხოლმე ჩემთვის მეტად საგულისხმო სიზმრებს. "ინიციაციურ" სიზმრებს, იმ გაგებით, რომ მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი მათ მნიშვნელობას; და მაშინ ბევრ რამეს ჩავწვდი და დავრწმუნდი კიდეც... ვიგრძენი, რომ მე... კი არ მხელმძღვანელობენ, არა, მაგრამ მეხმარებიან - არის ჩემში რაღაც, რაც მევე მეხმარება.

**ქ. - ა.რ. სიზმრებს რეგულარულად იწერდით?**

- ვიწერდი. ერთ ზაფხულს, ასკონში. "ასკონურ შეხვედრებს", რომლებიც "ერანოსის" სახელწოდებითაა ცნობილი, აწყობდა ხოლმე ოლგა ფრებე - კაპტეინი. ის იუნგის ფსიქოლოგიით იყო გატაცებული და შემომთავაზა, გარკვეული ცდა ჩამეტარებინა. მთელი თვის განმავლობაში ყოველ დილით ვიწერდი ჩემს სიზმრებს და შესაბამის თარიღებსაც აღვნიშნავდი. დავრწმუნდი, რომ სიზმრებს მართლაც ახასიათებს გარკვეული თანმიმდევრობა. მგონი, ეს რვეული შენახულიც მაქვს. ზოგიერთი სიზმრის შინაარსი ნაცნობ ფსიქოლოგებს ვუამბე და მათ მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციაც ჩავიწერე.

**- როგორ ფიქრობთ: თუ ადამიანი ესწრაფვით საკუთარი თავის შემეცნებასა და შემდეგ - გარდაქმნას, სიზმრები ასე უნდა ჩაიწეროს?**

- არა მგონია. მაგრამ ვიფქრობ, საკუთარი სიზმრის ჩაწერა არავის აწყენს. მახსოვს, ჩემი დღიურის ერთ-ერთ რვეულში შემთხვევით ამოვიკითხე ათი წლის წინანდელი სიზმარი. მაშინვე მივხვდი, რომ ეს სიზმარი მოასწავებდა შემდგომში მართლაც განხორციელებულ მოვლენას. ამასთან, სიზმრების ჩაწერა მარტოოდენ გარკვეული ამბების შესამოწმებლად კი არაა საჭირო, უეჭველია, საკუთარი თავის უკეთ შესამეცნებლადაც.

**- ორი სიზმარი, რომლებიც გამოაქვეყნეთ "ამონაწერი დღიურიდან" მეხსიერების საკითხს ეხება. პირველ მათგანში თქვენ დამალეთ ძვირფასი ნივთები და დაგავიწყდათ, სად შეინახეთ ისინი.**

ეროვნული

მეხსიერების დაკარგვის საფრთხე გემუქრებოდათ. და დაიჩოქეთ ცოლის წინაშე, რადგან მხოლოდ მას შეეძლო თქვენი ხსნა... რაც შეეხება მეორე სიზმარს, სიტყვა-სიტყვით მომყავს ციტატა: "ორი ბერიკაცი ცალ-ცალკე, განმარტოებით კვდება. მათთან ერთად სამუდამოდ გაქრება - უკვალოდ, პირწმინდად - შესანიშნავი ისტორია (და მე ვიცი, რომელი). დამთრგუნველი სევდა. სასოწარკვეთილება. მეზობელ ოთახში გავედი და ლოცვა დავიწყე. თავს ვეუბნებოდი: თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი აბსურდია".

- მახსოვს სხვა სიზმრებიც, ყოველ შემთხვევაში - მათი ეპიზოდები. მაგალითად, ერთხელ დამესიზმრა, რომ ციდან ვარსკვლავები ცვიოდა და ღვეზლებად იქცეოდა. მათ ყველას ვურიგებდი: "მიირთვით, სანამ ცხელია"... მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ორი სიზმარი იმიტომ გამოვაქვეყნე, რომ მათ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მოსვენებას არ მაძლევს მეხსიერების დაკარგვის შიში. არაჩვეულებრივი მეხსიერება მქონდა, თუმცა ახლა უკვე შემისუსტდა. და ყოველთვის მზარავდა მეხსიერების დაკარგვის შესაძლებლობა - როგორც გარკვეული წარსულის, გარკვეული, მხოლოდ ჩემთვის ცნობილი ისტორიის წაშლა... სიზმარი ორი ბერიკაცის შესახებ... თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ამქვეყნად ყოველივე ფუჭია. თუ არ არსებობს აბსოლუტი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას მნიშვნელობასა და ღირებულებას ანიჭებს, ასეთ შემთხვევაში არსებობას საზრისი არ გააჩნია. ვიცი, რომ ზოგიერთი ფილოსოფოსი ასე ფიქრობს, მაგრამ ეს, უბრალოდ, უსასოების მიზეზად კი არ წარმომიდგება, არამედ - ერთგვარ ვერაგობადაც. რადგან ეს სიცრუეა, და ვიცი, რომ ეს სიცრუეა. თუ საქმე იქამდე მივა, რომ ადამიანები ამას ჭეშმარიტებად აღიარებენ, მაშინ კრიზისი თავისი სიღრმით გადააჭარბებს პიროვნულ სასოწარკვეთილებას და სამყარო "გასკდება", გაბრიელ მარსელის თქმისა არ იყოს.

## დიდების გადალახვა

**ქ. - ა.რ. რითი დავიწყოთ? დიდებით?**

მ.ე. შეიძლება "დიდებითაც", რადგან მან ბევრი რამ მასწავლა. "მაიტრეიი" ("ბენგალიის ღამე") გამოუქვეყნებელი რომანების კონკურსზე წარვადგინე. პირველი პრემია მომანიჭეს. ეს იყო სასიყვარულო და, ამასთანავე, ეგზოტიკური რომანი, რომელმაც ფართო აღიარება ჰპოვა, გამომცემლისა და ჩემდა გასაოცრად. ამას მოჰყვა მრავალრიცხოვანი ხელახალი გამოცემები. ისე მოხდა, რომ ოცდაექვსი წლის ასაკში "სახელი გავითქვი". ჩემზე წერდნენ გაზეთებში, მცნობდნენ ქუჩაში და ასე შემდეგ. ეს იყო სიჭაბუკისდროინდელი ძალზე მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილება - ვიგემე, რას ნიშნავს წარმატება, "თაყვანისმცემლები"... სასიამოვნოა, სხვა არაფერი. შემდგომ სამუდამოდ დავაღწიე თავი ამ საცთურს. სწორედ რომ საცთურს, რომელიც, ჩემი აზრით, ბუნებრივია ყველა შემოქმედისთვის, ყველა მწერლისთვის; ყოველი ავტორი იმედოვნებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახელს გაითქვამს, დაიმსახურებს დიდებასა და მრავალი მკითხველის აღტაცებას... ყოველივე ეს ერთხელ გამოვცადე, ბედნიერიც ვიყავი, რაც დამეხმარა, დამეწერა ისეთი რომანები, რომლებსაც დაფნის გვირგვინის მოპოვების პრეტენზია არა აქვთ.

1934 წელს გამოვეცი "დაბრუნება სამოთხიდან", იმ ტრილოგიის პირველი ნაწილი, რომელშიც, ჩემი ჩანაფიქრით, უნდა გაერთიანებულიყო "ხულიგნები" და "vita nova". ჩემი თაობის ცხოვრების ასახვა მსურდა. პირველმა ტომმა გარკვეული წარმატება მოიპოვა. "ხულიგნებში" ვგულისხმობდი მეამბოხეებს, რომლებიც ამზადებენ სულიერ, კულტურულ - და თუ არა "პოლიტიკურ", ყოველ შემთხვევაში, რეალურ, კონკრეტულ რევოლუციას. მაშ ასე, გმირები იყვნენ ახალგაზრდები - პროფესორები, მწერლები, მსახიობები. და ძალზე ბევრს ლაპარაკობდნენ. ერთი სიტყვით, ეს იყო ინტელექტუალებისა და ფსევდოინტელექტუალების ცხოვრების განასერი, რომელიც, ჩემი აზრით, რამდენადმე წააგავდა ჰაქსლის "კონტრაპუნქტს". ძნელად საკითხავი წიგნი კრიტიკოსებს მოეწონათ, მაგრამ მან ვერ მიიზიდა იმდენი მკითხველი, რამდენიც - "მაიტრეიიმ". იმავე წელს გამოვაქვეყნე თითქმის ჯოისისმაგვარი რომანი "შუქი, რომელიც ქრება".

## სულის სიმტკიცე

**ქ. - ა.რ. პერიოდი, რომელიც თქვენ რუმინეთის საზღვრებს გარეთ, მაგრამ ევროპაში - ჯერ ლონდონში, შემდეგ ლისაბონში და, ბოლოს, პარიზში - გაატარეთ, ტრაგიკული ხანა გახლდათ ევროპისთვის, რუმინეთისთვის და მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის: ეს იყო ფაშიზმის აღმავლობისა და ომის შავბნელი წლები. ეს იყო, ნაციზმის კრახის შემგომ, რუმინეთში კომუნისტური რეჟიმის დამყარების ჟამი. თქვენ ამ მოვლენათა თვითმხილველი იყავით, რეალურად თუ წარმოსახვით. როგორ განიცადეთ ისინი?**

მ.ე. მოკავშირეთა გამარჯვებაში ეჭვი არ შემპარვია, ხოლო როდესაც ომში რუსეთიც ჩაერთო, მივხვდი, რომ მომავალი გამარჯვება რუსეთის გამარჯვებაც იქნებოდა. მესმოდა, რას ნიშნავდა ეს აღმოსავლეთ ევროპის ხალხებისათვის. რუმინეთი 1940 წლის გაზაფხულზე დავტოვე, ასე რომ ინფორმაციას იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ სხვები მაწვდიდნენ. მაგრამ მეშინოდა საბჭოთა (თუნდაც დროებითი) ოკუპაციისა. მძლავრ მეზობელს ყოველთვის უფრთხიან. გოლიათი სასიამოვნო შესახედავია, თუ მას შორიდან უცქერ. მეშინოდა. მაგრამ უნდა გამეკეთებინა არჩევანი უიმედობასა და იმედს შორის, მე კი არასოდეს ვეპუებოდი ამგვარ - პოლიტიკურსა და ისტორიულ - უიმედობას. იმედი ავირჩიე. თავი დავაჯერე, რომ ეს კიდევ ერთი გამოცდა გახლდათ. რუმინეთში კი ძალზე კარგად იციან, რა არის გამოცდა ისტორიით - ისევე, როგორც იუგოსლავიასა და ბულგარეთში, - ვინაიდან ჩვენ იმპერიათა გარემოცვაში ვცხოვრობთ. მაგრამ საჭირო არაა მსოფლიო ისტორიის მოყოლა. ის საყოველთაოდ ცნობილია. ამჟამად ჩვენ ებრაელებს ვგავართ, რომლებსაც ემეზობლებოდნენ დიდი სამხედრო სახელმწიფოები, ასურეთი და ეგვიპტე, სპარსეთი და რომის იმპერია. ჩვენ გამუდმებით გვქელავენ. ამიტომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს მივბაძე. პოლიტიკურ ასპექტში ვერაფერს გავაწყობდი - იმ მომენტში ვერაფერს. ჩემთვის და სხვა რუმინელებისთვის ემიგრაციაში ერთ რამეს ჰქონდა მნიშვნელობა - როგორმე გადაგვერჩინა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, არ შეგვეწყვიტა შემოქმედებითი მუშაობა ისტორიული კრიზისის მიუხედავად. რუმინელი ხალხი რომ ყველაფერს გაუძლებდა, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა, მაგრამ რითი უნდა დავხმარებოდით ჩვენ, საზღვარგარეთ მცხოვრები რუმინელები, სამშობლოს? ყოველთვის მწამდა, რომ ერის გადარჩენის ერთ-ერთ გზას მისი კულტურის შენარჩუნება წარმოადგენს. კულტურა "ზედნაშენი" როდია, როგორც ამას მარქსისტები ფიქრობენ. ის ადამიანთა ცხოვრების საგანგებო ფორმაა. არ შეიძლება იყო ადამიანი, თუ არ ხარ რომელიმე კულტურის პირმშო. ამიტომ უნდა გადაგვერჩინა რუმინეთის ის ფასეულობანი, რომელთაც სამშობლოში დაღუპვის საფრთხე ემუქრებოდა, მაგალითად, მეცნიერული შრომის, კერძოდ, რელიგიის და კულტურის ისტო-


მირჩა ელიადე

რიის კვლევის თავისუფლება. 1945 წელს პარიზში გადავსახლდი სწორედ იმისთვის, რომ გამეგრძელებინა მუშაობა და დამესრულებინა ჩემთვის ძვირფასი წიგნები, პირველ ყოვლისა, "ტრაქტატი" და "მითი მარადიული დაბრუნების შესახებ".

**- თქვენი "დღიურის" თანახმად, არ მოგწონთ, როდესაც ინტელექტუალისგან მოითხოვენ ენერგიის ხარჯვას პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.**

- მით უმეტეს, როცა ვხედავ, რომ ეს ნამდვილად უშედეგოა. დავუშვათ, მითხრეს: თუ ყოველდღე მოაწყობთ ქუჩის დემონსტრაციებს, სამი თვის განმავლობაში ზედიზედ გამოაქვეყნებთ სტატიებს გაზეთებში და ხელს მოაწერთ ყველა პოლიტიკურ მოწოდებას, მაშინ, თუ რუმინეთი არ გათავისუფლდება, ყოველ შემთხვევაში, რუმინელი მწერლები შეძლებენ, დაუბრკოლებლად გამოსცენ თავიანთი ლექსები და რომანები - დავთანხმდებოდი და ყოველივეს შევასრულებდი. მაგრამ ვიცი, რომ სადღეისოდ ამგვარ მოღვაწეობას ვერ მოჰყვება დაუყოვნებელი შედეგები. მაშასადამე, საჭიროა ენერგიის გონივრულად ხარჯვა და იერიშის მიტანა იქ, სადაც ჩემი ძალისხმევა წარმატებით დაგვირგვინდება... ისტორიის ზოგიერთ მომენტში კულტურული მოღვაწეობა - განსაკუთრებით კი ლიტერატურა, ხელოვნება - პოლიტიკურ იარაღად იქცევა. როდესაც ვფიქრობ პუშკინის პოეზიის ზემოქმედების შესახებ... დოსტოევსკის რომანებზე რომ არაფერი ვთქვათ! ტოლსტოის ზოგიერთი ქმნილებაც კი... ის, რასაც ვაკეთებთ ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ფილოსოფიაში, გარკვეულ მომენტში პოლიტიკურ ძალმოსილებას შეიძენს: შეცვლის ადამიანის ცნობიერებას, იმედს ჩაუნერგავს მას. ამგვარად, ადამიანი, რომელიც განაგრძობს მუშაობასა და შემოქმედებას, თანამედროვეობას როდი განუდგება.

**- აქ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ისეთი პიროვნება, როგორიც სოლჟენიცინია.**

- ამ მწერალს თაყვანს ვცემ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვაფასებ მის შემოქმედებას, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მისი, როგორც მოწმის, სიმამაცეს, იმას, რომ მან იკისრა მოწმის როლი, უდიდესი რისკის მიუხედავად - როგორც მარტვილმა (სხვათა შორის, ლათინურმა სიტყვამ martyr რუმინულში მოგვცა martor, ესე იგი, მოწმე). საბედნიეროდ, მას ჰქონდა გარკვეული საზოგადოებრივი წონა: საყოველთაო აღიარება და არა მარტო ნობელის პრემია, არამედ - რომანების ფართო წარმატებაც და, გარდა ამისა, უზარმაზარი გამოცდილება... (...)

პარიზი. 1945 წელი  **კ. - ა.რ. ათას ცხრაას ორმოცდახუთში გადაწყვიტეთ, რუმინეთში არ დაბრუნებულიყავით, და პარიზში დასახლდით. რას ემყარებოდა ამგვარი არჩევანი?**

მ.ე. ორმოცდახუთ წელს რუმინეთი ჩაითრიეს ისტორიულ პროცესში, რაც სრულიად აშკარაა: პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების ბარბაროსული, გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეული დამხობა და ახლით შეცვლა. მეორე მხრივ, ლისაბონში ოთხწლიანი ყოფნის შემდეგ გამიჩნდა მოთხოვნილება, მეცხოვრა ისეთ ქალაქში, სადაც მდიდარი ბიბლიოთეკები იქნებოდა. "ტრაქტატი რელიგიათა ისტორიის შესახებ" დავიწყე ლონდონში, ბრიტანულ მუზეუმში, გავაგრძელე ოქსფორდში, შესანიშნავ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში; ლისაბონში ვერ შევძელი, სერიოზულად მემუშავა "ტრაქტატზე". გადავწყვიტე, დროებით - შესაძლოა, რამდენიმე წლით - დავსახლებულიყავი პარიზში, რათა ეს წიგნი დამემთავრებინა. მალე პროფესორმა ჟორჟ დიუმეზილმა შემომთავაზა, წამეკითხა ლექციათა კურსი თავისუფალ თემაზე ("უმაღლესი სწავლების სკოლაში"), მანვე მიმიყვანა "გალიმარში" და დაწერა წინასიტყვაობა ჩემი "ტრაქტატისთვის".

**- თქვენ მხარი დაგიჭირათ დიუმეზილმა. და მაინც, "დღიურის თანახმად" პარიზში თავდაპირველად საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდით. ხვალინდელი დღის იმედი არ გქონდათ. იმავდროულად, დადგა ინტენსიური სამეცნიერო და ლიტერატურული მუშაობის ეტაპი. ხომ ვერ მოგვითხრობდით "ღარიბი სტუდენტის" (თქვენი თქმით), ანუ გამრჯე ადამიანის, მეცნიერისა და მწერლის ცხოვრების შესახებ?**

- "ღარიბი სტუდენტისა", რადგან სასტუმროს ოთახში ვცხოვრობდი და სადილს ელექტროქურაზე ვიმზადებდი. შემდგომ, როდესაც მე და კრისტინელი შევუღლდით, ვსადილობდით მახლობელ პატარა რესტორანში. ამ აზრით, სიღარიბეს განვიცდიდით. მაგრამ ნამდვილ პრობლემას წარმოადგენდა მუშაობა, წერა ფრანგულად მიხდებოდა. მშვენივრად მესმოდა, რომ ფრანგულს ისე სრულყოფილად ვერასოდეს დავეუფლებოდი, როგორც იონესკო ან ჩორანი; რომ ჩემი ფრანგული მეტყველება უფრო ემგვანებოდა შუა საუკუნეების ლათინურს ან კოინეს - ბერძნული ენის ნაირსახეობას, რომელზეც ლაპარაკობდნენ და წერდნენ ელინისტურ ეპოქაში ეგვიპტეში, იტალიაში, მცირე აზიასა ან ირლანდიაში. სტილის საკითხებს მტკივნეულად როდი განვიცდიდი, ჩორანისგან განსხვავებით, რომელიც აღმერთებდა ფრანგულ ენას და შიშობდა, არ დაემცირებინა ან არ შეელახა ეს შედევრი. საბედნიეროდ, ასეთი რამ არ მაღელვებდა, უბრალოდ, მსურდა, ზუსტად და მკაფიოდ გამომეთქვა ჩემი აზრები, სხვა არაფერი. (...).

**- მთელ თქვენ "დღიურს" გასდევს ორი სიტყვა, რომლებიც, მგონი, ყველაზე ღრმად ჩაიბეჭდა თქვენს ცხოვრებაში: ლაბირინთი და ოდისევსი, - ისინი ერთგვარ წყვილს წარმოქმნიან. ოდისევსისთვის ხეტიალი და სამშობლო ერთმანეთისგან განუყოფელია; ხოლო ლაბირინთს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ დაიკარგები - მაგრამ არა ქაოტურად, არა სამუდამოდ. რას იტყოდით ოდისევსის შესახებ ამჟამად?**

- ოდისევსი არა მარტო ჩემს თანამედროვეთა, არამედ - მომავლის ადამიანის პირველსახეცაა, როგორც დევნილი ყარიბი. მისი ხეტიალი სხვა არაფერია, თუ არა გზა ითაკისკენ, ცენტრისკენ, ესე იგი, საკუთარი თავისკენ. ოდისევსი გამოცდილი მეზღვაურია, მაგრამ

ბედი - ანუ ინიციაციური განსაცდელი (რომელიც მან წარმატებით უნდა დაძლიოს) - გამუდმებით აიძულებს, გადაავადოს სამშობლოში დაბრუნება. ეს მითი ძალზე მნიშვნელოვანია. თითოეულ ჩვენგანში ცოცხლდება ოდისევსი, როდესაც საკუთარ თავს ვეძებთ, ვიმედოვნებთ, რომ მიზანს მივაღწევთ და მაშინ ნამდვილად დავუბრუნდებით სამშობლოს, ოჯახურ კერას, კვლავ ვიპოვით საკუთარ თავს. მაგრამ ამ ლაბირინთში შეიძლება დავიკარგოთ. ხოლო თუ მოვახერხებთ ლაბირინთიდან გამოსვლას და მშობლიურ კერამდე მიღწევას, მაშინ სრულიად სხვა ადამიანად ვიქცევით.

**- თქვენ თანამედროვე ადამიანს ოდისევსს ადარებთ - და საკუთარ თავსაც სცნობთ ოდისევსში.**

- ვცნობ. ვფიქრობ, მითი ოდისევსის შესახებ წარმოადგენს სამყაროში არსებობის გარკვეული წესის მოდელს.

**- შეგიძლიათ თუ არა, მას თქვენი ემბლემა უწოდოთ?**

- დიახ. (...).

**- ამგვარად, აგრძელებდით ურთიერთობას თქვენს რუმინელ მეგობრებთან - იონესკოსთან, ჩორანთან და სხვებთან.**

- მე და ჩორანს კეთილი მეგობრობა გვაკავშირებდა. ერთმანეთს ჯერ კიდევ რუმინეთში, ოცდაცამეტ-ოცდათვრამეტ წლებში დავუახლოვდით და ძალზე გამიხარდა, როდესაც მას პარიზში შევხვდი. ჩორანმა განმაცვიფრა თავისი პირველივე სტატიებით ოცდათორმეტ წელს, როცა ის-ის იყო, ოცდაერთი წელი შეუსრულდა. უკვე წაკითხული ჰქონდა ჰეგელი და ნიცშე, ეცნობოდა გერმანელ მისტიკოსებს და აშვაგხოშას. გარდა ამისა, იმთავითვე შესანიშნავად ფლობდა ლიტერატურულ სტილს. ერთნაირი ოსტატობით წერდა ფილოსოფიურ ესეებსაც და მწვავე პამფლეტებსაც, არ ჩამორჩებოდა არც "აპოკალიფსების" ავტორებს, არც ყველაზე გესლიან ფელეტონისტ-პოლიტიკოსებს. რუმინულ ენაზე დაწერილი მისი პირველი წიგნი "სასოწარკვეთილების მწვერვალზე" რომანივით მიმზიდველი იყო. სევდა, შიში და ეგზალტაცია მსჭვალავდა და უჩვეულო, ნატიფი სტილით გამოირჩეოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის ასეთსავე ლიტერატურულ სრულყოფილებას გამოავლენდა ფრანგულ ენაზე დაწერილ თხზულებებში. ეს, ალბათ, უნიკალური შემთხვევაა. თუმცა, სტილს ჩორანი ყოველთვის საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა. სრულიად სერიოზულად ამართლებდა ფლობერს - ამბობდა, რომ ეს უკანასკნელი სწორად იქცეოდა, როცა მთელი ღამეების განმავლობაში ცდილობდა ამა თუ იმ ფრაზის განთავისუფლებას ზედმეტი "თუ"-სგან. ეჟენ იონესკოს კი მხოლოდ პარიზში დავუმეგობრდი. ის დიდი ხნის წინ, ბუქარესტში გავიცანი. მაშინ თავი მომქონდა იმით, რომ ასაკობრივი განსხვავება ჩვენ შორის სულ ორ წელს შეადგენდა. ამასთან, ოცდაექვსი წლისა, უკვე "სახელგანთქმული პიროვნება", პროფესორი გახლდით და ინდოეთი მქონდა მოვლილი, ხოლო ოცდაოთხი წლის ეჟენ იონესკუ ამ დროს თავის პირველ წიგნზე მუშაობდა. ამგვარად, ეს "ორი წელი" შეადგენდა ძალზე არსებით დისტანციას, რომელიც პარიზში ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე წარიშალა. ეჟენ იონესკუ რუმინეთში მოღვაწეობდა, როგორც პოეტი, და კიდევ უფრო მეტად - როგორც კრიტიკოსი ან, თუ გნებავთ, "ანტიკრიტიკოსი": თავის ერთ გახმაურებულ წიგნში (პოლემიკურ წიგნში, სახელწოდებით "არა!") მან სცადა, გამოეაშკარავებინა, რომ სინამდვილეში ლიტერატურული კრიტიკა, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, არ არსებობს... პარიზში ძალზე მაინტერესებდა, რა გზას დაადგებოდა იონესკუ. ფილოსოფიურ კვლევებს? ბელეტრისტიკას? ალსარების ჟანრს? ვერ გამოვიცანი. მან "მელოტი მომღერალი ქალით" დაიწყო. უკვე პრემიერის დღეს მისი თეატრის გულწრფელ და მხურვალე თაყვანისმცემლად ვიქეცი და ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ საფრანგეთში ის წარმატებას მიაღწევდა. ეჟენ იონესკოს პიესებში ყველაზე უფრო მხიბლავს ჭარბი პოეტურობა და სიმბოლიკა, კერძოდ, ონირიული განზომილების კონსტრუქციები და სხვადასხვა მითოლოგიისთვის დამახასიათებელი სიმბოლიკა. პირადად ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია სიზმრის პოეტიკა, რომელიც ხორცშესხმულია მის თეატრში. მაგრამ ის არ ამოიწურება ონირიული ასპექტით. ზოგჯერ მეჩვენება, რომ მომავალი გმირებისა და მომავალი ბედოვლათების ბავშვური ოცნებების ხილვისას ვესწრები ცოცხალი სუბსტანციის, დედა-მიწის "დიად ოცნებებს" - და ზოგიერთი ამგვარი ოცნება მითოლოგიად იქცევა.

**- თქვენ საუბრობდით დაპირისპირებულთა ერთიანობის შესახებ, რაც რუმინულ კულტურაში შეიმჩნევა... ხომ არ განვავითაროთ ეს თემა? რას ნიშნავს იყო რუმინელი? და რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- ვგრძნობ, რომ მემკვიდრე და შთამომავალი ვარ საინტერესო კულტურისა, რამდენადაც ის განთავსებულია ორ (დასავლურ, წმინდა ევროპულსა და, მეორე მხრივ, აღმოსავლურ) სამყაროს შორის. ერთნაირად ვეკუთვნი ორივე მათგანს. დასავლეთი - ესაა ჩვენი ენა, ლათინური. ჩვეულებებიც მემკვიდრეობით მივიღეთ რომაელთაგან. ამასთან, განვიცდით აღმოსავლეთის ზეგავლენასაც, რომელსაც ჯერ კიდევ ნეოლითის დროს დაედო სათავე. ყოველივე ეს რეალობაა რუმინელის, ბულგარელის და, ალბათ, სერბოხორვატისთვისაც. საერთოდ, ბალკანეთისთვის, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთისთვის და, ნაწილობრივ, რუსეთისთვის. ესაა ზამბარა: "აღმოსავლეთი-დასავლეთი", "ტრადიციონალიზმი - მოდერნიზმი"; მისტიკა, რელიგია, ჭვრეტა - კრიტიკული სულისკვეთება, რაციო, მიდრეკილება კონკრეტულობისადმი შემოქმედებაში. ამგვარი პოლარული დაპირისპირება ყველა კულტურაში შეიმჩნევა. მაგალითად, დანტე და პეტრარკა, ან, როგორც პაპინი ამბობდა, ქვის პოეზია - თაფლის პოეზია. პასკალი და მონტენი, გოეთე და ნიცშე. თუმცა, ჩვენში ეს ნივთიერი დაძაბულობა მეტი სირთულით გამოირჩევა, რადგანაც, ერთი ფრანგი მწერლის თქმით, "მკვდარი იმპერიების საზღვარზე" ვცხოვრობთ. ვიყო რუმინელი, ეს, ჩემი აზრით, ნიშნავს ჩვენი საგანგებო ხვედრის წვდომას, გამოხატვასა და შეფასებას. საჭიროა ამ მემკვიდრეობის გამოყენება... იტალიური ენის შესწავლა ჩვენთვის უიოლესი საქმეა. როდესაც რუსულის სწავლა დავიწყე, ძალზე გამომადგა რუმინული ლექსიკონის სლავური ნაწილი. ვსარგებლობდი იმ სიმდიდრით, რომელსაც თვით ჩემი დაბადების ფაქტის მეშვეობით დავეუფლე. სამწუხაროდ, ეს მემკვიდრეობა ჩვენმა ლიტერატურამ და კულტურამ ჯეროვნად ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, ფოლკლორში ის უხვად შეიმჩნევა.

დასასრული შემდეგ ნომერში

თარგმნა თამარ ლომიძემ

არილი

მანანა კვაჭანტირაძე

# ბოლოს და ბოლოს, ვინ აკაკუნებს?

ჟან ბოდრიარის ოპუსში "ქალაქი და სიძულვილი" ("არილი", 2001, N16) ყველაზე მეტად იმ თვითირონიამ მომხიბლა, რომლითაც იგი ამ ათიოდე წლის წინ ნიუიორკში გამართული კოლოქვიუმის "ფარულ" მიზანდასახულობაზე საუბრობს: "ბოლოს და ბოლოს გაირკვა, რომ ინტელექტუალთა ეს შეკრება, სამყაროს დასასრულის ბანალური რეალობის მიუხედავად, მიზნად ისახავდა სამყაროს დასასრულის "იდეა" ეხსნა, სამყაროს დასასრულის უტოპია ეხსნა, დღესაც ამას ვაკეთებთ აქ, ახლა, საუკუნის დასასრულს". ის, რაც ბოლოს და ბოლოს ბოდრიარმა თავისთვის (და ჩვენთვისაც) გაარკვია, სამყაროს დასასრულის იდეის უტოპიურობა იყო, რომელსაც კონფლიქტურობის დასასრულის ძალზე ბუნდოვანი იმედიც ახლდა. ბატონმა ზურაბ ქარუმიძემ პოსტმოდერნული ეპოქის დასასრული 11 სექტემბრის ისტორიულ ტერაქტს დაუკავშირა და სამოქმედო პროგრამაც შემოგვთავაზა: "ხელოვნებასაც და ფილოსოფიასაც მოუწევს თავი დაანებოს შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი "ეპისტოლეების" წერას და "ანტიქრისტეს" აზრის გარკვევა სცადოს, ცხადია, ტრადიციული რელიგიურ-ესქატოლოგიური კონოტაციის გარეშე, რადგან "ანტიქრისტე" ქრისტიანობის მიერ "შეთხზული" სხვაა, თავისი სხვა და არა აბსოლუტური სხვა". ჩემთვის, ალბათ, სავსებით მისაღები იქნებოდა ახალთან შეხვედრის მოლოდინის ის პათოსი, რომლითაც ზ. ქარუმიძის წერილია დამუხტული, რომ არა თვით ამ "აბსოლუტური სხვის" ცნების ბუნდოვანება და ის კატეგორიულობა თუ ინტელექტუალური ძალადობა, რომელიც ამ "მოუწევთ ქმედება"-სა და "ეკისრებათ" - ის მიღმა წავიკითხე და რომლითაც იგი ჩემი და მონათესავე პროფესიის ადამიანებს რატომღაც მომავალი სამუშაოს მიმართულებას უსაზღვრავს. ისე გამოდის, რომ იმ ადამიანთა "რეალობის განცდა", რომლებიც ბატონი ზურაბის მიერ შემოთავაზებულ საქმიანობას ვერ მოერგებიან, "მარტოოდენ კარგად დავიწყებული ძველის ბანალური შეხსენება იქნება" და სხვა არაფერი.

ჯერ "აბსოლუტური სხვის" შესახებ ვიტყვი:

აზრის მოცემულ კონტექსტში იგი ან არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, ან მისი ამოხსნა აბსოლუტურად ფუჭი საქმეა და მაშინ ბატონი ზურაბის მოწოდებასაც აზრი ეკარგება: თუკი რეალობა ის ადგილია, სადაც "გარედან მოსული სხვის" თავისჩენა ხდება, მაშინ საეჭვო და შეუძლებელიც კია, ეს "სხვა" აბსოლუტურის სტატუსს ფლობდეს "ჩვენს" რეალობაში. ამიტომ, სანამ ამ, აბსოლუტურობის პრეტენზიის მქონე "გარედან მოსულ სხვაზე" ოდნავ მაინც მკაფიო აზრი არ გვექნება, განუწყვეტლივ შეგვაწუხებს იმ სიტუაციის ბუნდოვანება და გაურკვევლობა, რომელშიც აღმოვჩნდით ჩვენ, "ტრადიციულ ღირებულებათა თავშესაფრიდან" იძულებით გამოგდებულები, რომელთაც არავ[illegible]ათავაზობს ახალ თავშესა[illegible]რის, რადგ[illegible]ბსოლუტური სხვა" ისეთივე უტოპიაა, როგორც სამყაროს დასასრულის იდეა, ისეთივე პარამითი თუ ანტიმეთოდი, რომლის სახელითაც "ტრადიციულ შეხედულებათა თავშესაფრიდან" იმ ნაწილის გამოდევნა ივარაუდება, რომელიც ყველა დროს ეჭვით უყურებდა უცნობ და მეტისმეტად "ახალ" სოციალურ, ინტელექტუალურ და იდეოლოგიურ თამაშებს. თუ გამოდევნა არა, საერთოდ მთელი ამ "თავშესაფრის" მობინადრეებიანად ბორტს მიღმა დატოვება დროის ხომალდის სახელით, რომელიც, სხვათა შორის, თუ რაიმეს აკეთებს, მხოლოდ იმას, რომ ზედიზედ ამსხვრევს ყველა უტოპიას, რომელიც ჭეშმარიტად და აბსოლუტურად ახლის სახელით გამოდის.

"აბსოლუტური სხვა" ის მაპროვოცირებელი სიმულაკრია, რომლის წინაშეც საბოლოოდ უნდა დაიმსხვრეს ქრისტიანულ ეპისტოლეებზე აღზრდილი კულტურის თვითრწმენა. ცნობიერებამ უარი უნდა თქვას ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტურ და უპირობო ღირებულებებზე, ანუ დაკარგოს ადამიანობის უფლებაც და თავისუფლებაც, რომლის იდეაც, ბოდრიარის აღიარებით, დასავლეთმა კარგა ხანია უკვე საბოლოოდ დაასამარა, რადგან განურჩევლობაში, ერთგვარობაში, განუსხვავებლობაში ყველაფერი სულ ერთია და არჩევანის საჭიროება საერთოდ არ ჩნდება.

"აბსოლუტურ სხვასთან" დიალოგი თვით ძალზე მომზადებული მესიტყვესთვისაც კი შეუძლებლად მეჩვენება, რადგან იმისათვის, რომ დიალოგი შედგეს, ნიშანი უნდა ვიცნო, ანუ ძველ მნიშვნელობათაგან სიტყვას ერთი კონოტაცია მაინც უნდა შერჩეს. "აბსოლუტური სხვის" შემთხვევაში კი ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. ამიტომაა, რომ ასეთ დროს, ანუ მაშინ, როცა სოციუმის დიალოგურობას საფრთხე ემუქრება, კოლექტიური "ზე-მე" კონტროლს აწესებს ინდივიდუალური თუ მცირე ჯგუფური თავისუფლების გაუაზრებელ პირველად იმპულსებზე, რომლებიც თან სდევენ ახალ სათამაშო პრაქტიკებს და რომელთაც შეუძლიათ ან პირდაპირი ნგრევა გამოიწვიონ, ან უსასრულო თამაშების წრეში გადაგვისროლონ, რაც, მოგეხსენებათ, ფაქტობრივად ერთი და იგივეა. ამდენად, სუპერეგოს ეს რეაგირება ძალზე ღირებულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი აწესრიგებს საზოგადოების წევრთა ლტოლვებსა და სურვილებს გენეტიკურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-კულტურული ნორმების შესაბამისად. წინააღმდეგობის ძლიერი უნარის წყალობით იგი აღკვეთავს უცხო ელემენტების შემოჭრასა და ამასთან დაკავშირებული კულტურისა და ცნობიერების რღვევის პროცესს. მაგრამ ეს წინააღმდეგობა უსასრულო არაა და ენთროპიული ზღვარიც არსებობს...

რეალობა სულაც არ განიცდება იქ, სადაც "მე ვხვდები ჩემდამი სრულიად სხვას" (ზ.ქ.), კაცობრიობა ჯერჯერობით არც "აბსოლუტურად სხვას" იცნობს და არც "აბსოლუტურად ახალს". თუკი ამგვარი შეხვედრის დაშვება საერთოდ შესაძლებელია და იგი მარტოოდენ ფანტაზიის სფეროდ ან ფილოსოფიურ სპეკულაციად არ მოიაზრება, მის ადგილას უნდა განიცდებოდეს თავზარდამცემი შიში თანაყოფნისა და დიალოგის შეუძლებლობის გამო. ჩვენ რეალობას იქ განვიცდით, სადაც სიცოცხლის უმაღლესი ინტენსიობის გარემო იქმნება, სადაც ჩვენივ სხვას, დაგვარს და არა სხვაგვარს, უცხოსა და უცნობს ვხვდებით, ანუ იქ, სადაც ზედაპირზე ამოდის კომუნიკაციის პირველადი, "თაური" არსი. ამიტომაც არ გვეთმობა ეს რეალობა და ეს სიცოცხლე. ესაა კაცობრიობის მარადიული პრობლემაც: ამ ინტენსიობის გარემოს განუწყვეტელი დეფიციტი, გაუხშოვება, გაქრობა. ამ დეფიციტის პრობლემას ეპისტოლეთა ავტორებიც და პოსტთანამედროვე ფილოსოფოსებიც სხვადასხვაგვარად აგვარებდნენ. თუკი პირველები "ანტიქრისტეს" აზრს არ არკვევდნენ, ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ სიტყვის იდუმალი ენერგიისა სწამდათ, ანტისიტყვის, ანტილოგოსის გამოწვევისა ეშინოდათ, უფრთხილდებოდნენ იმ რეალობას, რომელიც ამ სიტყვის მიღმა იყო და რომელსაც ეს სიტყვა თავისი იდუმალი შინაგანი კანონით ერთდროუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად კიდეც ფარავს და კიდევაც აჩენს. ერიდებოდათ, რადგან სიტყვა "პირველთაგანვე იყო" ყველაზე დიდი უტოპია და ყველაზე დიდი რეალობაა, დამანგრეველიც და აღმდგენიც, დამშლელიც და დამანგრეველიც. მაგრამ ამ სიტყვითვე უწესებდნენ ისინი ადამიანს გარკვეულ ნორმებს, რათა სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილისა და სიკვდილის შიშის მართვა შესძლებოდათ. კულტურის ამ სისტემაში ყოველ სიტყვას მკაცრად განსაზღვრული ადგილი ეჭირა ფასეულობათა იერარქიაში, ანუ ყველაფერს თავისი სახელი ერქვა და რადიკალური ოპოზიციებიც საყრდენის როლს ასრულებდნენ სისტემის მთლიანობაში. ამიტომაც გულწრფელად მივესალმები მათ, ვინც სტაბილურ ღირებულებებში პოულობს თავშესაფარს. მართალი გითხრათ, ჯერჯერობით მაინც ვერც კი ვხედავ სხვა გზას, რადგან როცა უარს ჩვენვე "სხვაზე" ვამბობთ და იგი გარეთ გაგვაქვს (ანუ ფრჩხილებში ვსვამთ), მერე კი მის შესახვედრადაც ვიწყებთ მზადებას, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ცნობიერებასა და რეალობას შორის სემიოლოგიური სივრცის კიდევ ერთი შრე გაჩნდა და ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით თვითსტერილიზაციისაკენ ანუ სიკვდილისაკენ.

პოსტმოდერნიზმის ესქატოლოგები კი პრობლემის მოგვარების ტრადიციულ გამოცდილებაზე უარს ამბობენ და ბოროტების, ქაოსის, დაშლის პროცესების დაუსრულებელი გახმოვანებით, მათი სახელდებითა და ჩვენებით, წოდებითა და მიწოდებით, სამომხმარებლო ნიშნად თუ საქონლად ქცევით ცდილობენ ამოწურონ და გააუვნებლონ იგი, დააცარიელონ ნიშანი, ნონსენსად აქციონ მნიშვნელობა. თუკი იმ აზრს გავიზიარებთ, რომ "რაიმეს განსაზღვრა უკვე მისი ნეგაციაა", მაშინ ამ საქმიანობაში ნამდვილად შეიძლება პოზიტიური აზრის დაძებნა. მაგრამ ენა არ თმობს ყოფიერების საიდუმლოს. სიტყვის ამ დაუსრულებელმა "მოხმარებამ" სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და როგორც ჩანს, ამას ბოდრიარიც კარგად გრძნობს, როცა საყოველთაო "ეშმას ორსულობაზე" საუბრობს. თუკი ეს მართლაც ასეა და "ანამორფოზი ბოროტების ყველა ფორმისა უსასრულოა", მაშინ ბოროტებაზე, ძალადობაზე, პათოლოგიაზე ამდენი ლაპარაკი, მათი დაუსრულებელი მოხსენიება, და-სახელება, გამეორება სხვა არაფერია, თუ არა ამ ორსულობის ნიშანი, მისი პრინციპის სხვა ფორმა, მისი წარმოდგენის გამრავლება სიტყვის მეშვეობით, ანუ დაშლის პროცესის გაღრმავება.

პირადად მე ვფიქრობ, რომ სამყაროს დასასრულისა და "აბსოლუტური სხვის" უტოპიური იდეები პოსტთანამედროვე ფილოსოფიის ტრანსგრესის (სპეკულაციური ანალიზის, ინტერპრეტაციის, საზრისის ძალადობის) კიდევ ერთი, მორიგი შეტევაა გაურკვევლობით გამოფიტული, დაბნეული და ინერტული საზოგადოების გამოსაფხიზლებლად, მეტაკრიტიკის, მეტასტაზის კიდევ ერთი აფეთქება და გამწვავება. მისი უნაყოფობა სახეზეა თუნდაც იმით, რომ შესაძლო კეთილშობილური მიზნების მიუხედავად, იგი ჯერჯერობით მაინც, არაფერს ბადებს საკუთარ თავში დაეჭვებისა და შეშფოთების გარდა. გაურკვევლობის ბლანტ ჭაობში კი მშვენივრად იდგამს ფესვს ძალადობის ახალი ინტელექტუალური და იდეოლოგიური სახეები - ნაირგვარი სახელებითა და შეფერილობებით. არა მგონია, პოსტთანამედროვე ფილოსოფიას შეეძლოს იმაზე უკეთ გაარკვიოს ესქატოლოგიური პრობლემები, ვიდრე ამას ეპისტოლეთა ავტორები აკეთებდნენ, რადგან ისინი კონკრეტულ საქმეს აგვარებდნენ - სინათლე და რწმენა შეჰქონდათ ადამიანთა შიშით და ეჭვით შეპყრობილ გონებაში. ალბათ დამეთანხმებით, რომ კაცობრიობის ინტელექტუალურ ნაწილს არც არაფერი უკეთებია ამაზე ღირებული მთელი ისტორიის მანძილზე. სხვათა შორის, ამავე ფუნქციას ასრულებდა ლიტერატურა სულ ბოლო ათწლეულებამდე, სანამ ფილოსოფიის კვალდაკვალ საერთოდ უარი არ თქვა ადამიანის პრობლემაზე, მაგრამ დამარცხება რომ არ ეღიარებინა, იგი თავისუფლების ცნებას ამოაფარა, უსასრულო ინტერპრეტაციების საგნად აქცია და საერთოდ გამოაცალა რეალობის გრძნობა.

იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ სახიფათო ხდება ინტელექტის ეს წრეგადასული ნარცისიზმი და მისი უსასრულო ექსპერიმენტები წესრიგის ახალი ფორმების ძიებაში ბოდრიარის სიტყვებს დავიმოწმებ: "ნებისმიერი სტრუქტურა, რომელიც იშორებს თავის ნეგატიურ ელემენტებს, კატასტროფის რისკის წინაშე დგება... ყველაფერს, რაც დევნის თავისი არსის დაწყევლილ ნაწილს, საკუთარი თავისთვის სიკვდილის განაჩენი გამოაქვს. ყოველგვარი გათავისუფლება თანაბარწილად ეხება როგორც სიკეთეს, ისე ბოროტებას". ასე რომ, თუკი იქამდე მივედით, რომ მე მიხდება ჩემი "მე"-ს მთლიანობის დაცვა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ "მე"-ს ყველა კონოტაცია, უარყოფითთან ერთად დადებითიც - გაქრობისაკენ მიექანება და ყოველგვარი ლაპარაკი ადამიანის უფლებებზე ახალი ტიპის დემაგოგიაა და სხვა არაფერი. ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუკი რაიმე პრობლემის წინაშე ვდგავართ, ეს ისევ ჩვენივე "სხვის" პრობლემაა და არა "აბსოლუტური სხვისა".

ჩვენი დღევანდელი რეალობა ასეთია, სოციალური კეთილდღეობისა და მატერიალური კომფორტის იდეის ინტერიორიზაცია ღირებულებათა ტრადიციულ სისტემაში სულ თამაშ-თამაშით, ყოველგვარი აშკარა ძალადობის გარეშე ანგრევს ჩვენს უკანასკნელ თავშესაფარს - ენასა და წარმოსახვას და მათთან ერთად ეროვნულ თვითრწმენას იმით, რომ განუწყვეტლივ ნიშნისმოგებით მიგვითითებს ჩვენს ვერშემდგარ რეალობაზე, რადგან ამერიკული "სუპერნაგვით" მოხიბლულებს გვეჩვენება, რომ ცხოვრება სხვაგანაა - ობიექტივის მკვდარი თვალით გაიდეალებულ სივრცეში, ყველგან სადაც გნებავთ, მაგრამ არა ჩვენთან, არა საკუთრივ ჩვენს სასიცოცხლო გარემოში. მოკლედ, ერთი უტოპია დავმარხეთ და მეორეს შევუერთდით ისეთი მონდომებით, თითქოს კომუნიზმის იდეას სულ რაღაც თორმეტიოდე წელი არ გვაშორებდეს.

ხოლო ის, რასაც შევუერთდით "ტრანსპოლიტიკური ახალი წესრიგია", არანაკლებ მკაცრი და სასტიკი, ვიდრე საბჭოთა იმპერია იყო, რადგან იგი ყველაზე მნიშვნელოვანს - განსხვავებულობას კრძალავს. "უკვე მოიძებნა ის, რაც საბოლოოდ გადაწყვეტს "სხვის" ფუნდამენტურ პრობლემას, ანუ გაანადგურებს მას: კომუნიკაციის უნივერსალურ ქსელში ჩართვა. ამ ტრანსპოლიტიკურ ახალ წესრიგში გვემუქრება არა იმდენად საკუთარი თავის დაკარგვა, არამედ ყველა დანარჩენის, ნებისმიერი სახის განსხვავების... გაქრობის საშიშროება" (ბოდრიარი). ამ რეალობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ერთადერთი, რაზეც დღეს უნდა ვიზრუნოთ, სახის შენარჩუნებაა. კულტურა არის სახედ ყოფნა ნებისმიერი დროსივრცული ცვლილების წინაშე. და პირიქით, სწორედ სახედ ყოფნაა უმაღლესი კულტურის ნიშანი დღევანდელი მსოფლიოს "კომუნიკაციური ექსტაზის" პირობებში (სხვათა შორის, პოსტმოდერნიზმის თანამედროვე ვერსიაში კომუნიკაცია მოიაზრება, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტების ურთიერთობა, სადაც დიალოგის მონაწილენი თანაბარუფლებიანი ვერბალური თუ არავერბალური ტექსტებია, რომელთა ამოხსნაც გულისხმობს აზრის რეკონსტრუქციას. ეს იმას ნიშნავს, რომ დიალოგის პირობა სუბიექტის სინამდვილის ამოცნობაა და არა ობიექტის ჭეშმარიტე-

ბისა. ასე რომ, საკითხი მხოლოდ იმას ეხება, მოვინდომებთ თუ არა ამ კომუნიკაციურ თამაშებში სუბიექტის სტატუსით მონაწილეობას. თამაშის უსასრულობიდან კაცობრიობის რეალობისაკენ შემობრუნება ისევ კულტურამ უნდა შესძლოს, ისევ კულტურისა და მეხსიერების წყალობით თუ გადაიჭრება საკუთარი მოდგმისა და სქესის იდენტიფიკაციის ის კრიზისი, რომელიც მასკარადულმა და ტრანსვერსულმა დრომ მოუტანა კაცობრიობას. სწორედ კულტურული მეხსიერება აყალიბებს და ავლენს ეთნიკური ჯგუფის, ერის, და ბოლოს, პიროვნების თვითიდენტიფიკაციის ხარისხს. ჩენთვის კარგად ცნობილი "გახსოვდეს, ვისი გვარისა ხარ" - ხსოვნის შეხსენებაა, თანაც ორმაგი ფორმა. პირველი - მოწოდებითი სიტყვით, რომელიც განუწყვეტელ აქტიურობას გვკარნახობს ("გახსოვდეს"), მეორე - თვით გვარის შეხსენებით, ხსენებით, მისი ფაქტორის აქცენტირებით, რაც ნიშნავს: არ დაგავიწყდეს (შენი) გვარის გახსენება, უერთგულე (შენს) გვარს, გახსოვდეს, რომ (შენს) გვარს ეკუთვნი.

გაერთიანება ყოველთვის რაიმე ნიშნის თუ სიმბოლოს - როგორც დროშის - გარშემო ხდება. იმას, თუ რის გარშემო გავერთიანდებით, ანუ რას მოვინიშნავთ ჩვენი კულტურული დროსივრცის ორგანიზაციის პირობად, ჩვენივე არჩევანი გადაწყვეტს. ჩვენზეა დამოკიდებული რას ავირჩევთ - ისტორიის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას თუ სისტემის ერთგულებას, რადგან ადამიანის თავისუფლება მხოლოდ სისტემის (აუცილებლობის, სტრუქტურის) პირობებში მოიაზრება. გალაკტიონის პოეტურ ინტუიციასაც ვენდოთ: "სულს სწყურია საზღვარი... როგორც უსაზღვროებას". ოღონდ სანამ ავირჩევდეთ, ერთ ძნელ და აბეზარ კითხვას უნდა ვუპასუხოთ: გვაქვს თუ არა დავიწყების უფლება, ვიგრძნობთ თუ არა თავს უკეთ, თუ სახეს დავკარგავთ, ვიქცევით თუ არა მეხსიერების დამკარგველთა იმ პარადოქსულ ერთიანობად, რომელიც თუნდაც ნაციონალური იდენტიფიკაციის სახელით გენეტიკურ-კულტურულ კავშირთა წყვეტას უჭერს მხარს?

ბოდრიარის "უმუშევართა სივრცეებმა" და "ნაგავსაყრელებმა" ჯერ ნიკო სამადაშვილის დაცარიელებული სივრცეების კაშკაშა მეტაფორები გამახსენა, მერე კი "ტრანსკავკასიური დერეფანი" და ავთო ხეთერელის გულისმომკვლელი ლექსის სტრიქონები: "... რომ დერეფანს დაენახა საკუთარი სიცარიელე... მაშინ მივხვდი, რომ ის უკვე ჩვენი აღარ იყო, ყველა აძლევდა სამადლო ლუკმას და თითქოს მისი სიამაყეც სხვათა ხელის ყურებაზე ჩამოხურდავდა... თქვენ რას მასწავლით დერეფნისა... ეს დერეფანი, რომელშიც მას მერე, რაც ყველანი თავთავიანთ სახლებს მიაშენებდნენ, დარჩებოდა მიეთ-მოეთის ნამუსრევი და ნაკვალევი"... და განსაკუთრებით... "თითქოს ამ დერეფანში სირცხვილი იყო პატრონის სატკივარზე საუბარი".

მოგეხსენებათ, ჩვენ ყოველთვის გვქონდა ამისათვის სახელდახელო თუ ტრადიციული დღესასწაულების, რიტუალური, საკულტო, ენობრივი, საბრძოლო თამაშების გამოცდილება. ეს იმას მოწმობს, რომ ქართული ცნობიერებისა და ყოფიერების ულრმესი ინტენცია სწორედ სიცოცხლის ფორმების განუწყვეტელი ძიებისა და გამრავლებისაკენ იყო მიმართული სიტყვაშიც, შემოქმედებაშიც და ყოფაშიც. ამ ფორმების გამომუშავებასა და განახლებას ხმარდებოდა ეროვნული შემოქმედებითი ენერგიის დიდი ნაწილი. ამიტომ თუკი რაიმეს შეთავაზება შეგვიძლია კულტურათა დიალოგის მოსურნე მსოფლიოსათვის, ეს სწორედაც მერყევ და არაპროგნოზირებად რეალობაში თავის გატანისა და კულტურის გადარჩენის გამოცდილებაა, რადგან ისტორიულმა ბედისწერამ ყველაზე მეტად ამ გამოცდილების დაგროვებაში შეგვიწყო ხელი. ამ კონტექსტში ჩვენივ "სხვაზე" მეტის თქმა შეგვიძლია, ვიდრე "გარედან მოსულზე", "ჩვენიანზე" მეტისა, ვიდრე უცხოზე, "აბსოლუტურ სხვაზე" თუ "სხვაგვარზე". ამიტომ ახალმა რეალობამ ჩვენივ "სხვაზე" უნდა აგვიხილოს თვალი ყველა დონეზე - ინდივიდუალურიდან საერთო ეროვნულამდე, ფსიქოლოგიურიდან - კულტურულამდე. გარეთ კი არ უნდა შექმნას ახალი საიდუმლო, არამედ ადამიანის შიგნითვე უნდა მოაგვაროს ის ძველისძველი პრობლემა, რომელსაც კაცობრიობა ორი ათასი წელია უტრიალებს. ახალმა რეალობამ "მე"-ში ჩემი არ ყოფნის პრობლემა უნდა გადაჭრას. უკანასკნელ ხანს დასავლეთი მართლაც იბრუნებს რეალობის გრძნობას, მაგრამ "ბრმა ნაბიჯებს" კი არ დგამს "აბსოლუტური სხვისაკენ", არამედ ისევ ნაცნობი "ჩვენსკენ" ტრიალდება და ფილოსოფიური აზრის განვითარება კომუნიკაციური და კულტურული კლასიციზმის ვექტორებს უკავშირებს (აპელი, უარდი, კომპანიონი). დიალოგის აუცილებელ პირობად კი ისევ და ისევ მნიშვნელობათა რეანიმაცია და ტექსტის იმანენტური აზრის რეკონსტრუქცია ისახება. ამას კი შესაბამისი პრობლემური ველების აღდგენა და პოსტმოდერნიზმის აქცენტების სერიოზული გადაადგილება მოსდევს. რეალობის გრძნობის მანიფესტაციის ერთ კლასიკურ მაგალითს აქვე შემოგთავაზებთ ჩვენი პოეტური გამოცდილებიდან, რადგან "მე ვარ"-ის პრობლემა მხოლოდ ამ გზით გადაიჭრებოდა არა მხოლოდ რვა საუკუნის წინათ, არამედ დღესაც. ქვემოთმოტანილი სტრიქონები იმის მაგალითადაც გამოდგება, თუ ენობრივი და ფილოსოფიური თამაშების რაოდენ დახვეწილ პრაქტიკებს ვფლობდით: "მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად". ადამიანის ყოფიერების მეთოდის რუსთაველისეული განსაზღვრა უცნაურად ემთხვევა სარტრის ფორმულას: "მე"-ს ყოფიერების მეთოდი ესაა დანახული იქნე სხვის მიერ". "თვით"-ობისა და "სხვა"-ობის არარევერსულობა (შეუქცევადობა) რუსთაველთან დაძლეულია სუბიექტურობის ფუნდამენტური უნარით - მორალური პასუხისმგებლობით. ეს უნარი აქ გაცხადებულია თამაშის, სიამოვნების, დღესასწაულის სახით და მორალურ პასუხისმგებლობასთან ერთად სუბიექტურობაში თამაშის ფუნდამენტალიზმსაც ამკვიდრებს. მე ის კაცი ვარო - ამბობს ავთანდილი, ვინც ამ წუთისოფელში უსიცოცხლო, გამოფიტული ცხოვრების საგემებლად არ მოვსულვარ. მე ის კაცი ვარ, ვისაც მოყვრისათვის სიკვდილიც კი თამაშად და შექცევად მიმაჩნიაო. სიკვდილისათვის ასეთი მზადყოფნა, მასთან თამაში განსაკუთრებული ინტენსივობით აღბეჭდავს სიცოცხლის ყოველ წამს და ღრმა ქრისტიანულ ზნეობრიობასთან ერთად ცხოვრებისადმი სრულიად არაასკეტურ - რისკისა და თამაშის, სიხარულისა და სიცოცხლით ტკბობით უაღრესად მაღალი ინტენსიობისა და ესთეტური რანგის გრძნობად მიმართებასაც ამხელს. ტრანსცენდენტირების (საკუთარი თავიდან გასვლის უნარი საკუთარი თავის-თვის) ამ უცნაური უნარის მაგალითი არაერთია ქართულ ხალხურ და კლასიკურ პოეზიაში.

დღევანდელობის ყველაზე სერიოზულ პრობლემად ის მიმაჩნია, რომ საქმიანობის, მორალის, კულტურის ტრადიციულ ფორმებს მოვწყდით და უცნობ ინტელექტუალურ, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ თამაშებში ჩავებით, რომელთათვისაც უცხოა როგორც "ღვთაებრივი სერიოზულობა" (პლატონი), ისე თამაშის არსისეული ნიშანი "ისე, უბრალოდ" (ჰოიზინგა). ენის კულტის ადგილი კი სხვა რაღაცეების კულტით ჩავანაცვლეთ და ჩვენი სივრცე არა მხოლოდ სატრანსპორტო და ენერგეტიკული, არ-

ამედ კულტურულ დერეფნადაც ვაქციეთ, სადაც მორიგი გამვლელის მოლოდინში ჭორს ან კიჩს თულა მაგონებს კაცი, და სადაც დრო მხოლოდ ფულია და სხვა არაფერი. ყოფიერების ამ ფუნდამენტური კატეგორიის მიმართ თანამედროვე კაცობრიობის ცინიკური დამოკიდებულება მის ქართულ კინოტაციებშიც აისახა: ჩვენ დროს ისევე "ვხარჯავთ", "ვფლანგავთ" და "განვკარგავთ", როგორც ფულის ნიშნებს. ინდივიდუალურ დროთა მეტასტაზურ ერთობლიობაში დრო სხვა არაფერია, თუ არა ფულის აღსანიშნი, ხოლო მთელი კაცობრიობის დრო - ამ ფულების ჯამი ბანკი, ბანკების ქსელი. პიროვნების თვითიდენტიფიკაციის ვექტორმაც დროდან ფულზე გადაინაცვლა. ფულმა დაიკავა მთელი კულტურული სივრცე და ყველა კულტურული ცნების ფარულ ქვეტექსტად იქცა. ამიტომაა, რომ ეს დრო არც არაფერს ქმნის, უნაყოფოა და მხოლოდ ასეთივე უნაყოფო სხეულებს, იდეებსა და სურვილებს ამრავლებს. მსოფლიო ერზაცების, სიმულაკრების, პროტეზების წარმოების უწყვეტ პროცესშია ჩაბმული - ასეთია დროის შურისძიება კაცობრიობის მიმართ, მისი ვირტუალური მატერიის საპასუხო რეაქცია იმაზე, რომ ფასეულობათა იერარქიის უმაღლესი საფეხურიდან იგი "ხელის ჭუჭყამდე" ჩამოაქვეითეს.

სკეფსისი აზროვნებაში შემოჭრილი ბოროტებაა და იგი ძირითადად სიტყვით ვრცელდება. ამაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს ის ხალხი, ვისაც სიტყვა აბარია. ამიტომ, თუკი პოლიტიკოსები ძალადობით დისკურსს ამკვიდრებენ, ანუ თუკი ხელის (=ძალის) უფლება სიტყვის უფლებასაც იყენებს გასაძლიერებლად, მაშინ ალბათ, უმჯობესი იქნება, "სიტყვის ხალხმა" ძალადობა ძალისხმევაში გადაიტანოს, ანუ სიტყვის უფლებასთან ერთად სიტყვის მოვალეობაც და პასუხისმგებლობაც შეახსენოს საზოგადოებას, ასე მესახება ჯერჯერობით მაინც, ჩვენი "შინაური ეპისტოლეების" შინაარსი. თუკი მართლა "შეგვიძლია ისტორიის დასასრულის თავიდან აცილება", და მაშინაც, თუკი არაფერს განვაგებთ და არც არაფერი შეგვიძლია, რისკის გაწევას ნამდვილად აქვს აზრი. ჩვენს ძალის-ხმევას ვიღაცის თვალი შეჰყურებს. მე ვფიქრობ, იგი ჩვენი "სხვაა", უფრო ზუსტად, ჩვენა ვართ მისი "სხვა" და "სხვა"-ობები. მისთვის სულერთი არ იქნება ჩვენი მცდელობა, - როგორც არ უნდა იყოს ეს "ვიღაც" - "აბსოლუტური სხვა" თუ ჩვენი "სხვა", რადგან იგი, თუკი რაიმესთვის (და)გვსჯის, სწორედ გულგრილობისა და უმოქმედობისათვის (და)გვსჯის.

ასე რომ, უფრო გონივრული იქნება, თუ საკუთარ კულტურას მოვუბრუნდებით და უფრო ღრმად და საფუძვლიანად შევაფასებთ ჰომეოსტაზისის იმ მექანიზმებს, რომლებიც ჩვენს ცნობიერებასა და კულტურას დაშლისგან იცავდა. უნდა დავუბრუნდეთ ლიტერატურას, ნაღდ, ჭეშმარიტ ლიტერატურას და არც თამაშებსა და ექსპერიმენტებზე ვთქვათ უარი, თუკი იგი ნამდვილ ლიტერატურასთან მიიყვანს მწერალსაც და მკითხველსაც. ახალს არაფერს ვიტყვი: სიტყვით იბადება და სიტყვაშივე მოექცევა ყოველივე - აზრიც და მატერიაც, სიკეთეც და ბოროტებაც და არავითარი საერთო განსათავსებელი სივრცე და სადგომი - ენის გარდა, ადამიანსა და ყოფიერებას არ გააჩნიათ. ლიტერატურას კი თუნდაც იმიტომ უნდა ვუერთგულოთ, ყველაზე უკეთ რომ გრძნობს და ამოთქვამს ყოფიერების საიდუმლოს, მისით რომ არის შეპყრობილი და წარმოსახვის სფეროზე მაგიური გავლენის წყალობით ერთგულად იცავს ჩვენი "მე"-ს ყველაზე ღრმა თავისუფლებას. იმათ კი, ვინც საკუთარ თავს ავანგარდისტს (ან ტრანსავანგარდისტს) უწოდებს, მინდა შევახსენო: ნამდვილი ავანგარდისტები ყოველთვის იმაზე ცოტა გვიან მოდიან, ვინც პირველად ყვირის მოვკლათო - ტრადიცია, ავტორი, ჟანრი, მიმართულება, სტილი თუ იდეა. ცოტა გვიან, როცა გალიზიანებასა და ეპატაჟს ნიჭი და გაბედულება ჩაენაცვლება. როცა სიახლის მოთხოვნილება განადგურების იმპულსს კი არ შეუწყვილდება, არამედ სიცოცხლის გაგრძელების მარადიულ კანონს. ისტორიისათვის ღირებული ლიტერატურაც სწორედ ამის მერე იქმნება.

თამაშის სერიოზულობასა და მის უბრალოებას შორის უცნაური შესაძლებლობა ილანდება. სერიოზულობაც და უბრალოებაც თამაშის ონთოსს განსაზღვრავს, ანუ სწორედ იმ ღვთიურობის ნიშანია, რომელიც ამ ორ თვისებასთან ერთად ყველაზე მეტად აკლია დღევანდელ მსოფლიოს. უბრალოებასთან ერთად კულტურამ სერიოზულობაც დაკარგა, ცოდნამ - ლეგიტიმურობა და კაცობრიობის ამ უბედურებამ გრანდიოზული მასშტაბის ამბიციური სპექტაკლის სახე შეიძინა. საოცარი კი ისაა, რომ იგი არც არავის ახარებს და არც არავის ათავისუფლებს, რადგან კაცობრიობა მეხსიერების შესაძლო დაკარგვის წუხილითაა შეპყრობილი. მეხსიერებასთან ერთად მას იმ წილის გაუჩინარებაც აწუხებს, რომელზედაც ჯორდანო ბრუნო ასე წერდა: "ღმერთი ჩემშია იმაზე მეტად, ვიდრე მე თვითონ ვარ ჩემში". თუკი ხსოვნასთან ერთად ადამიანობის ამ მოდელს შევინარჩუნებთ, მაშინ "გოდოს" (God-ღმერთი) მოლოდინს ნამდვილად ექნება აზრი, თუ არა და, კაცობრიობის ცხოვრება რაღაც "აბსოლუტურ სხვასთან" წინასწარ წაგებულ დაუსრულებელ თამაშს დაემსგავსება, რომლის წაგებასაც ქედმაღლობის გამო იგი არასოდეს აღიარებს.

პირადად მე, ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, ერთი შესაძლო არჩევანი, ჩვენთვის მაინც, ამგვარადაც მესახება: თანამედროვე თამაშებიდან იმ "ღვთაებრივად სერიოზულ" და ღვთაებრივად უბრალო ძირძველ თამაშებზე გადავიდეთ, რომელიც კარგად, ძალიან კარგად დავიწყებული ძველიცაა და ახლის შექმნის კრეაციული ლოკუსიც: ის თამაში ვითამაშოთ, სადაც ქართული ზღაპრების მსგავსად შეკითხვას ბოლოს და ბოლოს პასუხი მოსდევს, პასუხს კი - გარკვეულობა, ბედნიერება და ცოდნა მოაქვს. ჩვენი კულტურისა და სულიერებისათვის დამახასიათებელ ერთ ასეთ მაგალითს აქვე დავასახელებ: ოთარ ჭილაძე, "ყოველმან ჩემმან მპოვნელმან" - ფინალი. და რადგან ლიტერატურა, თუკი რამედ ღირს, სწორედ მასში ჩადებული ცოდნისა და იმედის გამო ღირს - იგი აუცილებლად გვიპასუხებს ზოგიერთ კითხვაზე მაინც. ამ იმედით შემოგთავაზებთ ერთ პატარა ნაწყვეტსაც: "ალექსანდრე არასოდეს ყოფილა ასეთი ბედნიერი, ასეთი თავისუფალი და რაც მთავარია, ასეთი მშვიდი. თვითონ ვერც ხვდება, რა ამბავია მის თავს, რამ გაუჩინა ასეთი გუნება-განწყობილება. თუმცა იმაზე მნიშვნელოვანს რას მიხვდება, რასაც მიხვდა, რაზედაც თვალი აეხილა, რაც უკვე მტკიცედ იცის. მტვერივით იოლად გაიფანტა საუკუნოვანი ეჭვი და ქარში აფარფატებული ფოთოლივით უბრალო და უფესვო აღმოჩნდა საუკუნოვანი გამოცანა: ვინა ვარ და რატომ ვარ. ის ამ პატარა გოგოს ბიძაა და მას ამ პატარა გოგოს მოვლა-პატრონობა ევალება"...




http://www.opentext.org.ge/arili

წკაპ HERE

ყფ 72/5



„დიდება მამრის გარეგნობას,
უშნო სიწმინდეს, ღაწვთა ოვალის
დამანგრეველ კაცურ ყვრიმალებს,
ამ ძალოვან ყბებს, ღონივრად რომ
კუმშავენ კბილებს და ამ ფართო
შუბლს, თვით ზეცას რომ ექიშპება."

მირჩა ელიადე